მძიმე მეტალების მარილების გამოყოფას; კეთილისმყოფელ გავლენას ახდენს კუჭნაწლავის ტრაქტზე, კერძოდ ნაწლავებსა და კუჭქვეშა ჯირკვალზე; აძლიერებს სისხლძარღვთა კედლებს, დამამშვიდებლად მოქმედებს ნერვულ სისტემაზე (Mg შემცველობის გამო); აქვს მძლავრი ანტიმიკრობული თვისებები. მისი ანტიოქსიდანტები აბრკოლებენ სიმსივნური წარმონაქმნების განვითარებას, თავისუფალი რადიკალების ზემოქმედებით გამოწვეულ ქრონიკულ დაავადებებსა და დაბერების პროცესებს; აქვს ცხიმების დაშლის უნარი და აქედან გამომდინარე დიეტური ღირებულება [2].

ჩამოთვლილი თვისებები განაპირობებენ ლურჯ მოცვზე მზარდ მოთხოვნებს და მისი რეალიზების პრობლემა, სხვა კენკროვნებისგან განსხვავებით დღეის მდგომარეობით არ არსებობს, თუმცა ეს ეხება მაღალი სასაქონლო ღირებულების სტანდარტულ ნაყოფებს, მთლიანი მოსავლის დაახლოებით 15% არასტანდარტული ზომის ან შეფერილობის და კრეფა-ტრანსპორტირების ან დახარისხების დროს მექანიკურად დაზიანებული ნაყოფებია, რომელთა რეალიზება ნედლი სახით პრობლემურია – ძალზე დაბალია სარეალიზაციო ფასი ან მასზე საერთოდ არ არის მოთხოვნა. მოსავლის აღნიშნული ნაწილი ორგანიზმისათვის სასარგებლო ნაერთების შემცველობის გამო საუკეთესო ნედლეულია გადამამუშავებელი წარმოებისთვის.

**კვლევის მიზანს** შეადგენს ამ ძვირფასი კენკროვნის მოსავლის კომპლექსური და მაქსიმალურად უნარჩენო ტექნოლოგიის შემუშავება და მასში გათვალისწინებული თითოეული პროდუქტის მიღების ტექნოლოგიური პარამეტრების დადგენა.



ნახ.1. ლურჯი მოცვის ნაყოფის კომპლექსური გადამამუშავების სქემა

**კვლევის ობიექტი და მეთოდიკა:** ნახ. 1-ზე წარმოდგენილია ლურჯი მოცვის ნაყოფის კომპლექსური გადამამუშავების სქემა. მასზე ნაჩვენებია ზოგიერთი პროდუქტის (კომპოტი, მურაბა, ჯემი, არაყი, ღვინო და ნატურალური წვენი) წარმოება გათვალისწინებულია შესაბამისი ტრადიციული ტექნოლოგიებით და რეცეპტურების დაზუსტებით. კუპაჟირებული წვენებისათვის, მოცვთან ერთად, გათვალისწინებულია შესაბამის რეგიონში გავრცელებული კენკროვნების გამოყენება, რომელთა ტექნოლოგიური სიმწიფე დროში ემთხვევა ლურჯი მოცვისას. დაბალკალორიული სასმელების რეცეპტურებში შაქარი ნაწილობრივ (25, 50, 75%) ან სრულად ჩანაცვლებულია შაქრის დაბალკალორიული შემცვლელით – სტევიით, რაც საშუალებას მისცემს შაქრიანი დიაბეტით დაავადებულ, აგრეთვე ჭარბწონიან ადამიანებს დაიკმაყოფილონ სიტკბოზე მოთხოვნილება ორგანიზმისათვის ზიანის მიუყენებლად.

**შედეგები და მათი განხილვა:** დამუშავებულია ლურჯი მოცვის მთლიანი ნაყოფის, წვენის, აგრეთვე გამონაწნებისაგან წვრილდისპერსიული სწრაფხსნადი ფხვნილების წარმოების ტექნოლოგია, რომელიც მოიცავს შემდეგ ტექნოლოგიურ პროცესებს: თხევადი აზოტით ნედლეულის წინასწარი გაყინვა; გაყინული მასის კრიოგენული სუბლიმაციური შრობა მაცივარ-აგენტად თხევადი აზოტის გამოყენებით და გაყინული მასის კრიოდაქვცმაცება თხევადი აზოტის არეში [3]. გადამამუშავების თითოეულ ეტაპზე თხევადი აზოტის გამოყენებით მინიმუმამდე მცირდება ნედლეულში უარყოფითი ჟანგვითი პროცესების მიმდინარეობა. სრული ტექნოლოგიური ციკლის ოპტიმალურ პირობებში წარმართვის შემთხვევაში, მიიღება ქიმიური შედგენილობისა და ძირითადი ორგანოლექტიკური მახასიათებლების მიხედვით საწყისი ნედლეულის მაქსიმალურად იდენტური ფხვნილი, რომელიც გაცილებით უფრო მაღალი შენახვისუნარიანობით და ტრანსპორტაბელობით ხასიათდება. ამასთან ერთად მოითხოვს ბევრად ნაკლებ ტარასა და სასაწყობე ფართს. თხევადი აზოტის აბსოლუტური ინერტულობა და მოხმარების უსაფრთხოება განაპირობებს მთლიანი ტექნოლოგიური პროცესის ეფექტურობასა და მიღებული პროდუქტის (ფხვნილი) სიჯანსაღეს, რომლის გამოყენება შესაძლებელია სხვადასხვა სახის სასმელის დასამზადებლად, აგრეთვე დანამატების სახით საკონდიტრო წარმოებაში.

**ძირითადი დასკვნა:** ლურჯი მოცვის კომპლექსური ტექნოლოგიის გამოყენებით შესაძლებელი გახდება მაღალი დამატებითი ღირებულების მქონე ფართო ასორტიმენტის პროდუქტების გამომუშავება, მოწეული მოსავლის სრულყოფილად რეალიზაცია, რაც მნიშვნელოვნად გაზრდის შემოსავლებს და მოგებას, საბოლოო ჯამში კი ხელს შეუწყობს შესაბამისი ბიზნესის გაფართოებას და სამუშაო ადგილების შექმნას.

## ლიტერატურა

1. ინტერნეტიდან - [Fao.org/statistics/en/](http://Fao.org/statistics/en/)
2. თ. რევიშვილი. თ. მიქაძე. სუბტროპიკული კულტურების ტექნოლოგია, საქართველოს აგრარული უნივერსიტეტი, თბილისი, 2021.
3. დ. აფხაზავა, ა. კალანდია. კრიოგენული ტექნოლოგიით წარმოებული პროდუქტები. საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია-„გამოყენებითი ქიმიის პრობლემები“, თბილისი, 2012, გვ. 147-149.

## SUMMARY

### COMPLEX PROCESSING OF BLUEBERRY FRUIT

Apkhazava D.M., Goliadze V.Sh., Kashakashvili Ts. S., Revishvili T.O.

Institute of Tea, Subtropical Crops and Tea Industry of Georgia Agrarian University

The paper presents data on the distribution and production of blueberries in different countries around the world, including Georgia. The chemical composition of the fruit and its useful properties are discussed. The technological scheme of complex processing of blueberry fruit is presented and the efficiency of its use to obtain products with high added value is substantiated.

**საქართველოს სანელებელ-არომატული ნედლეულის ბაზაზე მოხარშული ძეხვეულის-თვის სანელებლების კომპოზიციის შედგენა და მისი ძეხვეულში შეტანის ტექნოლოგია**

**ბალათურია ნ.შ., ალხანაშვილი ნ.გ., დემენიუკ მ.ნ.**

**საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის კვების მრეწველობის კვლევითი ინსტიტუტი**

ადგილობრივი ნედლეულის ბაზაზე მოხარშული ძეხვეულისთვის სანელებლების კომპოზიციის შესადგენად შესწავლილ იქნა საქართველოში ფართოდ გავრცელებული მონოსანელებლების მექანიკური, ფიზიკურ-ქიმიური და ორგანოლექტიკური მახასიათებლები. ჩატარებული კვლევების საფუძველზე მოხარშული ძეხვეულისთვის სანელებლების კომპოზიციის შესადგენად შერჩეული იქნა საქართველოში ტრადიციულად წარმოებადი და ფართოდ გავრცელებული სანელებლები, კლასიკური სანელებლებიდან კი შერჩეული იქნა ჯავზი. სტატიაში წარმოდგენილია მონოსანელებლების რეცეპტურა კომპოზიციაში, მათი ხარჯვის ნორმები კომპოზიციის შესადგენად 1 ტონა მოხარშულ ძეხვზე და მოხარშული ძეხვის წარმოების ტექნოლოგიური სქემა.

სანელებლების კომპოზიციის მნიშვნელობა მოხარშული ძეხვეულისთვის განუზომელია. სანელებლები აკეთილშობილებენ ძეხვეულის ძირითადი კომპონენტის – ხორცის ხარისხობრივ მახასიათებლებს და საერთოდ კვების პროდუქტების ორგანოლექტიკურ და სამკურნალო თვისებებს.

სანელებლები მცენარეული წარმოშობის საკვები დანამატებია. ისინი მცენარის სხვადასხვა ნაწილებია, რომელთაც აქვთ სპეციფიკური, მდიდარი არომატი. მცირე დოზით ისინი გამოიყენებიან პროდუქტის სენსორული მახასიათებლების გასაუმჯობესებლად. მოხარშული ძეხვეულის წარმოებაში, როგორც წესი, გამოიყენება გამშრალი მონოსანელებლების კომპოზიციები.

მოხარშული ძეხვეულისთვის მონოსანელებლების კომპოზიციის შესადგენად შესწავლილ იქნა საქართველოში ფართოდ გავრცელებული სანელებლების მექანიკური, ფიზიკურ-ქიმიური და ორგანოლექტიკური მახასიათებლები. ჩატარებული კვლევების საფუძველზე მოხარშული ძეხვეულისთვის სანელებლების კომპოზიციის შესადგენად შერჩეული იქნა საქართველოში ტრადიციულად წარმოებადი და ფართოდ გავრცელებული სანელებლები, კლასიკური სანელებლებიდან კი შერჩეული იქნა ჯავზი (ცხრ. 1).

**ცხრილი 1. რეცეპტურა და მონოსანელებლების ხარჯვის ნორმები კომპოზიციის შესადგენად 1 ტონა მოხარშულ ძეხვზე**

კომპონენტის დასახელება	რეცეპტურა, %	ფხვნილის ხარჯი, კგ	ნედლეულის ნარჩენები და დანაკარგები ფხვნილის მომზადებისას, %	ნედლეულის ხარჯი, კგ
ქინძის თესლი	22	227,98	8,2	248,34
წითელი ჭოტოსანი წიწაკა	21	217,62	26,9	297,70
უცხო სუნელი	17	176,17	14,2	205,33
ობრახუმის თესლი	15	155,44	12,8	178,26
ნიახურის თესლი	11	113,99	12,2	129,83
კამის თესლი	5	51,81	6,8	55,59
დაფნის ფოთოლი	5	51,81	8,3	56,50
ჯავზი	4	41,45	5,5	43,86

მოხარშული ძეხვეული უმთავრესად მზადდება ახალი, გაცივებული ან გაყინული საქონლის, ღორის, ცხვრის ხორცისაგან, ან პირველი და მეორე კატეგორიის სუბპროდუქტებისგან; უპირატესად იყენებენ ძროხის და ღორის ხორცის ნარევეს.

მოხარშული ძეხვის წარმოებაში დაუფეშხოებელი (გატყავებული და გამოშიგნული) ნახევარნაკალავი ირეცხება 18–20 °C ტემპერატურის მქონე სასმელი წყლით. ამ დროს ხორცს ჩამოეჭრება დამანთული და დაჭუჭყიანებული ადგილები.


ნაკლავის დაჭრა ხდება ნაჭრებად (კისერი, ბეჭი, მკერდი და ა.შ.), შემდეგ ხდება ძვლების ხორცისგან მოცილება და განძარღვა. განძარღვულ ხორცს აქუცმაცებენ ბზრიალაზე მსხვილად – 12–15 მმ დიამეტრის მესერის გავლით, ან წვრილად – 2–3 მმ დიამეტრის მესერის გავლით. პირველ რიგში ამუშავებენ მჭლე ხორცს 1–3 °C ტემპერატურის მქონე წყლის ან ყინულის დამატებით; ბოლოს შეაქვთ მსუქანი ნედლეული და წყლის დარჩენილი ნაწილი.

დაქუცმაცებულ ხორცს ამრევში აურევენ 2–2,5 კგ მარილს 100 კგ ხორცზე; ამრევში უმატებენ აგრეთვე ნატრიუმის ნიტრიტს ხსნარის სახით, კონცენტრაციით 2,5 %. დამარილებულ ფარშს ურევენ 2–3 წუთის განმავლობაში და აგზავნიან მოსამწიფებელ კამერაში, სადაც ჰაერის ტემპერატურა 2–4 °C-ია, ფარდობითი ტენიანობა – 75% და აყოვნებენ 6 საათის განმავლობაში, მაგრამ არა უმეტეს 24 საათს.

დაყოვნების შემდეგ ხორცს უშუალოდ აწვდიან კუტერზე, სადაც ხდება ძეხვის თითოეული კომპონენტის, მათ შორის სანელებლების კომპოზიციის შერევა ხორცის მასასთან. სანელებლების კომპოზიცია მოხარშული ძეხვის განუყოფელი ნაწილია. შერევის ხანგრძლივობა კუტერში შეადგენს 4–11 წთ-ს.

ძეხვის ფორმირება (გარსის შევსება ფარშით) ხდება ავტომატურად, ნახევრად ავტომატურად (როტორული, შნეკური ან ვაკუუმური შპრიცებით), ან ხელით. ფორმირებულ ძეხვს მარყუჟით ჰკიდებენ ჩარჩოებზე და გადააქვთ ჩამოზღვევის (დამწვევ) კამერაში, სადაც ტემპერატურა არა უმეტეს 8 °C-ია, ჰაერის ფარდობითი ტენიანობა – 75 %. ჩამოზღვევა გრძელდება 2–6 სთ; მას მოსდევს ძეხვის თერმული დამუშავება (ძეხვის მოწვა გარედან) და ხარშვა.

მოხარშული ძეხვის წარმოების ტექნოლოგიური სქემა წარმოდგენილია ნახ.1-ზე.



ნახ.1. მოხარშული ძეხვის წარმოების ტექნოლოგიური სქემა

ძეხვის მოწვა მიმდინარეობს სტაციონალურ ან უნიფიცირებულ კამერებში 90–120 °C ტემპერატურაზე 20-დან 90 წუთის განმავლობაში ბატონის დიამეტრისგან დამოკიდებულ-ბით. ამ პროცესის შედეგად ხდება ძეხვის გარსის შემორობა და ფარშის გაწითლება ნატრიუმის ნიტრიტის ზეგავლენით. მოწვის დამთავრების შემდეგ ბატონის ცენტრში ტემპერატურა არ უნდა აღემატებოდეს 40 °C.

მოწვის შემდეგ ძეხვი იგზავნება ხარშვაზე. დაყოვნება მოწვასა და ხარშვას შორის არ უნდა აღემატებოდეს 30 წუთს. ძეხვის ხარშვა ხდება 75–85 °C-ზე მანამდე, სანამ ბატონის ცენტრში ტემპერატურა არ მიაღწევს 70–72 °C. ბატონის ხარშვის ხანგრძლივობა დამოკიდებულია გარსის დიამეტრზე და შეადგენს 30–80 წუთს.

მოხარშული ძეხვი იგზავნება გასაცივებლად წყლის აბაზანაში 10 წუთის განმავლობაში, შემდეგ კი – სათავსოში 8 °C ტემპერატურის მქონე კონდიციონირებული ჰაერით ბატონის ცენტრში ტემპერატურის მიღწევამდე არა უმეტეს 15 °C -ის.

გაცივებული მოხარშული ძეხვი ინახება დაკიდებულ მდგომარეობაში სანიტარული წესების დაცვით სათავსოებში 8 °C ტემპერატურასა და 75–80 % ჰაერის ფარდობით ტენიანობაზე.

პირველი და მეორე ხარისხის ძეხვის შენახვის ხანგრძლივობა 48 საათია, უმაღლესი ხარისხის – 72 საათამდე.

#### ლიტერატურა

1. <https://mppnik.ru/publ/703-proizvodstvo-varenyh-kolbas.html>
2. <https://www.bochumer-fleisch.de/unternehmen/willmsunternehmenbund/alles-aus-einer-hand/>
3. ГОСТ 8273-75. Бумага оберточная. ТУ
4. ГОСТ 17308-88. Шпагаты. ТУ

#### SUMMARY

#### COMPOSITION OF SPICES FOR SAUSAGES BOILED ON THE BASIS OF GEORGIAN SPICE-AROMATIC RAW MATERIALS AND THE TECHNOLOGY OF INCORPORATING IT INTO SAUSAGES

Baghaturia N.Sh., Alkhanashvili N.G., Demeniuk M.N

Food Industry Research Institute of the Georgian Technical University

Mechanical, physical and chemical as well as organoleptic characteristics of spices widely distributed in Georgia have been studied for composition of spices for boiled sausages on the basis of local raw materials. On the basis of the conducted studies, traditionally produced and widely distributed spices were selected for composition of spices for boiled sausages, and Muscat was selected from classical spices. The given article presents the recipe of mono spices in the composition, the ratio of their spending for the composition of 1 ton boiled sausages and the technological scheme of its production.

#### ლუდის წარმოების პროცესების ინტენსივობაზე და ხარისხობრივ მაჩვენებლებზე ჩაის დანამატების გავლენა

ბენდელიანი ე., ფრუიძე მ., ჩაკვეტაძე შ.  
აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ნაშრომში განხილულია ლუდის ხარისხობრივ მაჩვენებლებზე მოქმედი ფაქტორები. ლუდის ხარისხის ამაღლების მიზნით გამოყენებული იქნა სხვადასხვა დანამატები. ჩვენს მიერ დანამატების სახით გამოყენებული იქნა მწვანე და შავი ჩაის ექსტრაქტები. ჩაის ექსტრაქტების გამოყენებით საგრძნობლად უმჯობესდება ალკოჰოლის შემცველობა და დადუღების ხარისხი, აგრეთვე ლუდის ისეთი ხარისხობრივი მაჩვენებლები როგორცაა ლუდის გემო, ფერი, და ქაფის წარმოქმნა.

ლუდის ძირითად ხარისხობრივ მაჩვენებლებს წარმოადგენს მისი გემოვნური თვისებები და მდგრადობა, რაც დიდად არის დამოკიდებული, როგორც ნედლეულის (ქერი, სვია, წყალი) ხარისხზე, აგრეთვე მადუღარი საფუერის შტამებზე და გადამუშავების ტექნოლოგიურ პარამეტრებზე. აღნიშნული საკითხები განხილულია მრავალ ფუნდამენტალურ ნაშრომში [1-3].

ლუდის მდგრადობის ამაღლების მიზნით იყენებენ სხვადასხვა დანამატებს. ლუდის ერთ-ერთი ნაკლოვანებაა ის, რომ მას ახასიათებს შეზურვა. შეზურვას ძირითადად იწვევს პოლიპეპტიდები, პოლიფენოლები, მეტალთა იონები და პოლისაქარიდები.

ლუდის კოლოიდურ სიმღვრივეს იწვევს პოლიპეტიდებისა და მაღალმოლეკულური მაღალმოლეკულურ პოლიფენოლებს შორის რეაქცია, რის შედეგად წარმოიქმნება რთული კომპლექსები. მათი დაშლა რთულია. თვლიან, რომ ცილებისა და პოლიფენოლების კომპლექსი არსებობს უკვე ქერის მარცვალში და დამატებითად წარმოიქმნება შელესვისას და ბადაგის ხარშვისას. ამ კომპლექსების დიდი ნაწილის მოცილება შიძილება ცხელი ან ცივი დალექვით.

ლუდში პოლიფენოლების რაოდენობის ზრდასთან ერთად იზრდება ლუდის შეზურვა. ლუდის დამზადებისას აუცილებლად უნდა მოხდეს მაღალმოლეკულური პოლიფენოლებისა და აზოტოვანი შენაერთების მცირე რაოდენობის შემცველი ნედლეულის შერჩევა. ამისათვის ხშირად ალაოს ცვლიან საქაროზით. ლუდის სტაბილიზაციის მიზნით გამოიყენებენ ტანინს, გასაფილტრ საშუალებას სტაბილ-შ-ს და იონიტებს.

ლუდის სტაბილიზაციას ხელს უწყობს ფერმენტული პრეპარატები. ყველაზე გავრცელებულია პროტეოლიზური ფერმენტები პაპაინი და ბრომელინი. ასევე ლუდში ხსნადი ფერმენტები: პროტეზალი, კოლუპულინი, კრისტალაზა, სტაბილიზინი, ცერვიცეზე, სინბიაზა და სხვა. დოზას ირჩევენ ფერმენტის აქტივობის აზოტოვანი ნივთიერებების შემცველობის და ლუდის შენახვის ვადის მიხედვით [2].

ორიგინალური გემოს ლუდის მისაღებად გამოიყენება  $\alpha$ -ამილაზა  $\Gamma 10x$  და გლუკოამლაზა  $\Gamma 10x$  [3]. ლუდის გემოს ჩამოყალიბებაში დიდი მნიშვნელობა აქვს წყალს, მის ქიმიურ შემცველობას, ძირითადად ქლორიდებს. ისინი ლუდს უყალიბებენ სავსე გემოს, დიდი ყურადღება ექცევა წყლის სიხისტესა და pH.

ლუდის გემო იცვლება დროთა განმავლობაში, ანუ ლუდი ძველდება ორგანოლექტიკურად, რასაც იწვევს ჟანგბადი. მისი ლუდთან შეხებისას წარმოიქმნება კარბონიდები (ალდეჰიდები). მნიშვნელოვანი კარბონიდებია 2-მეთილპროპანალი, 2-მეთილ ბუტანალი, ფენილაცეტალდეჰიდი. არსებობენ სხვადასხვა კარბონილები, რომლებიც ლუდს აძლევენ სხვადასხვა გემოს. კარბონილების წარმოქმნა, რომლებიც იწვევენ ლუდის დაძველებას, იწყება არა ჩამოსხმისშემდეგ, არამედ ქერის ალაოსა და ლუდის მომზადების დროს. ძირითადი ნივთიერებები, რომლებიც ხელს უწყობენ კარბონილების წარმოქმნას, არიან მელანოიდინები და უჯერი ცხიმოვანი მჟავები.

ლუდს დაჟანგვის თავიდან ასაცილებლად უმატებენ სულფიტებს, მათ ოქსიდებს, რედუქტონებს, ასკორბინის მჟავას ან სხვა აღმდგენელ საშუალებებს (E 102) (დადუღებამდე და გაფილტვრის შემდეგ). ამ სახით დამუშავებული ლუდი ინარჩუნებს გამჭვირვალობას, კოლოიდურ მდგრადობას და გემოს [1].

ლუდის მთავარი დუდილის პროცესის ინტენსიფიკაციისა და ლუდის წარმოების პროცესების რეგულირების მიზნით გამოიყენებოდა მცენარეული ექსტრაქტები [4,5].



ლუდის ხარისხის ამალღების მიზნით, გამოიყენება სხვადასხვა დანამატები. ისინი იწვევენ დუღილის ხანგრძლივობის შემცირებას, გაფილტვრის პროცესის გაადვილებას, კოლიდური და მიკრობიოლოგიური შებურვისადმი სტაბილურობის გაზრდას, ლუდის დაჟანგვის თავიდან აცილებას. ამ მხრივ მეტად პერსპექტიულია მცენარეული ექსტრაქტების გამოყენება, რომლებიც არიან ეკოლოგიურად სუფთა, შეიცავენ ადამიანის ორგანიზმისათვის სასარგებლო ნივთიერებებს და ამალღებენ ლუდის ხარისხობრივ მაჩვენებლებს.

ლუდის ხარისხის ამალღების მიზნით ჩვენს მიერ გამოიყენებოდა მწვანე და შავი ჩაის ექსტრაქტები. უკეთესი შედეგები მიღებული იქნა მწვანე ჩაის დამატებისას.

ჩატარებულმა ექსპერიმენტმა გვიჩვენა, რომ მწვანე ჩაის ექსტრაქტი იწვევს ზადაგის დუღილის პროცესის ინტენსიფიკაციას. ამ დროს მნიშვნელოვნად იზრდება მშრალი ნივთიერების რაოდენობის ცვლილებისა და CO<sub>2</sub>-ის გამოყოფის სიჩქარე. შესწავლილი იქნა, როგორ გავლენას ახდენს მწვანე ჩაის ექსტრაქტის დამატება დუღილის პროცესში მიღებული მზა ლუდის ქიმიურ შედგენილობაზე. ამ მიზნით აიღებოდა სვიადამატებული ზადაგი 12% მშრალი ნივთიერების შემცველობით, ემატებოდა საფუარი (30–50 მილ.უჯ/მლ) რაოდენობით და მწვანე ჩაის ექსტრაქტი 0,3 გ/ლ კონცენტრაციით. დუღილისა და სათანადო დამუშავების შემდეგ გამომუშავებულ როგორც საკონტროლო, ასევე საცდელ მზა ლუდში ისაზღვრებოდა სტანდარტით გათვალისწინებული ქიმიური მაჩვენებლები. შედეგები მოცემულია ცხრ. 1-ში.

**ცხრილი 1. ზადაგის დუღილის პროცესში მწვანე ჩაის ექსტრაქტის დამატების გავლენა მზა ლუდის ქიმიურ შედგენილობაზე (%-ში)**

ნიმუშის დასახელება	საწყისი ზადაგის სიმკვრივე	ალკოჰოლი	მოჩვენებითი ექსტრაქტი	ჰემმარიტი ექსტრაქტი	მოჩვენებითი დუღილის ხარისხი	ჰემმარიტი დუღილის ხარისხი
ზადაგი + საფუარი	12	3,7	2,5	4,5	79,1	62,5
ზადაგი+ საფუარი + მწვანე ჩაის ექსტრაქტი (0,3 გ/ლ)	12	4,4	1,9	3,2	84,1	73,3

საიდანაც ჩანს, რომ ლუდში (საკონტროლო) ალკოჰოლის რაოდენობა 3,7%-ია, მოჩვენებითი ექსტრაქტი – 2,5%, ჰემმარიტი ექსტრაქტი – 4,5%, მოჩვენებითი დადუღების ხარისხი – 79,1%, ხოლო ჰემმარიტი დადუღების ხარისხი კი 62,5%. აღნიშნული მაჩვენებლები აკმაყოფილებს სტანდარტის მოთხოვნებს.

მიღებული მონაცემებიდან ჩანს, რომ მწვანე ჩაის ექსტრაქტი დადებითად მოქმედებს მზა ლუდის ქიმიურ შედგენილობაზე. კერძოდ, ზადაგის დუღილის პროცესში დამატებული მწვანე ჩაის ექსტრაქტი 1,3-ჯერ ზრდის ლუდში ალკოჰოლის შემცველობას და 10%-ით აუმჯობესებს ჰემმარიტი დადუღების ხარისხს.

ლუდის ხარისხობრივი მაჩვენებლები რომლებიც მიღებულია ზადაგის დუღილის პროცესში მწვანე ჩაის ექსტრაქტის დამატებისას მოცემულია ცხრ. 2-ში.



**ცხრილი 2. ლუდის ხარისხობრივი მაჩვენებლები, რომელიც მიღებულია ზადაგის დუდილის პროცესში ბუნებრივი ინჰიბიტორების დამატებით**

მაჩვენებლები	დამატების გარეშე	მწვანე ჩაის ექსტრაქტის დამატებით
ფერი	2	3
გემო	4	4
სვიის სიმწარე	4	4
არომატი	3	4
გამჭვირვალობა	2	3
ქაფის წარმოქმნა	4	4
ქაფის სიმაღლე მმ	30	35
ქაფის მდგრადობა	3.0	3.1
ქაფის წარმოქმნა	4	4
ბალთა ჯამი	19	22
შეფასება	კარგი	საუკეთესო

საიდანაც ჩანს, რომ ბუნებრივი ინჰიბიტორის დამატებისას ლუდის ფერი, არომატი და გამჭვირვალობა გაუმჯობესდა 1 ბალით, ასევე გაუმჯობესდა ქაფის სიმაღლე და მდგრადობა. ბალთა საერთო ჯამი დამატების გარეშე შეადგენდა 19 ბალს შეფასებით კარგი, ხოლო ინჰიბიტორის დამატებისას შეადგინა 22 ბალი და მიიღო შეფასება საუკეთესო.

უნდა აღვნიშნოთ, რომ ლუდის დუდილის დროს ჩაის ექსტრაქტების დამატება მნიშვნელოვნად აუმჯობესებს ლუდის ხარისხობრივ მაჩვენებლებს.

**ლიტერატურა**

1. Кунце В. Технология солода и пива. Санкт-Петербург, Профессия, 2001 , 850 с.
2. Покровская Н.В., Каданер Я.О. Биологическая и коллоидная стойкость пива. М.: «Пищевая промышленность», 1978, 278 с.
3. Федоров А. В. Востриков С. В. Пшеничная мука в качестве несоложенного сырья в пивоварении. М. «Пищепромиздат», №1, 2001.
4. ე. ბენდელიანი, მ. ფრუიძე. ლუდის მთავარი დუდილის პროცესის ინტენსიფიკაცია. საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია „კულტურულ მცენარეთა გენეტიკური რესურსები და მათი გამოყენება სოფლის მეურნეობაში“. სამეცნიერო შრომათა კრებული, თბილისი, 2008, გვ. 248–249.
5. ე. ბენდელიანი, მ. ფრუიძე. ლუდის წარმომების პროცესების რეგულირება ჩაის ექსტრაქტების გამოყენებით. საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია „კვების პროდუქტების წარმოების აქტუალური პრობლემები და თანამედროვე ტექნოლოგიები“, შრომების კრებული, ქუთაისი 2014, გვ. 192-194.

**SUMMARY**

**INFLUENCE OF TEA SUPPLEMENTS ON THE INTENSITY AND QUALITY INDICATORS OF BEER PRODUCTION PROCESSES**

**Bendeliani E., Pruidze M., Chakvetadze Sh.**

**Akaki Tsereteli State University**

The article discusses the factors affecting beer qualitative indicators. In order to raise the quality of beer can be used for various additives. We used green and black tea extracts. Tea extracts significantly improve important indexes of beer such as content of alcohol and real fermentation degree, also its taste, color, aroma and formation of foam are improved.

## მცენარეული ნედლეულის გამოყენებით სულგუნის მომზადების ტექნოლოგიის დამუშავება

ბერულავა ი., ხვადაგიანი ხ., ჯვარშიშვილი ლ.  
აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი

*ფუნქციური თვისებების მქონე რძის პროდუქტების წარმოებისას პერსპექტიულია მათში მცენარეული ნედლეულის დამატება. ამ მიზნით შესწავლილი იქნა დასავლეთ საქართველოში გავრცელებული ბოსტნეულის – სტაფილოს ქიმიური შედგენილობა. დადგენილი იქნა აღნიშნული ბოსტნეულის მშრალი კონცენტრატის მიღების მეთოდები და პარამეტრები. დამუშავებული იქნა მაღალი კვებითი ღირებულების სულგუნის მიღების ტექნოლოგია. დადგენილი იქნა, რომ აღნიშნული ბოსტნეულის დამატებით უმჯობესდება სულგუნის ორგანოლექტიკური და ფუნქციონალური თვისებები.*

მაღალი ბიოლოგიური ღირებულების რძის პროდუქტების ასორტიმენტის გაფართოება, და აგრეთვე ახალი თაობის პროდუქტების შექმნა, რომლებიც აკმაყოფილებენ ჯანსაღი კვების მოთხოვნებს, რძის ინდუსტრიის მნიშვნელოვანი ამოცანაა. ამ მიზნით პერსპექტიულია ახალი, მცენარეული წარმოშობის საკვები დანამატების მიღება და გამოყენება რძის პროდუქტების წარმოებაში. მცენარეული წარმოშობის ნედლეული კარგად ერწყმის რძის პროდუქტებს და ხასიათდებიან ბიოლოგიურად აქტიური ნივთიერებების მაღალი შემცველობით. ისინი წარმოადგენენ ვიტამინების, მინერალური ნივთიერებების, უჯრედანას და სხვა ბიოლოგიურად აქტიური ნივთიერებების წყაროს. ფიზიოლოგიურ როლს კი განსაზღვრავს საჭმლის მომნელებელ ორგანოებზე მათი გავლენა [1,2].

სამუშაოს პირველ ეტაპზე ჩვენს მიერ შერჩეული და შესწავლილი იქნა დასავლეთ საქართველოში გავრცელებული ბოსტნეულის – სტაფილოს ბიოლოგიურად აქტიურ ნივთიერებათა შემცველობა. საანალიზოდ აღებული გვექონდა 2020 წლის მოსავლის ნიმუშები (სტაფილო) – ნანტი 11, შანტენე 2461, გორული ნანტი.

სტაფილო საუკეთესოა როგორც ეკონომიური თვალსაზრისით, ასევე ქიმიური შედგენილობის მხრივაც. სტაფილო ადვილად მონელებადია და ამიტომ მნიშვნელოვან ადგილს იკავებს ადამიანის დიეტურ კვებაში. სტაფილო წარმოადგენს ანტიოქსიდანტის - β კაროტინის სრულფასოვან წყაროს. ის ფლობს ანტისიმსივნურ, ანტიმუტაგენურ თვისებებს, ხელს უშლის სიმსივნური უჯრედების წარმოქმნას, აძლიერებს იმუნურ სისტემას.


სტაფილოს ქიმიური შედგენილობის და ხარისხის მაჩვენებლების შესწავლის შემდეგ ჩვენს მიერ განსაზღვრული იქნა სტაფილოს მშრალი კონცენტრატის მიღების მეთოდები და ოპტიმალური პარამეტრები. სტაფილოს შრობას ვაწარმოებდით თერმოსტატში და აირღუმელში სხვადასხვა ტემპერატურულ პირობებში. ექსპერიმენტის ცვლადი პარამეტრები იყო: დრო და ტემპერატურა. ტემპერატურის ცვლილებას ვახდენდით 35–85 ° დიაპაზონში 20 გრადუსიანი ინტერვალით (35, 55, 75, 95 °), ხოლო შრობის დროს ვცვლიდით 3 სთ–5 სთ-მდე დაკვირვების შედეგად აღმოჩნდა, რომ სტაფილოს მშრალი კონცენტრატის მომზადებისას ორგანოლექტიკური მაჩვენებლების საუკეთესო შედეგი დაფიქსირდა თერმოსტატში შრობისას, ვიდრე აირღუმელში. კვლევის შედეგად დადგენილი იქნა თერმოსტატში შრობის პროცესის ოპტიმალური პარამეტრები: ტემპერატურა 70–75 °C და დროის ხანგრძლივობა 4–5 სთ. აღნიშნულ პირობებში სტაფილოს შენარჩუნებული აქვს როგორც ფერი, ასევე გემო და არომატი. გამომშრალი ბოსტნეულის დაფქვას ვაწარმოებდით ლაბორატორიულ საფქვავეში. საკვებ-დანამატად გამოვიყენეთ ასევე სტაფილოს პიურე, რომელსაც ვამზადებდით როგორც ნედლი,

ასევე მოხარშული სტაფილოსგან. ექსპერიმენტის შედეგად უპირატესობა მივანიჭეთ ხარშვის პროცესს. სტაფილოს ვიყენებდით ასევე ნედლი და გახეხილი, წვრილად დაქუცმაცებული სახით.

სამუშაოს მიზანს წარმოადგენდა ბიოლოგიურად აქტიური ნივთიერებებით მდიდარი ადგილობრივი ბოსტნეულის გამოყენებით რძის პროდუქტების, კერძოდ მაღალი კვებითი ღირებულების სულგუნის წარმოება და ხარისხის შეფასება.

ბიოლოგიურად აქტიური საკვები დანამატების მიღების შემდეგ შევიმუშავეთ ყველის მიღების ტექნოლოგია. ყველი მიიღება რძის სპეციალური გადამუშავების შედეგად. ის წარმოადგენს რძის ცხიმისა და ცილის კონცენტრატს. ყველი ფართოდ გავრცელებული და ჯანსაღი მასობრივი მოხმარების რძის პროდუქტია, რომლის საკვები და ბიოლოგიური ღირებულება განპირობებულია მასში რძის ცილისა და კალციუმის მაღალი შემცველობით, აუცილებელი ამინომჟავების, ცხიმოვანი და სხვა ორგანული მჟავების, ვიტამინების, მინერალური მარილების და ადამიანის ორგანიზმისთვის აუცილებელი ყველა საჭირო ელემენტების არსებობით [2,3].

სამუშაოს შემდგომ ეტაპზე ყველის მომზადებამდე დავადგინეთ რძის ხარისხი და განვსაზღვრეთ მასში ცხიმოვანობა, სიმკვრივე, მჟავიანობა, მექანიკური დაბინძურება და რძის ორგანო-ლეპტიკური თვისებები. გარდა ამისა რძეში ვსაზღვრავდით ყველვარგისიანობის უნარს. რძის ფიზიკურ-ქიმიური მაჩვენებლების განსაზღვრას ვაწარმოებდით რძის ანალიზატორზე Lactoscan-ზე. რძის ხარისხის დადგენის შემდეგ ვიწყებდით ყველის მომზადებას, რომლის წარმოების ზოგადი ტექნოლოგიური პროცესის სქემა, რომელიც მოცემულია მოცემულია ნახ. 1-ზე.



ნახ. 1. ყველის წარმოების ტექნოლოგიური სქემა

ჩვენი კვლევის ობიექტია სულგუნი, რომელსაც მცენარეული ინგრედიენტების დამატებით შეგვიძლია შევძინოთ ახალი გემო და შევმატოთ დადებითი თვისებები. მცენარეული ნედლეულით გამდიდრებული სულგუნი უზრუნველყოფს ორგანიზმის მომარაგებას შეუცვ-

ლელი ამინომჟავებით, მრავალი ვიტამინით, მაკრო- და მიკროელემენტებით. ამ დროს ყალიბდება სპეციფიური ფერი, ახალი სასიამოვნო საგემოვნო მახასიათებლები, აგრეთვე იზრდება ნაწარმის ბიოლოგიური და შესაბამისად კვებითი ღირებულება. ამ მიზნით მოვახდინეთ სულგუნის წარმოებისას ბიოლოგიურად აქტიური ნივთიერებების შემცველი ბოსტნეულის - სტაფილოს დამატება ფხვნილის, პიურეს და გახეხილი სახით.

ფუნქციონალური დანიშნულების სულგუნის მომზადებისას ვიღებდით 100 გრ მომწიფებულ ყველს, ვათავსებდით ჯამში და ვასხამდით 100°C ტემპერატურის წყალს. ყველის ნაჭერი ხდებოდა ელასტიური და კოვზის გამოყენებით ვახდენდით გადაზელვას. წყლიდან ამოღების შემდეგ მიღებულს მასას ვამუშავებდით, ვაბრტყელებდით 0,5–1 სმ სისქის ფენად. ზედაპირზე ვანაწილებდით სტაფილოს ფხვნილს, პიურეს და გახეხილ სტაფილოს სხვადასხვა პროცენტული რაოდენობით (8-დან 36%-მდე). შემდეგ ვახდენდით რამდენჯერმე ახვევას ორივე ხელით. საუკეთესოდ მიჩნეულ ნიმუშებში თითოეული გადახვევის დროს ვანაწილებდით გამომშრალი სტაფილოს მასას ჯამში 12% ოდენობით, გახეხილ სტაფილოს 24% ოდენობით, სტაფილოს პიურეს 36% ოდენობით, როდესაც ზედაპირზე ფენა-ფენად თანაბრად გადანაწილებოდა მასა, შემდეგ ვამზადებდით ყველის თავს და მიღებულ მასას ვადნობდით 70–80 °C ტემპერატურის შემჟავებულ წყალში. მჟავე შრატს იმისათვის ვუმატებდით, რომ თავიდან აგვეცილებინა ყველის ცომის მჟავნიანობის მეტისმეტი შემცირება დნობის დროს. კარგად გამდნარი ყველის მასა გადაქვეყნდა მაგიდაზე, ვაძლევდით ფორმას და ვათავსებდით ჭურჭელში. ვავლებდით ცივ წყალს, მალე გაცივების და ფორმის შენარჩუნების მიზნით.



ნიმუში 1. სტაფილოს ფხვნილის დამატებით მიღებული სულგუნი



ნიმუში 2. გახეხილი სტაფილოს დამატებით მიღებული სულგუნი



ნიმუში 3. სტაფილოს პიურეს დამატებით მიღებული სულგუნი

განსაზღვრული იქნა სულგუნის ახალი ასორტიმენტის ორგანოლეპტიკური მაჩვენებლები. სამივე ნიმუშში პროდუქტის სტრუქტურა არის მისაღები, კარგად შეკრული და სულგუნისთვის დამახასიათებელი. სტაფილოს ფხვნილის დამატების შემთხვევაში სტაფილოს სახასიათო გემო იგრძნობა და მზა პროდუქტში მოტკბო გემო დომინანტია. სტაფილოს საკვები დანამატების გამოყენებით მიღებული სულგუნის ორგანოლეპტიკური შეფასების შემდეგ საუკეთესოდ მიჩნეული ნიმუშების სურათები წარმოდგენილია სურათებზე 1, 2, 3.

სამუშაოს დასკვნით ეტაპზე ჩვენს მიერ შერჩეულ ნიმუშებში განსაზღვრეთ ტენის მასური წილი და მჟავიანობა. კვლევის შედეგად დადგენილი იქნა, რომ ტენის მასური წილისა და მჟავიანობის მნიშვნელობები დიდად არ განსხვავდება ნორმატიულ-ტექნიკური დოკუმენტაციით განსაზღვრული მოთხოვნებიდან. კერძოდ, ტენის მასური წილი სტაფილოს მშრალი კონცენტრატის, გახეხილი სტაფილოს და სტაფილოს პიურეს დამატებისას შეადგენს შესაბამისად 35%, 37%, 45%, ხოლო მჟავიანობა – შესაბამისად 120°T, 130°T, 155°T.

სამუშაოს დასკვნით ეტაპზე ბოსტნეულით გამდიდრებულ სულგუნის შერჩეულ ნიმუშებში განსაზღვრული იქნა Ca და C ვიტამინის, ასევე β-კაროტინის შემცველობა. დადგენილი იქნა, რომ Ca-ის (666,56 მგ%) და β-კაროტინის (4,85 მგ%) მაღალი შემცველობებით გამოირჩევა სულგუნი სტაფილოს ფხვნილის დამატებით, ხოლო რაც შეეხება C ვიტამინს, სტაფილოს საკვები დანამატების დამატებისას მოხდა უმნიშვნელო ცვლილება (გაიზარდა 0,8 მგ%-ით).

კვლევის შედეგად მიღებული სულგუნის ყველა ნიმუში შენახული იქნა პოლიეთილენის პარკში  $t=4\pm 20$  °C-ზე 96 საათის (4 დღე-ღამე) განმავლობაში.

უნდა აღინიშნოს, რომ ბოსტნეულის დამატებით გაუმჯობესდა სულგუნის ორგანოლეპტიკური და ფუნქციონალური თვისებები. პროდუქტი შეიცავს ვიტამინებს, მაკრო- და მიკრო ელემენტებს, რაც გახდის მას მოთხოვნადს სამომხმარებლო ბაზარზე.

ახალი სახეობის სულგუნის ტექნოლოგია საშუალებას მოგვცემს გავაფართოვოთ ფუნქციონალური დანიშნულების პროდუქტების ასორტიმენტი.

## ლიტერატურა

1. Рожина, Н. В. Развитие производства функциональных пищевых продуктов [Электронный ресурс]. – Режим доступа: [www. URL.: http://www.milkbranch.ru/publ/view/270.html](http://www.milkbranch.ru/publ/view/270.html)
2. Шель И.А. Разработка сырных продуктов с растительными компонентами. Выпускная квалификационная работа. Челябинск. 2016
3. Project Report ON Development of Carrot Powder Added Mozzarella Cheeses At Department of Nutrition and Food Engineering Daffodil International University. SUBMITTED BY Debasish Roy. 2018.

## SUMMARY

### USING HERBAL SUPPLEMENTS IN THE PRODUCTION OF THE SULGUN

**Berulava I., Khvadagiani Kh., Jvarsheishvili L.**

**Akaki Tsereteli State University**

In the production of dairy products with functional properties, it is promising to add plant raw materials to them. For this, the chemical composition of a vegetable - carrots, common in Western Georgia, was studied. Methods and parameters for obtaining a dry concentrate of these vegetables have been established. A technology for preparing a high nutritional value sulgun has been developed. The addition of these vegetables has been found to improve the organoleptic and functional properties of the sulgun.

# ОРГАНИЧЕСКИЙ ХЛЕБ С ИСПОЛЬЗОВАНИЕМ НЕТРАДИЦИОННОГО СЫРЬЯ

Блаженко М.С., Фалендыш Н.О.

Национальный университет пищевых технологий, Киев

*Быстрые темпы современной жизни, неблагоприятная экологическая ситуация, нерациональное питание приводит к снижению защитных сил организма человека и, соответственно, к ухудшению состояния здоровья в целом. Рациональным и эффективным решением проблем питания является разработка пищевых продуктов, адекватных по компонентному составу и органического происхождения. Эти продукты обогащенные физиологически функциональными веществами и произведенные по органическим технологиям.*

Органические продукты питания значительно безопаснее, они содержат больше питательных веществ, а также имеют лучше вкус, чем конверсионные продукты. Следует также отметить, что органическое производство является более благоприятным для окружающей среды и гуманным для животных. Последние исследования показывают, что уровень питательности и содержание витаминов (особенно витамина С), а также некоторых минеральных веществ и полифенолов – природных антиоксидантов, которые помогают укрепить иммунную систему человека, выше в культурах, выращенных по органическим методам хозяйствования. Исследователи со всего мира доказывают, что органические продукты имеют более высокий уровень содержания фосфора, цинка, магния, кальция, калия, железа, витамина С [1].

Внутренний потребительский рынок органических продуктов в Украине, по оценкам Федерации органического движения Украины, за последнее десятилетие вырос больше, чем в 40 раз, и приобретает дальнейшего развития.

Органические продукты сохраняют питательные свойства, качество, безопасность и натуральный состав при переработке, поскольку используются только натуральные методы переработки и традиционные рецепты, природные вещества и материалы для упаковки, запрещено использование синтетических ароматизаторов, консервантов, добавок и т.д [2].

Выбирая органическое, мы не только защищаем свое здоровье, но и призываем весь мир заботиться о планете [3].

На сегодняшний момент производителями органической хлебобулочной продукции являются: Био-Фарм Агротрейд ЛТД, ООО, (хлебные палочки) А Фарина, ООО, (хлеб Сегла, хлеб ком, хлеб ансьен, хлеб натюрель без соли, пасха) Хэлси ТРАДИШН, ООО, (хлебцы протеиновые томатные, хлебцы протеиновые овощные, хлеб без глютена с льном и чиа, хлеб без глютена мультизерновой, хлеб без глютена тыквенный).

Инновационное развитие хлебопекарной отрасли требует комплексного подхода, разработки и внедрения технологических решений, которые обеспечат сбалансированность всех критериев качества продукции с современных позиций потребителей, нутрициологов и производителей [4].

В последние десятилетия хлебобулочные изделия, социальная значимость которых, массовость и постоянство потребления не могут сравниться с другими продуктами питания, привлекают особое внимание, в аспекте обогащения.

Растущий интерес населения к переходу на систему здорового питания заставил специалистов определить новые подходы к формированию ассортимента хлебобулочных изделий с необходимым химическим составом. Приоритетной задачей в решении этой проблемы является разработка комплексного подхода к обогащению традиционных хлебобулочных изделий из пшеничной муки функциональными ингредиентами, соответствующие научно обоснованным физиологическим потребностям с учетом гедонистических предпочтений населения [5].

Популярным является использование растительного сырья, особенно которое содержит белки со сбалансированным содержанием незаменимых аминокислот, жиры с оптимальным соотношением омега-3 и омега-6 жирных кислот, пищевые волокна, комплекс витаминов и минеральных веществ, которых мало в современных рафинированных пищевых продуктах. В качестве



нетрадиционного сырья в хлебопечении используют зерновые и бобовые культуры, семена и продукты переработки масличных культур, плодов и овощей, лекарственные растения и т.д. [6].

Учитывая богатый химический состав, перспективным сырьем для производства хлебобулочных изделий являются продукты переработки семян конопли: мука конопли, масло из семян конопли, шрот из конопли, конопляный протеин, ядра семян конопли.

Производители, выпускающие органические продукты переработки конопли ООО Альфеус Партнерс (семена конопли), ООО Арника Органик (семена конопли), ООО Рассвет 1 (семена конопли), ООО Укринпроект (масло конопляное, жмых из семян конопли), ООО Хэлси Традишн (конопляная мука) [7].

Мука и семена конопли содержат значительное количество белков - 37% и 27% соответственно. Основу этих белков составляет едестин, который относится к группе глобулинов. Его количество составляет 65% от общего количества белков. Остальные 35% приходится на альбумины [8,9].

Семена конопли, готовы к употреблению и внесению для приготовления пищевых продуктов - это ядра, очищенные от скорлупы. Они отличаются орехово-растительным привкусом и оказывают положительное влияние на организм человека, особенно желудочно-кишечный тракт.

**В 100 г семян конопли содержится:**

- углеводов 12 г
- жиров: 43,9,9 г
- белков: 33 г
- витамина Е 55 мг (275% дневной нормы);
- кальция: 71,4 мг (7% дневной нормы);
- железа: 13,8 мг (77% дневной нормы);
- магния: 1,071 г (268% дневной нормы);
- фосфора: 1,4 г (145% дневной нормы);
- цинка: 17,9 мг (120% дневной нормы).

Ядра конопли – источник полиненасыщенных жирных кислот омега-3 и омега-6 (30% общей калорийности), а также белков (25%). Сочетание этих веществ способствует долговременному ощущению сытости и снижает риск переяданий и тяги к вредным жирам и углеводам. Целые семена конопли – источник растворимой (20%) и нерастворимой клетчатки (80%). Растворимая – способствует пищеварению полезных бактерий, уменьшает уровень сахара в крови и регулирует уровень холестерина. В семенах много аминокислоты аргинина, которая производит оксид азота в теле человека, заставляет кровеносные сосуды расширяться и расслабляться, снижая артериальное давление и риск сердечных заболеваний.

Масло с CBD (каннабидиол) изготавливают из соцветия конопли и сочетания с другими маслами. Оно содержит тетрагидроканнабинол (ТГК), но на низком уровне. Такое масло используют в медицинских целях, например, в случаях эпилепсии, воспалительных заболеваний кожи и тревоги. Классическое конопляное масло изготовлено из семян конопли путем холодного отжима. Оно не содержит никаких психоактивных веществ. В Украине запрещена работа с соцветиями конопли на законодательном уровне, поэтому CBD масла не производят.

Конопляное масло содержит, (%): 5,8–9,9 пальмитиновой, 1,7–5,6 стеариновой, 6–16 олеиновой, 36–50 линолевой, 15–28 линоленовой кислот [9].

Конопляное масло содержит линолевую кислоту, которая способствует снижению уровня нежелательного холестерина. Это уменьшает риск высокого кровяного давления, инсульта и других сердечных заболеваний. Гамма-линолевая кислота (GLA), содержащаяся в составе конопляного масла борется с воспалением в организме. После отжима масла жмых имеет жирность до 10%, а концентрация белков – 44–60 %. Именно поэтому из него изготавливают конопляный протеин, который используется по диетическим рекомендациями в детском питании или питания спортсменов.

Сравнительная оценка химического состава муки пшеничной первого сорта и конопляной муки показала (табл. 1), что в муке конопли содержится в три раза больше белка и в 8,5 раз больше жира.

**Сравнительная характеристика среднего химического состава конопляной муки и муки пшеничной первого сорта, %**

составляющие	Мука пшеничная первого сорта	Мука из конопли
Белки,%	11,6	37,9
Жиры,%	1,35	11,5
Общие углеводы,%:	73,3	29,8
крахмал,%	68,0	6,0
моно- и дисахариды,%	1,8	3,0
пищевые волокна,%	3,5	18,8
Зольность,%	0,75	4,8
Влага,%	13,0	16,0

Общее содержание углеводов в муке конопли меньше почти в 2,5 раза, если сравнить с мукой пшеничной первого сорта. Важно то, что содержание пищевых волокон в муке конопли в 5 раз выше, чем в пшеничной муке.

Конопляная мука содержит 20 аминокислот, витамины Е, С, D и К, витамины группы В, а также каротиноиды, макро- и микроэлементы (железо, магний, калий, фосфор, кальций, и др.) и не содержит глутен. Полиненасыщенные жирные кислоты омега-3 и омега-6 содержатся в конопляной муке в идеальном соотношении 3:1 [8].

Учитывая богатый химический состав, использование продуктов переработки семян конопли в хлебопечении позволяет повысить питательную и пищевую ценность хлебобулочных изделий за счет увеличения количества белков, ненасыщенных жирных кислот, клетчатки, витаминов и минеральных веществ для обеспечения здорового питания населения [10].

Известно, что содержание минеральных веществ и некоторых витаминов выше у продуктов, полученных путем органического хозяйствования [1]. Поэтому использование органической конопляной муки и других вышеупомянутых продуктов переработки семян конопли при производстве органического хлеба из пшеничной муки позволит обогатить его физиологически функциональными ингредиентами, необходимыми для нормального функционирования организма человека.

#### **ЛИТЕРАТУРА**

1. Электронный ресурс. - Режим доступа: <http://www.organic.com.ua/>
2. <http://organic.com.ua/organichni-produkti/>
3. <https://organicinfo.ua/why-organic/>
4. Иоргачова, К. Хлебобулочные изделия оздоровительного назначения с использованием фитодобавок [Текст] / К. Иоргачова, Т.Е. Лебеденко. - М.: К-Пресс, 2015, 464 с.
5. Development of enriched bakery products with biologically active quinoa substances to ensure a healthy diet / LG Eliseeva, EV Zhirkova, DS Kokorina, Yu.D. Belkin, NA Gribova. // International Journal of Control and Automation. 2020, Vol. 13, № 1, pp. 180-194
6. А. Шаззо, Е. А. Фролова, Е. П. Спильник, Б. К. Шаззо. Использование нетрадиционно растительного сырья при производстве хлебобулочных изделий функционального назначения. // Журнал новые технологии, 2010, № 2, сс. 27-33.
7. <https://organicstandard.ua/ua/clients>
8. <https://www.canah.com/en/products/hulled-hemp-nuts-detail/>.
9. Химический состав российских пищевых продуктов: справоч. / Под ред. И. М. Скурихина и В. А. Тутельян: Москва: ДеЛиПринт, 2002, 236 с.
10. Matran, IM The role of hemp seed derivatives bakery, related to the ratio of essential polyunsaturated fatty acids omega 3 and omega 6, cold pressed hemp oil, complete protein and fibres / IM Matran // Rompan News, 2010, Vol 15, pp. 263-270.



## **SUMMARY**

### **ORGANIC BREAD WITH THE USE OF UNCONVENTIONAL RAW MATERIALS**

**Blazhenko M.C., Falendish N.O.**

**National University of Food Technologies, Kyiv**

Organic foods are much safer, contain more nutrients, and taste better than conventional foods. In recent decades, bakery products, the social significance of which, mass and consistency of consumption can't be compared to other foods, have attracted special attention in terms of enrichment. The growing population interest in choosing a healthy eating system has forced experts to identify new approaches to the formation of the bakery products range with the required chemical composition. Promising raw materials for the bakery production are products of hemp seed processing: they are hemp flour, hemp seed oil, hemp meal, hemp protein, hemp seed kernels. Due to its rich chemical composition, the use of hemp seed products in baking provides an opportunity to increase the nutritional and dietary value of bakery products by increasing the amount of protein, unsaturated fatty acids, fiber, vitamins, and minerals to ensure a healthy diet for all.

## **STUDYING THE EFFECT OF SPROUTED GRAIN MIXTURE OF "CHOICE" COMPANY ON THE QUALITY OF BAKERY PRODUCTS**

**Burchenko L., Bilyk O., Kochubei-Lytvynenko O.**

**National University of Food Technologies, Kyiv, Ukraine**

*The work is devoted to improving the technology of bakery products from high grade wheat flour with a mixture of sprouted cereal grains of "CHOICE" company (Kyiv, Ukraine). The sprouted grain mixture (SGM) contains sprouted grains of wheat, oats, barley, and corn. It is established that using SGM allows to obtain finished products of proper quality, but their quality parameters are lower compared to the control sample. It is proven that introducing 15% of SGM to the weight of flour has negative effect on sensory, physical, and chemical properties of finished bakery products. It is recommended to use baking improvers or multicomponent mixes to improve the quality and consumer properties of finished bakery products.*

The problem of nutrition has always been given much attention all around the world. Nutrition is one of the main factors that has a great impact on human health, efficiency, activity, and life expectancy. Malnutrition has long been considered a factor in increasing the risk of developing nutritional diseases among the population due to nutrient imbalances in the diet [1]. A balanced diet involves varied food, because no product is able to provide the body with all the necessary nutrients. The main direction of solving this problem is to meet the physiological needs of the population in basic substances and energy.

Bakery products occupy a very important place in human nutrition as a source of essential nutrients and energy. The main disadvantage of bakery products is their rapid staling due to complex processes occurring in the highly polymeric substances of the crumb that lead to the deterioration of its structural and mechanical properties. The crumb becomes stiff, loses elasticity, and its ability to absorb water is reduced. The crispy crust becomes soft and elastic. Simultaneously with the changes in the structural and mechanical properties of the crust and crumb, the taste and aroma change, and a specific smell of stale bread appears. During the staling process, there are changes in the microstructure of bakery products [2].

In order to enrich the chemical composition of bakery products and increase their nutritional value, it is advisable to use a sprouted grain mixture (SGM) of wheat, oats, barley, and corn ("CHOICE" company, Kyiv, Ukraine). Sprouted grains are a biologically active product. Due to the special soaking technology, the germination process, and the drying, the grains not only preserve but also multiply their natural properties. Sprouted grains include the full range of ingredients needed for a balanced diet: proteins, fatty acids, easily digestible carbohydrates, fiber, vitamins, minerals, and enzymes [3]. Also, the mixture retains almost all the substances contained in the whole grain. This is very important, given the losses suffered by the chemical composition of grain during the production of flour from it.

Thus, there is a need to expand the range of bakery products and increase their nutritional and biological value.

In order to establish the technological efficiency of using SGM in baking, the sensory and physicochemical properties of SGM have been studied (Table 1).

**Table 1. Sensory and physicochemical properties of a sprouted grain mixture of wheat, oats, barley and corn**

Indicator	Characteristic
Sensory properties	
Color	Light brown with a gray tinge
Aroma	Characteristic to sprouted components, without extraneous smells, not musty, not moldy
Taste	Sweet, without extraneous flavors
Mineral impurities	No crunch when chewing
Physicochemical properties	
Moisture content, %	12.5
Protein content, %	10.6
Carbohydrate content, %	60.5
Fat content, %	2.7
Ash content, %	0.9
Whiteness, units	33.0
Acidity, degrees	9.0
Particle size	
- residue on a silk sieve, № 35 according to GOST 4403, %, no more than	2.0
- residue on a wire mesh sieve, according to GOST 4403, % no more, %, no more than	—
- passage through a sieve, according to GOST 4403, %, no more than	80.0
Autolytic activity, % of dry matter	72.0
Proteolytic enzymes, mg of nitrogen / 100 g of dry matter	66.0
Water absorption capacity, %:	
30°C	435
60°C	130
90°C	179
Sugar-forming ability, mg of maltose per 10 g of SGM	972.0

Due to the chemical composition of SGM, it can be argued that it is an effective source of soluble dietary fiber, protein, vitamins, and minerals. A possible disadvantage of using SGM in baking technology is the high enzyme activity, acidity, and dark color. This must be taken into account when improving the technological process.

In order to study the properties during the technological process, biochemical and physicochemical changes in the dough, and the quality of bakery products, test baking has been performed. The dough has been prepared by straight accelerated method and kneaded in a two-speed machine Esher (Italy) for 6 minutes. The duration of fermentation has been 20 min at a temperature of  $32 \pm 2^\circ\text{C}$ . Processing and forming of dough loaves has been performed manually. The dough pieces have been proofed in a baking cabinet at  $35 \pm 2^\circ\text{C}$  temperature and  $78 \pm 2\%$  humidity until ready. Products have been baked in the form of loaves in an oven at  $180\text{--}200^\circ\text{C}$  with humidification. During the research, products with 5, 10 and 15% SGM to the weight of flour have been made. The product without SGM served as a control.

**Table 2. The impact of SGM on the quality of bakery products**

Properties	Control sample	Bakery product with SGM, % to the weight of flour		
		5	10	15
<i>Sensory properties</i>				
Crust condition and color	smooth, light-gold		smooth, gold	
Crumb color	light		light with grey tint	
Crumb condition	very soft, smooth, elastic	soft, smooth, elastic	very soft, less elastic	
Porosity structure	uneven, thin-walled, medium pores		uneven, thin-walled, small pores	
Taste and aroma	typical for the product	typical for the product with a slight taste of sprouted grain	typical for the product with a taste of sprouted grain	
<i>Physicochemical properties</i>				
Specific volume, cm <sup>3</sup> /100g	305	312	291	286
Moisture content, %	43.0	43.0	42.0	40.0
Acidity, degrees	1.3	1.3	1.4	1.5
Porosity, %	73.0	70.0	66.0	68.0
Crumbing, %				
after 24 hours	1.12	1.03	0.91	0.76
after 72 hours	11.0	10.4	9.8	9.3

The research results show that using SGM allows to obtain finished products of proper quality, but their quality parameters are lower compared to the control. In order to improve the quality of bakery products, it is recommended to use baking improvers or multicomponent mixtures.

**REFERENCES**

1. Functional nutrition products: och. support/[ N.M. Beletskaya, L.A. Dogaeva, O.B. Marchenko and Dr.]; pod. ed. by V.I. Teplova - M.: A-Prior, 2008. - 240 p.
2. Drobot V.I. Technology of bakery production. Kyiv: Logos, 2002. 365 p.
3. Patent 46340 UA, IPC A23L 1/172 (2009.12) Obtaining biological product "Sprouted grains "/Milyutin O.I., Varganova I. V., Potapenko S. - № u200911217 \$ claim. 05.11.2009; 10.12.2009, Bull. №23, 209 RUB

**კვრინჩხისა (*Prunus spinosa*) და ლოღნაშოს (*Prunus domestica subsp.insititia*) ქიმიური მახასიათებლების შედარება**

**გამყრელიძე ნ.მ., ქვარცხავა გ.რ.  
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი**

გაუარესებული ეკოლოგიური მდგომარეობა, დაბალი ხარისხის ნედლეული, სინთეზური დანამატებით გაჯერებული სურსათი უარყოფითად მოქმედებს ადამიანის ჯანმრთელობაზე. სრულფასოვანი, ბალანსირებული და უვნებელი სურსათის წარმოება სასურსათო ტექნოლოგიის ძირითადი ამოცანაა. ამ ამოცანის გადასაჭრელად კი შეუცვლელია მცენარეული ნედლეული. განსაკუთრებით ველურად მოზარდი მცენარეები. ტყის მცენარეები გამოირჩევა მდგრადობით გარემოს მავნე ზემოქმედებისა და მავნებლების მიმართ, რაც დაკავშირებულია მათ ქიმიურ შედგენილობასთან, ისინი მდიდარია ფენოლური ნერთებით, ვიტამინებით, მიკროელემენტებით და ახასიათებთ მაღალი ანტიოქსიდანტური აქტივობა.

**საკვანძო სიტყვები:** ფენოლური ნერთები, ფლავანოიდები, ანთოციანები, კვრინჩხი (*Prunus spinosa*), ლოღნაშო (*Prunus domestica subsp.insititia*).

გარემოს ეკოლოგიური მდგომარეობა დიდ გავლენას ახდენს ადამიანის ჯანმრთელობაზე. დაბინძურებული გარემო პირობები, არასრულფასოვანი სურსათი მრავალი დაავადების (შინაგანი ორგანოების დაავადებები, იმუნიტეტის დაქვეითება, სტრესის გაძლიერება და ალერგიული ცვლილებები) ინიცირების და გამომწვევ მიზეზად ითვლება. ჯანმრთელობის გაუარესების თავიდან აცილების პრევენციული ღონისძიებებია ჯანსაღი ცხოვრების წესის დაცვა, ბუნებრივი მინერალებისა და ვიტამინების გამოყენება და სურსათის კვებითი ღირებულების გაუმჯობესება მცენარეული წარმოშობის დანამატებით.

საქართველო გამოირჩევა ველურად მოზარდი და კულტურული მცენარეული მრავალფეროვნებით. ამ მცენარეთა სხვადასხვა ნაწილი (ნაყოფი, ფოთლები, კანი, ფესვი) შეიძლება დიდი წარმატებით იქნეს გამოყენებული სურსათის წარმოებაში, გაამდიდროს სურსათი ვიტამინებით და დადებითი გავლენა მოახდინოს სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი ორგანოების ნორმალურ ფუნქციონირებაზე, გააუმჯობესოს იმუნური ფუნქცია და სხვა.

მცენარეული წარმოშობის საკვებდანამატები მდიდარია ფენოლური ნაერთებით და, შესაბამისად, ანტიოქსიდანტებისა და ვიტამინების შეუცვლელი წყაროა [1]. მრავალრიცხოვანი ფენოლური ნაერთებიდან მცენარეებში არსებული პოლიფენოლები იყოფა ფლავანოიდებად და არაფლავანოიდებად. ფლავანოიდები ორი არომატული და ერთი ქანგბადმემცველი ჰეტეროციკლური ბირთვის მქონე (C<sub>6</sub>-C<sub>3</sub>-C<sub>6</sub>) გლიკოზიდური ნაერთებია. ჰეტეროციკლური ფრაგმენტის დაქანგვის ან აღდგენის ხარისხის მიხედვით ფლავანოიდები იყოფა ფლავანებად, ფლავანოლებად, ფლავან-3-ოლებად, იზოფლავანებად, ფლავანონებად და ანთოციანინებად.

მცენარეებში ფენოლური ნაერთები, განსაკუთრებით კი ფლავანოიდები, განსაზღვრავს ყვავილისა და ნაყოფის ფერს, მონაწილეობს ზრდის პროცესში და უზრუნველყოფს დაცვითი მექანიზმის ჩამოყალიბებას სხვადასხვა მავნე ზემოქმედების წინააღმდეგ. მრავალრიცხოვანი სამეცნიერო კვლევების თანახმად ფლავანოიდები ადამიანის ორგანიზმში მოხვედრის შემდეგ არ კარგავს ბიოლოგიურ აქტივობას. ფლავანოიდები შეუცვლელი ანტიოქსიდანტებია [2], აუმჯობესებს სისხლძარღვთა კედლის ელასტიკურობასა და გამტარიანობას, იცავს უჯრედებს რადიკალებით გამოწვეული „ქანგვითი სტრესისაგან“, ახასიათებს დაბერების საწინააღმდეგო მოქმედება [3] და სხვა. ველური და კულტურული მცენარეული ნედლეულის გამოყენებით შესაძლებელია მიღებულ იქნეს მაღალი ხარისხის ბიოლოგიურად აქტიური საკვებდანამატები. ამ თვალსაზრისით, განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს ველურად მოზარდი მცენარეები.

კვლევის ობიექტად შეირჩა ველურად მოზარდი მცენარე კვრინჩხი (*Prunus spinosa*). ის კლიმატური პირობებისა და სხვადასხვა ტიპის ნიადაგის მიმართ საკმაოდ მდგრადია [4]. კვრინჩხის ნაყოფს და ფოთლებში განისაზღვრა საერთო ფენოლური ნაერთები ფოლინ-ჩოკალტეს მეთოდით [5], საერთო ფლავანოიდები, ფლავანოიდების შემცველობა გამოისახება კატეხინის მგ ეკვივალენტებში 1 გ მშრალ ნელეულზე გადაანგარიშებით (მგ.ეკვ.კატ./გ). საერთო ანთოციანინების განსაზღვრა მოხდა pH-დიფერენციალური მეთოდით [6], ანტიოქსიდანტური აქტივობა განისაზღვრა DPPH მეთოდით [7]. მეთოდი დაფუძნებულია ანტიოქსიდანტების თვისებაზე შებოჭოს სტაბილური ქრომოგენ-რადიკალი (DPPH – 2,2-დიფენილ-1-პიკრილჰიდრაზილი). ხოლო ანთოციანინების აღდგენითი უნარი FRAP მეთოდით (ნიმუშის უნარი აღადგინოს Fe<sup>3+</sup> იონები Fe<sup>2+</sup> იონებად) [8], კვლევის შედეგები მოცემულია ცხრილში. ველურად მოზარდი კვრინჩხის ნაყოფისა და ფოთლების ქიმიური მახასიათებლების შედარება მოხდა მის მონათესავე კულტურული მცენარის ლონაშოს ნაყოფისა და ფოთლების ანალოგიურ მაჩვენებლებთან.

**კვრინჩხისა და ღოღნაშოს ნაყოფიდან და ფოთლებიდან მიღებული ექსტრაქტების ქიმიური მახასიათებლები**

ნიმუში	ნაყოფი		ფოთლები	
	კვრინჩხი	ღოღნაშო	კვრინჩხი	ღოღნაშო
საერთო ფენოლური ნაერთები, მგ/გ	35,62 ± 0,17	20,82 ± 0,12	44,76 ± 0,08	18,51 ± 0,04
საერთო ფლავანოიდები, მგ.ეკვ.კ/გ	19,42 ± 0,11	9,23 ± 0,28	11,31 ± 0,9	4,08 ± 0,22
საერთო ანთოციანები, მგ/მლ	3,48 ± 0,07	1,27 ± 0,03	1,2 ± 0,005	0,975 ± 0,05
ანტიოქსიდანტური აქტივობა, %	76,122	32,91	47,381	12,64
ანთოციანების აღდგენითი უნარი	21,186	11,18	14,033	3,07

კვლევის შედეგებიდან გამომდინარე ველურად მოზარდი მცენარეები მდიდარია ფენოლური ნაერთებით და ახასიათებთ მაღალი ანტიოქსიდანტური აქტივობა. ეს კი, თავის მხრივ, ზრდის მათ უპირატესობას, კულტურულ მცენარეებთან შედარებით, მაღალი ხარისხის, ბუნებრივი საკვებდანამატების ნედლეულად გამოყენების თვალსაზრისით.

**ლიტერატურა**

1. Crozier Alan, Jaganath Indu B., Clifford Michael N.– Dietary phenolics: chemistry, bioavailability and effects on health. NPR, vol.26, #8, p. 965-1096, 2009
2. Chang S.K., Alasalvar C., Shahidi F. Superfruits: Phytochemicals, antioxidant efficacies, and health effects. A comprehensive review. Critical Reviews in food Science and Nutrition, 59(10), pp. 1580-1604, 2019.
3. Tungmunnithum D., Thongboonyou A., Pholboon A., Yangsabai A. Flavonoids and other phenolic compounds from medicinal plants for pharmaceutical and medical aspects: An overview. Medicines. Vol.5, 93, 2018.
4. Aparajita M., Juan Pedro M., Itziar A. Population genetic analysis of European *Prunus spinosa* (Rosaceae) using chloroplast DNA markers, American Journal of Botany, vol. 89, pp. 1223-1228, 2002.
5. Singleton V.L., Rossi J.A. Colorimetry of total phenolics with phosphomolybdic-phosphotungstic acid reagents. Am.J.Enol.Viticul. 16, pp. 144-158, 1965.
6. Guisti M., Wrolstad R. – Characterization and measurement of antocyanins by UV-visible spectroscopy – Current protocols in food analytical chemistry, Wiley, New York, 2003;
7. Frezzini M.A., Castellani F., De Francesco N., Ristorini M., Canepari S. – Application of DPPH Assay for Assessment of Particulate Matter Reducing Properties – Atmosphere, vol.10 (12), pp.816-830, 2019.
8. Shah P., Modi H.A. – Comparative Study of DPPH, ABTS and FRAP Assays for Determination of Antioxidant Activity –Int.J.Res.Appl.Sci.Eng.Technol., vol.3, VI, 2015.

**SUMMARY**

**COMPARISON OF CHEMICAL CHARACTERISTICS OF *Prunus spinosa* AND *Prunus domestica subsp.insititia***

**Gamkrelidze N.M., Kvartskhava G.R.**

**Georgian Technical University**

Deteriorating ecological condition, low quality raw materials, food saturated with synthetic additives have a negative impact on human health. Producing complete, healthy, balanced and harmless food is the main task of food technology. To solve this task, plant raw materials are indispensable, especially wild plants. Forest plants are distinguished by their resilience to the harmful effects of the environment and pests related to their chemical composition. They are rich in phenolic compounds, vitamins, trace elements and are characterized by high antioxidant activity.

**Keywords:** phenolic compounds, flavonoid, anthocyanin, blackthorn (*Prunus spinosa*), damson (*Prunus domestica subsp.insititia*).

## მცენარეული ექსტრაქტების ანტიოქსიდანტური მოქმედების მექანიზმის ზოგადი მიმოხილვა

გამყრელიძე ნ., ერიქაშვილი ა., კილაძე მ.  
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

*მცენარეებიდან გამოყოფილი ანტიოქსიდანტები გამოიყენება ბიოლოგიურად აქტიური დანამატების სახით სურსათში. ანტიოქსიდანტების ბიოქიმიური მნიშვნელობის გასაგებად საჭიროა ანტიოქსიდანტური მოქმედების მექანიზმების დადგენა. ანტიოქსიდანტების მოლეკულებს შეუძლია რეაგირება რამდენიმე მექანიზმით ან უპირატესი მექანიზმით. ანტიოქსიდანტური ნივთიერების ქიმიური სტრუქტურა საშუალებას იძლევა უკეთ გავიგოთ ანტიოქსიდანტური რეაქციის მექანიზმი. მიმოვიხილავთ მცენარეული ექსტრაქტების ანტიოქსიდანტური რეაქციის მექანიზმებს სხვადასხვა პირობებში. საკვანძო სიტყვები: ანტიოქსიდანტები, უჯრედული სტრესი, ანტიოქსიდანტური აქტივობა.*

ზოგიერთი კულტურული და ველურად მოზარდი (ტყის) მცენარეული ნედლეული მდიდარია ანტიოქსიდანტებით და გამოიყენება სურსათში ბიოლოგიურად აქტიური დანამატების სახით. ტყის მცენარეები იზრდება ინდუსტრიული და საცხოვრებელი ზონებიდან მოშორებით და დაცულია კულტურული მცენარეებისათვის დამახასიათებელი მავნე ზემოქმედებებისაგან (დაბინძურებული წყალი და ჰაერი, პესტიციდები). აქედან გამომდინარე, მიზანშეწონილია, სწორედ, ტყის მცენარეებიდან გამოყოფილი ანტიოქსიდანტების გამოყენება ბიოლოგიურად აქტიური დანამატების სახით. ანტიოქსიდანტი არის ნივთიერება, რომელიც ანელებს ან ხელს უშლის სუბსტრატის დაჟანგვას. კვლევის შედეგების სწორი ინტერპრეტაციისათვის საჭიროა ანტიოქსიდანტური მოქმედების მექანიზმის დადგენა.

ბიოლოგიურ სისტემებში ჟანგვითი სტრესი ხასიათდება რადიკალების წარმოშობისა და ინჰიბირებას შორის დისბალანსით. ორგანიზმის მიერ მაღალი რეაქციისუნარიანი რადიკალების გაუვნებელყოფა ხდება ენდოგენური და ეგზოგენური ანტიოქსიდანტების მონაწილეობით. მეტაბოლური პროცესების დროს მიმდინარე მრავალრიცხოვან რეაქციათა პრომოტორები რეაქტიული ჟანგბადშემცველი ნაერთები და მათი პრეკურსორებია (წყალბადის ზეჟანგი, სუპეროქსიდ ანიონ-რადიკალი ( $O_2^-$ ) და სხვ.). ბიოლოგიურ სისტემებში რადიკალებით დაზიანების გასაკონტროლებლად ჩართულია ანტიოქსიდანტები, რაც პროოქსიდანტების ინაქტივირების საშუალებას იძლევა. თუმცა რადიკალების მაღალი კონცენტრაციით დაგროვებისას ენდოგენური ანტიოქსიდანტური (ბილირუბინი, ალბუმინი) სისტემა ვერ უზრუნველყოფს სრულ დაცვას. ამ დეფიციტის კომპენსირებისათვის ორგანიზმი იყენებს ეგზოგენურ ანტიოქსიდანტებს, რომლებიც მიეწოდება სურსათის, საკვებდანამატების ან ფარმაცევტული საშუალებების სახით. ყველაზე მნიშვნელოვან ეგზოგენურ ანტიოქსიდანტებს შორის არის ფენოლური ნაერთები, კაროტინოიდები, ვიტამინი C და ზოგიერთი მინერალი (სელენი და თუთია).

უჯრედის მეტაბოლიზმისა და სიცოცხლისუნარიანობის შესანარჩუნებლად უმნიშვნელოვანესი როლი აქვს ჟანგბადს [1] და, ამავე დროს, ის, პარამაგნიტური მახასიათებლების გამო, წარმოადგენს პოტენციურ საფრთხეს. ეს მახასიათებლები ხელს უწყობს წარმოიქმნას მაღალი რეაქციისუნარიანობის მქონე შუალედური ნაერთები – რადიკალები, რომლებიც ურთიერთქმედებენ უჯრედულ კომპონენტებთან. წარმოქმნილი რადიკალების ქიმიურ

სტრუქტურასა და რეაქციისუნარიანობასთანაა დაკავშირებული ანტიოქსიდანტური ნაერთების მოქმედების მექანიზმი.

ჟანგბადით გაჯერებულ გარემოში ბიოლოგიური სისტემებისათვის დამახასიათებელია თავდაცვის ფიზიოლოგიური და ბიოქიმიური მექანიზმები. ფიზიოლოგიურ დონეზე ეს არის ქსოვილებში  $O_2$ -ის დონის შენარჩუნება. ბიოქიმიურ დონეზე კი ფერმენტული ან არაფერმენტული ანტიოქსიდანტური თავდაცვა ან მოლეკულების აღდგენის სისტემა.

ანტიოქსიდანტური ფერმენტი სუპეროქსიდ დისმუტაზა (SOD) პასუხისმგებელია ჟანგბადის წყალბადის პეროქსიდად დისმუტაციის რეაქციაზე, რომელიც შემდგომ კატალაზას (CAT) ან გლუტათიონ პეროქსიდაზას (GPx) მიერ კატალიზირებულ რეაქციებში გარდაიქმნება წყლად და ჟანგბადად. უჯრედში ყველაზე მნიშვნელოვანი დეტოქსიკაციის ფერმენტი სუპეროქსიდ დისმუტაზაა (SOD). ის წარმოადგენს მეტალოფერმენტს და, შესაბამისად, აქტივობისთვის მოითხოვს ლითონს, როგორც კოფაქტორს. კატალაზა (CAT) იყენებს რკინას ან მანგანუმს, როგორც კოფაქტორს და ახდენს წყალბადის ზეჟანგის დეგრადაციას ან აღდგენას წყლისა და მოლეკულური ჟანგბადის წარმოქმნით, რითაც სრულდება SOD-ით ინიცირებული დეტოქსიკაციის პროცესი. უჯრედში ანტიოქსიდანტური ფერმენტების წარმოქმნას არეგულირებს დნმ.

ანტიოქსიდანტების არაფერმენტული სისტემა შედგება ანტიოქსიდანტებისაგან, რომლებიც ბოჭავენ რადიკალებს, რათა თავიდან აიცილონ რადიკალური ინიცირების რეაქცია. რადიკალების ნეიტრალიზება ხდება ელექტრონების გადაცემის შედეგად. ამ პროცესის დროს ანტიოქსიდანტები თავად გარდაიქმნიებიან თავისუფალ რადიკალებად, მაგრამ ისინი ნაკლებ რეაქციისუნარიანნი არიან, ვიდრე თავდაპირველი თავისუფალი რადიკალები და ადვილად ნეიტრალიზდებიან სხვა ანტიოქსიდანტებით.

სხვადასხვა მცენარეებიდან გამოყოფილი ფლავანოიდები უშუალოდ ურთიერთქმედებენ მაღალი რეაქციისუნარის მქონე თავისუფალ რადიკალებთან, რათა წარმოქმნან სტაბილური ან ნაკლებ რეაქციისუნარიანი კომპლექსები. ამავე დროს, რიგი მცენარეული ფლავონოიდებისა ასრულებს თანასუბსტრატის ფუნქციას ზოგიერთი ფერმენტის კატალიზური მოქმედების პროცესში.

მოლეკულების აღდგენის ანტიოქსიდანტური სისტემა წარმოადგენს ფერმენტებს, რომლებიც აღადგენს ან აშორებს თავისუფალი რადიკალებით დაზიანებულ ბიომოლეკულებს. ასეთი სისტემების მაგალითებია დნმ-ის აღმდგენი ფერმენტების სისტემები (პოლიმერაზები, გლიკოზილაზები და ნუკლეაზები) და პროტეოლიზური ფერმენტები (პროტეინაზები, პროტეაზები და პეპტიდაზები), რომლებიც გვხვდება როგორც ციტოზოლში, ასევე მუცუმიწოვრების უჯრედების მიტოქონდრიებში.

ანტიოქსიდანტური სისტემის მთავარი მახასიათებელია ჟანგვითი ჯაჭვის ზრდის პრევენცია ან გამოვლენა, წარმოქმნილი რადიკალის სტაბილიზაციის გზით, რაც ხელს უწყობს ადამიანის ორგანიზმში ჟანგვითი დაზიანების შემცირებას. არსებობს ანტიოქსიდანტების ორი ძირითადი ტიპი, პირველადი (ჯაჭვური რეაქციის რღვევა, თავისუფალი რადიკალების შებოჭვა) და მეორეული ანუ პრევენციული. მეორეული ანტიოქსიდანტური მექანიზმები შეიძლება მოიცავდეს ლითონების დეაქტივაციას, ლიპიდური ჰიდროპეროქსიდების ინჰიბირებას, პირველადი ანტიოქსიდანტების რეგენერაციას და სინგლეტური ჟანგბადის ელიმინაციას.

ფენოლური ნაერთებით მდიდარი, ეკოლოგიურად სუფთა მცენარეული ნედლეულიდან მიღებული ბიოლოგიურად აქტიური ნაერთები ცოცხალი ორგანიზმის უჯრედული

ანტიოქსიდანტური სისტემის მნიშვნელოვანი ნაწილია და დიდ როლს თამაშობს ადამიანის ჯანმრთელობაში. ფლავანოიდებით მდიდარ საკვებდანამატები ახორციელებენ ორგანიზმის დაცვას ანტიოქსიდანტური მოქმედების სხვადასხვა მექანიზმით. მათ აქვთ უნარი – ლიპიდების უჯერი ცხიმების ჟანგვითი პროცესის ინჰიბირების, გადაიყვანონ რადიკალები არააქტიურ ფორმაში, მოახდინონ პეროქსიდაზულ ჟანგვით პროცესებში მონაწილე მძიმე ლითონთა ხელატირება [2,3] და სხვა.

#### ლიტერატურა

1. Valko M, Leibfritz D, Moncol J, Cronin MT, Mazur M, Telser J. - Free radicals and antioxidants in normal physiological functions and human disease. The International Journal of Biochemistry & Cell Biology, 39(1), pp.44-84, 2007.
2. Es-Safi N.E., Ghidouche S., Ducrot P.H. – Flavonoids: hemisynthesis, reactivity, characterizations and free radicals scavenging activity – Molecules, vol.12, pp.2228 – 2258, 2007.
3. Korkina L.G., Afanas'ev I.B. – Antioxidant and chelating properties of flavonoids – Adv.Pharmacol., 38, pp.151-163, 1997.

#### SUMMARY

#### OVERVIEW OF THE MECHANISM OF ANTIOXIDANT ACTION OF PLANT EXTRACTS

**Gamkrelidze N., Erikashvili A., Kiladze M.**

**Georgian Technical University**

Antioxidants extracted from plants are used as biologically active additives in food. To understand the biochemical importance of antioxidants, it is necessary to establish the mechanisms of antioxidant action. Antioxidant molecules can react by several mechanisms or by a predominant mechanism. The chemical structure of the antioxidant allows us to better understand the mechanism of the antioxidant reaction. We review the mechanisms of the antioxidant reaction of plant extracts under different conditions.

**Keywords:** antioxidant, cellular stress, antioxidant activity.

### ჩაისა და აქტინიდის ფოთლების ერთდროული გადამუშავებით მიღებული, ახალი სახის შავი ჩაის პროდუქტის შედეგები

გაფრინდაშვილი ი., ასანიძე ნ., ჯაბნიძე ნ., ჯაბნიძე გ.  
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი

*სტატიაში განხილულია ახალი სახის შავი ჩაის წარმოების თავისებურებანი, რომელიც გამდიდრებულია აქტინიდის ფოთლებით. რაც საშუალებას მოგვცემს ჩაის ბაზაზე შევქმნათ ბიოლოგიურად მდიდარი და ეკოლოგიურად სუფთა პროდუქტი, რომელშიც დიდი რაოდენობითაა ვიტამინები, ამინომჟავები, კატეხინები, პექტინოვანი ნივთიერებანი და შაქრები, რომლებიც გარკვეულ წილად დადებითად იმოქმედებს ბავშვთა და მოზარდთა ნერვულ სისტემაზე. ძირითადი ყურადღება გამახვილებულია აქტინიდის ფოთლების ქიმიურ ნივთიერებათა შემცველობაზე. მომლნარი ჩაის ფოთლის და დაქუცმაცებული აქტინიდის ფოთლების ერთდროული გადამუშავების შედეგად მიღებული შავი ჩაის ნახევარფაბრიკატის ორგანოლექტიკური და ქიმიური მაჩვენებლებზე.*

ახალი ეკონომიკური ურთიერთობების დამყარება, როგორც ქვეყნის შიგნით, ასევე საზღვარგარეთის ქვეყნებთან გვაიძულებს ვეძებოთ ახალი, ჩვენთვის ეგზოტიკური მცენარეები და მათი პროდუქტები. ისინი არა მარტო სოფლის მეურნეობისა და მრეწველობის მარეგულირებელი, არამედ ჯანმრთელობის, მომავალი თაობის გენეტიკური სრულფასოვნების განმსაზღვრელიც არიან.



აქტინიდის მოვლა-მოყვანის აგროწესები, ისევე როგორც ვაზის, ითვალისწინებს მწვანე ოპერაციის (გაფურჩქვნის) ჩატარებას სეზონის პერიოდში აღნიშნული ოპერაცია ტარდება 3-4 ჯერ, რის შედეგად გროვდება საკმაოდ დიდი რაოდენობით ფოთლოვანი მასა.

აქტინიდის მცენარეში არსებული შესაძლებლობების მაქსიმალურად გამოყენების მიზნით მიზანშეწონილად ჩავთვალეთ შეგვესწავლა მწვანე ოპერაციის შედეგად მიღებული მასა ზოგიერთ ქიმიურ ნივთიერებათა შემცველობის მიხედვით და დაგვედგინა აღნიშნული მასის გამოყენების შესაძლებლობა კვების პროდუქტების წარმოებაში.

ცდები ამ მიმართულებით ჩატარდა შემდეგი თანმიმდევრობით: მწვანე ოპერაციის შედეგად მიღებული მასა დავყავით ნაზ ფოთლებად, უხეშ ფოთლებად და ღეროებად. თითოეული ჯგუფიდან ავიღეთ ნიმუში და გავუკეთეთ ფიქსაცია. დარჩენილი მასა ჯგუფების მიხედვით გადავამუშავეთ შავი ჩაის მიღების ტექნოლოგიის დაცვით. ფიქსირებული მასაში და გადამამუშავების შედეგად მიღებულ ნიმუშებში განვსაზღვრეთ ზოგიერთ ქიმიურ ნივთიერებათა შემცველობა, რომელიც მიღებულია ცხრ. 1-ში.

**ცხრილი 1. აქტინიდის ფოთლების ქიმიურ ნივთიერებათ შემცველობა**

მაჩვენებლების დასახელება	განზ. ერთეული	ნედლეული			პროდუქცია		
		ღერო	ნაზი ფოთოლი	უხეში ფოთოლი	ღერო	ნაზი ფოთოლი	უხეში ფოთოლი
ექსტრაქციული ნივთიერება	%	25,38	31,79	25,63	22,40	30,10	23,50
ფენოლური ნაერთები	%	2,08	5,9	3,9	2,9	4,80	2,90
ვიტამინები	მგ/100 გ	80,3	146,3	130,2	70,5	130,1	120,9
	მგ/100 გ	0,05	0,07	0,01	0,03	0,06	0,01
	მგ/100 გ	0,73	0,92	0,47	0,45	0,40	0,30
კატეხინები	მგ/100 გ	232,5	287,5	282,5	232,0	287,5	282,5
ამინომჟავები	მგ/100 გ	1842,4	2368,8	2052,96	579,04	1116,9	1052,8
მონოზები	%	0,96	1,32	1,521	0,90	0,30	0,40
სახარიდები	%	0,82	0,731	0,76	0,50	0,70	0,63
შაქრების ჯამი	%	2,48	2,85	2,28	2,40	3,01	2,20

ცხრილის მონაცემებიდან ჩანს, რომ აქტინიდის მწვანე ოპერაციის შედეგად მიღებული მასა, განსაკუთრებით ნაზი ფოთლები, როგორც გადამამუშავებამდე, ასევე გადამამუშავების შემდეგ მდიდარია ბიოლოგიურად აქტიური ნივთიერებებით.

გადამამუშავების შედეგად მიღებულ ნიმუშებში შესწავლილ იქნა ორგანოლექტიკური მაჩვენებლები. როგორც ცხრილის შედეგებიდან ჩანს აქტინიდის მცენარისაგან მწვანე ოპერაციის შედეგად მიღებული მასა, განსაკუთრებით ნაზი ფოთლები, შეიძლება გამოყენებული იქნას ჩაისმაგვარი პროდუქტების მისაღებად.

ლაბორატორიული კვლევით ცნობილი გახდა, რომ დაქუცმაცებული აქტინიდის ფოთლები გრეხის პროცესის დროს დამჟანგველ-აღმდგენელი ფერმენტების მოქმედებით, მთლიანად გარდაიქმნება შავ ჩაით.

მის საფუძველზე იქნება დადგენილი, რომ კვლევის შედეგად მიღებული მეთილის ეფექტურობა ბევრად არის დამოკიდებული აქტინიდის ფოთლის ტენიანობაზე, წონით მასაზე და სხვა ტექნოლოგიურ ფაქტორებზე.

ოპტიმალური ვარიანტის დადგენის მიზნით, აქტინიდის ფოთლების ნარჩენი ტენიანობისას 61–62 %, გრეხის დროს მისი ერთდროული გადამუშავებისას წინასწარი ექსპერიმენტებით შერჩეული იქნა ორი ვარიანტი:

1/ ჩაის ფოთოლი ნარჩენი ტენიანობით 60–62 % და 2/ ჩაის ფოთოლი ნარჩენი ტენიანობით 63–64 %.

ცდები იყო ჩატარებული შემდეგი მეთოდით: ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი იყოფა ორ ჯგუფად: პირველი ნაწილი ღრება 80–61% ნარჩენი ტენიანობით, მეორე ნაწილი 63–54 % ნარჩენი ტენიანობით, ორთავე ნაწილს გრეხის პროცესის დროს ემატება დაქუცმაცებული აქტინიდის ფოთლი თანაფარდობით 3:1. ცხრ. 2-ში მოცემულია ნახევარფაბრიკატის ორგანოლოგიური მაჩვენებლები შესადარებელ ვარიანტთან.

**ცხრილი 2. ნახევარფაბრიკატის ორგანოლოგიური მაჩვენებლები შესადარებელ ვარიანტთან.**

მაჩვენებლების დასახელება	დასახელება
ნაყენის ფერი	საშუალო
არომატი	სასიამოვნო
გემო	მოტკბო-სასიამოვნო
გამონახარში	ნაკლებად ფერმენტირებული

**ცხრილი 3. მომდნარი ჩაის ფოთლის და დაქუცმაცებული აქტინიდის ფოთლების ერთდროული გადამუშავების შედეგად მიღებული შავი ჩაის ნახევარფაბრიკატის ორგანოლოგიური და ქიმიური მაჩვენებლები**

მომდნარი ფოთლის ტენშემცველობა, %	ფრაქცია	ფერი	არომატი და გემო, ბალი	ფენოლური ნაერთები	ექსტრაქტული ნივთიერებების შემცველობა, %	
1.	63–64	ნ/ფაბრიკატი	საშუალო	2,75	17,20	36,80
	60–61	ნ/ფაბრიკატი	საშუალო	2,50	17,40	36,90
2.	63–64	ნ/ფაბრიკატი	საშუალო	2,50	14,40	34,00
	61–61	ნ/ფაბრიკატი	საშუალო	2,75	16,80	37,00
3.	63–64	ნ/ფაბრიკატი	საშუალო	3,00	17,00	36,40
	60–61	ნ/ფაბრიკატი	საშუალო	2,75	17,20	36,40
4.	63–64	ნ/ფაბრიკატი	საშუალო	2,75	16,80	36,80
	60–61	ნ/ფაბრიკატი	საშუალო	2,50	17,00	37,00
5.	63–64	ნ/ფაბრიკატი	საშუალო	2,50	17,60	35,00
	60–61	ნ/ფაბრიკატი	საშუალო	2,50	18,00	34,80

ცხრ. 3-ის მონაცემებიდან ჩანს, რომ მითითებული მეთოდის მიხედვით ჩაის წარმოების დროს განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ჩაის ფოთლის ღნობის ხარისხს, ფოთოლი მომდნარი დარჩენილი ტენიანობით 63–54 % იძლევა უკეთეს შედეგს, ვიდრე ფოთოლი

დარჩენილი ტენიანობით 60–51%. უპირატესობა იგრძნობა არომატისა და არჩეული პროდუქციის ნაყენის ფერის მიხედვით.

მიღებული შედეგები მეტყველებენ იმის შესახებ, რომ მომღწარ ფოთოლში 63–64 ტენიანობით ადვილად მიმდინარეობს დამჟანგველი პროცესები, რომლებიც განაპირობებენ აქტინიდიის ფოთლების გარდაქმნას შავ ჩაით.

ერთ-ერთ ძირითად პროცესად შავი ჩაის წარმოების დროს არსებული სქემის მიხედვით ითვლება გრეხის პროცესი, რომლის დროს ხდება შერევა აქტინიდიის დაქუცმაცებული ფოთლებისა მომღწარ ჩაის ფოთოლთან და იწყება დამჟანგველ-აღმდგენელი პროცესების განვითარება.

ამრიგად, მიღებული იქნა ახალი სახის შავი ჩაი აქტინიდიის ფოთლებით, რომელიც მდიდარია ვიტამინებით ნახშირწყლებით, ცილებით მომღწარ ფოთოლში 63–64 ტენიანობით ადვილად მიმდინარეობს დამჟანგველი პროცესები, რომლებიც განაპირობებენ აქტინიდიის ფოთლების გარდაქმნას შავ ჩაით.

### ლიტერატურა

1. Fruit and vegetable juices. Scientific foundations and technologies. Ed. At Schobinger's. Translated from German. St. Petersburg. 2004, 639 p.
2. Fruit and vegetable processing. Improving quality. Edited by Wim Jongen. Woodhead Publishing Limited. Cambridge. England. 2003.388 P.
3. ჩავლეიშვილი ა. სოფლის მეურნეობის პროდუქტთა შენახვისა და გადამუშავების ტექნოლოგია. თბილისი. 1988 გვ. 514.
4. Tsapalova I. E., Mayurnikova L. A., Poznyakovsky V. M., Stepanova E. N. Examination of processed products of fruits and vegetables. Novosibirsk. 2003.271 p.
5. Chukhray MG Collection of recipes for fruit and vegetable products. St. Petersburg. 2003.332 s.
6. Pomortseva TI Technology of storage and processing of fruits and vegetables. Textbook for prof. education. M. Publishing house of the Academy, 2003, 136 p.
7. Shirokov EP Technology of storage and processing of fruits and vegetables with the basics of standardization. M. Publishing house Kolos. 1988.

### SUMMARY

#### **RESULTS OF NEW TYPES OF BLACK TEA PRODUCTS OBTAINED BY SIMULTANEOUS PROCESSING OF TEA AND ACTINIDIA LEAVES**

**Gaprindashvili I., Jabnidze N., Jabnidze G., Asanidze N.**

**Batumi Shota Rustaveli State University**

The article tells about the production of a new kind of black tea, which is enriched with actinide leaves. Which allows us to create a biologically rich and environmentally friendly product based on tea, which contains a large number of vitamins, amino acids, catechins, pectin substances and sugars, which to some extent have a positive effect on the nervous system of children and adults.

# ТЕХНОЛОГИЧЕСКИЕ АСПЕКТЫ ПРОИЗВОДСТВА ЗАКВАСКИ СПОНТАННОГО БРОЖЕНИЯ НА ОСНОВЕ ОВСЯНОЙ МУКИ

Гетьман И.А., Михоник Л.А.

Национальный университет пищевых технологий, Киев, Украина

*Статья посвящена исследованию закваски спонтанного брожения с использованием в качестве питательной среды овсяной муки. Описана схема цикла разведения и производственного цикла ведения закваски, проведено исследование физико-химических, биотехнологических и микробиологических показателей качества готовой закваски. Сделаны выводы, что при условии соблюдения разработанной схемы, овсяную муку целесообразно применять для сквашивания, поскольку это позволит обогатить микробиоту закваски необходимыми питательными веществами муки.*

Увеличение спроса на национальные хлебобулочные изделия, изготовленные по аутентичным технологиям на натуральных спонтанных заквасках стимулирует поиск эффективных технологических и технико-экономических решений для современных хлебопекарных предприятий. Одним из таких решений может быть разработка технологий хлебных изделий на спонтанных заквасках и внедрение их в условиях пекарен и мини-предприятий, в том числе и общественного питания, чему способствуют их небольшие объемы производства, минимальные площади и ограниченность в ресурсах.

Биологические закваски спонтанного брожения упрощают процесс приготовления закваски, поскольку потребность в чистых культурах дрожжей и молочнокислых бактерий отсутствует. Периодичность процесса вывода закваски (при производственной необходимости) позволяет оперативно реагировать на потребности рынка, увеличивая или уменьшая объемы и ассортимент изделий [1].

Практика ведения таких заквасок показывает, что спонтанная микрофлора не всегда может обеспечить нормальный ход брожения полуфабрикатов. Ведь микрофлора заквасок формируется в основном за счет микрофлоры используемого сырья и параметров их приготовления. При условии микробиологического анализа готовых, выведенных по четко регламентированной схеме заквасок, их использование является эффективным.

Нетрадиционные для хлебопечения виды муки, учитывая их высокую питательную ценность и богатый химический состав, можно использовать в качестве питательной среды для сквашивания. Среди всего ассортимента муки стоит выделить овсяную.

Эта мука содержит около 10% белка, который характеризуется сбалансированным аминокислотным составом (аминокислотный скор по лизина 71%, тогда как белка пшеницы – 54%), до 6,5% жиров при небольшом количестве сахара (до 1%) и крахмала (около 65%), а также витамины группы В (В<sub>1</sub>, В<sub>2</sub>, В<sub>6</sub>, В<sub>9</sub>), Е, РР, микроэлементы (Fe, Cr, Zn), макроэлементы (K, Mg, P, Na) и пищевые волокна (как растворимые, так и нерастворимую клетчатку). Углеводы характеризуются низким гликемическим индексом, поэтому все продукты переработки овса считаются диетическими. Особенностями его углеводного состава, как известно, является наличие растворимых полисахаридов: пентозанов (до 14,0%), левулезана (до 2,0%), а также β-глюкана, который составляет большую часть гемицеллюлозы овса. С физиологической точки зрения β-глюкан оказывает мощное иммуностимулирующее действие, является природным пребиотиком, значительно снижает уровень холестерина и липидов крови [2, 3].

Приготовление закваски состоит из цикла разведения и производственного цикла. В проведенных исследованиях цикл разведения длился 96 часов при температуре 26–28 °С. Такие параметры являются оптимальными для развития молочнокислых бактерий и кислотостойких дрожжей. В этом цикле через каждые 24 часа к предыдущей спелой закваске добавляли питательную смесь из овсяной муки и воды (температура 28–30 °С), в соотношении 1:2. После пятого обновления качест-

во закваски стабилизируется, а мягко выраженный кислотно-спиртовой «овсяный» запах свидетельствует о вытеснении неспецифической микрофлоры муки. Далее закваска может быть использована в производственном цикле для приготовления хлеба.

Производственный цикл предусматривал приготовления закваски влажностью (65±5)%, где отбор закваски на производство осуществлялся через каждые 10-12 ч в количестве 70% от массы готовой закваски. К оставшейся массе (30%) вносили питательную смесь из муки и воды (соотношение 1:2) и повторяли производственный цикл брожения. Выброженная закваска имела следующие показатели качества: кислотность – 16,0–18,0 град, рН = 3,86–3,72 ед. прибора, активность молочнокислых бактерий (МКБ) – 45–60 мин.

Разнообразие химического состава овсяной муки, а именно наличие достаточного количества белковых веществ (аминокислот), витаминов, сахаров, пищевых волокон способствуют развитию микрофлоры закваски, в частности, молочнокислых бактерий и являются причиной интенсивного кислотонакопления [4].

Поскольку овсяная мука имеет высокую водопоглощающую способность, а также для предупреждения «перекисания» закваски из этой муки, целесообразно увеличивать массовую долю влаги, что будет способствовать снижению интенсивности накопления кислот в результате дефицита питательных веществ для молочнокислых бактерий и дрожжей. Исследования микрофлоры закваски показали, что преобладающими в ее составе являются молочнокислые бактерии –  $3,9 \times 10^9$  КОЕ/г, тогда как количество дрожжей составляет  $1,7 \times 10^8$  КОЕ/г. Полученные данные коррелируют с кислотностью закваски и активностью молочнокислых бактерий.

Для получения изделий высокого качества важно обеспечивать их вкусо-ароматические свойства. Известно, что на вкус и аромат изделий влияет коэффициент брожения – показатель, характеризующий соотношение нелетучих (молочной, яблочной, янтарной, винной, лимонной) и летучих (уксусной, муравьиной, пропионовой) кислот. Считается, что специфический кислый вкус и аромат хлеба обеспечивается большим количеством летучих кислот. В свою очередь нелетучие кислоты обеспечивают соответствующий приятный кисловатый вкус [4-6].

Исследование состава органических кислот в закваске показали, что преобладающими являются нелетучие органические кислоты (70–74 % от общей кислотности), большую часть которых составляет молочная кислота. Можно предположить, что в составе микрофлоры закваски преобладают гомоферментативные бактерии, которые образуют 85–95 % молочной кислоты и только около 10 % летучих кислот, ди- и трикарбоновых кислот. Кроме того, данные виды бактерий являются сильными кислотообразователями, что и обуславливает высокую кислотность овсяной закваски.

Использование заквасок спонтанного брожения с целью интенсификации производственного процесса в условиях дискретного производства является актуальной темой сегодняшнего дня. При условии соблюдения разработанной схемы ведения можно получить закваску на основе овсяной муки с показателями качества, близкими к традиционным ржаным и пшеничным закваскам, что будет способствовать улучшению пищевой ценности хлебобулочных изделий, уменьшению риска инфицирования изделий «картофельной болезнью» и ускорению технологического процесса. Дальнейшие исследования будут направлены на изучение влияния овсяной закваски спонтанного брожения на технологический процесс и качество пшеничного та пшенично-ржаного хлеба, которые относятся к категории «масовых» сортов и наиболее несбалансированных по пищевой ценности.

## ЛИТЕРАТУРА

1. Lebedenko, T., Kozhevnikova, V., Kotuzaki, O. & Novichkova, T. (2019). Determining the efficiency of spontaneous sourdough for stabilizing the quality of bread products in bakeries and catering enterprises, *Eastern-European Journal of Enterprise Technologies*, 4(11), 22-35. <https://doi.org/10.15587/1729-4061.2019.174289>
2. Chauhan D., Kumar K., Kumar S., Kumar H. (2018). Effect of Incorporation of Oat Flour on Nutritional and Organoleptic Characteristics of Bread and Noodles. *Current Research in Nutrition and Food Science*, 6(1), 148-156. <http://dx.doi.org/10.12944/CRNFSJ.6.1.17>

3. Bondarenko, Yu., Mykhonik, L., Bilyk, O., Kochubei-Lytvynenko, O., Andronovich, G. & Hetman, I. (2019). Study of the influence of buckwheat flour and flax seeds on consumption properties of long-stored bakery products, EUREKA: Life Sciences, 4, 9-18. <https://doi.org/10.21303/2504-5695.2019.00973>
4. Fernández-Peláez, J., Paesani, C., & Gómez, M. (2020). Sourdough technology as a tool for the development of healthier grain-based products: an update, Agronomy, 10(12), 1-20. <https://doi.org/10.3390/agronomy10121962>
5. Gobbetti, M., De Angelis, M., Corsetti, A., & Di Cagno, R. (2005). Biochemistry and physiology of sourdough lactic acid bacteria. Trends in Food Science and Technology, 16, 57-69. <https://doi.org/10.1016/j.tifs.2004.02.013>
6. Calvert, M.D., Madden, A.A., Nichols, L.M., Haddad, N.M., Lahne, J., Dunn, R.R. & McKenney, E.A. (2021). A review of sourdough starters: ecology, practices, and sensory quality with applications for baking and recommendations for future research, PeerJ, 9, 1-37. <http://doi.org/10.7717/peerj.11389>

## SUMMARY

### TECHNOLOGICAL ASPECTS OF PRODUCTION OF SPONTANEOUS FERMENTATION STEEL BASED ON OAT FLOUR

Getman I.A., Mikhonik L.A.

National University of Food Technologies, Kyiv, Ukraine

The article is devoted to the study of the spontaneous fermentation sourdough with the introduction of oat flour as a nutrient medium. The described scheme of the breeding cycle and the production cycle of the sourdough maintenance, a study of the physicochemical, biotechnological and microbiological indicators of the quality of the finished sourdough was carried out. It is concluded that, provided that the developed scheme is observed, it is advisable to use oat flour for fermentation, since this will enrich the nutrition of the starter microbiota with the necessary nutrients of the flour.

## ეკოლოგიური და სასურსათო უსაფრთხოების პრობლემები

გობეჯიშვილი ლ., ხაზარაძე ნ.

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი

*ეკოლოგიური და სასურსათო რეგულირება – ქვეყნის სოციალური ორიენტაციის მნიშვნელოვანი ფაქტორია, რომელიც განაპირობებს სახელმწიფოს სტაბილურ განვითარებას. სასურსათო უსაფრთხოების უზრუნველყოფა, მოსახლეობის სასიცოცხლო ინტერესების დაცვა მეტად მნიშვნელოვანია საქართველოსათვის. ამისათვის აუცილებელია დასაშვებ ნორმებში მოექცეს ჰაერის, წყლისა და ნიადაგის დაბინძურება.*

თანამედროვე სასურსათო პრობლემა არაერთგვაროვანია მსოფლიოს სხვადასხვა რეგიონში, თუმცა ყველაზე მნიშვნელოვანი სურსათის უკმარისობა და შიმშილია. კვების პროდუქტების დეფიციტი ყოველთვის არსებობდა კაცობრიობის ისტორიაში, მაგრამ ის განსაკუთრებით XX საუკუნის 70-იანი წლების პირველ ნახევარში გამწვავდა. ამ დროიდან მიიღო სასურსათო პრობლემამ გლობალური პრობლემის „სტატუსი“, თუმცა მაშინ იგი მხოლოდ განვითარებად ქვეყნებს ეხებოდა. სასურსათო პრობლემა მდგომარეობს კალორიული და რაციონალური კვების უკმარისობაში, რომელსაც მსოფლიო მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილი განიცდის.

ყოველწლიურად პლანეტის მოსახლეობა დაახლოებით 90 მლნ ადამიანით იზრდება. რესურსები კი, რომლებიც საკვები პროდუქტების წარმოების ზრდისათვისაა საჭირო, პირიქით, მცირდება. ამიტომ მუდმივად მზარდი მოსახლეობის სურსათით უზრუნველყოფა ერთ-ერთი უმთავრესი გლობალური პრობლემაა.

ჩვენი პლანეტის მოსახლეობის ზრდის ფონზე მისი სასურსათო უზრუნველყოფის გაუმჯობესება თანამედროვე ცივილიზაციის სასიცოცხლო მნიშვნელობის საკითხს წარმოადგენს, ამიტომ საზოგადოების მთელი ძალისხმევა მიმართულია სასიცოცხლო მარაგის ხარისხობრივი და რაოდენობრივი მაჩვენებლის გაზრდისაკენ.

ადამიანი კვების პროდუქტების ძირითად ნაწილს აწარმოებს სასოფლო-სამეურნეო სავარგულეებზე, ოკეანეები, ზღვები და მდინარეები იძლევა თევზსა და ზღვის სხვა პროდუქტებს, მცირე, მაგრამ ბევრი ქვეყნისათვის სურსათის მნიშვნელოვან ნაწილს ტყე იძლევა. ძირითადი პრობლემები დაკავშირებულია ამ სამი ძირითადი წყაროს რაოდენობრივ შემცირებასთან, ხარისხობრივ გაუარესებასა და გამოფიტვასთან. კაცობრიობამ უნდა შეიმუშაოს ღონისძიებათა კომპლექსი ამ პრობლემის – პლანეტის სასურსათო რესურსების განვითარებისათვის. სასურსათო პრობლემის გადაჭრა მხოლოდ მოსახლეობის ზრდისა და სურსათის წარმოების ტემპების გათანაბრებითაა შესაძლებელი.

უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოში სურსათის ნახევარზე მეტი შემოდის საზღვარგარეთიდან. სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის მოსახლეობისათვის მიწოდება ძირითადად იმპორტის ხარჯზე ხორციელდება. გამომდინარე იქიდან, რომ კვების პროდუქტებით უზრუნველყოფა საზოგადოების სიცოცხლისუნარიანობის მნიშვნელოვანი კომპონენტია, სასურსათო უსაფრთხოებაც დამოკიდებული ხდება მასზე. სწორედ იმპორტზე დამოკიდებულების გაზრდამ წამოსწია წინა პლანზე სასურსათო უსაფრთხოების პრობლემა. კვების პროდუქტების ხარისხზე ხომ მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული მოსახლეობის ჯანმრთელობა.

სასურსათო უსაფრთხოების უზრუნველყოფა, მოსახლეობის სასიცოცხლო ინტერესების დაცვა მეტად მნიშვნელოვანია საქართველოსათვის. ბოლო წლების გამოცდილებამ საქართველოში ნათლად დაგვანახა სასურსათო უსაფრთხოების ფართო სპექტრი.

დღეს საქართველოში უკიდურესად რთული პრობლემების წინაშეა აგრარული სექტორი. სუსტია სოფლის მეურნეობის ტექნიკური აღჭურვილობა, მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, ეცემა მიწების ნაყოფიერება, უარესდება სოფლის მეურნეობის გენოფონდი.

რაც შეეხება გარემოს მდგომარეობას, აუცილებელია დასაშვებ ნორმაში მოექცეს ატმოსფერული ჰაერის დაბინძურება მომწამლველი აირებით. განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს ავტომანქანების ტექნიკური გაუმართაობის აღკვეთას. საქართველოში ჰაერის დაბინძურების ძირითად წყაროდ ავტოტრანსპორტის გამონაბოლქვი რჩება. კერძოდ, ნახშირჟანგის გაფრქვევათა 87 %; აზოტის ჟანგულების 70 %; გოგირდის დიოქსიდი 50%; აქროლადი ორგანული ნაერთების 40 % სწორედ სატრანსპორტო საშუალებებიდან ხვდება ატმოსფერულ ჰაერში.

განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს ასევე წყლის რესურსების დაცვას დაბინძურებისაგან.

გარემოს დაბინძურება ნარჩენებითა და ქიმიური ნივთიერებებით საქართველოში ასევე ერთ-ერთი გარემოსდაცვითი პრობლემაა. პრობლემა კომპლექსურია და მოიცავს გარემოს დაბინძურებას საყოფაცხოვრებო ნარჩენებით მოუწესრიგებელი ნაგავსაყრელებიდან, ასევე სახიფათო და აკუმულირებული ნარჩენების მართვასთან დაკავშირებულ საკითხს. გარემო ასევე ბინძურდება სამთო-მოპოვებითი და გადამამუშავებელი წარმოებების აკუმულირებული ნარჩენებისა და შლამებისაგან, ასევე ვადაგასული სასოფლო-სამეურნეო ქიმიკატების, განსაკუთრებით პესტიციდებისაგან, რომელთა ნარჩენები დიდი რაოდენობითაა ჩვენი ქვეყნის ტერიტორიაზე საბჭოთა მემკვიდრეობიდან დარჩენილი. ნარჩენების მართვის სფეროს გასაუმჯობესებლად მნიშვნელოვანია ისეთი პოლიტიკისა და პრაქტიკის დანერგვა, რომელიც ხელს შეუწყობს, ერთი მხრივ, რესურსეფექტურობას და ნარჩენების წარმოქმნის თავიდან აცი-

ლებას და შემცირებას, მეორე მხრივ, ნარჩენების გაცალკეებულად შეგროვებას, ხელმეორედ გამოყენებას და რეციკლირებას.

XX საუკუნის ბოლო ათწლეულში წარმოიქმნა ეკონომიკური, ეკოლოგიური და სურსათის წარმოების პროცესების ინტეგრაციის იდეა, რომელიც საფუძვლად დაედო მდგრადი განვითარების კონცეფციას. ამასთან დაკავშირებით შეიქმნა გარემოს დაცვის საერთაშორისო კომისია, რომელმაც განსაზღვრა მდგრადი განვითარება, როგორც ეკონომიკური განვითარების მოდელი, რომლის მნიშვნელოვანი კომპონენტი, მყარ ეკონომიკურ ზრდასთან ერთად, ეკოლოგიური წონასწორობის დაცვაა. მსოფლიო სამიტის მიერ მდგრადი განვითარების პროგრამაში აღნიშნულია, რომ კაცობრიობის განვითარებამ მიაღწია გარკვეულ ზღვარს, რომლის იქითაც სამეურნეო საქმიანობით გამოწვეულ ბუნების დეგრადაციას, მსოფლიოს უთანაბრო განვითარების გაღრმავებას შეიძლება კაცობრიობისათვის შეუქცევადი შედეგები მოჰყვეს.

მდგრადი განვითარების პროგრამა განსაზღვრავს მსოფლიოს განვითარების მიმართულელებებს ახალ ათასწლეულში, ითვალისწინებს მსოფლიო მეურნეობის სტრუქტურულ გარდაქმნას რესურსდამზოგველი ტექნოლოგიების განვითარების საფუძველზე, მსოფლიოს განვითარების ეკოლოგიური და სასურსათო წონასწორობის აღდგენასა და სოციალური პრობლემების გადაჭრის ეფექტიანი გზების ძიებას.

ეკოლოგიური და სასურსათო რეგულირება – ქვეყნის სოციალური ორიენტაციის მნიშვნელოვანი ფაქტორია, რომელიც განაპირობებს სახელმწიფოს სტაბილურ განვითარებას.

#### ლიტერატურა

1. Экологическая безопасность, как составная часть ... studwood.ru 1176086/ekologiya...chast...bezopasnosti
2. Щелкунов Л. Ф., Дудкин М. С., Корзун В.Н. Пища и экология. - Одесса: Оптимум, 2000
3. Агаджан Н.А., Скальный А.В. химические элементы в среде обитания и экологический портрет человека. -М.: КМК, 2001, 83 с.

#### SUMMARY

#### ENVIRONMENTAL AND FOOD SECURITY PROBLEMS.

Gobejishvili L., Khazaradze N.

Akaki Tsereteli State University

Ecological and food regulation - an important factor in the social orientation of the country, which contributes to the stable development of the state. Ensuring food security and protecting the vital interests of the population is very important for Georgia. For this it is necessary to treat air, water and soil pollution within the permissible norms.

### ხორცის პროდუქტების ფალსიფიკაცია და გამოვლენის შესაძლებლობები

გოგოლი გ.

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

*ხორცის და ხორცის პროდუქტების მსოფლიო სამომხმარებლო ბაზრის კვლევით დადგენილია, რომ საკმაოდ ხშირია ფალსიფიკაციის შემთხვევები. ამ მხრივ არც საქართველოა გამონაკლისი. ამასთან, ცნობილია მათი გამოვლენის მეთოდები, მათ შორის თანამედროვე, PSR ტესტების გამოყენებით, მაგრამ ამ მიმართულებით ჩვენი მარეგულირებელი სამსახურების საქმიანობა ნაკლებად ეფექტურია ლიბერარული კანონმდებლობის, აგრეთვე მწირი მატერიალური-ტექნიკური ბაზის გამო.*



ინგლისურენოვან პუბლიკაციებში სურსათის, მათ შორის ხორცისა და ხორცის პროდუქტების ფალსიფიკაცია, როგორც წესი, მოიხსენიება ტერმინით „Food fraud“ (სურსათით თაღლითობა) [1]. Crceva Nikolovska R. და სხვ. [2] მონაცემებით სასურსათო პროდუქტების ფალსიფიკაციით პლანეტის მოსახლეობა ყოველწლიურად „კარგავს“ \$40 მლდ-ზე მეტს; ამას ემატება ის დიდი საფრთხე, რომელიც შეუსაბამო შედგენილობისა და მდარე ხარისხის სურსათის მოხმარებით ემუქრება ზოგადად საზოგადოების ჯანმრთელობას და შრომისუნარიანობას, განსაკუთრებით კი ამ თვალსაზრისით მის პოტენციურად არაკეთილსაიმედო ნაწილს.

ხორცის პროდუქტების წარმოებაში ფალსიფიკაციის შემთხვევების მაღალი სიხშირე გაპირობებულია მრავალი ფაქტორით და, მათ შორის, ძირითადი ნედლეულის მაღალი ღირებულებით.

ნებისმიერი სახის სურსათის, და, მათ შორის, ხორცისა და მისი პროდუქტების ხარისხისა და უვნებლობის კონტროლი ჩვენში რეგულირდება კანონმდებლობით და კანონქვემდებარე აქტებით [3,4]. ზოგადად, არსებული რეგულაციები, როგორც წესი, მოითხოვენ, მზა ნაწარმის ხარისხი განისაზღვროს ქიმიური შედგენილობით, ხოლო უვნებლობა ფასდება მიკრობული მოთესვილობით, ანტიბიოტიკების, მძიმე მეტალების და ადამიანის ჯანმრთელობისათვის საშიში ზოგიერთი სხვა ნივთიერებების ზღვრული დასაშვები ნორმების მიხედვით.

ხარისხის შეფასებისას, როგორც წესი, საუბარია მზა ნაწარმში ტენის (წყლის) და ორგანული ნივთიერებების, ცილებისა და ცხიმების შემცველობაზე და მის საერთო ენერგეტიკული ღირებულებაზე. ასეთი მიდგომა, ჩვენი აზრით, არ არის სწორი, რამეთუ ხორცის ნედლეულის მწვავე დეფიციტის პირობებში ბევრად უფრო მნიშვნელოვანია როგორც გამოყენებული ნედლეულის ხარისხის კონტროლი, ასევე დამხმარე მასალების, მათ შორის საკვები დანამატების იდენტიფიკაცია და რაოდენობის დადგენა, მათი განსაზღვრა კი უზრუნველყოფს პროდუქტის შესაბამისობაზე, უპირველეს ყოვლისა მის ხარისხზე ობიექტური და სრულყოფილი დასკვნის გაკეთებას.

სხვა საკითხია მარეგულირებელ დოკუმენტებში ტერმინების „ხარისხი“ და „უვნებლობა“ მნიშვნელობის გაიგივება [5,6]. საქმე ის არის, რომ საკმაოდ ხშირად პროდუქტის ხარისხი (მაგ. ცილების, ცხიმების და სხვ. ნივთიერებების ტექნიკურ რეგლამენტისგან განსხვავებული რაოდენობა, მზა ნაწარმის შეუსაბამო სტრუქტურა, ან არასწორი შეფუთვა) ნორმატიულ დოკუმენტებში განიხილება როგორც „საფრთხე“ და, პირიქით, მიკრობული დაბინძურება, ან მძიმე მეტალების დასაშვებზე მაღალი კონცენტრაციისას და ა.შ. საუბარია მის „დაბალ ხარისხზე“.

გარდა ამისა, ქართულ ენაზე გამოცემულ სახელმძღვანელოში “სურსათის ხარისხისა და უვნებლობის უზრუნველყოფის სისტემები” [7] აქცენტი კეთდება მხოლოდ სურსათის უვნებლობაზე და პრაქტიკულად არ გვხვდება მასალა, სადაც საუბარი იქნებოდა ხარისხზე, როგორც მის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს და პოტენციურად დამოუკიდებელ თვისებაზე. ზოგჯერ კი ეს თვისება უვნებელი სურსათის დამატებით მახასიათებლებლადაც კი არის აღიარებული [8]. მსგავსი, ჩვენი აზრით, არასწორი მიდგომა გვხვდება სხვა ოფიციალურ დოკუმენტებშიც [9,10] და როგორც წესი, პრაქტიკულად უცვლელად, მეორდება სამეცნიერო პუბლიკაციებსა თუ სასწავლო ლიტერატურაში.

ფალსიფიკაციის (ლათ. falsificatio), დედაარსი შეიძლება ჩამოვყალიბოთ, როგორც რაიმე ნამდვილის, ჭეშმარიტის შეცვლა მცდარით, ყალბით,... იურიდიულად კი მას განმარტავენ როგორც „...მწარმოებლის ან გამსაღებლის მიერ ანგარებით ჩადენილი ნივთის თვისებრიობის შეცვლა“ [11].

ფალსიფიკაციას, როგორც წესი, მიმართავენ სარეალიზაციო პროდუქტის დასამზადებელი ნედლეულის მანკის, ან მისი დაბალი ხარისხის დაფარვის მიზნით, რა დროსაც სხვადასხვა კონკრეტული ასორტიმენტის სურსათის დამზადებისას, რეცეპტურით გათვალისწინებული დანამატების შეტანით, ან კიდევ დამუშავების ტექნოლოგიური რეჟიმის კორექტირებით შესაძლებელია მზა ნაწარმის რამოდენიმე თვისობრივი მახასიათებლის განსხვავებულად, უფრო მიმზიდველად და ხარისხთან შესაბამისობაში წარმოჩენა; ამით მიიღწევა, აგრეთვე, ბიზნესის თვალსაზრისით მეტად მაცდური შედეგი, სარეალიზაციო პროდუქტის გამოსავლიანობის გაზრდა; არანაკლებია ეფექტურად შეფუთვით, ან სხვა ხრიკის გამოყენებით არასტანდარტული, მდარე ღირებულების პროდუქტის ხარისხიანად წარმოჩენის მცდელობის შემთხვევებიც.

განასხვავებენ ფალსიფიკაციის რამოდენიმე სახეს: ასორტიმენტულს, კვალიმეტრულს, რაოდენობრივს, საინფორმაციოს და სხვ. [12].

ასორტიმენტული ფალსიფიკაციას, როგორც წესი, ადგილი აქვს უშუალოდ საწარმოს საამქროში პროდუქტის გამზადებისას, რა დროსაც: (ა) ერთი სახეობის ცხოველის ხორცს ჩაანაცვლებენ სხვა სახის ხორცით, ან (ბ) რეცეპტურით გათვალისწინებული კვებითი და ბიოლოგიური ღირებულების ტანხორცის კონკრეტული ჩამონაჭერს, სხვა უფრო დაბალი ხარისხის ჩამონაჭრით, ან კიდევ (გ) ხორცის გარკვეულ ნაწილს მცენარეული წარმოშობის ნედლეულით და/ან მასალით; ფალსიფიკაციის ამავე სახეს მიეკუთვნება შემთხვევა, (დ) როდესაც მზა ნაწარმის ტენიანობა აღემატება რეგლამენტით გათვალისწინებულს.

კვალიმეტრული ფალსიფიკაციისას მიმართავენ იმავე მეთოდებს, რასაც ასორტიმენტული ფალსიფიკაციისას. ასეთი ფალსიფიკაცია, როგორც წესი, უფრო ხშირად გვხვდება მასობრივად მოხმარებულ ხორცპროდუქტებში: მოხარშულ ძეხვეულში, ნახევარფაბრიკატებში და ხორცის კონსერვებში.

ინფორმაციული ფალსიფიკაცია არის აღნიშნული დარღვევების, თანამდევი მოვლენა, რამდენადაც ის მოხმარებელს არასწორად წარმოუჩენს შესაძენი პროდუქტის შედგენილობას, შეიცავს თუ არა ის სააკვებ დანამატებს, შემავსებლებს და სხვ. ჩვენ დღევანდელობაში ნაკლებად გვხვდება ინფორმაციული ფალსიფიკაციის მეორე სახე – ეტიკეტის შეცვლა, რომლის მიზანია მდარე ხარისხის ნაწარმის უფრო ღირებულად წარმოჩენა. ფალსიფიკაციის ეს სახე, არ თუ იშვიათად გვხვდება გეგმიკური ეკონომიკის ქვეყნების სახელმწიფო საცალო ვაჭრობის ქსელში.

თანამედროვე ეტაპზე სურსათის ხარისხის მართვის არსებული სისტემა და კვლევის მეთოდები (მათ შორის PCR, ანუ პოლიმერაზული ჯაჭვური რეაქციის), საშუალებას იძლევა უშეცდომოდ გამოავლინოს ნებისმიერი სახის ფალსიფიკაცია. მიუხედავად ამისა, ისინი ნაკლებად გვხვდება პრაქტიკაში, რამეთუ პასუხის მისაღებად საჭიროებს საკმაოდ რთულ კვლევებს, ძვირადღირებულ ტექნიკურ საშუალებებს და, რაც არანაკლებ მნიშვნელოვანია, დიდ დროს. ამდენად, ამ სფეროში კვლევების ეფექტურობის გადიდება შესაძლებელი გახდება ახალი, ე.წ. „ექსპრეს მეთოდების“ დამუშავებით.

მომხმარებელთა უფლებების დაცვა, შეიძინონ ხარისხიანი და უვნებელი სურსათი, უნდა უზრუნველყოს კარგად ორგანიზებულმა სახელმწიფო ლაბორატორიების ქსელმა, რაც აგრეთვე, მოითხოვს აქ მომსახურე ადამიანური რესურსების მაღალ კვალიფიკაციას და პასუხისმგებლობის ამაღლებას.

## ლიტერატურა

1. Food fraud – Intention, detection and management. Food safety technical toolkit for Asia and the Pacific No. 5. Bangkok. FAO. 2021, p.1-44;
2. Crceva Nikolovska R., Angeleska A., Nikolovski A., Stojkovic Dimitrievska E., Poposka Treneska V., Sekovska B. Detecting Meat Fraud in Food Supply Chain. “Western Balkan Journal of Agricultural Economics and Rural Development”. 2019, Vol. 1, No. 2 (85-160), p.125-133;
3. საქართველოს კანონი სურსათის/ცხოველის საკვების უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის კოდექსი. საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, ინტერნეტ-რესურსი <https://matsne.gov.ge/ka/document/view/1659434?publication=14> (ბოლო ნახვა 11.09.2021);
4. საქართველოს მთავრობის დადგენილება №1182016 წლის 9 მარტი, ქ. თბილისი. ტექნიკური რეგლამენტის – საქონლის ხორცისა და საქონლის ხორცის პროდუქტების ეტიკეტირების წესის დამტკიცების შესახებ. ინტერნეტ რესურსი, <https://matsne.gov.ge/ka/document/view/3217675?publication=0>, ბოლო ნახვა 17,09,2021,
5. გ. გოგოლი, გ. მეგრელაძე. სასურსათო პროდუქტების ხარისხი და უვნებლობა. სამეცნიერო კონფერენციის შრომათა კრებული: „კვების პროდუქტების ხარისხის გაუმჯობესების პრობლემები“, თბილისი, 2016, გვ. 105–108;
6. G. Gogoli. For the Definition of the Terms "Quality" and "Safety" in the Evaluation of Meat and Meat Products. International Scientific Conference, Chemical and Technological Aspects of Biopolymers (CHTAB), Sokhumi State University. Book, Tbilisi-Georgia, 2020, v. I, p. 206-211;
7. Food Quality and Safety Systems: A Training Manual on Food Hygiene and the Hazard Analysis and Critical Control Point (HACCP) System. FAO, 1998, ინტერნეტ რესურსი <http://www.fao.org/publications/card/en/c/4dbafa30-9c32-5dc2-bf3c-644759a2fc30/> (ბოლო ნახვა 17.09.2021);
8. სურსათის უვნებლობის სახელმძღვანელო, ფერმიდან-სუფრამდე. სურსათის ეროვნული სააგენტო (ბროშურა), nfa@gov.ge, 2016. 27 გვ;
9. HACCP-ის სახელმძღვანელო. საერთაშორისო საფინანსო კორპორაციის (IFC) საკონსულტაციო პროგრამა ევროპასა და ცენტრალურ აზიაში, საქართველო, საერთაშორისო საფინანსო კორპორაცია (IFC), თბილისი 2011, 80 გვ;
10. სურსათის უვნებლობის სახელმძღვანელო რძის სექტორისთვის. პირველი გამოცემა, Mercy Corps Georgia, თბილისი, 2011, 92 გვ.;
11. <https://www.myadvokat.ge/ka/about/692> (ბოლო ნახვა 18.09.2021);
12. Николаева М.А., Лучников Д.С., Неверов А.Н. Идентификация и фальсификация пищевых продуктов. Москва, Экономика, 1998, с. 1-108.

## SUMMARY

### COUNTERFEITING OF MEAT PRODUCTS AND OPPORTUNITIES FOR THEIR DETECTION

**Gogoli G.**

**Georgian Technical University**

Research on the global consumer market for meat products has shown that counterfeiting is quite common. Georgia is no exception in this regard. The ways of their manifestation are known, including the use of modern PSR tests, but the activities of our regulatory services are less effective due to liberal legislation, as well as a weak material and technical base. The development of rapid research methods for detecting fraud is important not only for the timely prevention of economic crimes, but also for protecting the health of consumers and preserving their ability to work.

## ქართული (ნაციონალური) პურის წარმოების თავისებურებანი და კვლევა

დოლიძე მ., სადალაშვილი ჯ., სუხიშვილი ნ.  
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

ოდითგანვე ცნობილია ქართული პური თავისი გემოვნური თვისებებითა და არომატით. ქართული პურის მსგავსად საყოველთაო მოწონებით სარგებლობს ქართული ღვინოც. უწმიდესი და უნეტარესი ილია II ბრძანებს – „საუკუნეების მანძილზე მევენახეობა და მეხორბლეობა ჩვენი ყოფის განმსაზღვრელ ფაქტორს წარმოადგენდა. ქართველი კაცი მათში განსაკუთრებულ მნიშვნელობასაც დებდა და ზიარების საიდუმლოს აღასრულებელ შესაწირად აღიქვამდა. ამიტომაც ამ კულტურებზე ჩვენი ზრუნვა საუფლო საქმედ მიიჩნეოდა.“ „ღვინის გზის“ სახელწოდებით ცნობილ საქართველოში დაკვირვებებმა ცხადყო, რომ, სამწუხაროდ, პურის საცხოვრების უმეტესობა პურს არ ამზადებს კლასიკური ორფაზიანი ტექნოლოგიით, არამედ იყენებს მარტივ ერთფაზიან ინტენსიურ (დაჩქარებულ) მეთოდს, რაც იწვევს საფუარის რაოდენობის ზრდას და პურის ხარისხის დაქვეითდებას. ნაშრომში განხილულია ქართული ნაციონალური პურის წარმოების თანამედროვე მდგომარეობა.

**საკვანძო სიტყვები:** ქართული პური, საფუარი, პურის წარმოება.

გასული საუკუნის 70-იან წლებამდე, თბილისის თითქმის ყველა უბანში, შემორჩენილი იყო ქართული კუსტარული, ქვევრის ტიპის კერამიკული ღუმელები, რომლებიც მუშაობდა შემაზე, იყო შრომატევადი და არარენტაბელური.

საინტერესო ის არის, რომ პურის ცომის ზეღვა ხდებოდა ორფაზიანი, აფრული მეთოდით, რომელიც ითვალისწინებდა 30–40 %-იანი ფქვილის გამოყენებას. ფქვილის საცხოვრებად გამოყენებას სჭირდებოდა მრავალი ოპერაცია (გაცრა, მარილიანი ხსნარის მომზადება, მოზეღვა, ულუფებად დაჭრა და მომწიფება) და საჭიროებდა დიდ დროს.

ცხრ. 1-ში წარმოდგენილია ქართული პურის ფიზიკურ-ქიმიური მახასიათებლები ერთ- და ორფაზიანი მუშაობის შემთხვევაში.

**ცხრილი 1. ქართული პურის ფიზიკურ-ქიმიური მახასიათებლები ორფაზიანი და ერთფაზიანი მუშაობის შემთხვევაში**

ერთფაზიანი	უმალლესი ხარისხი		პირველი ხარისხი		მეორე ხარისხი	
	მრგვალი	შოთი	მრგვალი	შოთი	მრგვალი	შოთი
სინესტის მახასიათებელი, %	< 36,0 %	< 40,0 %	< 37,0 %	< 41,0 %	< 38,0 %	< 42,0 %
სიმჟავე, გრადუსი	3 <sup>0</sup>	3,5 <sup>0</sup>	3 <sup>0</sup>	3,5 <sup>0</sup>	4 <sup>0</sup>	4,5 <sup>0</sup>
<b>ორფაზიანი</b>						
სინესტის მახასიათებელი, %	41,0 %	44,0 %	40,0 %	42,0 %	41,0 %	42,0 %
სიმჟავე, გრადუსი	4 <sup>0</sup>	4,5 <sup>0</sup>	4 <sup>0</sup>	4,5 <sup>0</sup>	4,5 <sup>0</sup>	5,0 <sup>0</sup>

კლასიკურ მეთოდში ხაში ყოვნდებოდა რამდენიმე საათის განმავლობაში. ასეთი მეთოდით მომზადებული ცომი განიცდის სრულფასოვან ფერმენტაციას, პური გამოდის სურნელოვანი და ფაფუკი. ნახევარფაბრიკატი ცომების შესწავლამ გვიჩვენა, რომ ყველაზე ძლიერ გავლენას ცომში განიცდის ცილა და pH, რაც განსაზღვრავს ცომის მჟავიანობასა. ამ პროცესს უზრუნველყოფს რძემჟავა ბაქტერიები.

ცნობილია, რომ სიმჟავე მნიშვნელოვნად უწყობს ხელს წებოგვარას განვითარებას. ცილოვანი ბალანსის პროცესი განსაზღვრავს პურის გემოვნურ თვისებებს. მნიშვნელოვანია აგ-

რეთვე ფქვილის სინესტე – თუ ფქვილი სათანადოდ მშრალი არ არის, მაშინ პურის ხარისხზე საუბარიც აზრს კარგავს, არც ცომის გადამჟავება დასაშვებია. შეიძლება ითქვას, ცომის სიმჟავე, და არა გადამჟავება, ქართული პურის გემოვნური თვისებებისათვის მეტად მნიშვნელოვანია.

ჩვენ მიერ ჩატარდა ინოვაციური კვლევა. საკუთარი გამოცდილებით ვაწარმოებდით მონიტორინგს, დავაკვირდით პურის ცხობას თბილისის სხვადასხვა ქუჩაზე (ზესტაფონის, კლარაცეტკინის, ორთაჭალის, მახარაძისა და დავითაშვილის) მდებარე თონეებში.

ცდები და ანალიზები ჩატარებულია ზესტაფონის ქუჩა #11-ში ს.ს #4 პურის ქარხნის თონეში და ლაბორატორიაში, აგრეთვე შპს „ტესტი“-ს ლაბორატორიაში.

როგორც ფოთლების ქიმიური შემადგენლობიდან და მათი სასარგებლო თვისებებიდან ჩანს, ფოთლის დანამატის სახით ჩართვა გაამდიდრებს ჩაის პროდუქციას იმ ნივთიერებებით, რომლებიც გაამდიდრებენ ჩაის ნაყენის ანტიმიკრობულ თვისებებს, დაიცავს ორგანიზმს მავნე მიკროფლორის განვითარებისგან. შესაძლოა მიღებული ჩაის პროდუქციის სამკურნალო-პროფილაქტიკური დანიშნულებით გამოყენებაც.

ლიტერატურული წყაროებიდან ცნობილია, რომ ბროწეულის ფოთოლი შეიცავს წყალში ხსნად მვირფას ნივთიერებებს, ამიტომ, მისი ექსტრაქციით მიღებული წყალხსნარი წარმატებით შეიძლება გამოვიყენოთ შავი ჩაის წარმოებაში. ექსტრაქციისათვის აუცილებელია ფოთლის წინასწარი თბური დამუშავება, რომლის შედეგადაც ფოთლის შემადგენლობაში



შემავალი ქლოროფილი და სხვა პროდუქტის გემოზე უარყოფითად მოქმედი ნივთიერებები იშლება, რაც იწვევს სიმწარის გემოს გაქრობას და არომატის შერბილებას.

კვლევის მიზანს შეადგენდა:

- **ბროწეულის ფოთლის ექსტრაქტის მიღება** – იგი მიღებულ იქნა შემდეგნაირად: ახლად-დაკრეფილი ბროწეულის ფოთლები → ფიქსაცია წყლის ორთქლით → ფიქსირებული ფოთლები → შეშრობა, დაქუცმაცება → გაშრობა 3-5% ტენშემცველობამდე → ექსტრაქტის მიღება (95–100 °C, სამჯერადი ექსტრაქტით, 35 წუთი, თანაფარდობა 1 : 5). ჩაის გრეხისას დასამატებელი ექსტრაქტის ოპტიმალურ დოზად აღებული გვექონდა ჩაის კვლევაში მიღებული და დადგენილი რაოდენობა, რაც შეადგენს 20 ლ-ს 200 კგ ჩაის ფოთოლზე ანუ მოსაგრეხი ჩაის 10 %-ს.

- **შავ ჩაიში დასამატებელი ბროწეულის ფოთლის ექსტრაქტის ოპტიმალური დოზის დადგენა** – ექსტრაქტის ოპტიმალურ დოზებად შერჩეულ იქნა 5, 8 და 12% ექსტრაქტის რაოდენობები, რომლებიც დავამატეთ 64% ნარჩენ ტენიანობამდე მომღწარი ფოთლის ოთხ ტოლ ნაწილზე. თითოეული ნაწილი მოვათავსეთ ცალ-ცალკე ფირფიცარზე, 2–2,5სმ სისქით:

*საკონტროლო* – ფერმენტაცია + სუფთა წყალი დასხურებით;

*საცდელი 1* – ფერმენტაცია + 5% ბროწეულის ფოთლის ექსტრაქტი;

*საცდელი 2* – ფერმენტაცი + 8% ბროწეულის ფოთლის ექსტრაქტი;

*საცდელი 3* – ფერმენტაცია + 12% ბროწეულის ფოთლის ექსტრაქტი.

ფერმენტაციის დრომ შეადგინა 1,5 სთ ოთახის ტემპერატურაზე და მაღალი ფარდობითი ტენიანობის პირობებში. ფერმენტაციის დამთავრების შემდეგ (რომელსაც ვაკვირდებოდით ვიზუალურად მწვანედან სპილენძისფერის მიღებამდე) ოთხივე ნიმუშს ვაშრობდით ერთნაირ პირობებში, სპეციალურად შექმნილ საშრობ საკანში, 90–95°C ტემპერატურაზე, გაცხელებული მშრობი აგენტის მიწოდება 0,6–0,7მ/წმ სიჩქარით, 10–15 წუთის ხანგრძლივობით, 5–6სმ სისქის ფენით, 5–6% ნარჩენ ტენიანობამდე.

- **დანამატით მიღებული ჩაის პროდუქტის ორგანოლექტიკური და ძირითადი ქიმიური მაჩვენებლების შესწავლა** - განსაზღვრის შედეგები მოცემულია ცხრილში 1.

**ცხრილი 1. შავი ჩაის წარმოების სტადიებზე ბროწეულის ფოთლების დამატებით მიღებული პროდუქტის ძირითადი ხარისხობრივი მაჩვენებლები**

ცდის ვარიანტი	ნაყენის ფერი	არომატი, ბალი	გემო, ბალი	გარეგანი სახე ბალი	ექსტრაქტული ნივთიერებები, %	ფენოლური ნაერთები, %
საკონტროლო	არასაკმარისად კაშკაშა გამჭვირვალე საშუალო	2,75	მომლაშო-მომწვლარტო 3,00	ერთგვაროვანი 1,75	32,75	12,5
საცდელი 1 5%	კაშკაშა გამჭვირვალე საშუალო	2,75	3,25	ერთგვაროვი 2,25	33,95	14,0
საცდელი 2 8%	კაშკაშა გამჭვირვალე საშუალო	3,0	3,25	ერთგვაროვანი 2,25	34,15	14,75
საცდელი 3 12%	არასაკმარისად კაშკაშა ნაკლებკაშკაშა საშუალო	2,75	3,00	ერთგვაროვანი 1,75	33,2	14,0

როგორც ცხრილის მონაცემებიდან ჩანს, ბროწეულის ფოთლების ექსტრაქტის 8% დოზით დამატებისას ადვილი აქვს მასში შემავალი ექსტრაქტული ნივთიერებების მაქსი-

მაღურ და სრულ შეთვისებას მომღწარი ჩაის ფოთლის ნარევთან გადამუშავებისას, ხოლო დოზების შემდგომი გაზრდისას დანამატის შეთვისების ხარისხის მაჩვენებელი მცირდება, რაც უნდა აიხსნა მოსაგრები ნარევის გადატენიანებით. ამასთან აღსანიშნავია, რომ დანამატის 8% დოზის დროს მიიღწევა გემურ-არომატული ბალური შეფასებისა და ექსტრაქტული და ფენოლური ნაერთების შემცველობის მაქსიმალური მნიშვნელობები. ამდენად, ბროწეულის ფოთლის ექსტრაქტის ოპტიმალურ დოზად ჩაითვალოს 8% მომღწარ ფოთლის რაოდენობის.

#### ლიტერატურა

1. ლასარეიშვილი ს., ტრაპაიძე ჩ. ბროწეული, გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“, თბილისი, 1982, გვ. 32.
2. ჩაგელაშვილი ც., გოგორიშვილი მ. საქართველოს სამკურნალო მცენარეების და მათი გამოყენება. თბილისი, გამომცემლობა „მეცნიერება“, 1991, გვ.144.
3. ჩხაიძე გ. - სუბტროპიკული კულტურები, თბილისი, 1996, გვ.510.
4. Лавренов В.К., Лавренова Г.В. Полная энциклопедия лекарственных растений, издательский дом «Нева», Санкт-Петербург, «Олмапресс», Москва, 1999, I и II т.
5. ინტერნეტ რესურსებიდან: <http://webfazenda.ru/garnet.html> <https://pauligpromo.ru/poleznye-sovety/granat-uglevody-na-100-himicheskii-sostav-i-kaloriinost-granata-ego-polza/>

#### SUMMARY

#### ON THE USE OF PLANT RAW MATERIAL EXTRACT IN THE PRODUCTION OF BLACK TEA

Kakhniashvili E.Z.

Akaki Tsereteli State University

The study of biologically active substances in plant raw materials and their inclusion in food and in tea production is an actual issue. In this respect, especially is a subtropical plant – pomegranate. We use this plant in the process of making black tea products. While adding pomegranate leaf extract at a dose of 8%, it is easy to fully and completely assimilate the extractive substances contained in it by processing it with a mixture of melted tea leaves, and increasing the dose further reduces the rate of absorption of the additive, which should be explained by wetting the mixture. It's noteworthy that at a dose of 8% of the additive, maximum values of flavor-aromatic evaluation and content of extract and phenolic compounds are achieved. Thus, the optimal dose of pomegranate leaf extract is considered to be 8% of the number of wilted leaves.

#### ლეღვის შრობა

კინწურაშვილი ქ.მ., გოგიშვილი ნ.ჯ.  
აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ლეღვის ჩირი შაქრების, ვიტამინების შემცველობით და კალორიულობით იკავებს ერთ-ერთ პირველ ადგილს მშრალი ხილის სხვადასხვა სახეობებს შორის და მოსახლეობაში დიდი მოთხოვნილებით სარგებლობს. ცნობილია თავისი სასარგებლო, სამკურნალო თვისებებით და ამასთანავე ძალიან გემრიელია. ჩვენს მიზანს წარმოადგენდა შრობისთვის ლეღვის საუკეთესო ჯიშების შესწავლა და გამოვლენა, ნედლეულის წინასწარი დამუშავების ოპტიმალური რეჟიმის დადგენა, მეთოდის არჩევა და შრობის ოპტიმალური პარამეტრების დადგენა. ლეღვის შრობა პირველ 6-8სთ მიზანშეწონილია ვაწარმოოთ 75-80°C ტემპერატურაზე, შემდეგ 4-6სთ 50-60°C-ზე. პროცესის ხანგრძლივობა მერყეობს 10-დან 14სთ-მდე.

ლეღვი – საქართველოში ფართოდ გავრცელებული კულტურაა. ლეღვი ერთ-ერთი უძველესი ხილია, რომელსაც ადამიანი ხუთი ათას წელზე მეტია, რაც იცნობს. ლეღვის სამ-

შობლო მცირე აზიის სამხრეთ აღმოსავლეთი ნაწილია. საქართველოში ლეღვი უხსოვარი დროიდან არის ცნობილი. მისი ველური ფორმები დღესაც არის შემორჩენილი. ლეღვის კულტურული ნარგავები ჩვენში ძირითადად წამოდგენილია საკარმიდამო ნაკვეთებში ერთეული ან ჯგუფური სახით [5].

ლეღვის ნაყოფი ხასიათდება მსუბუქი არომატით, სასიამოვნო გემოთი, მდიდარია შაქრებით. ლეღვის ნაყოფი მეტად გემრიელი, პოპულარული დიეტურ-სამკურნალო მნიშვნელობის ხილია. ლეღვის შემადგენლობაშია 80% წყალი, 0,5% ცხიმები, 1,3 – ცილები, 13% – ნახშირწყლები, 4,5 – ბალასტური ნივთიერებები, 0,7% მინერალები (რკინა, სელენი, მაგნიუმი, ფოსფორი, კალციუმი და სხვა), ვიტამინები დიდი რაოდენობით: A, B1, B2, B6, C. მის შემადგენლობაშია ასევე ნიკოტინის მჟავა, კაროტინოიდები, სხვადასხვა ფერმენტი, კაუჩუკი, ინვერტირებული შაქარი, ხილის მჟავა, პექტინი და პროტეინი [1].

მისგან დამზადებულ მურაბას, ჯემს, ცუკატს, ჩირს მომხმარებელში ფართო გამოყენება აქვს. ამ ძვირფასი საკვები ნედლეულის გამოყენება შეზღუდულია იმით, რომ მისი შენახვის ხანგრძლივობა მცირეა და მალე ფუჭდება [3]. ლეღვის ნაყოფები მალფუჭებადია, მისი შენახვა ხელოვნურ პირობებში მოითხოვს დიდ სასაწყობე მეურნეობას, ენერგოდანახარჯებს და ძვირადღირებულ სამაცივრე დანადგარებს.

ლეღვის ჩირი, რომელიც მიღებულია მაღალხარისხოვანი ნაყოფებიდან, შაქრების, ვიტამინების შემცველობით და კალორიულობით იკავებს ერთ-ერთ პირველ ადგილს მშრალი ხილის სხვადასხვა სახეობებს შორის და მოსახლეობაში დიდი მოთხოვნით სარგებლობს. ლეღვის ჩირის შაქრიანობა 70%-ს აღწევს [4]. ლეღვის კალორიულობა 100 გრამზე 60 კკალორიაა, ხოლო ლეღვის ჩირის – 250 კკალორია. მიუხედავად ამისა, საქართველოში, ლეღვის სამრეწველო შრობა არ ხდება, ხოლო ბუნებრივ პირობებში შრობა არის შრომატევადი, ხანგრძლივი და დამოკიდებულია მეტეოროლოგიურ პირობებზე.

ჩვენს მიზანს წარმოადგენდა ლეღვის ჩირის დასამზადებლად საუკეთესო ჯიშების გამოვლენა, ნედლეულის წინასწარი დამუშავების ოპტიმალური რეჟიმის დადგენა, მეთოდის არჩევა და შრობის ოპტიმალური პარამეტრების დადგენა.

ცნობილია, რომ გამშრალი პროდუქტის ხარისხი დამოკიდებულია ნედლეულის ხარისხზე. ცდებით დადგენილია, რომ ლეღვის სხვადასხვა ჰომოლოგიური ჯიში არსებითად განსხვავდება კონსისტენციით, ქიმიური, ტექნიკური და ორგანოლექტიკური მაჩვენებლებით. შრობისათვის უფრო ვარგისად ჩაითვალა კალიმირნა, კადოტა, ჩაპლა და თეთრი ლეღვი [2].

შრობის წინ ნაყოფებს ჩავუტარეთ ბლანშირება, ხოლო შემდეგ დავაბოლეთ გოგირდის ანჰიდრიდით. ეს უზრუნველყოფს შრობის ხანგრძლივობის შემცირებას, გამშრალი ხილის გაფუჭებისაგან და ვიტამინების დაკარგვისაგან დაცვას, ამლევს მათ გამჭვირვალე, პრიალა იერს და სასიამოვნო ფერს.

პროდუქტის სიმწიფის ხარისხისაგან დამოკიდებულებით ბლანშირების ოპტიმალური ხანგრძლივობა მერყეობს 5-დან 7 წუთის ფარგლებში გოგირდის ანჰიდრიდის 2სთ დაბოლებისას (გოგირდის კონცენტრაცია არის 1,5კგ 1კგ ნედლეულზე).


ლეღვის გასაშრობად გამოვიყენეთ კონვექციური საშრობი.

ლეღვის შრობა პირველ 6–8სთ ვაწარმოეთ 75–80°C ტემპერატურაზე, შემდეგ 4–6სთ 50–60°C-ზე. შრობის მეორე ეტაპზე პროდუქტი მოითხოვს თბურ და ტენიან დამუშავებას, ამიტომ თბოგადამცემის ფარდობითი ტენიანობა უნდა იყოს 10–15%.

ცდებით დადგენილია თბოგადამცემის საჭირო სიჩქარე ცალმხრივი სითბოს მიწოდებისთვის. თბოგადამცემის ერთი მიმართულებისას კამერაში ნედლეულიანი იარუსების რაოდენობა არ უნდა აღემატებოდეს რვას, ხოლო რევერსული სითბოგადამცემის დროს შეიძლება იყოს 12.

საშრობის ზედაპირის ხვედრითი დატვირთვა მერყეობს 10–15კგ/(მ<sup>2</sup>.სთ) ფარგლებში. გასაშრობი ლეღვი ეწყობა ერთ ფენად, ამიტომ საშრობის ზედაპირის ხვედრითი დატვირთვა ძირითადად დამოკიდებულია ნაწარმის ზომაზე და წონაზე. პროცესის ხანგრძლივობა მერყეობს 10-დან 14სთ-მდე.

ჩვენს ინტერესს წარმოადგენდა თვითონ შრობის პროცესის მიმდინარეობა და ნედლეულიდან ტენის მოცილების კანონზომიერება. ნახაზზე მოცემულია შრობის და შრობის სიჩქარის სახასიათო მრუდები, გამომდინარე ერთ-ერთი ექსპერიმენტული მონაცემებიდან.



ნახ.1. ლეღვის შრობის (1) და შრობის სიჩქარის (2) მრუდი

გრაფიკიდან ჩანს, რომ პროცესის დასაწყისში ადგილი აქვს მასალის მოკლევადიან გაცხელებას, შემდეგ შეიმჩნევა სწორი ხაზის გარკვეული სეგმენტი (2–3სთ), სადაც შრობის სიჩქარე-მუდმივი სიდიდეა. შემდეგ პროცესი მიდის მრუდის გასწვრივ პროდუქტის საბოლოო ტენიანობამდე 22–24%. ასეთი რეჟიმით გამშრალი ლეღვი თანაბრად რბილია, არაწებოვანი, ფერით და გემოთი არ განსხვავდება მზეზე გამშრალი ხილისგან როგორც კონსისტენციით, ასევე ქიმიური შემადგენლობით და პასუხობს სტანდარტის მოთხოვნებს. ასეთი გამშრალი ლეღვი კარგად ინახება ჩვეულებრივ პირობებში ერთი წლის განმავლობაში. უფრო ხანგრძლივი შენახვის დროს მიზანშეწონილია გამშრალი ლეღვი შევინახოთ ყუთებში დეზინფიცირებულ დახურულ შენობაში.

ცხრილში მოცემულია თეთრი ლეღვის ნედლი და გამშრალი ნაყოფების საშუალო მაჩვენებლები.

#### თეთრი ლეღვის ნედლი და გამშრალი ნაყოფების საშუალო მაჩვენებლები

მაჩვენებლები	ლეღვი		მაჩვენებლები	ლეღვი	
	ნედლი	გამშრალი		ნედლი	გამშრალი
საშუალო მასა, გ	30–41	5,4–12,5	ფერი	მწვანე	ყვითელი
საშუალო მოცულობა, სმ <sup>3</sup>	32	10	ტენი, %	85,53	20–24
სიმკვრივე, გ/სმ <sup>3</sup>	0,93	0,95	მშრალი ნივ-ბა, %	12–15	76–80
სიმაღლე, მმ	30	10	შაქარი, %	10–12	48–55
დიამეტრი, მმ	40	30	პექტინი, %	0,95	3,01

ჩატარებული სამუშაოების შედეგად შეიძლება გავაკეთოთ შემდეგი დასკვნები:

პროდუქტის სიმწიფის ხარისხისაგან დამოკიდებულებით ბლანშირების ოპტიმალური ხანგრძლივობა მერყეობს 5-დან 7 წუთის ფარგლებში გოგირდის ანჰიდრიდის 2სთ დაბოლებიდან.

ლეღვის შრობა პირველ 6-8სთ მიზანშეწონილია ვაწარმოთ 75–80°C ტემპერატურაზე, შემდეგ 4–6სთ 50–60°C-ზე. პროცესის ხანგრძლივობა მერყეობს 10-დან 14სთ-მდე.

#### ლიტერატურა

1. ავთანდილ გელაძე, ლელა ყაჭვიშვილი. ხილისა და ბოსტნეულის შრობის მარტივი ტექნოლოგია საოჯახო პირობებში. პუბლიკაცია მომზადებულია საქართველოს მწვანეთა მოძრაობა/დედამიწის მეგობრები - საქართველოს მიერ. თბილისი. 2012წ.
2. Гогішвили Н. Дж. Характеристика лучших промышленных сортов инжира грузии и их хранение. //Международный научно-практический журнал „Евразийский союз ученых“, Россия, Москва, №5 (86) 2021, т. 1, сс. 4-8.
3. Сабуров Н.В. Антонов М.В. Хранение и переработка плодов и овощей. - Москва, Сельхозиздат, 1962, 448 с.
4. Субтропические культуры. Даньков В. В., Скрипниченко М. М., Горбачёва Н. Н. Издательство Лань, 2014, 160 с.
5. ხიმიზურაშვილი ნ. ლეღვი. თბილისი. 1955წ.

#### SUMMARY

#### DRIED FIGS

**Kintsurashvili K.M. Gogishvili N.G.**

**Akaki Tsereteli State University**

Dried figs, in terms of sugar content, vitamins and calories, take one of the leading places among the various types of dried fruits and are in great demand among the population. It is known for its useful, healing properties and at the same time for its tastefulness. Our goal was to study and identify the best varieties of figs for drying, to determine the optimal mode of pre-processing of raw materials, to choose the method and to determine the optimal parameters of drying. It is recommended to dry the figs for the first 6-8 hours at 75-80 ° C, then for next 4-6 hours at 50-60 ° C. The duration of the process varies from 10 to 14 hours. The best varieties for drying are: Kadota, Kalimirna, Chapla and White fig.

## СОВРЕМЕННЫЕ ТЕНДЕНЦИИ РАЗВИТИЯ РЫНКА ПРЯНОСТЕЙ И ПРИПРАВ

**Липатова Л. П.**


**Российский экономический университет им. Г.В.Плеханова, г. Москва**

*Проведен анализ поставщиков специй и пряностей, представлены тенденции развития рынка специй на территории Российской Федерации. Отмечено, что общий объем рынка специй и пряностей в последние годы изменяется незначительно, находясь в ситуации относительной стабильности. Определены тренды потребительского поведения, которые включают требования к безопасности, рациональности потребления, качеству упаковки.*

В настоящее время все большую популярность приобретают различные пряности, приправы и специи. На это есть несколько причин. Во-первых, большое внимание привлекают к себе различные национальные восточные блюда, в которые всегда добавлялось большое количество всевозможных специй и приправ. Во-вторых, люди все больше обращают внимание на свое здоровье и состояние организма. А пряности являются отличным натуральным вариантом укрепления иммунитета и профилактики различных заболеваний.

Для предприятий общественного питания и пищевых производств по приготовлению продуктов питания, использование специй является хорошим вариантом усиления вкусовых и визуальных показателей. Как следствие – повышение продаж за счет высокой заинтересованности продуктом у потребителей.

### Наиболее известные торговые марки приправ и специй среди россиян в 2019 году\*, %



### Наиболее приобретаемые торговые марки приправ и специй среди россиян в 2019 году\*, %




Рисунок 1. Популярность торговых марок

### Наиболее часто используемые россиянами специи в 2019 году\*, %




Рисунок 2. Предпочтительные пряности и приправы

Наиболее значимым поставщиком специй на российский рынок является Индия. По данным правительства Индии на 2019 год, эта страна занимала около 65% доли рынка от общего объема производимых специй. Если говорить о России, как о производителе – эксперты заявляют, что сфера пряностей и приправ на данный момент является развивающейся и перспективной. Однако уже сейчас явно видны лидеры рынка (рис.1). Среди явных конкурентных преимуществ

можно выделить такие показатели, как: цена продукции, тип упаковки, ассортиментный ряд, объем упаковки, а также качество продукции.

Среди россиян просматриваются определенные наиболее предпочтительные пряности и приправы (рис. 2). Наибольшую долю рынка продолжают занимать монопродукты, но несмотря на это, специальные готовые смеси приправ и пряностей становятся более привлекательными в глазах потребителей и приводят к положительной динамике продаж.

В 2019 году за период с января по октябрь, по отношению к аналогичному периоду предыдущих лет, продолжился рост производства приправ и пряностей смешанных, хрена готового, муки и порошка горчичного. Производство горчицы готовой вернулось к уровню 2017 года. Производство обработанных пряностей показало рост, но к уровню 2017 года не вернулось (таб. 1).

**Таблица 1. Динамика производства пряностей в Российской Федерации**

Продукт	2017 г.	2018 г.	2019 г.
Приправы и пряности смешанные, т	9 101,4	26 162,49	30 810,67
Мука и порошок горчичные, т	5 183,719	5 182,379	5 607,2
Горчица готовая, т	8 945,469	10 031,26	8 729,65
Хрен готовый, тыс. усл. банок	2 020,29	4 152,69	4 454,9
Пряности обработанные, кг	16 817 631,49	7 960 516,12	9 889 376,64

Если говорить о горчице, то она занимает стабильную долю рынка. Производство горчичного порошка в России держится на стабильном уровне, около 24% ежегодно экспортируется за границу. В 2017-2018 гг. экспорт горчичного порошка в натуральном выражении был в 6-7 раз выше импорта. Направлениями экспорта были преимущественно Беларусь, Казахстан и Латвия. В свою очередь, готовая горчица в объеме около 1/3 от производства готовой горчицы ежегодно импортируется в страну. Импорт в 3,5 раза превышает экспорт в натуральном выражении, основной объем импорта формируется Беларусью и странами Европы (Германией, Францией, Польшей и др.). Данные федеральной статистики указывают на то, что за период 2017-2019 гг. уровень изготовления приправ и смешанных пряностей в России вырос практически в 3 раза, что показывает общее направление импортозамещения. Однако, уровень производства обработанных пряностей в 2018 году снизился по отношению к 2017 году.

Также, стоит отметить тот факт, что большинство производителей занимаются лишь фасовкой и обработкой готовых специй, при этом закупая около 90% сырья. Это связано с тем, что некоторые пряности не выращиваются на территории Российской Федерации из-за климатической особенности страны.

**Таблица 2. Динамика экспорта и импорта пряностей по данным Федеральной таможенной службы**

Год	Экспорт, стоимость, \$	Экспорт, вес, т	Импорт, стоимость, тыс \$	Импорт, вес, т
2017	29277,86	51310,529	107746,469	34090,119
2018	27304,22	44306,879	98356,52	34721,97
2019	21238,45	22275,319	71962,169	27724,45

По официальным данным Федеральной таможенной службы по основным группам пряностей (разные виды перцев, корица, гвоздика, ваниль, кардамон, мускатный орех, шафран, анис, фенхель, бадьян, чебрец, куркума, карри, лавровый лист и другие) в 2017-2018 гг. и экспорт, и импорт показали тенденцию к снижению (таб.2).

Учитывая постепенное снижение экспорта и импорта и рост производства в России, общий объем рынка специй и приправ в последние годы изменяется незначительно, находясь в ситуации



относительной стабильности. Это можно связать с несколькими противоречивыми трендами потребительского поведения, которые наблюдаются на данном рынке.

#### 1. Появление моноспеций и различных миксов специй.

Люди стали больше путешествовать и пробовать различные кухни мира, поэтому вернувшись домой, человек ищет на полках продуктового магазина именно те специи, которые он пробовал за границей.

#### 2. Влияние ресторанной индустрии.

Когда потребитель пробует новое блюдо в ресторане или кафе, то он пытается повторить его у себя дома. Поэтому производители, учитывая данную целевую аудиторию, предоставляют возможность приобрести качественные редкие специи, реализуя их через интернет-магазины или бакалейные лавки.

#### 3. Появление рационального потребителя.

Здесь относится категория людей, которые не готовы переплачивать за специи и у них смещается фокус на более дешевую продукцию.

#### 4. Покупка специй и пряностей за границей.

Многие потребители, посещая другие страны, пробуя новые интересные виды специй и пряностей, предпочитают их закупить в значительном объеме, чтобы хватило до будущей поездки.

#### 5. Вытеснение моноспеций.

На данном этапе нашего времени, потребитель стал предпочитать различные смеси специй и пряностей. Это связано с тем, что человек не готов тратить много времени за приготовлением блюда и изучением рецептов. Поэтому производители стали выпускать готовые смеси специй для определенных блюд, что намного упростило задачу выбора потребителю.

Изучение данной темы привело к пониманию того, что специи являются востребованным продуктом, а спрос среди потребителей продолжает свой рост. При анализе рынка приправ и пряностей, можно сделать определенные прогнозы на будущее. Однозначным является факт продолжения роста популярности специй на рынке. Кроме того, с учетом увеличения внимания потребителей к проблемам экологии, следует сделать акцент на многоразовой или перерабатываемой упаковке. Следует также обратить внимание на то, что для большой группы потребителей удобнее покупать небольшое количество определенных специй (это касается более специфических и нетрадиционных вариантов), поэтому маленькие упаковки могут также иметь высокий спрос у покупателей. Еще одним важным фактором является повышение спроса на острую пищу. Что ведет к увеличению спроса на перец чили и различные смеси с его добавлением.

## ЛИТЕРАТУРА

1. Карабут Татьяна // Агроинвестор – Заработать на специях. Как развивается российский рынок приправ и пряностей. – 2019.
2. Autentika Global по поручению СБИ [Электронный ресурс]. – Режим доступа: <https://www.cbi.eu/market-information/spices-herbs/trends> (дата обращения: 29.04.2021)
3. Research and Markets – Spice and Seasoning Market Growth, Trends and Forecasts (2020-2025). – 2020.
4. Федеральная служба государственной статистики [Электронный ресурс], режим доступа – URL: <https://rosstat.gov.ru/>, дата обращения – 29.04.2021)

## SUMMARY

### CURRENT TRENDS IN THE DEVELOPMENT OF THE MARKET OF SPICES AND SEASONINGS

Lipatova L.P.

Plekhanov Russian University of Economics

The analysis of suppliers of spices and herbs is carried out, trends in the development of the spice market in the territory of the Russian Federation are presented. It is noted that the total volume of the spice market in recent years has changed insignificantly, being in a situation of relative stability. Trends in consumer behavior have been identified, which include requirements for safety, rationality of consumption, and quality of packaging.



## მწვანე კაკლის გამოყენების ინოვაციური ტექნოლოგია ფუნქციონალური პროდუქტის მისაღებად

მამარდაშვილი ნ.გ., ათანელიშვილი ა.ზ., აბაშიძე ს.ბ.  
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

*საქართველოში ლიქიორის წარმოებას არ ექცევა სათანადო ყურადღება მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს ბუნება მდიდარია ლიქიორის წარმოების სანედლეულო ბაზით – ბალახოვანი მცენარეებით და ხილ-კენკროვნებით. აღნიშნულიდან გამომდინარე სადესერტო ლიქიორების წარმოება არსებული ნედლეულის გამოყენებით მეტად აქტუალურ საკითხს წარმოადგენს. კვლევის ობიექტად შეირჩა მწვანე კაკლის ნარჩენი, რადგან გამოირჩევა ბიოლოგიურად აქტიური ნაერთების მაღალი შემცველობით. მათი სტაბილურობის შენარჩუნება კი წარმოადგენს მეტად მნიშვნელოვან საკითხს. ყურადღებას იმსახურებს აგრეთვე გადამუშავებული პროდუქტების მომზადება საქაროზის გამოყენების გარეშე და ამასთან ენერგეტიკული ღირებულების შემცირება. წარმოდგენილ სამუშაოში ნაჩვენებია, რომ ინვერსიული შაქრის გამოყენების შემთხვევაში ნივთიერებების ჰიდროლიზი მნიშვნელოვნად არის შემცირებული, რაც გარკვეულწილად უკავშირდება გლუკოზის მაღალ კონცენტრაციას; ამავე დროს ინვერსიული შაქრის გამოყენების საფუძველზე უმჯობესდება კვებითი დანიშნულება. სტევიოზიდის დამატება და სპირტის დაბალი კონცენტრაცია კი ამცირებს კალორიულობას.*

ადამიანის ჯანმრთელობის შენარჩუნება და სიცოცხლის პერიოდის გახანგრძლივება წარმოადგენს ქვეყნის მნიშვნელოვან ამოცანას, რაც უკავშირდება ბიოლოგიურად აუცილებელი ნივთიერებების შემცველი პროდუქტების გამოყენებას.

ევროპარლამენტისა და ევროკავშირის საბჭოს მიერ (EC1924/2006; EU2012/12) შემუშავებულია მოთხოვნები კვებისა და ჯანმრთელობის შესახებ, სადაც მითითებულია მთელი რიგი ნივთიერებებისა, რომლებსაც აკისრიათ გარკვეული ფიზიოლოგიური როლი. განსაკუთრებული ყურადღება ექცევა: ანტიოქსიდანტური ნივთიერებების შემცველობას, ისინი იცავენ ბიომოლეკულებს ჟანგვითი დაზიანებისაგან და შეუძლიათ თავისუფალი რადიკალების მიერ ინიცირებული ჟანგვის ჯაჭვური რეაქციის შეჩერება. მათ წარმოქმნასთან კი არის დაკავშირებული ქრონიკული დაავადებების – გულ-სისხლძარღვთა სისტემა, კიბო, კატარაქტა, დიაბეტი და სხვა განვითარება, იმუნიტეტის დაქვეითება, ნერვოლოგიური აშლილობა.

ტექნოლოგიის შემუშავების დროს გასათვალისწინებელია ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის(WHO,2003) რეკომენდაციები და ევროპული რეგლამენტის მოთხოვნები (EC1924/2006), რომელთა თანახმად აუცილებელია შაქრის მოხმარების მნიშვნელოვანი შეზღუდვა. ბოლო მონაცემებით, ევროპარლამენტისა და ევროსაბჭოს მიერ (2012/12/EU) შემუშავებული დირექტივების საფუძველზე საერთოდ აკრძალა შაქრის გამოყენება ხილის წვენებში [7,8]. აღსანიშნავია, რომ შაქარი წარმოადგენს ენერგიის წყაროს, სწორედ მისი ჟანგვის შედეგად ხდება ატფ-ს წარმოქმნა. დადგენილია, რომ 2,0–2,5 კვირით შაქრის მიღების შეწყვეტა იწვევს სისხლში გლუკოზის დონის მნიშვნელოვან შემცირებას (ჰიპოგლიკემია). ამიტომ უპირატესობა უნდა მიეცეს გლუკოზისა და ფრუქტოზის გამოყენებას.

შეხედულებები შაქრის (საქაროზა) მოხმარებასთან დაკავშირებით საჭიროს ხდის გამოყენებული იქნას სხვა საშუალებები. ბოლო წლებში ყურადღებას იმსახურებს სტევიოზიდი, როგორც დამატკობელი ან დანამატი. ეს ნივთიერება არის გლიკოზიდი, რომელიც მიღებულია მცენარე სტევიასაგან და გააჩნია სიტკბოს მაღალი მაჩვენებელი. სტევია (*Stevia*

*Rebaudiana Bertoni*) დაბალმოლეკულური მცენარეა, რომელიც არ შეიცავს ნახშირწყლებს, ის 25-ჯერ ტკბილია ვიდრე სუფრის შაქარი და მისი მიღება დაშვებულია.

სტევიოზიდი 1971 წლიდან გამოიყენება იაპონიის კვების მრეწველობაში, აშშ-ში კი დაშვებულ იქნა 2008 წლიდან (Food and Drug Administration) ხოლო ევროპაში – 2011 წლის დეკემბრიდან (EU N1131/2011). იგი ხელს უწყობს არა მხოლოდ გემოს ფორმირებას, გააჩნია ანტიჰიპერგლიკემიური, ინსულინოტროპიული, ანტიკანცეროგენული მოქმედება [9-12].

კვლევის მიზანია, შედარებით დაბალკალორიული, ახალი სახის სადესერტო ლიქიორის მიღების ტექნოლოგიის შემუშავება საქაროზის გამოყენების გარეშე, ბიოლოგიურად აქტიური ნივთიერებების შენარჩუნებით. პროდუქტის მიღების პროცედურები ემყარება ტრადიციულ ტექნოლოგიებს, მაგრამ მოიცავს სიახლის ელემენტებს.


- გამოყენებულია სტევიოზიდი და ინვერსიული შაქარი ალკოჰოლიანი პროდუქტის მისამზადებლად.

- შემუშავებულია საქაროზისაგან ინვერსიული შაქრის რეცეპტურა, დადგენილია ტემპერატურა, ექსპოზიცია და კომპონენტების თანაფარდობა.

- განსაზღვრულია სადესერტო ლიქიორის მიღების ტექნოლოგიური პარამეტრები.

მოუმწიფებელი მწვანე კაკალი შეიცავს ცილას, ცხიმებს, ორგანულ (ვაშლის, ლიმონის) მჟავებს, კაროტინს, ფენოლკარბონმჟავებს, მთრიმლავ ნივთიერებებს (14–35%), ასკორბინის მჟავას 2%-მდე, ქინონს:  $\sigma$  და  $\beta$  იუგლონს, ასევე, როგორც წყალში ხსნად, ისე ცხიმში ხსნად ვიტამინებს, ნახშირწყლებს, იოდს, მიკრო- და მაკრო ელემენტებს.

C ვიტამინის შემცველობით მწვანე კაკალი 9-ჯერ აღემატება შავ მოცხარს და 50-ჯერ ციტრუსებს. მისი რაოდენობა მატულობს ნაყოფის განვითარების მიხედვით და მაქსიმუმს (2,5%) აღწევს ვეგეტაციის პერიოდში – როდესაც ნაყოფი მოუმწიფებელია. ცნობილია, რომ ასკორბინის მჟავა განაპირობებს დეჰოქსირიბონუკლეინის მჟავის სინთეზს. მონაწილეობს ჟანგვა-აღდგენით პროცესებში, ფარისებრი ჯირკვლის ჰორმონებისა და თირკმელზედა ჯირკვლის ესტეროიდული ჰორმონების სინთეზსა და ცვლაში. მწვანე კაკალი ამჟღავნებს ფიტოციდურ, ანტიმიკრობულ თვისებებს, გამოყოფს არომატულ ნივთიერებებს და ეთერზეთებს, აქვს სანიტარული და გამაჯანსაღებელი მოქმედება. მწვანე კაკალი თავისი დადებითი თვისებების მაქსიმუმს აღწევს მაისის შუა რიცხვებიდან ივნისის დასაწყისამდე. [1,3,5].



ნახვერფაბრიკატის დამზადების ტექნოლოგიური სქემა

კვლევის მეთოდика – კვლევის ობიექტად შეირჩა მწვანე კაკალის კანი (ნაფცქვენი), რომლის გამოყენებითაც მომზადდა ალკოჰოლიანი პროდუქტი – ლიქიორი. მისი მომზადების ტექნოლოგია კი მოიცავს სიახლის ელემენტებს, რის საფუძველზედაც მნიშვნელოვნად უმჯობესდება კვებითი ღირებულება.

ლიქიორის მისაღებად ნახევარფაბრიკატი მომზადდა ორჯერადი ექსტრაქციის საფუძველზე. სქემაზე ნაჩვენებია პარამეტრები, სპირტის შემცველობა (მოც %) და თანაფარდობა საწყის ნედლეულთან. I დასხმა – ხანგრძლივობა 15დღე, II დასხმა – 10დღე [2,4,6].

I დასხმა – სპირტი 45% (მოც) : 0,8.

II დასხმა – სპირტი 25% (მოც) : 0.3

ლიქიორის მოსამზადებლად გამოყენებულია საქაროზის ნაცვლად ინვერსიული შაქარი, რომლის საფუძველზეც ინვერსირდება შაქრის 80%, შაქრის საერთო რაოდენობამ შეადგინა 70%, ინვერსიული შაქარი 56%, საქაროზა 14%. მიღებულ სიროფს ემატება სტევიოზიდი 1–1,2 გ/ლ.

მწვანე კაკლის ნარჩენიდან მიღებულ ნახევარფაბრიკატს ემატება ინვერსიული შაქრის სიროფი შეფარდებით 6:1, სადაც ინვერსიული შაქრის რაოდენობა შეადგენს 8%, ხოლო საქაროზა 2%. ძირითადი ყურადღება შეჩერდა შაქრის შემცველობაზე ობიექტში. მონაცემები წარმოდგენილია ცხრილში.

#### შაქრის თვისობრივი შემცველობა ლიქიორში გ/100გ

ობიექტი	ინვერსიული შაქარი	მარტივი შაქარი	საქაროზა	კალორიულობა	კკალ.
				არსებული ტექნოლოგიით	ახალი ტექნოლოგიით
მწვანე კაკლის ლიქიორი	8,0	2,0	2,0	120	48

**დასკვნა.** კვლევის ობიექტად შეირჩა მწვანე კაკლის ნარჩენი, რადგან გამოირჩევა ბიოლოგიურად აქტიური ნაერთების მაღალი შემცველობით. მათი სტაბილურობის შენარჩუნება კი წარმოადგენს მეტად მნიშვნელოვან საკითხს. ყურადღებას იმსახურებს აგრეთვე გადამუშავებული პროდუქტების მომზადება საქაროზის გამოყენების გარეშე და ამასთან ენერგეტიკული ღირებულების შემცირება.

წარმოდგენილ სამუშაოში ნაჩვენებია, რომ ინვერსიული შაქრის გამოყენების შემთხვევაში ნივთიერებების ჰიდროლიზი მნიშვნელოვნად არის შემცირებული, რაც გარკვეულ წილად უკავშირდება გლუკოზის მაღალ კონცენტრაციას; ამავე დროს ინვერსიული შაქრის გამოყენების საფუძველზე უმჯობესდება კვებითი დანიშნულება. სტევიოზიდის დამატება და სპირტის დაბალი კონცენტრაცია კი ამცირებს კალორიულობას.

#### ლიტერატურა

1. <http://agrosc.ge/uploads/kakali%20axali.pdf>.
2. Михалев В., Михалева А. Способ получения экстракта зеленых грецких орехов и используемых в лечебных пищевых (бад) и косметических целях, 2010.
3. <https://mkurnali.ge/fitotherapyia2/samkurnalo-mcenareebi/4686-kakali-universalurisamkurnalo-mcenare.html>.
4. Министерство пищевой промышленности СССР, главное управление спиртовой промышленности СССР ВНИИПрБ. Правила по технике безопасности и производственной санитарии в спиртовой и Ликеро – Водочной промышленности ЦНИИТЭИ Пищепром. Москва, 1972.
5. Мазнев Н. Н. Энциклопедия лекарственных растений, Москва, мартин, 2004.
6. Производственный технологический регламент на производство водок и Ликеро-Водочных изделий. част 1. Москва. 1990.
7. <http://www.alternative-doctor.com/nutrition/sugar.htm>;

8. <http://www.forum.zelek.ru/index.phpshowtopic-4576>
9. Gregersen S, Jeppesen PB, Holst J.J at all 2004; Antihyperglycemic effects of stevioside in type 2 diabetic subjects. J. Metabolism. 53.1.p/73-76.
10. Geuns JMC, BuYse J, Vankeirsbilck A, Temmer L. 2004. About the safety of stevioside used as a sweetener. J. of Food, Agri. and Environment. JFAE 2, p.290-291
11. Geuns JMC 2008. Steviol Glucuronide as Excretion product of Stevioside in Human Volunteers Lack of Carcinogenic Properties of steviol Glycosides and Steviol. J. American Chem. Society. V979. p.573-595.
12. Чухрай М.Г. Сборник рецептов плодо овощей продукции. Санкт-Петербург, 2003, 332с.

## SUMMARY

### INNOVATIVE TECHNOLOGY OF USING GREEN WALNUTS TO GET A FUNCTIONAL PRODUCT

Mamardashvili N.G., Atanelishvili A.Z., Abashidze S.B.

Georgian Technical University

Liqueur production in Georgia is not given due attention, despite the fact that the nature of Georgia is rich in the raw material base for liqueur production - herbaceous plants and fruits and berries. Therefore, the production of dessert liqueurs using existing raw materials is a very topical issue. Green walnut residue was selected as the object of research because it is characterized by a high content of biologically active compounds. Maintaining their stability is a very important issue. Also noteworthy is the preparation of processed products without the use of sucrose, thereby reducing the energy value. The present work has shown that in the case of the use of invert sugar, the hydrolysis of substances is significantly reduced, which is to some extent related to the high concentration of glucose; At the same time based on the use of invert sugar improves nutritional value. Adding stevioside and low alcohol concentration even reduces caloric intake.

## გაყინული საკვების წარმოება და მოხმარება მსოფლიოს მასშტაბით

მიქაბერიძე მ. შ.

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ქუთაისი

*მსოფლიოში პოპულარულია შემდეგი გაყინული პროდუქტები: გაყინული პიცა, გაყინული საცხობი და საკონდიტრო ნაწარმი, გაყინული თევზი და ზღვის პროდუქტები, გაყინული კარტოფილი, გაყინული ბოსტნეული და ხილი, გაყინული ხორცი და ფრინველი, გაყინული სუპები, გაყინული მზა საკვები. გაყინული საკვების წარმოება და მოხმარების ანალიზი გეოგრაფიული რეგიონების მიხედვით შემდეგია: ჩრდილოეთ ამერიკა, ევროპა, წყნარი ოკეანის აზია. ჩრდილოეთ ამერიკა და ევროპა არიან გაყინული საკვები პროდუქტების დიდი მწარმოებლები და ბაზრები. აზია-წყნარი ოკეანის გაყინული საკვების ბაზარი გლობალურ ბაზარზე დომინირებს და აქტიურ კონკურენციას უწევს ევროპას, როგორც გაყინული სურსათის უდიდეს ბაზარს. 2020 წლისთვის, აზია – წყნარი ოკეანე და ევროპა, ახლო აღმოსავლეთით და აფრიკა ერთად შეადგენდნენ გაყინული პროდუქტების მსოფლიო გაყიდვების 35%-ს. ამ რეგიონებში მოსალოდნელია საცალო ბაზარის კიდევ გაზრდა მზა საკვებისა და ნახევარფაბრიკატის, ცომეულისა და დესერტის გაზრდილი მოხმარების ზრდის გამო.*

გაყინული პროდუქტების წარმოება კვების მრეწველობის ერთ-ერთი ყველაზე დინამურად განვითარებადი დარგია. გაყინული საკვების ყველაზე დიდი მწარმოებლები და მომხმარებლები მსოფლიოში არიან შეერთებული შტატები და შვედეთი, სადაც ასეთი ტიპის საკვების მოხმარება აღემატება 50 კგ-ს წელიწადში ერთ სულ მოსახლეზე [1].

გაყინვა ეს არის საკვები პროდუქტების სამომხმარებლო თვისებების შენარჩუნების ერთ-ერთი პროგრესული მეთოდი, რომელსაც ადამიანები ეფექტურად იყენებენ ასობით წელია. მიუხედავად იმისა, რომ ყოველწლიურად იცვლება სასურსათო ნედლეულისა და პრო-

დუქტების დამუშავების ტექნოლოგიები, ხერხები და მეთოდები, საკვები პროდუქტების ხარისხობრივი მაჩვენებლების შენარჩუნების საკითხში მთავარი და მარტივი იარაღი კვლავ იგივე რჩება – საკვები პროდუქტების ტემპერატურის დაყვანა შესაბამის ნიშნულამდე – ტექნოლოგიურ ნორმამდე, რომლის დროსაც მიკრობები და ბაქტერიები წყვეტენ თავიანთ ცხოველმყოფელობას, შესაბამისად კი ხანგრძლივდება საკვების შენახვის ვადები. გარდა ამისა, გაუყინავ საკვებ პროდუქტებთან შედარებით, გაყინული პროდუქტები შეიცავს ვიტამინებისა და მინერალების მაქსიმალურ რაოდენობას, ვინაიდან გაყინვის პროცესი არ გულისხმობს კონსერვანტებისა და ტექნოლოგიური მეთოდების გამოყენებას, რომლებიც უშუალოდ მიმართულია მიკროორგანიზმების გამრავლების წინააღმდეგ, მაგრამ იმავდროულად ამცირებენ პროდუქტების სამომხმარებლო თვისებებს.

გაყინული საკვების წარმოებისა და მოხმარების ფაქტორები მთელს მსოფლიოში არის ერთიდაიგივე, კერძოდ: ადამიანთა ცხოვრების წესისა და კვების რეჟიმების შეცვლა; ძირითადი საკვების პროდუქტების ონლაინ გაყიდვების ზრდა (განვითარებულ ქვეყნებში); კომერციული და სამრეწველო გამოყენებისთვის ხარისხიანი სამაცივრო დანადგარების ხელმისაწვდომობა; მსხვილი საცალო ქსელების სწრაფი ზრდა, როგორცაა ჰიპერმარკეტები და სუპერმარკეტები და სხვა.

გაყინული საკვები პროდუქტების მსოფლიო ბაზარი 2020 წელს 262 მილიარდ დოლარად იქნა შეფასებული და მისი წლიური ზრდის ტემპმა 3,2%-ს მიაღწია, ანალიზით, 2025 წლისთვის ამ მიმართულებით ტემპი უფო აქტიური იქნება და სავარაუდოდ 370 მილიარდ დოლარს მიაღწევს [2,3].

მსოფლიოში პოპულარულია შემდეგი გაყინული პროდუქტები: გაყინული პიცა, გაყინული საცხობი და საკონდიტრო ნაწარმი, გაყინული თევზი და ზღვის პროდუქტები, გაყინული კარტოფილი, გაყინული ბოსტნეული და ხილი, გაყინული ხორცი და ფრინველი, გაყინული სუპები, გაყინული მზა საკვები.

ევროპის ქვეყნებში აქტიურად მოიხმარენ გაყინულ მწვანე ბარდას, ისპანახს, მწვანე ლობიოს, შავ მოცხარს, მოცვს, მარწყვს და ა.შ. გაყინული მზა კერძებისა და ნახევარფაბრიკატების ჯგუფში პირველ ადგილს იკავებს ცომის პროდუქტები, განსაკუთრებით პიცა და სხვადასხვა ისეთი პროდუქტები, როგორცაა პილმენების სხვადასხვა ასორტიმენტები. თევზის პროდუქტებს შორის ბაზრის მნიშვნელოვანი წილი მყარად უჭირავს ფილეს ნაირსახეობას. გარდა ამისა, აღნიშვნის ღირსია შეერთებული შტატები, სადაც ყოველწლიურად ყინავენ რამდენიმე ათეულ ათას ტონა ნედლე სიმინდს და 110,000 ტონაზე მეტ მარცვლეულს [5].

გაყინული ცომეულისა და საჭმლის რეალიზაცია-მოხმარების ტემპი სწრაფად იზრდება აზიისა და წყნარი ოკეანის რეგიონში. გაყინული ცომეულისა და დესერტების ყველაზე დიდი ბაზარად კვლავ ევროპა რჩება და აგრძელებს ლიდერობას გაყიდვების მთლიანი ღირებულების უდიდეს წილში.

გარდა გაყინული ნედლი პროდუქტებისა, გაყინული მოხარშული და შემწვარი კერძები გახდა მთავარი და მოთხოვნადი საკვები პროდუქტები ადამიანთა მოხმარების რაციონში, რომელმაც მსოფლიო მასშტაბით 2020 წლისთვის გაყიდვების ყველაზე მაღალ ნიშნულს – 112,7 მილიარდ დოლარს მიაღწია [5].

სეგმენტი, რომელიც, სავარაუდოდ, მნიშვნელოვნად გაზრდის გაყინული პროდუქტების მსოფლიო ბაზრის წილს და აქტიურ კონკურენციას გაუწევს მთელ რიგ დარგებს მომავალში არის გაყინული ბოსტნეული და ხილი. იმდენად, რამდენადაც ხილის გაყინვას თავისი უპირატესობები აქვს, კერძოდ: გაყინული ხილის გამოყენების ფართო შესლებლობები სეზონურ პე-

რიოდში; გაყინული ხილის ტრანსპორტირება შესაძლებელია ისეთ ბაზრებზე, სადაც ახალ ხილთან წვდომა არ არის შესაძლებელი; გაყინვა საშუალებას იძლევა ნედლი ხილი მთელი წლის განმავლობაში გადამუშავდეს საკვებ პროდუქტებად (ჯემები, წვენები, სიროფები) [6,7].

ერთ-ერთი პოპულარული გაყინული საკვებია – ხორცი და ფრინველი, რადგან მომხმარებლისათვის ისინი ხელმისაწვდომია ჰიგიენური შეფუთვით, რომლის შენახვა-დამუშავება მარტივია. ახალ ხორცს სჭირდება სწრაფი დამუშავება და იზოლირება სხვა საკვები პროდუქტებიდან რათა არ მოხდეს მისი არომატის ან კონსისტენციის გაუარესება, ხოლო სამომხმარებლო ბაზარზე მოწოდებული გაყინული ხორცი შემდგომი დამუშავებისათვის მოითხოვს მხოლოდ გაღობას. ამავე დროს, გაყინული ხორცის შენახვის ვადა უფრო გრძელვადიანია, ვიდრე ახალი ხორცის. გაყინული ხორცის პოპულარული საკვებია – გაყინული საქონლის ხორცი, ხოლო ფრინველის კი – გაყინული იხვი, ინდაური, ქათამი, ბეკონი და ლორი.

მსოფლიოში პოპულარულია ასევე გაყინული თევზისა და ზღვის პროდუქტების წარმოება. მოთხოვნა ასეთ პროდუქტებზე გაზრდილია გაყინული თევზის პროდუქტების ფართო ასორტიმენტის გამო. ზღვის პროდუქტები და თევზი მსუბუქი საკვებია, რომლის მიღება რეკომენდირებულია წელიწადის ნებისმიერ დროს როგორც დიეტური თვალსაზრისით, ასევე ზოგადად მოხმარებისათვის.

არც ისე დიდი ხანია რაც მსოფლიოში მკვეთრად გაიზარდა გაყინული კარტოფილის პროდუქტების ასორტიმენტი და მოხმარების მასშტაბები. მხოლოდ აშშ-ში წარმოებულია დაახლოებით 2 მილიონი ტონა გაყინული პროდუქტი რამდენიმე ათეული სახის კარტოფილიდან. გაყიდვების უდიდესი წილი მოდის ფრანგულ შემწვარ კარტოფილზე, რომელიც არის დაჭრილი და მსუბუქად შემწვარი სიგრძით 25...50 მმ-მდე და მონაკვეთებად 13/13 მმ. გარდა ამისა, მწარმოებლები მომხმარებლებს სთავაზობენ თბურად დამუშავებულ და გაყინულ მცირე ზომის ტუბერებს, გლუვ და გოფირებულ ნაჭრებს, კუბებს. კარტოფილის ასორტიმენტიდან ასევე პოპულარულია გაყინული კარტოფილის კოტლეტები, ბლითები და ა.შ. [4].

გაყინული კარტოფილის პროდუქტები პოპულარულია ჩრდილოეთ ამერიკისა და ევროპის განვითარებულ ქვეყნებში და მყარად იკიდებს ფეხს აზიისა და წყნარი ოკეანის რეგიონის განვითარებად ქვეყნებში. ასეთი ტემპის შენარჩუნებით გაყინული კარტოფილის წარმოება და გაყიდვები ანალიზზე დაყრდნობით კვლავ გაიზარდება და 2025 წლისთვის შეიძლება მიაღწიოს 4,7%. დღეისათვის გაყინული კარტოფილი, გაყინული ბოსტნეული და ხილი ერთად მთლიან მსოფლიო ბაზარზე გაყინული საკვები პროდუქტების შემოსავლის დაახლოებით 14% შეადგენს [1].

გაყინული საკვების წარმოებაში მწვანე ბარდა მეორე ადგილზეა კარტოფილის შემდეგ. ბარდა, რომელსაც იყენებენ ცალკე და როგორც გაყინული საკვები ნარევის კომპონენტი, წამყვან ადგილს იკავებს გაყინული ბოსტნეულის წარმოებაში და მთლიანი გაყინული ბოსტნეულის 10...40% -ს შეადგენს [3].

გაყინული საკვების წარმოება და მოხმარების ანალიზი გეოგრაფიული რეგიონების მიხედვით შემდეგია: ჩრდილოეთ ამერიკა, ევროპა, აზია, რუსეთი. ჩრდილოეთ ამერიკა და ევროპა არის გაყინული საკვები პროდუქტების დიდი განვითარებული მწარმოებლები და ბაზრები. ურბანიზაციის მნიშვნელოვანი ზრდის გამო, აზია-წყნარი ოკეანის გაყინული საკვები ბაზარი გლობალურ ბაზარზე დომინირებს და აქტიურ კონკურენციას უწევს ევროპას, როგორც გაყინული სურსათის უდიდეს ბაზარს. 2020 წლისთვის, აზია და ევროპა, ახლო აღმოსავლეთი და აფრიკა ერთად შეადგენდნენ გაყინული საკვების გლობალური გაყიდვების 35%-ს. ეს ტემპი ანალიზით სავარაუდოდ ასე შენარჩუნდება.

გაყინული საკვების გლობალურ ბაზარზე ძირითადი მწარმოებელი და გამსაღებელი კომპანიები: Nestle, H.J. Heinz Company, ConAgra Foods Inc., Maple Leaf Foods Inc., General Mills, BRF SA, Tyson Foods Inc., Mother Dairy Fruit & Vegetable Pvt., Pinnacle Foods Inc., Ajinomoto Co. Inc., Kraft Foods Group Inc. და Unilever PLC და ა.შ. [2].

ბაზარზე უპირატესობის მოსაპოვებლად გაყინული საკვების მწარმოებელი მსხვილი კომპანიები გეგმავენ განვითარებას და ახალი პროდუქტების წარმოებას, ამდენად ამჟამად მსოფლიო გაყინული პროდუქტების წარმოებისა და გასაღების ბაზარზე შესაძლებელია გაყინული პროდუქტების ახალი ასორტიმენტების გამოჩენა, რაც თავის სიტყვას იტყვის მსოფლიო კვების ინდუსტრიაში.

გაყინული კვების პროდუქტების რიგით მომხმარებელს შეიძლება მიეცეს რეკომენდაცია, ჯანდაცვის მრავალი საერთაშორისო ორგანიზაციის კვლევებზე დაფუძნებით - გაყინული საკვების ყოველდღიურმა მოხმარებამ შეიძლება ნეგატიურად იმოქმედოს ადამიანთა ჯანმრთელობაზე გრძელვადიან პერსპექტივაში, ამიტომაც გაყინული საკვები უნდა იქნეს მიღებული ზომიერად და არავითარ შემთხვევაში გაყინული საკვები არ უნდა იქნეს მიჩნეული, როგორც ჩვეულებრივი, ნორმალური საკვების შემცვლელი.

#### ლიტერატურა

1. <https://koloro.ru/blog/issledovaniya/obzor-zamorozhennykh-gotovykh-polufabrikatov-tendentsii.html>;
2. <https://system4.ua/ru/article/rejimyi-holodnogo-hraneniya-produktov>;
3. <https://moluch.ru/archive/260/60090/>;
4. <https://www.retail.ru/articles/zamorozka-novye-vozmozhnosti-dlya-riteyla/>;
5. <https://www.holodinfo.ru/rubrics/zamorozka/mirovoj-rynok-zamorozhennyh-ovoshej/>;
6. Food science and technology. The Coordination Committee formed by GR No. Abhyas - 2116/(Pra.Kra.43/16) SD - 4 Dated 25.4.2016 has given approval to prescribe this textbook in its meeting held on 20.6.2019 and it has been decided to implement it from academic year 2019-20;
7. <http://ecoursesonline.iasri.res.in/mod/page/view.php?id=96441>.

#### SUMMARY

#### PRODUCTION AND CONSUMPTION OF FROZEN FOOD WORLDWIDE

**Mikaberidze M.SH.**

**Akaki Tsereteli State University, Kutaisi**

The following frozen products are popular in the world: frozen pizza, frozen bakery and confectionery, frozen fish and seafood, frozen potatoes, frozen vegetables and fruits, frozen meat and poultry, frozen soups, frozen ready meals. Frozen food production and consumption analysis by geographical regions are as follows: North America, Europe, Pacific Asia. North America and Europe are large developed manufacturers and markets of frozen foods. The Asia-Pacific frozen food market dominates the global market and actively competes with Europe as the largest frozen food market. By 2020, Asia-Pacific and Europe, the Middle East and Africa together accounted for 35% of global frozen food sales. The retail market in these regions is expected to grow further due to the increase in consumption of ready-made food and semi-finished products, baked goods and desserts.

## ლურჯ მოცვზე (*Vaccinium uliginosum*) მიგრირებული მავნებლების განვითარება და ბრძოლის ღონისძიებები

ნიკოლაშვილი ა., ჯაყელი ე.

საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის, ჩაის, სუბტროპიკული კულტურების და ჩაის მრეწველობის ინსტიტუტი

ლურჯ მოცვზე (*Vaccinium uliginosum*) მიგრაცია განიცადა მის ახლო მყოფი მცენარეების პოლიფაგმა მავნებლებმა: ცვილისებრმა ჩინურმა, იაპონურმა და ატმის ცრუფარიანებმა. აუცილებელია დაზუსტდეს ბრძოლის კალენდარული ვადები. ასევე აუცილებელია გატარდეს ბრძოლის ჰიგიენური ღონისძიებები.

მოცვი (*Vaccinium uliginosum*) ფოთლოვანი მცენარეა, რომლის სიმაღლე 20-60 სმ-ს აღწევს. აქვს ღია მწვანე ფერის უბუსუსო ტოტები. მისი ღია მწვანე ფერის დაკბილული ფოთლები ოვალური ფორმისაა, სიგრძით 3 სმ-მდე.

ნაყოფი წვნიანი და სფეროსებრია, მოშავო-მოლურჯო, 1 სმ-მდე დიამეტრის კენკრაა, მოცვი ყვავილობს აპრილიდან ივნისამდე, ხოლო ნაყოფი მწიფდება ივლის-აგვისტოში.

მოცვი გავრცელებულია დასავლეთ და ნაწილობრივ აღმოსავლეთ საქართველოში. ჩვეულებრივ იგი იზრდება ბუჩქის სახით, ზღვის დონიდან 1700-2200 მეტრზე.

საქართველოში გავრცელებულია მოცვის 4 ძირითადი სახეობა: მთის მოცვი – (*Vaccinium myrtillus*), ლურჯი მოცვი – (*Vaccinium uliginosum*), წითელი მოცვი – (*Vaccinium vitis-idaea*) და კავკასიური მოცვი – (*Vaccinium arctostaphylos*).

ლურჯი მოცვის პლანტაციის გაშენება წლიდან წლამდე უფრო პოპულარული ხდება საქართველოში, მიმდინარე წლის მონაცემებით მოცვი გაშენებულია 1200 ჰა-ზე და მოიკრივა 1200 ტონა მათსავალი.

ლურჯი მოცვის პლანტაციაში აღნიშნული მავნებლები თანდათან იქნა გავრცელებული მახლობელი მცენარეებიდან, უმეტესად პოლიფაგი მავნებლები. ისინი არამარტო დასახლდნენ კულტურაზე, არამედ დაფუძნდნენ მასზე და დაიწყეს განვითარება 2 ბალამდე რიცხოვნობით: ჩინური ცვილისებრი ცრუფარიანა, იაპონური ცვილისებრი ცრუფარიანა, ატმის ცრუფარიანა.

ჩინური ცვილისებრი ფარიანა – (*Ceroplastes sinensis*), უმეტესად დასახლებულია მცენარის მთავარი მარღვების გასწვრივ ვარსკვლავისებური მატლების სახით, რომელთაც გააჩნიათ თეთრი ცვილისებრი საფარველი, ხოლო ზრდასრული ფორმები უმეტესად ტოტებსა და შტამებზე აღინიშნება. მავნებელი გარდა იმისა, რომ წუწნით აზიანებს მცენარეს, ასევე მათ მიერ გამოყოფილ ექსკრემენტზე სახლდება სოკო კაპნოდოიუმი, რომელიც ფარავს ფოთლის საასიმილაციო ზედაპირს და აფერხებს ფოტოსინთეზს.

ცრუფარიანას სხეული ძლიერ ამობურცულია. მისი სიგრძე აღწევს 6,5 სმ-ს, სიმაღლე 4 მმ. ცოცხალი ზრდასრული ცრუფარიანას ცვილისებრი საფარველი მოვარდისფრო-თეთრია, მკვდრისა კი მონაცისფრო ან ყავისფერი. სხეულის საფარველი გამოყოფილია ზედა და გვერდით შვიდ ფირფიტად რომელთა ცენტრში მუქი ცვილის ლაქაა, ხოლო თვით ლაქის ცენტრში ცვილის ნაჭერია. დედლის ულვაშები 7-ნაწევრიანია.



ცრუფარიანა ჩინური წარმოშობისაა იგი ფართოდაა გავრცელებული ევროპის, აზიის, ავსტრალიის სუბტროპიკული ჰავის ქვეყნებში. საქართველოში კი თითქმის სუბტროპიკული ზონის ყველა რეგიონშია გავრცელებული განსაკუთრებით კი აჭარა გურიაში (სურ.1)



სურ. 1. ჩინური ცვლისებრი ფარიანა



სურ. 2. იაპონური ცვლისებრი ცრუფარიანა

მავნებლის მკვებავი მცენარეებია: ყველა სუბტროპიკული მცენარე, ბროწეული, იაპონური ზღმარტლი, კაკალი, მსხალი, ატამი, სუბტროპიკული დეკორაციული მცენარეები. მეზამთრეობს იმაგოს ფაზაში და უფროსი ხნოვანების ფაზაშიც.

გამოზამთრებული მატლები ივლისში ამთავრებენ განვითარებას და იწყებენ კვერცხდებას. მისი პროდუქტიულობა 1500 ცალია, ზოგჯერ შეიძლება 4000 ცალამდე ავიდეს. წლის განმავლობაში მავნებელი ერთ თაობას იძლევა.

იაპონური ცვლისებრი ცრუფარიანა – (*Ceroplastes japonicus*), მისი მატლები და დედლები სახლდებიან კოლონიებად და წუწნით აზიანებენ ფოთლებსა და ტოტებს, რაც იწვევს ასიმილაციის შესუსტებას, ამცირებს მოსავალს. პირდაპირი ზიანის გარდა იწვევს ფიზიოლოგიური პროცესების შესუსტებას (სურ. 2)

ცრუფარიანას სხეული 5 მმ-ს აღწევს. სხეული ძლიერ ამობერილია, ოვალური, იგი წააგავს ჩინურ ცვლისებრ ცრუფარიანას და მისი ვარდისფერი სხეული შედგება 8 გვერდითი ფირფიტისაგან. ულვაშები 6-ნაწევრიანია.

ცრუფარიანა პოლიფაგია და გავრცელებულია სუბტროპიკული ზონის რეგიონებში. საზღვარგარეთ ჩინეთსა და იაპონიაში.

აზიანებს 100 მდე სხვადასხვა მცენარეს. მავნებლის ბიოლოგია წააგავს ჩინური ცვლისებრი ფარიანას ბიოლოგიას. იძლევა ერთ თაობას.

ატმის ცრუფარიანა – (*Parthenolecanium persicae*) ცრუფარიანას მატლები წუწნით აზიანებენ ფოთლებსა და ყლორტებს.

ცრუფარიანას იმაგო 10 მმ სიგრძისაა. სხეულის ფორმა წაგრძელებულია. დედალი მუქი-ყვითელია, შემდეგ ღებულობს მოწითალო-ყავისფერ შეფერილობას. ულვაშები 8 ნაწევრიანი. მამალი მომცრო ზომისაა – 3 მმ-მდე. ულვაში 10 ნაწევრიანი. სხეული ყავისფერი. მათი ცრუფარი წაგრძელებული და ბრტყელია, თავის მხარეს უფრო ვიწრო ვიდრე მუცლისაკენ (სურ 3.)



სურ. 3. ატმის ცრუფარიანა

მავნებელი ფართოდ გავრცელებული პოლიფაგია, გავრცელებულია მთელ საქართველოში. მეზამთრეობს მატლის სტადიაში, მკვებავი მცენარის გამერქნებულ ორგანოებზე. მავნებელი მაისში აღწევს ზრდის დასრულებას და კვერცხდება. პროდუქტიულობა 2800-მდე აღწევს. შემოდგომით გადადიან გამერქნებულ ორგანოებზე. მატლები ხასიათდებიან ყინვაგამძლეობით. ცრუფარიანა იძლევა 1 ან 2 თაობას.

#### ბრძოლის ღონისძიებები

ცვილისებრი ცრუფარიანების წინააღმდეგ ბრძოლის ღონისძიება დავიწყეთ I თაობის გამოსვლის შემდეგ: 1) ცრუფარიანას ახალგაზრდა ფაზების გამოსვლა დაიწყო ივნისის ბოლოს, აგვისტოს დასაწყისში. შესხურება დავიწყეთ მოცვის 2–4 ბალით დაზიანების დროს სხვადასხვა ვეგეტატიურ ნაწილებზე. შესხურდა ბი-58 0,2%+მინერალური ზეთის 0,1%-იანი კომბინირებული ნაზავით. სიკვდილიანობამ შეადგინა 80–95% (I–II ხნ. მატლები), ხოლო III ხნოვანების მატლები ცოცხალი იყვნენ, იმიტომ რომ ცვილისებრი საფარველი უკვე გამაგრებული იყო და პესტიციდმა ვეღარ იმოქმედა.

2) ატმის ცრუფარიანას ყველა თაობაზე პესტიციდმა კარგად იმოქმედა თითქმის ყველა ფაზაზე (76–94%);

3) იმავე პერიოდში მიმდებარე ნაკვეთში შესხურდა ტალსტარის 0,3%+მინერალური ზეთის 2%-იანი სამუშაო ხსნარი. შედეგი დამაკმაყოფილებელია მხოლოდ I და II ხნოვანების ფაზების მიმართ.

4) ცვილისებრი ცრუფარიანების I თაობის წინააღმდეგ ჩატარებული იქნა პიროფოსის 0,2%-იანი სამუშაო ემულსია. ამ შემთხვევაშიც კი მიღებული იქნა 80–98% სიკვდილიანობა I და II ხნოვანების მატლებზე.

ცალკეულ პლანტაციებში მავნებლის რიცხოვნობა მცირდება ბიოლოგიური აგენტების მიერ. ჩვენში შემოტანილმა სასარგებლო მწერმა-პარაზიტმა *Scutalista cynea* მცირედით შეამცირა მავნებელი. ჩვენს მიერ აღნიშნული მავნებლის რიცხოვნობას ასევე ამცირებს ჰილოკორუსების ორი სახეობა: ორწერტილიანი და თირკმლისებრი; ასევე ჩვეულებრივი ოქროთვალა და მტაცებელი ჩრჩილი *Coccidiphila gerasimovi*. დასავლეთ საქართველოში მავნებლის რიცხოვნობას ზღუდავს სოკო ცეფალოსპორიუმი.

ამრიგად, ცვილისებრი ცრუფარიანას რიცხოვნობის შემცირება ლურჯი მოცვის პლანტაციაში მნიშვნელოვნად შემცირდება როცა მავნებელი არის I და II ხნოვანების მატლების ფაზაში, როცა კარგად არ არის ჩამოყალიბებული ცვილისებრი საფარი.

პესტიციდების შესხურებას ყურადღება უნდა მიექცეს ნაყოფის კრეფის შუალედებში. როდესაც პლანტაციაში ფართოდაა გავრცელებული სასარგებლო მწერები შესხურება არ უნდა განხორციელდეს.

#### ლიტერატურა

1. ა ნიკოლაშვილი. ლურჯი მოცვის (*Vaccinium uliginosum*) პლანტაციების ფაუნა აჭარა-გურიისა და სამეგრელოს რეგიონებში. საქ. სოფ. მეურნ. მეცნ. აკადემიის მოამბე, 2005, №34, გვ. 64-68.
2. ლ. კალანდაძე და სხვ. ენტომოლოგია. ნაწილი მეორე. თბილისი, 1962.

#### SUMMARY

#### BLUEBERRY (VACCINIUM ULIGINOSUM) MIGRATORY INFECTION DEVELOPMENT AND CONTROL MEASURES

Nikolashvili A., Jakeli E.

Institute of Tea, Subtropical Crops and Tea Industry of Georgia Agrarian University

Blueberries (*Vaccinium uliginosum*) have been migrated by polyphagous pests of nearby plants: Chinese wax, Japanese, and peach. It is necessary to specify the calendar dates of the battle. It is also necessary to take hygienic measures to combat.

#### РАЗРАБОТКА РЕЦЕПТУРЫ И ОЦЕНКА КАЧЕСТВА МЮСЛИ С СОЛОДОВЫМИ РОСТКАМИ ПШЕНИЦЫ

Серегина Н.В., Артемова Е.Н., Аверина Е.Ю.

ФГБОУ ВО «Орловский государственный университет имени И.С. Тургенева»

*В статье представлены результаты разработки рецептур мюсли с добавлением солодовых ростков пшеницы, образующихся при проращивании зерна пшеницы на солод. Выработанные образцы мюсли были исследованы по органолептическим и физико-химическим показателям качества. Также был проведен анализ химического состава мюсли с солодовыми ростками пшеницы, в сравнении с мюсли, произведенными по классической рецептуре.*

წარმოებათა უმრავლესობა მუდმივად ღებულობს მონაწილეობას ევროპული ფირმების მიერ მოწყობილ სხვადასხვა ტექნოლოგიურ საერთაშორისო სემინარებსა თუ გამოფენებში, რაც მათ პროფესიულ განვითარებასთან ერთად, ახალი პარტნიორების შეძენას უწყობს ხელს, მათი გამოცდილების გაზიარებითა და მიზანმიმართული კვლევითი მუშაობით, საბოლოოდ ბაზარზე ახალი პროდუქტების გამოჩენას, დახვეწასა და განვითარებას განაპირობებს.

საგულისხმოა, რომ სურსათის ეროვნული სააგენტოს ჩამოყალიბებამ მეტად მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა აღნიშნული სფეროს განვითარების საქმეში, რადგან მუდმივი მონიტორინგისა და კონტროლის პირობებში, მომხმარებელზე ორიენტირებული მიდგომების წყალობით, მწარმოებლები მოწოდებული არიან შეასრულონ და დაიცვან ყველა ის მოთხოვნა, რომელსაც კანონი სურსათის უვნებლობის შესახებ ავალდებულებს, რომელიც 2006 წელს შეიქმნა და დღემდე მუდმივად იხვეწება და სრულყოფას განიცდის. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია კანონის პუნქტი, სურსათის ეტიკეტირების შესახებ, რომელიც ევროპული სტანდარტის მოთხოვნებს ითვალისწინებს და კონტროლის პირობებში, უსაფრთხო სურსათის წარმოების პარამეტრებს, პროდუქტის შესახებ დაწვრილებით ინფორმაციას აწვდის მომხმარებელს.

კომპანიები ცდილობენ ზედმიწევნით შეასრულონ ISO-სა და HCCP-ის სტანდარტის მოთხოვნები, რომელთა დანერგვასა და მონიტორინგს საერთაშორისო ორგანიზაციების დახმარებით ახორციელებენ, ეს კი საბოლოოდ დადებითად აისახება მათ პოპულარიზაციაზე სურსათის ბაზარზე.

განვითარების ამ ეტაპების გავლა არ არის საკმარისი დაკმაყოფილდეს სურსათის ბაზრის ყველა მოთხოვნა, მითუმეტეს რომ იგი დღითიდღე განიცდის ცვლილებას, ითხოვს რა მუდმივ სიახლეებს. მაგალითად, წინა წლებში თუ დიდი წარმოებები გახლდათ პოპულარული და ძირითად მოთამაშეებად ხორცპროდუქტების ბაზარზე ისინი განიხილებოდნენ. – ნელ-ნელა მოთხოვნა იზრდება, მცირე საწარმოთა მიერ მომზადებულ ისეთ პროდუქტებზე, რომლებიც ადგილობრივად წარმოებული სახორცე ნედლეულით (საქონლის ხორცი, ღორის ხორცი) არის მომზადებული. გაყიდვების დარგის სპეციალისტების აღიარებით, მზა პროდუქტის რეკლამირებისას მომხმარებელზე მოქმედი სარეკლამო ფრაზები: „ახალი ხორცი“, „ადგილობრივი ნედლეული“ და სხვა მასზე მზარდ მოთხოვნას აყალიბებს და გამოარჩევს.

აღსანიშნავია, რომ თანდათან საქართველოში ფეხს იკიდებს ევროპის ბაზარზე წარმოდგენილი ახალი პროდუქტები: ხორცი მარინაჟში, სუვიდი, სპეციალური რელიგიური ჯგუფისთვის (მაგ, ჰალალი) განკუთვნილი ხორცის ნაწარმი და სხვა, რომლებიც ინოვაციური, ნაწი ტექნოლოგიების და თანამედროვე კვლევის შედეგად იწარმოება. მათი შემადგენელი თითოეული ინგრედიენტი და დამხმარე საშუალება, ასევე დიდი კვლევისა და სამეცნიერო მუშაობის შედეგია. თუმცა ისინი უფრო მომხმარებელთა ფართო მასაზე გათვლილი, ვინაიდან მათი წარმოებისას ძირითადი აქცენტი, მასობრიობაზე და ისეთ ნიუანსებზე მახვილდება, როგორცაა: პროდუქტის მიღების წესი, მომზადების ხანგრძლივობა, წინასწარ გათვლილი მარკეტინგული კვლევის თავისებურებანი: ასაკის, სქესის, მომხმარებელთა ეთნიკური წარმომავლობის გათვალისწინებით. სიახლეების და კვლევა-ძიების შედეგად ნაწარმოები პროდუქტი კი მომხმარებლებში დიდ ინტერესს იწვევს.

განსაკუთრებით მნიშვნელოვანია დარგის განვითარების ინოვაციური კვლევის მიმართულება, რომელიც გარდა იმისა, რომ მაღალტექნოლოგიური დანადგარებით მიიღწევა, დამოკიდებულია აგრეთვე პერსონალის კვალიფიცირებაზე, თანამედროვე კვლევის მეთოდების დანერგვასა და განხორციელებაზე. დღესდღეობით ამ სფეროში სიახლეების დანერგვის-

თვის აქტიურად გამოიყენება ექსპერიმენტული მეთოდი, რომლის ძირითადი მიზანია მომხმარებლისთვის დეგუსტაციის გზით ახალი პროდუქტების მიწოდება.

მცირე ხორცპროდუქტების წარმოებები განსაკუთრებით რენტაბელურია აგრო ტურიზმის განვითარების შემთხვევაში, რადგან ამ დროს წარმოებულ ნებისმიერ პროდუქტზე მოთხოვნა მკვეთრად იზრდება, ამასთანავე ეს პროცესი ხელს უწყობს დამხმარე დარგების განვითარებას. მაგალითად, ადგილობრივი აბორიგენული პირუტყვის ჯიშებისგან მიღებული პროდუქტების საწარმოებლად, აუცილებელია დაიხვეწოს მათი კვებისა და ზრდა-განვითარების პირობები, რაც მოითხოვს აგრონომიული სფეროს მოწესრიგებას, მექანიზაციის დახმარებით, - დარგის სფეროების ეს ჯაჭვური კავშირი კი სახავს მიზანს სამეცნიერო-კვლევითი წარმატებული მუშაობით თითოეულმა სფერომ შეიტანოს თავისი წვლილი და შექმნას მყარი ნიადაგი მისი განვითარებისთვის.

### ლიტერატურა

1. НССР-ის სახელმძღვანელო. II გამოცემა, საქართველო 2015.
2. Генрих Кайм. Технология переработка мяса (немецкая практика). Санкт-Петербург 2006. сс. 20-80, 240-260, 340-365; ISBN: 5-93913-088-7
3. В.Д. Косой, С.А. Рыжов, В.П. Дорохов. Совершенствование производства колбас (теоретические основы, процессы, оборудование, технология, рецептуры и контроль качества). 2018.
4. Мортимор С., Уоллес К. Перев с англ. НАССР. Практические рекомендации, 2014.

### SUMMARY

#### IMPACT OF MODERN TRENDS AND INNOVATIONS IN MEAT PRODUCTION AND PROCESSING TECHNOLOGY ON THE GEORGIAN FOOD MARKET

Tkeshelashvili A.

Georgian Technical University

The level of development of meat production and processing technology is determined by the influence of modern trends and innovations. Georgian products presented in the Georgian food market are consumer-oriented and have been developing since the 30s of the twentieth century - until today. The direction of the country's integration with the European Union has necessitated the introduction of standards that are recognized worldwide and ensure food compliance. Using modern innovations, Georgian companies offer customers a product that is popular not only in Georgia. The machines, which are used in the production process by most of the enterprises, belong to the high-tech means and it is through them that the desired product is created through research, experiments and the product created through experiments. The modern trend is moving towards the development of small enterprises, as their products become more and more in demand in terms of sausages or delicacies as a healthy product, meat products prepared from local raw materials. With the development of meat technology, the fields of raw material production that are used in the production process are also developing.

### ასკილის (*Rosa canina*L) მნიშვნელობა და მისი გამოყენება ჩაის მრეწველობაში

ფრუიძე მ., ჩაკვეტაძე შ., ბენდელიანი ე.  
აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ნაშრომში განხილულია კენკროვანი მცენარის ასკილის ბიოლოგიურ - მორფოლოგიური დახასიათება, გავრცელება, ნაყოფისა და ფოთლების ქიმიური შედგენილობა, რომელიც შეიცავს ადამიანის კვებისათვის აუცილებელ ფენოლურ ნაერთებს, ვიტამინებს, ორგანულ მჟავებს, ნახშირწყლებს, მინერალურ მარილებს, არომატულ ნივთიერებებს და სხვა. ასკილის გამოყენების შესაძლებლობებს მედი-

ცინასა და კვების მრეწველობაში. შესწავლილი იქნა დასავლეთ საქართველოში, კერძოდ ლეჩხუმსა და იმერეთში გავრცელებული ასკილის მცენარის ენდემური ჯიშების ნაყოფების და ფოთლების ქიმიური შედგენილობა და მათი გამოყენების შესაძლებლობა ჩაის წარმოებაში დანამატების სახით.

ასკილი კენკროვანი მრავალწლოვანი მცენარეა, სწრაფად და ადვილად მრავლდება, ადრე იწყებს ნაყოფის მოცემას და ყოველწლიურად იძლევა მაღალ მოსავალს. კენკროვნები შეიცავენ ადამიანის კვებისათვის აუცილებელ ფენოლურ ნაერთებს, ვიტამინებს, ორგანულ მჟავებს, ნახშირწყლებს, მინერალურ მარილებს, არომატულ ნივთიერებებს და სხვა. მათ შორისაა ასკილიც, ის გამოიყენება ახალდაკრეფილი, გაყინული და გამშრალი სახით.

**ასკილი (*Rosa canina*L)** ველური ვარდი ვარდისებრთა ოჯახის გვარისაა. მარადმწვანე ან ფოთოლმცვენი, ზოგჯერ ხვიარა, ეკლიანი ბუჩქებია. აქვთ კენტფრთისებრი ფოთლები, ლამაზი და სურნელოვანი ყვავილები (ვარდისფერი, წითელი, თეთრი, იშვიათად ყვითელი). მშრალი ნაყოფის კანი მაგარია, მსხვრევადი, პრიალა ზედაპირით, მეტ-ნაკლებად დანაოჭებული, შიგნით ნაყოფები გამოფენილია გრძელი, უხეში, ჯაგრულა ბეწვებით. ნაყოფის ფერი ნარინჯ - წითლიდან მურა - წითლამდე, უსუნო, გემო მომჟავო ტკბილი, ოდნავ ძეღვი. ცნობილია 400-მდე სახეობა, საქართველოში გავრცელებულია – 25, მათგან – 5 ენდემურია (სურ.1).

ასკილი პოლივიტამინური ნედლეულია, ის ითვლება C ვიტამინის ყველაზე მდიდარ ბუნებრივ წყაროდ. შემცველობით 10-ჯერ აღემატება მოცხარის ნაყოფს და 50-ჯერ ლიმონის ნაყოფს [1], ამავე დროს C ვიტამინის ბიოლოგიური როლი ვლინდება ორგანული მჟავების და P – აქტივობის ნაერთების თანაობისას, რომელთა ჯგუფშიც შედიან ანტოციანები, კატეხინები, ლეიკოანტოციანები და ფლავანოიდები. ისინი განსხვავდებიან ქიმიური შემადგენლობით, მაგრამ მსგავს მოქმედებას ახდენენ ადამიანის ორგანიზმზე. ფლავანოიდები მოქმედებენ როგორც ანტიოქსიდანტები და ბოჭავენ თავისუფალ რადიკალებს მეტალების თანაობისას [2]. ასკილის ნაყოფში ისინი წარმოდგენილია ჰიპეროზიდებით, კვერცეტინით, რუტინით, კემპფეროლ-3-არაბინოზიდით და სხვა [3].



სურ. 1. ასკილი

ასკილის ნაყოფში აღმოჩენილია ტოკოფეროლები, კაროტინოიდები წარმოდგენილია ძირითადად ლიკოპენით, ლუთეინით და β-კაროტინით. მათი დანიშნულებაა სინგლეტური ჟანგბადის შეკავშირება და თავისუფალი რადიკალების წარმოქმნის ინჰიბირება. ასკილის ნაყოფი შეიცავს B<sub>1</sub>, B<sub>2</sub>, P, K, E ვიტამინებს და A პროვიტამინს. ასკილის ნაყოფი მდიდარია ადამიანის ორგანიზმისათვის აუცილებელი ორგანული მჟავებით (ვაშლის - 1,8%, ლიმონის - 3,82%), ეთერზეთებით, პექტინური ნივთიერებებით 9,14 %-მდე), კალციუმისა და კალიუმის,

მაგნიუმის მარილებით, ფლავანოიდებით, მთრიმლავი ნივთიერებებით (4,5 %) და მიკრო-ელემენტებით [4].

ასკილის ნაყოფის გარდა მდიდარი ქიმიური შემადგენლობა აქვს ფოთლებსაც. მათ მორე ადგილი უკავიათ ასკორბინის მჟავას შემცველობით, ასკილის ფოთლებში განსაზღვრულია ისეთი ბიოლოგიურად აქტიური ნივთიერებების შემცველობა, როგორცაა კაროტინოიდები (ლიკოპინი და β კაროტინი), ქლოროფილი, ტოკოფეროლები და ფლავანოიდები.

ასკილის ნაყოფში ნახშირწყლები 23 %-ზე ცოტა მეტია, რომელთა ძირითად ნაწილს მონო- და დისაქარიდები შეადგენს. ასკილის ნაყოფი მდიდარია ორგანული (ვაშლის, ლიმონის) მჟავებით და პექტინური ნივთიერებებით, ამ უკანასკნელის შემცველობა 6 % აღწევს.

ზოგიერთი სახეობის ასკილის ნაყოფი შეიცავს მთრიმლავი ნივთიერებების მნიშვნელოვან რაოდენობას. განსაკუთრებით მდიდარია მთრიმლავი ნივთიერებებით ასკილის ფესვები და ყლორტები. ასკილის ყვავილის ფურცლები შეიცავენ 0,020–0,011 % არომატულ ნივთიერებებს (ეთეროვან ზეთებს) [4].

განხილული მასალებიდან გამომდინარე ასკილი წარმოადგენს ბიოლოგიურად აქტიური ნივთიერებების მდიდარ წყაროს და პერსპექტიულია მისი ყოველმხრივი შესწავლისა და რაციონალურად გამოყენებისათვის.

განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს ასკილის ფოთლებისა და ნაყოფების გამოყენება ჩაის წარმოებაში, რისთვისაც შესწავლილი იქნა არაკონდიციური ჩაისა და ასკილის ქიმიური შედგენილობა, აგრეთვე ასკილის დანამატებით მიღებული ჩაის პროდუქტის ქიმიური და ორგანოლექტიკური მაჩვენებლები.

ჩაის გასამდიდრებლად, შერჩეული იქნა, ჩაის არაკონდიციური ნედლეული (ყრუ დუყები და 7 ფოთლიანი ყლორტები) [5], გადამუშავებული იქნა ლაბორატორიულ პირობებში მწვანე და შავ ჩაიდ (წვრილი ჩაი), მას ემატებოდა გარკვეული თანაფარდობით ასკილის, გრანულირებული ნედლი ფოთლები და ნაყოფები, რომელთა ფიზიკურ-ქიმიური მაჩვენებლები მოცემულია ცხრ. 1-ში.

ცხრ. 1-ის მონაცემებიდან ჩანს რომ ასკილის ნაყოფები საკმაოდ დიდი რაოდენობით შეიცავს ექსტრაქტულ ნივთიერებებს (44 %) და ფენოლურ ნაერთებს (25,66 %) რაც ჩაის კონდიციური ნედლეულის ქიმიურ შედგენილობასაც ბევრჯერ აღემატება, შედარებით ნაკლებია ასკილის ფოთლების ქიმიური შედგენილობა, ექსტრაქტულ ნივთიერებები (39,19 %) და ფენოლურ ნაერთები (16,4 %).

**ცხრილი 1. ჩაის გასამდიდრებელი კენკროვანი ნედლეულის ფიზიკურ-ქიმიური მაჩვენებლები**

№	ნიმუშის დასახელება	ტენი, %	ექსტრაქტული ნივთიერება	ფენოლური ნაერთების ჯამი (ტანინი), %	შენიშვნა
1.	ასკილის ნაყოფები	77,6	44,25	25,66	-
2.	ასკილის ფოთლები	72,5	39,19	16,4	-

შემუშავებული რეცეპტურის მიხედვით მოვახდინეთ ასკილის დამატება შავ და მწვანე ჩაიზე, მიღებული შედეგები მოცემულია ცხრ. 2-ში.

ცხრილი 2. ასკილის დანამატებით გამდიდრებული ჩაის ქიმიური შედგენილობა (მშრალ ნივთიერებაზე გადანაგარიშებით %-ში)

№	ნიმუშის დასახელება	ტენი, (%)	ექსტრაქტული ნივთიერებები, (%)	ფენოლური ნაერთების ჯამური რაოდ-ბა, (%)	რეცეპტურა (%)
1.	შავი ჩაი	5,92	30,28	14,05	100
2.	მწვანე ჩაი	6,2	30,56	14,12	100
ჩაი ასკილის დანამატებით					
3.	ჩაი ასკილის ნაყოფებით	6,8	30,91	15,82	95:5 (19:1)
4.	ჩაი ასკილის ფოთლებით	6,78	30,97	15,62	95:5 (19:1)

ცხრ. 2-ის მონაცემებიდან ჩანს რომ შერჩეული რეცეპტურის მიხედვით მიღებული ჩაი ასკილის დანამატით მცირედ განსხვავდება (ფენოლური ნაერთები დაახლოებით 1 %-ით იზრდება), ჩაისაგან დანამატების გარეშე. უმჯობესდება დანამატებიანი ჩაის ორგანოლექტიკური მაჩვენებლები და რაც მთავარია მდიდრდება ადამიანის ორგანიზმის ჯანმრთელობისათვის საჭირო ნივთიერებებით.

ამრიგად, შესწავლილი და დადგენილი იქნა, სხვადასხვა ხარისხის ჩაის ნედლეულიდან მიღებული მზა პროდუქტის და ასკილით გამდიდრებული ახალი პროდუქტების ფიზიკურ-ქიმიური და ორგანოლექტიკური მაჩვენებლები. საწყისთან შედარებით, ასკილით დანამატებიანი ჩაი გამდიდრდა ბიოლოგიურად აქტიური და ანტიოქსიდანტური თვისებების მქონე ნივთიერებებით – ვიტამინებით, მიკროელემენტებით და ასკილში არსებული სხვა სასარგებლო ნივთიერებებით, ექსტრაქტული ნივთიერებები – 0,5%-ით და ფენოლური ნაერთები 1,5%-ით.

#### ლიტერატურა

1. Ghazghazi H, Miguel M, Hasnaoul B, Sebei H, Ksontini M, Figueiredo A et al. - Phenols, essential ofis carotenoids of *Rosa canina* from Tunisia and their antioxidant activities. African Journal of Biotechnology, 2010. Vol. 9, N18. Pp. 2709-2716.
2. Barros L., Carvalho A.M., Ferreira I.C.F.R. - Exotic fruits as a source of important phytochemicals: Improving the traditional use of *Rosa canina* fruits in Portugal // Food Research international. 2011. Vol. 44. N7. Pp. 2233-2236
3. Чечета О. В., Сафонова Е. Ф., Сливкин А. И., - Исследование флавоноидного состава плодов растения рода *Rosa* // Вестник ВГУ. Серия Химия. Биология. Фармация. 2011г. №1. С. 62-64.).
4. შ. ჩაკვეტაძე. „სხვადასხვა სახის ჩაის პროდუქტების მიღება ტრადიციული და არატრადიციული ნედლეულის გამოყენებით“, მონოგრაფია, აწსუ, 2018. გვ. 236გვ.
5. მაყვალა ფრუიძე, შორენა ჩაკვეტაძე, ეკატერინე ბენდელიანი. „ჩაის წარმოება სხვადასხვა მცენარეული დანამატების გამოყენებით“, ქუთაისი, მეცნიერთა კვლევის შედეგების კომერციალიზაცია”, ინტერნეტ - კონფერენცია, 2018, გვ. 118-120.

#### SUMMARY

#### THE IMPORTANCE OF AESCULUS (*Rosa canina*L) AND ITS USE IN TEA INDUSTRY

**Pruidze M., Chakvetadze Sh., Bendeliani E.**

**Akaki Tsereteli State University**

Physico-chemical and organoleptic parameters of the finished product obtained from raw materials of tea of different quality and new products enriched with ascites were studied and determined. Compared to the original, Aesculus tea is enriched with biologically active substances with antioxidant properties - vitamins, With micronutrients and other useful substances in ascorbic acid, extracts - 0.5% and phenolic compounds - 1.5%.



## ეთერზეთოვანი ვარდის გადამუშავების ნარჩენების გამოკვლევა

ქაჯაია ლ., ილურიძე ნ., გილაური ნ.

### საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის კვების მრეწველობის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი

გამოკვლეულია ანაერობულ პირობებში ფერმენტირებული ვარდის ყვავილების ჰიდროდისტილაციით გადამუშავების ნარჩენები, რომელიც შედგება ორთქლში გამოხარშული ვარდის ყვავილების ექსტრაქტისაგან. გამოკვლეულ იქნა ვარდის ყვავილების და მისი გადამუშავების ნარჩენების მყარი და თხევადი ფაზების ქიმიური შედგენილობა. განსაზღვრულია აღნიშნული ნარჩენების გამოყენების მიმართულებები. დადგენილია, რომ მყარი ფაზა შეიძლება გამოყენებულ იქნას დამატებითი პროდუქციის-სურნელოვანი კონკრეტის, ხოლო თხევადი ფაზა ვარდის სურნელოვანი წყლისა და ბიოლოგიურად აქტიური ექსტრაქტის მისაღებად.

**საკვანძო სიტყვები:** ბიოლოგიურად აქტიური ექსტრაქტი, ვარდის ნარჩენები, კონკრეტი.

სახალხო მეურნეობის სხვა დარგებისაგან განსხვავებით ეთეროვანი ზეთების წარმოება გამოირჩევა წარმოების ნარჩენების დიდი რაოდენობით, რაც შეადგენს გადამუშავებული ნედლეულის 99 %-ს.

ეთერზეთოვანი ნედლეულის გადამუშავების ნარჩენები შეიცავს მთრიმლავ, მღებავ, ცილოვან, სურნელოვან ნივთიერებებს ასევე ვიტამინებს, ამინომჟავებს და სხვ.

ეთეროვანი ზეთების წარმოების ნარჩენები, მიუხედავად ასეთი მდიდარი შედგენილობისა, გამოიყენებოდა მხოლოდ როგორც ორგანული სასუქი და დაბალკალორიული საწვავი. გარდა აღნიშნულისა, ყვავილოვანი და ყვავილოვან-ბალახისებრი ეთერზეთოვანი ნედლეულის ნარჩენები, კაროტინის და მიკროელემენტების მაღალი შემცველობის გამო, გამოიყენებოდა საქონლის საკვებად.

ეთერზეთოვანი ვარდის (ჯიში – ყირიმის წითელი) ყვავილებიდან ეთეროვანი ზეთი მიიღებოდა 16 %-იან მარილწყალში ფერმენტირებული ვარდის ყვავილებიდან, რაც შეუძლებელს ხდიდა გამოხდის შემდეგ დარჩენილი მარილიანი ნარჩენების გამოყენებას.

საქართველოს კვების მრეწველობის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის მიერ შემუშავებული დახურულ სივრცეში ანაერობულ პირობებში ვარდის ყვავილების ფერმენტაციის ტექნოლოგიის შემუშავებამ შესაძლებელი გახადა ვარდის ეთეროვანი ზეთის წარმოების ნარჩენების გამოყენება, რამაც საფუძველი დაუდო ვარდის ყვავილების გადამუშავების უნარჩენო ტექნოლოგიის შექმნას.

კვლევის ობიექტად გამოყენებული იყო ახლადდაკრეფილი ვარდის ყვავილები და ვარდის ეთეროვანი ზეთის წარმოების კუბური ნარჩენი - მყარი და თხევადი ფაზა.

ჩვენი კვლევის მიზანს წარმოადგენდა ანაერობულ პირობებში ფერმენტირებული ვარდის ყვავილების ჰიდროდისტილაციის მეთოდით გადამუშავების ნარჩენების ქიმიური შედგენილობის შესწავლა და მათი გამოყენების სფეროს დადგენა.

დადგენილ იქნა, რომ ანაერობულ პირობებში ფერმენტირებული ვარდის ყვავილების ჰიდროდისტილაციით გადამუშავების კუბური ნარჩენები, რომელიც შეადგენს გადამუშავებული ნედლეულის 300 %, შეიცავს 0,15–0,35 % სურნელოვან კონკრეტს და 0,008% ეთეროვან ზეთს.

ვარდის ეთეროვანი ზეთის გამოხდის შემდეგ გამოსახდელ კუბში დარჩენილი მასა შედგება ორთქლში გამოხარშული ვარდის ყვავილებისა და წყალში ხსნადი ექსტრაქტული



ნივთიერებებისაგან. კუბური ნარჩენის გაწურვის შემდეგ მივიღეთ განსხვავებული ფიზიკურ-ქიმიური და ტექნოლოგიური თვისებების მქონე მყარი და თხევადი ფაზები.

**მყარი ფაზა** – წარმოადგენს ორთქლში გამოხარშულ ვარდის ყვავილებს, რომელსაც ძირითადად მოცილებული აქვს ეთეროვანი ზეთი და წყალში ხსნადი ექსტრაქტული ნივთიერებები.

**თხევადი ფაზა** - წარმოადგენს კუბური ნარჩენის გაწურვით მიღებულ თხევად მასას, რომელიც ძირითადად შედგება უჯრედული წვეცისაგან, რომლის მშრალი ნივთიერებების მასური წილი საშუალოდ შეადგენს 12,5 %.

თავდაპირველად შესწავლილ იქნა საწყისი ნედლეულის ვარდის ყვავილების და შემდეგ წარმოების ნარჩენების - მყარი და თხევადი ფაზის – ქიმიური შედგენილობა, კვლევის შედეგები წარმოადგენილია ცხრ. 1 და 2.

**ცხრილი 1. ვარდის ყვავილების ფიზიკურ-ქიმიური მაჩვენებლები ყვავილობის სხვადასხვა ფაზაში**

ანალიზის ჩატარების თარიღი	მშრალი ნივთიერების მასური წილი, %	საერთო აზოტის მასური წილი, %	პროტეინის მასური წილი, %	მარედუცირებელი შაქრების მასური წილი, %	საერთო შაქრების მასური წილი, %	საკაროზა, %	მთრიმლაგი ნივთიერებების მასური წილი, %	უჯრედის მასური წილი, %
24/5	20,54	2,00	12,50	26,77	31,10	4,33	5,45	14,65
30/5	17,26	2,20	13,75	26,66	26,24	0,58	4,28	15,06
6/6	13,40	1,70	10,60	27,98	27,98	-	4,32	14,17
11/6	17,00	1,80	11,25	32,00	32,50	0,50	3,00	13,50

**ცხრილი 2. მყარი და თხევადი ნარჩენების ფიზიკურ-ქიმიური მაჩვენებლები**

ნომრები №	ნომრების დასახელება	მშრალი ნივთიერების მასური წილი, %	pH	საერთო აზოტის მასური წილი, %	პროტეინის მასური წილი, %	მარედუცირებელი შაქრების მასური წილი, %	მთრიმლაგი ნივთიერებების მასური წილი, %	უჯრედის მასური წილი, %
1	მყარი ფაზა	20,80	-	1,68	10,50	3,46	2,40	18,26
2		18,80	-	1,60	10,00	1,60	1,60	19,15
3		27,22	-	1,46	9,2	4,70	2,20	12,00
4		23,50	-	1,06	6,62	6,00	1,57	10,63
1	თხევადი ფაზა	11,75	4,5	0,38	2,37	5,24	1,19	-
2		8,00	4,3	0,30	1,87	3,40	2,60	-
3		17,60	4,4	0,20	1,81	2,84	2,00	-
4		12,05	4,4	0,30	1,87	3,32	0,15	-

კვლევების შედეგების ანალიზში გვიჩვენა, რომ ვარდის ყვავილებში ცალკეული ნივთიერებების შემცველობა ყვავილობის სხვადასხვა სტადიაში – ყვავილობის დაწყების, მასიური ყვავილობის და დაყვავილების დროს ფართო ზღვრებში არ მერყეობს, ხოლო წარმოების ნარჩენები (მყარი და თხევადი ფაზა) ქიმიური შედგენილობით თვისობრივად არ განსხვავდება ვარდის ყვავილებისაგან, მაგრამ რაოდენობრივად მათში შესამჩნევად (24,5 %-ით) მცირდება შაქრებისა და დანარჩენი ნივთიერებების შემცველობა.

ჩატარებული კვლევის შედეგების ანალიზის საფუძველზე დადგენილ იქნა, რომ ვარდის ყვავილების ჰიდროლისტილაციით გადამუშავების მეორადი ნედლეული – მყარი და თხევადი ფაზა გარდა ეთეროვანი ზეთისა შეიცავს პარფიუმერულ-კოსმეტიკური და საყოფაცხოვრებო ქიმიის წარმოებისათვის ძვირფას ექსტრაქტულ, ბიოლოგიურად აქტიურ მთრიმლავ, მღებავ ნივთიერებებს, ამინომჟავებს, უჯრედის, მიკროელემენტებს, კაროტინოიდებს და სხვა.

ლაბორატორიულ პირობებში მიღებულ იქნა სურნელოვანი კონკრეტი მყარი ფაზიდან, ბიოლოგიურად აქტიური ექსტრაქტი და სურნელოვანი წყალი – თხევადი ფაზიდან. აღნიშნული პროდუქცია, მათი გამოყენების სფეროს დადგენის მიზნით, გადაეცათ პარფიუმერულ-კოსმეტიკური წარმოების სპეციალისტებს.

დადგენილ იქნა, რომ სურნელოვანი კონკრეტი შეიძლება გამოვიყენოთ კოსმეტიკური ნაწარმის – ტუჩსაცხისა და წამწამების ტუშის დასამზადებლად, ხოლო სურნელოვანი წყალი და ბიოლოგიურად აქტიური ექსტრაქტი პარფიუმერიაში და საყოფაცხოვრებო ქიმიში – ვარდის სურნელოვანი წყლის, ლოსიონების, შამპუნების და სხვათა დასამზადებლად.

ჩატარებული კვლევების შედეგების საფუძველზე დადგენილ იქნა, რომ ვარდის ყვავილების გადამუშავების 1 ტონა მეორადი ნედლეულიდან შეიძლება მიღებულ იქნეს 50–60 კილოგრამამდე ბიოლოგიურად აქტიური ექსტრაქტი, 70 კგ-მდე სურნელოვანი წყალი და 7–10 კგ-მდე სურნელოვანი კონკრეტი.

ჩატარებული კვლევების შედეგად შესწავლილია ვარდის ყვავილების და მისი გადამუშავების ნარჩენების მყარი და თხევადი ფაზის ქიმიური შედგენილობა.

დადგენილ იქნა, რომ ვარდის ყვავილების გადამუშავების ნარჩენები – მყარი და თხევადი ფაზა შეიძლება გამოყენებულ იქნეს დამატებითი პროდუქციის-სურნელოვანი კონკრეტის, სურნელოვანი წყლის და ბიოლოგიურად აქტიური ექსტრაქტის მისაღებად, დადგენილია მათი გამოყენების სფეროები.

შემუშავებულია ჰიდროლისტილაციით ვარდის ყვავილების გადამუშავების უნარჩენო ტექნოლოგიის პრინციპული სქემა.

## ლიტერატურა

1. Baghaturia N. Essential Oils of Curative and Spice-Aromatic Plants, Tbilisi, 2007 (in Russian).
2. Baghaturia N. Natural Wines, Juices and Drinks, Tbilisi, 2008 (in Russian).
3. Baghaturia N. Food Products Technology, Tbilisi, 2016 (in Georgian).
4. Secondary Material Resources of Food Industry, Handbook, Moscow, "Economics", 1984 (in Russian).
5. Ziukov D. G., Andreevich E. N., Chipiga A.P., Technology and Equipment of Essential Oil Production, Moscow, "Food Industry" (in Russian).
6. Iakobashvili N., Production Technology of Essential Oils, Tbilisi, 1959 (in Georgian).
7. Sidorov I.I., Turisheva N.A. et al., Production Technology of Natural Essential Oils and Synthetic Aromatic Substances, Moscow, "Light and Food Industry", 1984 (in Russian).

8. Chipigi A.P., Handbook of Essential Oils Production Technologist, Moscow, "Light and Food Industry", 1981 (in Russian).

## SUMMARY

### INVESTIGATION OF RESIDUES OF ESSENTIAL OIL ROSE PROCESSING

Qajaia L., Iluridze N., Gilauri N.

Georgian Technical University Scientific-Research Institute of Food Industry

As a result of conducted researches there is studied the chemical composition of solid and liquid phase of rose flowers and its processing wastes. There was established that rose flowers processing wastes – solid and liquid phase, can be used to get the additional product – fragrant concrete, fragrant water and biologically active extract; it is established the sphere of their usage. There is worked the principle scheme of rose flowers non-waste processing technology's by the hydro distillation.

**Keywords:** biologically active, roses, concrete, waste.

## ვარდის ეთეროვანი ზეთის წარმოების ნარჩენების გადამუშავების ტექნოლოგია

ქაჯაია ლ., ილურიძე ნ., გილაური ნ.

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის კვების მრეწველობის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი

ინსტიტუტში ჩატარებული კვლევების შედეგად დამუშავებულია ვარდის ყვავილების გადამუშავების მყარი ფაზიდან სურნელოვანი კონკრეტის, ხოლო თხევადი ფაზიდან ვარდის სურნელოვანი წყლისა და ბიოლოგიურად აქტიური ექსტრაქტის მიღების ტექნოლოგია. შესწავლილია მათი ფიზიკურ-ქიმიური მაჩვენებლები და ქიმიური შედგენილობა. დადგენილია ვარდის ეთეროვანი ზეთის წარმოების ნარჩენებიდან მიღებული სურნელოვანი კონკრეტის, სურნელოვანი წყლისა და ბიოლოგიურად აქტიური ექსტრაქტის გამოყენების სფეროები – პარფიუმერულ-კოსმეტიკური წარმოება და საყოფაცხოვრებო ქიმია.

**საკვანძო სიტყვები:** ბიოლოგიურად აქტიური, ინსტრუქცია, კონკრეტი, მყარი ნარჩენი, სტანდარტი, სქემა, ფაზა, შედგენილობა.

ვარდის ეთეროვანი ზეთის წარმოების ნარჩენების გამოყენების ერთ-ერთ პერსპექტიულ მიმართულებას წარმოადგენს პარფიუმერულ-კოსმეტიკური და საყოფაცხოვრებო ქიმიის წარმოებისათვის ბიოლოგიურად აქტიური ნატურალური დანამატების წარმოება.

კვლევის ობიექტად გამოყენებული იყო ანაერობულ პირობებში ფერმენტი-რეზული ვარდის ყვავილების ჰიდროდისტილაციით გადამუშავების პროცესის დროს წარმოქმნილი ნარჩენი-მყარი და თხევადი ფაზა.

შესწავლილია მყარი და თხევადი ფაზის ორგანოლექტიკური მაჩვენებლები და მათი და ქიმიური შედგენილობა (ცხრ. 1). დადგენილია რომ მყარი ფაზა განკუთვნილია სურნელოვანი კონკრეტის, ხოლო თხევადი ფაზა სურნელოვანი წყლისა და ბიოლოგიურად აქტიური ექსტრაქტის მისაღებად.

მყარი ფაზიდან ექსტრაქტული ნივთიერებების (კონკრეტის) სრულყოფილ გამოწველილვაზე მოქმედი ძირითადი ტექნოლოგიური პარამეტრების – ექსტრაჰირების ჯერადობა და ხანგრძლივობა სხვადასხვა ტემპერატურულ პირობებში, შესწავლილ იქნა ლაბორატორიულ პირობებში. ექსტრაგენტად გამოყენებულ იქნა პეტროლეინის ეთერი.

**ცხრილი 1. ვარდის ეთეროვანი ზეთის წარმოების ნარჩენების ორგანოლექტიკური და ფიზიკურ-ქიმიური მაჩვენებლები**

მაჩვენებლის დასახელება	დახასიათება და ნორმა
მყარი ფაზა	
გარეგანი სახე	ვარდის ყვავილების გამოხარშული ერთიანი მასა
ფერი	ყავისფერი-ვარდისფერი ელფერით
სუნი	ვარდის ყვავილებისთვის დამახასიათებელი, სუსტი არომატით
კონკრეტის მასური წილი, %, არანაკლებ	0,12
ტენის მასური წილი, %, არაუმეტეს	80,0
გაშავებული დაობებული მყარი ფაზა	არ დაიშვება
თხევადი ფაზა	
გარეგანი სახე	თხევადი მასა
ფერი	ღია ყავისფერიდან-ყავისფერამდე
სუნი	ვარდის სასიამოვნო სურნელი
მშრალი ნივთიერებების მასური წილი, %, არანაკლებ	12
ეთეროვანი ზეთის მასური წილი, %, არანაკლებ	0,05

დადგენილია მყარი ფაზის ექსტრაქციების ტექნოლოგიური პარამეტრები, რაც შემდგომში მდგომარეობს – ექსტრაქცია უნდა ჩატარდეს ორჯერადად თითოეულის 24 საათის დაყოვნებით გარემოს ტემპერატურის პირობებში.

შემუშავებულია მყარი ფაზიდან სურნელოვანი კონკრეტის მიღების თანმიმდევრული ტექნოლოგიური პროცესის სქემა.

ვარდის სურნელოვანი კონკრეტის მიღება შედგება შემდეგი ტექნოლოგიური საფეხურებისაგან: ნარჩენების – მყარი ფაზის ექსტრაქცია, ექსტრაქცირებული ნედლეულიდან გამხსნელის გადადენა, მისცელის კონცენტრირება, ვაკუუმში გამხსნელის საბოლოო გადადენა.

ნარჩენების თხევადი ფაზიდან, რომელიც შეიცავს 0,05–0,08 % ეთეროვან ზეთს მიღებულია ვარდის სურნელოვანი წყალი და ბიოლოგიურად აქტიური ექსტრაქტი. გაფილტვრის შემდეგ თხევადი ფაზა, ვარდის სურნელოვანი წყლის და ბიოლოგიურად აქტიური ექსტრაქტის მიღების მიზნით, იტვირთება ამორთქლებელში და ხდება დისტილატის გადადენა (ჩვეულებრივი წესით) ორ საფეხურად. პირველ საფეხურზე ხდება ამორთქლებელში ჩატვირთული მასის 10 % დისტილატის გადადენა, ხოლო მეორე საფეხურზე, მიღებული დისტილატიდან 20%-ის გადადენა. ამ გზით მიღებული პროდუქტი წარმოადგენს სურნელოვან წყალს, ხოლო ორივე საფეხურზე სურნელოვანი წყლის მიღების შემდეგ ამორთქლებელში დარჩენილი მასა, რომელიც შეიცავს 2–3 % მშრალ ნივთიერებას, მისი გოგირდის ანჰიდრიდით დამუშავების შემდეგ წარმოადგენს ვარდის ბიოლოგიურად აქტიურ ექსტრაქტს.

სურნელოვანი წყალი წარმოადგენს ვარდის ყვავილების ნაზი სურნელების მქონე გამჭვირვალე სითხეს, რომელიც ხასიათდება შემდეგი ხარისხობრივი მაჩვენებლებით:

ეთეროვანი ზეთის მასური წილი – 0,015–0,030 %, სიმკვრივე  $d_{20}^{20}$  0,998–1,000 სმ<sup>3</sup>, გარდატეხის კუთხის მაჩვენებელი – 1,3330–1,3335, აქტიური მჟავიანობა (pH) – 6,75–5,25.

**ცხრილი 2. ვარდის ბიოლოგიურად აქტიური ექსტრაქტის ფიზიკურ-ქიმიური მაჩვენებლები**

მაჩვენებლები	რაოდენობა, %
მშრალი ნივთიერებების მასური წილი	0,15
მჟავიანობა	0,22
ალკალოიდები	0,15
საერთო შაქრები	0,7
სპირტის შემცველობა	22,0
საერთო აზოტი	36,0 მგ%
ამინური აზოტი	12,5 მგ%
მთრიმლავი ნივთიერებები	0,4 გ%
ვიტამინები:	
B <sub>1</sub>	0,712
B <sub>2</sub>	0,720
C	48,0
ნაცარი	0,20

ვარდის სურნელოვანი წყლიდან გამოყოფილია ეთეროვანი ზეთი, რომლის ქიმიური შედგენილობა შესწავლილ იქნა აირთხევადი ქრომოტოგრაფის მეთოდით და დადგინდა, რომ სურნელოვანი წყალი შეიცავს ლინალოლს (1,36%), ციტრონელოლს (0,70%), გერანიოლს (0,52%), ფენილეთილის სპირტს (74,76%), ეს უკანასკნელი ძირითადად, განაპირობებს მის ნაზ სურნელებას.

ვარდის ბიოლოგიურად აქტიური ექსტრაქტის შედგენილობაში შედის აგრეთვე ამინომჟავები, როგორცაა – ცისტინი, ლიზინი, არგინინი, ასპარაგინის მჟავა, სერინგლიცინი, გლუტამინის მჟავა, ალანინი, ვალინი და სხვა.

**ცხრილი 3. მიკროელემენტების შემცველობა ვარდის ბიოლოგიურად აქტიურ ექსტრაქტში**

მიკროელემენტების დასახელება	რაოდენობა, %
ნაცარი	0,12
რკინა	0,056
მაგნიუმი	0,047
ალუმინი	0,192
სტრონციუმი	0,396
სპილენძი	0,055
ტყვია	0,002
მოლიბდენი	0,0003
ტიტანი	0,0016
ვანადიუმი	0,09
რადონი	0,30
ნიკელი	0,0667

**რეზიუმე** გამოკვლევების შედეგად შესწავლილი და დადგენილია ვარდის ეთეროვანი ზეთის წარმოების ნარჩენების – მყარი და თხევადი ფაზის ხარისხობრივი მაჩვენებლები. გამოკვლეულია მყარი ფაზიდან კონკრეტის მიღების ძირითად

ტექნოლოგიური პარამეტრები და შემუშავებულია მყარი ფაზიდან სურნელოვანი კონკრეტის მიღების თანმიმდევრული ტექნოლოგიური პროცესის სქემა. შესწავლილია სურ-

ნელოვანი კონკრეტის ფიზიკურ-ქიმიური მაჩვენებლები და დადგენილია მათი ზღვრული სიდიდეები.

დამუშავებულია თხევადი ფაზიდან სურნელოვანი წყლისა და ბიოლოგიურად აქტიური ექსტრაქტის მიღების ტექნოლოგია. შესწავლილია მათი ფიზიკურ-ქიმიური მაჩვენებლები, დადგენილია სურნელოვანი კონკრეტის, სურნელოვანი წყლისა და ბიოლოგიურად აქტიური ექსტრაქტის გამოყენების სფეროები პარფიუმერულ-კოსმეტიკურ წარმოებაში და საყოფაცხოვრებო ქიმიაში.

#### ლიტერატურა

1. Baghaturia N. Essential Oils of Curative and Spice-Aromatic Plants, Tbilisi, 2007 (in Russian).
2. Baghaturia N. Natural Wines, Juices and Drinks, Tbilisi, 2008 (in Russian).
3. Baghaturia N. Food Products Technology, Tbilisi, 2016 (in Georgian).
4. Secondary Material Resources of Food Industry, Handbook, Moscow, "Economics", 1984 (in Russian).
5. Ziukov D. G., Andreevich E. N., Chipiga A.P., Technology and Equipment of Essential Oil Production, Moscow, "Food Industry" (in Russian).
6. Iakobashvili N., Production Technology of Essential Oils, Tbilisi, 1959 (in Georgian).
7. Sidorov I.I., Turisheva N.A. et al., Production Technology of Natural Essential Oils and Synthetic Aromatic Substances, Moscow, "Light and Food Industry", 1984 (in Russian).
8. Chipigi A.P., Handbook of Essential Oils Production Technologist, Moscow, "Light and Food Industry", 1981 (in Russian).

#### SUMMARY

#### PROCESSING OF THE RESIDUES OF ROSE ESSENTIAL OIL PRODUCTION

**Qajaia L., Iluridze N., Gilauri N.**

**Georgian Technical University Scientific-Research Institute of Food Industry**

As a result of researches there are established the quality indexes of solid and liquid phase of rose essential oil industry wastes. There are investigated the technological parameters of getting the concrete from the solid phase and is developed the consistent technological process scheme of getting the fragrant concrete from the solid phase. There are studied the physical and chemical indexes of fragrant concrete and are establish their marginal magnitudes. There is worked out the getting technology of fragrant water and biologically active extract from the liquid phase. There are studied the physical chemical indexes and are established the using spheres of fragrant water and biologically active extract in perfumery-cosmetic industry and household chemical goods.

**Keywords:** Biologically active, instruction, concrete, solid waste, standard, scheme, phase, composition.

### ჰიდროლიზატის გავლენა შემკოჭავი ნამცხვრის ხარისხზე

ყიფიანი ა.

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი

სტატიაში განხილული და დასაბუთებულია დაშაქრებული ჰიდროლიზატის გამოყენების მიზანშეწონილობა შემკოჭავი ნამცხვრის მომზადების პროცესში. ნაჩვენებია, რომ ფქვილის მასასთან შეფარდებით 10–20%-ის რაოდენობით ჰიდროლიზატის გამოყენება შესაძლებლობას იძლევა რეცეპტურიდან გამოირიცხოს შაქრის ნაწილი, ინვერტული სიროფი და ხილ-კენკრის პიურე. ამასთანავე ჰიდროლიზატი მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ცომის მომზადების ინტენსიფიკაციაზე და საშუალებას იძლევა მიღებულ იქნას მაღალი ხარისხის ნაწარმი.

ფქვილოვანი საკონდიტრო ნაწარმი, როგორც მასობრივი მოხმარების, მოსახლეობისათვის ხელმისაწვდომი და ყოველდღიურ კვებაში რეგულარულად გამოყენებადი ნაწარმი, მეტად მნიშვნელოვან კვების პროდუქტს წარმოადგენს. მათ შორის პოპულარობით გამოირჩევა შემკოჭავი ნამცხვარი, რომლის ხარისხი დიდად არის დამოკიდებული ცომის სტრუქტურულ-მექანიკურ თვისებებზე. შემკოჭავი ცომი უნდა გამო ირჩეოდეს ნაკლები დრეკადობით და მეტი პლასტიკურობით, რაც ცომის იოლად დამუშავების პირობას წარმოადგენს.

აღსანიშნავია, რომ შემკოჭავი ნამცხვრის მომზადების ტრადიციული ტექნოლოგია ითვალისწინებს ცომის ხანგრძლივ მოზეღას, მრავალჯერად გაგლინვას და დაყოვნებას, ამიტომ მაღალხარისხოვანი ნამცხვრის წარმოების ისეთი ტექნოლოგიური პროცესების შემუშავება, როდესაც მიიღწევა ცომის მომზადების პროცესის ხანგრძლივობის მნიშვნელოვანი შემცირება-აქტუალურად გვესახება.

ფქვილოვანი საკონდიტრო ნაწარმის მომზადებისას, ცომის რეოლოგიური მახასიათებლების დარეგულირების მიზნით, სხვადასხვა სახის გამაუმჯობესებელი გამოიყენება, როგორცაა ქიმიური დანამატები, პიურეები, მულტიენზიმური კომპოზიციები, თუ არატრადიციული ნედლეული.

ჩვენს მიერ შესწავლილ იქნა წველების წარმოების ნარჩენების, კერძოდ ვაშლის გამონაწნეების, ცელულაზური აქტივობის მქონე ფერმენტ *A. versicolor*-ით მიღებული დაშაქრებული ჰიდროლიზატის გავლენა, შემკოჭავი ცომისა და ნამცხვრის ხარისხზე.

65–70 % ტენიანობის მქონე ჰიდროლიზატი მიღებულ იქნა ცელულოზაშემცველი ვაშლის გამონაწნეების დაშაქრებით. დაშაქრებას ვახდენდით ტექნიკური ცელულოზური ფერმენტული პრეპარატით *A. Versicolor*. ფერმენტის მოქმედების გასაუმჯობესებლად, გამონაწნეებს წინასწარ თერმულად ვამუშავებდით 80–90°C ტემპერა ტურაზე, 20–25 წუთის განმავლობაში, შემდეგ კი მცენარეული ქსოვილის მყარი სტრუქტურის რღვევის, ამორფული ფრაქციის წილისა და ხვედრითი ზედაპირის გაზრდის მიზნით ვაქუცმაცებდით, რათა გაგვეზარდა დამყოლობა ფერმენტის მიმართ.

დაქუცმაცებული მცენარეული ქსოვილების ნაწილაკების რიცხვისა და ზომების შესაფასებლად გამოვიყენეთ ნაწილაკების განაწილების ჰისტოგრამის მონაცემები, რომელიც მიღებულ იქნა კაულტერის მრიცხველზე. დადგინდა იქნა, რომ 10–25 მკმ ზომის ნაწილაკების რაოდენობა არ აღემატება 30% .

დაშაქრებული ჰიდროლიზატის მისაღებად დაქუცმაცებულ მასაში დავამატეთ ცელულოზური ფერმენტული პრეპარატი *A. Versicolor* (Na-KMII აქტივობით 865 ერთ/გ და ფილტრის ქაღალდის მიმართ ΦБ-50,4 ერთ/გ) 1%კონცენტრაციით, სუბსტრატის მასასთან 2%-იანი წყალხსნარის სახით, 50 °C, არის pH 4–4,5 დროს. დაშაქრება მიმდინარეობდა 6–8 სთ. ფერმენტულ ჰიდროლიზატში მარედუცირებელი შაქრების შემცველობა იყო 34–38% ინვერტულ შაქარზე გადაანგარიშებით.

დაშაქრებული ჰიდროლიზატი 5–20%-ის რაოდენობით შეტანილ იქნა ემულსი აში შაქრისა და ხილის პიურეს ნაცვლად. ემულსია დამუშავდა ინტენსიურად 10–15 წუთი. საკონტროლოდ აღებულ იქნა შემკოჭავი ნამცხვარი „ლენინგრადული“.

ცომის სტრუქტურულ-მექანიკური თვისებების, ნახევარფაბრიკატისა და მზა ნაწარმის ხარისხის მაჩვენებლების ცვლილება, დამატებული ჰიდროლიზატის რაოდენობასთან დამოკიდებულებით ნაჩვენებია ცხრილში 1.

**ცხრილი 1. ჰიდროლიზატის გავლენა ცომისა და ნამცხვრის თვისებებზე**

მაჩვენებლები	კონტროლი	15% ჰიდროლიზატის დამატებით
<b>ც ო მ ი</b>		
ტენიანობა, %	25,5	25,4
ტემპერატურა, °C	38–40	38–40
მოზელის ხანგრძლივობა, წთ.	45	35
ძვრის ზღვრული დამაბულობა, კპა	8,7	6,3
<b>ნ ა მ ც ხ ვ ა რ ი</b>		
ტენიანობა, %	6,4	6,7
ცხობის ხანგრძლივობა, წთ.	240	230
გაჯირჯვება, %	134	150
ტუტთანობა, გრად.	0,56	0,50
საერთო შაქრების რაოდენობა საქაროზაზე გადაანგარიშებით, % მშრ. ნივთ.	19,3	20,09
მარედუცირებელი შაქრების შემცველობა ინვერტულ შაქარზე გადაანგ., % მშრ. ნივთ.	1,8	5,63
არომატული ნივთიერებები, (0,1 N I <sub>2</sub> , მლ)	10,2	16,5
ზედაპირი	გლუვი	გლუვი, პრიალა
ფორმა		ს წ ო რ ი

როგორც ცხრილის მონაცემებიდან ჩანს, ჰიდროლიზატის დამატებით ძვრის ზღვრული დამაბულობა მცირდება ე.ი. ცომი სუსტდება, რაც იმით აიხსნება, რომ ჰიდროლიზატის დამატებით ცომში იზრდება დაბალმოლეკულური, წყალში ხსნადი ნაერთები (მარედუცირებელი ნივთიერებები), ე.წ. ცომის პლასტიფიკატორები, რომლებიც იწვევენ ცომის სტრუქტურის შესუსტებას. მეორეს მხრივ, ცომის აღნიშნულ მაჩვენებელზე არსებით გავლენას ახდენს გამოაწივების დაშაქრების შემდეგ დარჩენილი ნივთიერებები, კერძოდ პექტინოვანი ნივთიერებები, ცელულოზისა და ჰემიცელულოზის ნაწილი.

დაშაქრებული ჰიდროლიზატი, წარმოადგენს, რა მარედუცირებელი შაქრების წყაროს, უზრუნველჰყოფს მზა ნაწარმში აღნიშნული ნივთიერებების რაოდენობის ზრდას 5,6 %-მდე, რაც დიდ გავლენას ახდენს ნამცხვრის ფოროვან სტრუქტურაზე, მის გაჯირჯვების უნარსა და მაჩვენებლებზე, რომელთაც გარდა წმინდა გემოვნებისა, საყურადღებო ფიზიოლოგიური მნიშვნელობა აქვთ. ამავე დროს ცნობილია, რომ გაჯირჯვების უნარის გაზრდით უმჯობესდება ორგანიზმის მიერ ნაწარმის შეთვისება.

ამასთანავე, ჰიდროლიზატის დამატებით აღინიშნა არომატულ ნივთიერებათა ზრდა, რომელთა დაგროვება სწარმოებს შაქარამინური რეაქციის შედეგად, ხოლო ნამცხვრის ტუტთანობის შემცირება, საკონტროლოსთან შედარებით განპირობებულია ჰიდროლიზატის მჟავიანობის განეიტრალებით.

უნდა აღინიშნოს, რომ რეცეპტურულ ნარევეში დაშაქრებული ჰიდროლიზატის 10%-მდე დამატება არსებით გავლენას არ ახდენს მზა ნაწარმის ხარისხის მაჩვენებლებზე, ხოლო 20%-ზე ზევით მკვეთრად აუარესებს ცომის სტრუქტურულ-მექანიკურ თვისებებს, იწვევს მის ძლიერ შესუსტებას, რაც უარყოფითად აისახება მზა ნაწარმის ხარისხზე.

ამრიგად, დაშაქრებული ჰიდროლიზატის დამატებით შესაძლებელია არა მარტო ნედლეულის (შაქრის ნაწილი, ინვერტული სიროფი, პიურე) ეკონომია, არამედ ჰიდროლიზატი თვალსაჩინო გავლენას ახდენს ცომის მომზადების ინტენსიფიკაციაზე და საშუალებას იძლევა მიღებულ იქნას მაღალი ხარისხის ნაწარმი.



## ლიტერატურა

1. Апет Т.К. Справочник технолога кондитерского производства. Т. 1: Технология и рецептура / Т.К. Апет, З.Н. Пашук. – М.;СПб.: Гиорд, 2004, 560 с.
2. Кузнецова Л. С., Сиданова М. Ю. Технология приготовления мучных кондитерских изделий. –Москва: Мастерство; Высшая школа, 2001,320 с.
3. Менли Д. Мучные кондитерские изделия /перевод с английского В.Е.Ашкинази, науч. ред. И.В. Матвеева. Санкт-Петербург, изд.во «Профессия», 2003, 558с.

## SUMMARY

### THE INFLUENCE OF THE HYDROLYZATE ON THE QUALITY OF LINGERING BISCUITS

Kipiani A.

Akaki Tsereteli State University

The article discusses and substantiates the feasibility of using the article discusses and substantiates the feasibility of using saccharified hydrolyzate in the preparation of lingering varieties of cookies. It is shown that the use of a hydrolyzate in an amount of 10-20% in relation to the mass of flour makes it possible to exclude a part of sugar, invert syrup and fruit-berry puree from the recipe. In addition, the hydrolyzate significantly affects the intensification of dough preparation and allows you to obtain high quality products.

## ბიოლოგიურად აქტიური დანამატები გალეტის წარმოებაში

ყიფიანი ა., კობალიაშვილი თ.

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი

*სტატიაში განხილულია ჰიდროლიზატისა და ჭინჭრის ექსტრაქტის გამოყენება გალეტის მომზადების პროცესში. ნაჩვენებია, რომ აფარში 5% ჰიდროლიზატისა და 1% ჭინჭრის ექსტრაქტის დამატება უზრუნველყოფს გალეტის ცომის მოზელის პროცესის ინტენსიფიკაციას 3-ჯერ და მაღალი კვებითი ღირებულების ნაწარმის მიღებას.*

თანამედროვე პირობებში, როდესაც კვების ხარისხი და სტრუქტურა არასრულფასოვნებით გამოირჩევა, იმუნიტეტი მკვეთრად ქვეითდება, რაც მრავალი დაავადების საფრთხეს წარმოშობს მეტად აქტუალურია ბიოლოგიურად აქტიური დანამატებით მდიდარი ფუნქციური და სამკურნალო-პროფილაქტიკური დანიშნულების კვების პროდუქტების გამოყენება, რომლებიც ხასიათდებიან მაღალი სამკურნალო თვისებებით, უზრუნველყოფენ ორგანიზმის მდგრადობას და მრავალმხრივ დადებით გავლენას ახდენენ ფიზიოლოგიურ თვისებებზე.

ჯანსაღი კვების პროდუქტებით მოსახლეობის დაკმაყოფილება შესაძლებელია მაღალი კვებითი ღირებულებისა და ფუნქციონალური დანიშნულების პროდუქტების ასორტიმენტის გაფართოებითა და მათი ინოვაციური ტექნოლოგიების შემუშავებით [2,3].

ფქვილოვანი საკონდიტრო ნაწარმი მოსახლეობის მხრიდან ყოველდღიური საყოველთაო მოხმარებით გამოირჩევა, ამიტომ მოსახლეობის უზრუნველყოფა მაღალხარისხოვანი სამკურნალო-პროფილაქტიკური თვისებების მქონე კვების პროდუქტებით მეტად აქტუალურია.

ფქვილოვანი საკონდიტრო ნაწარმის ხარისხის, ბიოლოგიური ღირებულებისა და გემოვნებითი ღირსების ამაღლება შესაძლებელია არატრადიციული მცენარეული ნედლეულის ფართო გამოყენებით. აღნიშნული თვალსაზრისით განსაკუთრებით ყურადსაღებია სამკურნალო მცენარეები, რომლებიც ვიტამინების, ცილების, მინერალური ნივთიერებების,

ნახშირწყლების, ბიოფლავონოიდების, მთრიმლავი ნივთიერებებისა და სხვათა ფასეულ წყაროს წარმოადგენენ, პროდუქტს ანიჭებენ დიეტურ თვისებებს, აძლიერებენ ორგანიზმის იმუნიტეტსა და ანტიოქსიდანტური პროცესების აქტივობას [2,3], იწვევენ სისხლძარღვთა კაპილარების კედლების სიმტკიცის გაზრდას და შეღწევადობის შემცირებას [1,3].

აღნიშნულიდან გამომდინარე, მიზნად დავისახეთ ფუნქციონალური დანიშნულების ფქვილოვანი საკონდიტრო ნაწარმის – გალეტის კვებითი ღირებულების ამაღლება და ძირითადი ტექნოლოგიური პროცესების ინტენსიფიკაცია პომიდვრის გამონაწნეების ჰიდროლიზატისა და სამკურნალო მცენარის – ჭინჭრის ექსტრაქტის გამოყენებით.

პომიდვრის გამონაწნეები საკონსერვო პროდუქტების (წვენი, პასტა და სხვა) ნარჩენს წარმოადგენს, რომლის ქიმიური შედგენილობა მეტად ფასეულია, რადგან მასში შედის ცელულოზა და ჰემიცილულოზა (19,6 %), წყლით ექსტრაგირებადი ნივთიერებები, მათ შორის მარედუცირებელი ნივთიერებები და გლუკოზა (24,2 %), პექტინოვანი ნივთიერებები (3,1%), ცილოვანი ნივთიერებები (8,0%) წარმოადგენილია შეუცვლადი ამინომჟავების სახით, რომელთა ჯამური რაოდენობა – 36,82 გ 100გ ცილაში, მინერალური ნივთიერებები: Ca, Fe, K, Mg, P (3,2 %), ცხიმი (19–22%). რომელიც გამოირჩევა პოლიუჯერი ცხიმოვანი მჟავების (60%-მდე), ფოსფატიდების, კაროტი ნოიდების, ტოკოფეროლების შემცველობით. ამდენად პომიდვრის გამონაწნეები ფასეული მცენარეული დანამატია.

რაც შეეხება ველურად მზარდ ბალახოვან მცენარეს, ორსახლიან ჭინჭარს (*Urtica dioica L.*), ექსპერიმენტისათვის გამოყენებულ იქნა ყვავილობის პერიოდში აღებული ფოთოლი, რომელიც სხვა პერიოდებთან შედარებით, ბიოლოგიურად აქტიური, ჰიდროფილური ნაერთების უფრო მაღალი შემცველობით გამოირჩევა. ის წარმოადგენს ვიტამინებისა (C - 0,7%,K) და მინერალური ნივთიერებების (Fe – 0,2%, Ca, Mg, Mn , Cu , Na, K) წყაროს, შეიცავს წყალში ხსნად პოლისაქარიდულ კომპლექსს (3,8%), ორგანულ მჟავებს (2,3%), მასში ამინომჟავების ჯამური შემცველობა 25,46 მკგ/მგ. ჭინჭრის ექსტრაქტში განსაზღვრულ იქნა ჯამური ქლოროფილები (4,83 მგ/გ), კაროტინოიდები (0,86 მგ/გ), საერთო ფენოლები (30,84 მგ/100გ მშრ. მასაზე), საერთო ფლავონოიდები (11,04 მგ/100გ მშრ.მასაზე) და ანტიოქსიდანტური აქტივობა (56,45%). ამდენად, ჭინჭარი, ბიოლოგიურად აქტიური ნივთიერებების მაღალი შემცველობითა და ანტიოქსიდანტური აქტივობით რეკომენდირებულია ფქვილოვანი საკონდიტრო ნაწარმის გასამდიდრებლად.

70 % ტენიანობის მქონე ჰიდროლიზატი მიღებულ იქნა ცელულოზაშემცველი პომიდვრის გამონაწნეების დაშაქრებით. გამონაწნეებს წინასწარ ვამუშავებდით 80-90°C ტემპერატურაზე, 20–25 წუთის განმავლობაში და ვაქუცმაცებდით. შემდეგ მასაში ვამატებდით ცელულაზურ ფერმენტულ პრეპარატს *A. Versicolor* (Na-KMII აქტივობით 865 ერთ/გ და ფილტრის ქალაღის მიმართ ΦE-50,4 ერთ/გ) 1%კონცენტრაციით, სუბსტრატის მასასთან 2%-იანი წყალხსნარის სახით, 50°C, არის pH 4–4,5 დროს. დაშაქრება მიმდინარეობდა 6–8 სთ. ფერმენტულ ჰიდროლიზატში მარედუცირებელი შაქრების შემცველობა იყო 36–38% ინვერტულ შაქარზე გადაანგარიშებით.

ჭინჭრის ფოთლებიდან მიღებულ იქნა სქელი ექსტრაქტი ტენიანობით 25% ექსტრაგირების ჩატარების ოპტიმალური პირობები: ექსტრაგენტი – 70%-იანი წყალსპირტიანი ხსნარი; ჭინჭრის ფოთლების დაქუცმაცების ხარისხი – 3 მმ; ჰიდრომოდული – 1:10; ექსტრაგირების ჯერადობა – 2; ექსტრაქციის დრო – 120 წთ;

აფარში ფერმენტული ჰიდროლიზატი დამატებულ იქნა 5%-ის რაოდენობით ფქვილის საერთო მასიდან, ხოლო ჭინჭრის ექსტრაქტი 1%-ის ოდენობით ფქვილის მასიდან. ცომის

მოზელის ეფექტურობა შეფასებულ იქნა აფარსა და ცომში მჟავების დაგროვებით.

ექსპერიმენტის შედეგებმა აჩვენეს, რომ დუღილის ბოლოს მჟავიანობა უფრო მეტად მატულობს საცდელ ნიმუშში საკონტროლოსთან შედარებით, ამიტომ pH მცირდება. თუ საკონტროლო ნიმუშში მჟავიანობა  $8^{\circ}\text{H}$  აღწევს 7–8 სთ-ის შემდეგ, მჟავიანობის იგივე შედეგის მიღწევას საცდელ ნიმუშში სჭირდება 2,5–3 საათი.

აღმოჩნდა, რომ დაშაქრებული ფერმენტული ჰიდროლიზატი და ჭინჭრის ექსტრაქტი უზრუნველყოფენ აფარის დუღილისპროცესის დაჩქარებას, რამდენადაც ისინი ამდიდრებენ ნახევარფაბრიკატს ნახშირწყლებით, რომლებიც საფუვრების ფერმენტების მოქმედებით ახდენენ სპირტული დუღილის ინტენსიფიკაციას, ხოლო როგორც აზოტოვანი და მინერალური ნივთიერებების კვების წყარო საფუვრებისა და რემეჯავაბექტერიებისათვის მონაწილეობენ აფარის მომწიფებაში და წარმოადგენენ საფუვრების მადუღარი აქტივობის ეფექტურ საშუალებას.

ამდენად, ფერმენტული ჰიდროლიზატი და ჭინჭრის ექსტრაქტით გაღებულ მომზადება ახდენს ცომის მოზელის ინტენსიფიკაციას 3-ჯერ და საშუალებას იძლევა მიღებულ იქნას ბიოლოგიურად აქტიური ნივთიერებებით მდიდარი, მაღალი კვებითი ღირებულების მქონე ნაწარმი.

#### ლიტერატურა

1. Апет Т.К. Справочник технолога кондитерского производства. Т. 1: Технология и Рецептура / Т.К. Апет, З.Н Пашук. – М.;СПб.: Гиорд, 2004, 560 с.
2. Капрельянц Л., Хомич Г.А. //Функциональные продукты; тенденции и перспективы, №4(2), 2012, сс.5-8.
3. Лавренев В.К., Лавренева Г.В. Современная энциклопедия лекарственных растений. Издательский дом «Нева», 2006, 271с.
4. М.С. Саулебекова, С.Р. Рахметова. Применение семян томатов в качестве пищевых белков и жиров. – М.: Пищевая промышленность, 1991, № 12, сс. 44-45.

#### SUMMARY

#### BIOLOGICALLY ACTIVE ADDITIVES IN THE PRODUCTION OF GALETTE

Kipiani A., Kopaleishvili T.

Akaki Tsereteli State University

The article discusses the use of hydrolyzate and nettle extract in the preparation of galette. It is shown that the addition of 5% hydrolyzate and 1% nettle extract to the dough provides an intensification of the galette dough kneading process by 3 times and obtaining a product with high nutritional value

#### დათიშვის თავისებურებანი ლიმონის პოლიპლოიდურ ფორმებში

ჩიკაშუა ქ. ი., გობრონიძე, ე. რ.

ა(ა)იპ საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის ჩაის, სუბტროპიკული კულტურების და ჩაის მრეწველობის ინსტიტუტი

დათიშვის თავისებურების შესწავლისას ლ. მონაკელოს ტეტრაპლოიდურ ფორმების შეჯვარებისას დიპ.ლიმონთან, გამოვლინდა მაღალი რაოდენობით დედის მსგავსი ინდივიდების წარმომნა, ხოლო თავისუფალი დამტვერიანებისას, მაღალი სიხშირით ტეტრაპლოიდური ნათესარების წარმოქმნა, რომელიც ძვირფასი მასალაა შემდგომი სელექციური მუშაობისათვის.

ფორმაწარმოქმნის ერთ-ერთი მეთოდია პოლიპლოიდია, რომლის გამოყენებით მდიდარია სასოფლო-სამეურნეო მცენარეთა გენოფონდი. ბუნებრივი პოლიპლოიდური ფორმების გამოვლენა ხეხილოვანთა გაუმჯობესების ერთ-ერთი მეთოდია.

ბუნებრივ პირობებში პოლიპლოიდური ფორმები წარმოიქმნებიან სხვადასხვა მიზეზით; მაღალი და დაბალი ტემპერატურის მკვეთრი ცვალებადობით, სხივური ენერგიით, ნიადაგში ქიმიური ნივთიერებების-შემცველობის ცვლილებით, სხვადასხვა შხამქიმიკატა გამოყენებით და სხვა.

ლიმონის პოლიპლოიდური ფორმების მრავალფეროვნება განპირობებულია ორგანიზმების რთული ჰეტეროზიგოტურობით, რეკომბინაციის მაღალი სიხშირით. პოლიპლოიდური ფორმების დიპლოიდურთან შეჯვარებისას მიღებულ ჰიბრიდებში შესაძლებელია გაძლიერდეს მშობელთა ერთ-ერთი კომპონენტის მემკვიდრული საფუძველი.

მრავალწლიანი გამოკვლევებით დადგენილია, რომ ციტრუსოვანთა ტეტრაპლოიდური ფორმები მცირეთედ თესლიანია, ხოლო ტრიპლოიდები თითქმის უთესლოა (1).

დათიშვის თავისებურებების შესწავლის მიზნით, შევაჯვარეთ ლ. მონაკელოს ტეტრაპლოიდური (4n=36) და ლ. მეიერის დიპლოიდური ფორმები. ტეტრაპლოიდური ფორმები #1, 2, 3, 4, წარმოშობილია სომატური ლ.მონაკელოს კვირტების ცვალებადობით.

კვლევის მასალა და მეთოდიკა: კვლევის ობიექტად გამოყენებული იქნა ლ.მონაკელოს დიპლოიდური და პოლიპლოიდური ფორმების ჰიბრიდული ნათესარები, რომლების გენოტიპური ნიშნების მიხედვით დავყავით სამ ჯგუფად: 1. დედის მსგავსი, 2. მამის მსგავსი, 3. შუალედური ფორმები.

ლ. მონაკელოს ტეტრაპლოიდური ფორმების თავისუფალი დამტვერვიანებისას მიღებული ჰიბრიდული ნათესარების დათიშვის თავისებურებები შევისწავლეთ გენომური სტრუქტურის მიხედვით: დიპლოიდური 2n=18, ტრიპლოიდური 3n= 27 და ტეტრაპლოიდური 4n=36.

ექსპერიმენტის შედეგები: ლ. მონაკელოს ტეტრაპლოიდური და ლ. მეიერის დიპლოიდური ფორმების შეჯვარებით მიღებული ჰიბრიდული ნათესარების გენეტიკური ანალიზით გამოვლინდა, რომ დათიშვის კანონზომიერება კომბინაციებში დაახლოებით თანაბარია.

**ცხრილი 1. ლიმონის სხვადასხვა პლოიდური ფორმების შეჯვარებით მიღებული ჰიბრიდების გენეტიკური ანალიზი**

შეჯვარების კომბინაცია	მიღებული ნათესარების რაოდენობა	დედის მსგავსი		მამის მსგავსი		დათიშვის სიდიდე	შუალედური ფორმები	
		ცალი	%	ცალი	%		ცალი	%
ლ. მონაკელო#1 4n) x ლ. მეიერი (2n)	14	5	35,7	3	21,4	1:1	6	42,8
ლ. მონაკელო#2(4n)x ლ. მეიერი	31	8	25,8	10	32,2	1:1	13	41,9
ლ. მონაკელო#3 (4n)x ლ. მეიერი	49	12	24,41	10	20,42	1:1	26	53,0
ლიმონი მონაკელო#4 (4n)x ლ.მეიერი	68	30	44,1	24	35,2	1:1	14	20,5

ტეტრაპლოიდური ლ.მონაკელოს #1-ის დიპლოიდურ ლიმონ მეიერთან შეჯვარებისას დედის მსგავსი მცენარეების რაოდენობა 35,7%-ია, ხოლო მამის მსგავსი 21,4 %, დათიშვის სიდიდე მორფოლოგიური ნიშნის მიხედვით 1:1 (ცხრ. 1).

დაახლოებით მსგავსი კანონზომიერება მეორდება დანარჩენი კომბინაციების შემთხვევაშიც (მონაკელო #2,3,4.)

გენეტიკური ანალიზის დროს აღმოჩნდა, რომ კომბინაციებში დედის მსგავსი ინდივიდების რაოდენობა შედარებით უფრო მაღალია, ვიდრე მამის მსგავსი. გამონაკლისია კომბინაცია ლ. მონაკელო #2 (4n)x ლ. მეიერი(2n), სადაც მამის მსგავსი ინდივიდების რაოდენობა შედარებით მაღალია.

ჰიბრიდების გენეტიკური ანალიზისას აღრიცხულია მშობლებისაგან განსხვავებული ფორმები, მაღალი ინდივიდთა რაოდენობით, რომლებიც ძვირფასი საწყისი მასალაა შემდგომი სელექციური მუშაობისთვის.

ლ. მონაკელოს ტეტრაპლოიდური ფორმების თავისუფალი დამტვერიანების დროს მიღებულ ნათესებში გენომური სტრუქტურის (2n=18,, 3n=27, 4n=36) მიხედვით დათიშვის კანონზომიერების შესწავლისას აღმოჩნდა სხვადასხვა პლოიდური ფორმები განსხვავებული სიხშირით წარმოიქმნებიან. დიპლოიდური ნათესარების წარმოქმნის სიხშირე კომბინაციების მიხედვით 8 %-იდან 20 %-მდე მერყეობს, ტრიპლოიდების – 28,0 %-33,3 %-მდე, ხოლო ტეტრაპლოიდების 51,4 %-დან 64 %-მდე ( ცხრ. 2)

**ცხრილი 2. ლ. მონაკელოს ტეტრაპლოიდური ფორმების გენომური დათიშვა თავისუფალი დამტვერიანებისას**

გენოტიპები	ნათესარების საერთო რაოდენობა	გენომური დათიშვის სიდიდე საერთო რისხვიდან					
		2n=18		3n=27		4n=36	
		ცალი	%	ცალი	%	ცალი	%
F1მონაკელო#1(4n=36)	30	3	10,0	10	33,3	17	56,6
F1მონაკელო#2(4n=36)	25	2	8,0	7	28,0	16	64,0
F1მონაკელო#3 (4n=36)	28	5	17,8	8	28,5	16	57,1
F1 მონაკელო #4 (4n=36)	35	7	20	10	28,5	18	51,4

სავარაუდოა, რომ ტეტრაპლოიდური ლ. მონაკელოს თავისუფალი დამტვერიანების შედეგად მიღებულ ნათესარებში ტეტრაპლოიდების მაღალი რაოდენობა გამოწვეულია ინდივიდების დედა მცენარეებთან მსგავსებით, რაც შემდგომ ღრმა შესწავლას მოითხოვს.

დასკვნა:

1. ლ. მონაკელოს ტეტრაპლოიდური ფორმების დიპლოიდურ ლ. მეიერთან შეჯვარებისას დათიშვის თავისებურება ფენოტიპის მიხედვით კომბინაციებში დაახლოებით თანაბარია, შედარებით მაღალი რაოდენობით წარმოიქმნებიან დედის მსგავსი ინდივიდები.

2. სხვადასხვა პლოიდური ლიმონების შეჯვარებისას ჰიბრიდებში გამოჩნდა ისეთი შუალედური ფორმები, რომლებიც ძვირფასი მასალაა შემდგომი სელექციური მუშაობისათვის.

3. ლ. მონაკელოს ტეტრაპლოიდური ფორმების თავისუფალი დამტვერიანებისას მიღებულ ნათესარებში, მაღალი სიხშირით მიიღება ტეტრაპლოიდური ნათესარები.

## ლიტერატურა

1. მ. ტაკიძე, მ წილოსანი. ლ. მონაკელოს ტეტრაპლოიდური ფორმების ჰომოლოგიური დახასიათება. „სუბტროპიკული კულტურები“, #6, 1986წ
2. ქ. დოლიძე. ჩაის გენეტიკის ზოგიერთი საკითხი. „სუბტროპიკული კულტურები“, #2, 1986 წ.
3. ი. ქერქაძე. ციტოგენეტიკური თავისებურებანი ციტრუსების გვარში, მეიოზი ლიმონებში. „სუბტროპიკული კულტურები“ #2, 1972წ.

## SUMMARY

### SEPARATION FEATURES IN POLYPLOIDY FORMS OF LIMON

Chikasua K.I., Gobronidze E.R.

Institute of Tea, Subtropical Crops and Tea Industry of Georgia Agrarian University

Study out of peculiarities of detachment, inbreeding of tetraploid forms of Limon Monacello with diploid Lemon, revealed the production of a large number of mother-like individuals, and in free pollination, the production of high frequency tetraploid seedlings, which is a valuable material for further selection work.

## მცენარეული ინგრედიენტების გავლენა ლიქიორის ანტიოქსიდანტურ თვისებებზე

ჩუბინიძე ნინო, სორდია ელენე, ტყემალაძე გურამ  
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

დღეს დიდი ყურადღება ეთმობა მაღალხარისხოვანი ნატურალური საკვები პროდუქტების წარმოებას, რაც განაპირობებს პროდუქციის ასორტიმენტის ზრდასაც. ამ მიმართულებით განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა ალკოჰოლიან სასმელებს, რაზეც მოთხოვნა ინტენსიურად იზრდება. ტექნოლოგიების დახვეწით იქმნება საუკეთესო თვისებებისა და ორგანოლექტიკური მახასიათებლების მქონე სასმელები. იკვლევენ მათს დადებით და უარყოფით თვისებებს. ხალხურ მედიცინაში საკმაოდ დიდი რიცხვია იმ მცენარეების, რომლებიც გამოიყენება სამკურნალოდ. მცენარის ამ დანიშნულებით გამოყენებას უმთავრესად მასში არსებული მოქმედი ბიოლოგიურად აქტიური ნივთიერებები (ბან) განაპირობებს. საქართველო მდიდარია როგორც ხილის, ისე სამკურნალო მცენარეების ფართო ასორტიმენტით. ეს ყოველივე საუალებას იძლევა შეიქმნას მრავალფეროვანი ხასიათის ლიქიორები, რომლებიც გაჯერებული იქნება საუკეთესო არომატითა და ქიმიური თვისებებით მდიდარი სამკურნალო მცენარეებით. კვლევის მიზანს წარმოადგენს სადესერტო ლიქიორების დამზადება და მათი ანტიოქსიდანტური თვისებების გაუმჯობესება ბან-ის შემცველი სამკურნალო მცენარეების – ბარამბოს, შავბალახსა და კუნელის – ექსტრაქტების დამატებით.

**საკვანძო სიტყვები:** ანტიოქსიდანტობა, ლიქიორი, ბარამბო, შავბალახა, კუნელი.

### შინაარსი

ხალხური მედიცინა სულ უფრო და უფრო პოპულარული ხდება, მით უმეტეს, რომ საქართველო მდიდარია ხილ-კენკროვანი და ბალახოვანი მცენარეებით, რომლებიც გამოირჩევა სამკურნალო, პროფილაქტიკური და პრევენციული თვისებებით.

მცენარეების ამ მიმართულებით გამოყენებას უმთავრესად მათში არსებული ბან (ალკალოიდები, გლიკოზიდები, საპონინები, ეთერზეთები, გუმფისები, ფისები, ლორწო, ვიტამინები, ფიტონციდები და სხვ.) განაპირობებს, რომლებიც გარკვეულ ზეგავლენას ახდენს ადამიანის ორგანიზმში მიმდინარე ფიზიოლოგიურ პროცესებზე. მცენარეები ცდილობენ მცენარეთა ნაყენიდან როგორც ალკოჰოლური, ისე უალკოჰოლო სასმელების დამზადებას. ნაყენების გამოყენებით მსოფლიოში დღეისათვის მრავალი სადესერტო სასმელი და ლიქიორი იწარმოება.

კვლევის ფარგლებში შეირჩა ის სამკურნალო მცენარეები (ბარამბო, შავბალახა, კუნელი), რომლებიც გამოირჩევა ბან-ის შეცვლობით.

**ბარამბო** (*Melissa officinalis*) მრავალწლოვანი არომატული ბალახოვანი მცენარეა ლიმონის დამახასიათებელი სუნით. გამოიყენება, როგორც ჩაის დანამატი. მისგან მზადდება სხვადასხვა დაავადების, მაგალითად, ნერვული აშლილობის, უძილობის პრობლემებისა და გულის სამკურნალოდ. ბარამბო ითვლება პიტნის ერთ-ერთ სახეობად და აქვს ამ უკანასკნელის მსგავსი ეფექტი. ასევე მნიშვნელოვანია ბარამბოს, როგორც ანტიოქსიდანტური თვისებების მქონე მცენარის, შესწავლა.

ბარამბოს ფოთოლი შეიცავს ფლავონოიდებს, პოლიფენოლურ ნაერთებს (როზმარინ-მჟავას, კოფეინმჟავასა და პროტოკატექინმჟავას). სპეციალური ლიტერატურიდან ცნობილია, რომ ბარამბოს აქვს მაღალი ანტიოქსიდანტური აქტივობა, დამამშვიდებელი მოქმედება, არეგულირებს ნერვულ სისტემას, გამოიყენება სტრესთან გამკლავებაში, უძილობისას და თავის ტკივილისას, აუმჯობესებს ტვინის მუშაობას. საერთოდ, ბარამბო ახდენს დადებით გავლენას ადამიანის ჯანმრთელობაზე.

**შავბალახა** (*Leonurus quinquelobatus*) მრავალწლოვანი ბალახოვანი მცენარეა. გვხვდება მთელ საქართველოში. იზრდება ბალ-ვენახების, ყანების, ტყისა და გზის პირებში, ეზოებსა და ღობის ძირებში. აქვს დამახასიათებელი მწარე გემო. შავბალახა არის გულის ეფექტური საშუალება. ამცირებს არტერიულ წნევას. ნაყენი, როგორც სედატიური საშუალება, გამოიყენება ნერვული აგზნებადობის, გულ-სისხლძარღვთა ნევროზებისა და ჰიპერტონიული დაავადებების საწყისი სტადიების სამკურნალოდ. ზოგიერთი მკვლევრის აზრით, მისი მოქმედება 4-ჯერ აღემატება კატაბალახას მოქმედებას. ხალხურ მედიცინაში ნედლი ბალახის წვეს იყენებენ, როგორც დამამშვიდებელ საშუალებას (30–40 წვეთი რამდენჯერმე დღეში). შავბალახა შეიცავს ალკალოიდებს, ფლავონოიდებს, მთრიმლავ ნივთიერებებს, ეთერზეთებს, ასკორბინმჟავას, საპონინებს, მინერალურ მარილებსა და სხვ.

**კუნელი** (*Crataegus*) სამკურნალო და სასარგებლო თვისებების თვალსაზრისით, დიდად არ ჩამოუვარდება ასკილს. შეიცავს 4-დან 11%-მდე შაქარს, ძირითადად ფრუქტოზას. მდიდარია ბან-ით. ნაყოფს იყენებდნენ გულ-სისხლძარღვთა დაავადებების საწინააღმდეგოდ. მისი ფოთლების ნაყენი აუმჯობესებს სისხლის მიმოქცევას, აძლიერებს გულის კუნთის შეკუმშვას. მცენარის ინგრედიენტები ასევე გამოიყენება ნაღვლის ტრაქტისა და ღვიძლის დაავადებების დროს. კუნელის სამკურნალო თვისებები დადებითად მოქმედებს ორგანიზმის გამომყოფ სისტემაზე.

კვლევის ფარგლებში დაგეგმილია ამ სამკურნალო მცენარეების ექსტრაქტისა და ნაყენების მიღება, მათი დამატება ჩვენ მიერვე დამზადებულ ლიქიორებზე და სასმელის გაკეთილშობილება ბანით. შესწავლილ იქნება სამკურნალო მცენარეების ექტრაქტებისა და ნაყენების გავლენა ლიქიორების ანტიოქსიდანტურ და სხვა დადებით თვისებებზე.

#### ლიტერატურა:

1. ჩალათაშვილი ა. სადესერტო ლიქიორების წარმოება საქართველოში გავრცელებული სამკურნალო მცენარეების გამოყენებით. დისერტაცია, 2018 წ., თელავი.
2. ირემამე ი. სამკურნალო მცენარე ჭინჭრის გამოყენებით სადესერტო ლიქიორის წარმოება. დისერტაცია, 2019 წ., ხიჭაური.
3. ხოზრევანიძე ნ. სადესერტო ლიქიორების დამზადება კროცინის შემცველი ზაფრანის გამოყენებით. დისერტაცია, 2019 წ., ხიჭაური.
4. <https://100trav.su/lekarstvennye-rasteniya/boyaryshnik-lechebnye-svoystva-retsepty-primeneniya-protivopokazaniya.html> [უკანასკნელად გადამოწმებულია [12. 10. 2021].

## SUMMARY

### INFLUENCE OF HERBAL INGREDIENTS ON THE ANTIOXIDANT PROPERTIES OF LIQUEUR

Chubinidze Nino, Sordia Elene, Tkemaladze Guram

Georgian Technical University

Nowadays, much attention is given to the production of high-quality, natural food products that leads to an increase in the assortment of production. In this regard, special attention is given to alcoholic beverages, the demand for which is growing rapidly. Technology improvements help to create new drinks with the finest properties and organoleptic characteristics, and their positive and negative properties are being studied. In folk medicine, there is a fairly wide range of those herbs which are used for treating diseases. The use of the plant for this purpose is mainly related to the active ingredients it contains. Georgia is rich in a variety of fruits as well as medicinal plants. The above-mentioned gives an opportunity to create a liqueur with a varied assortment, which will be impregnated with medicinal plants that have the best aroma chemical properties. The aim of the research is to prepare a dessert liqueur and improve its antioxidant properties by adding medicinal plants containing biologically active substances such as bot balm, motherwort and hawthorn extract.

**Keywords:** antioxidant, liqueur, balm, motherwort, hawthorn.

## კამეჩის და ძროხის რძის გავლენა სულგუნის მახასიათებლებზე

ძირკველიშვილი ნინო

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

*მთელ მსოფლიოში აგრარული მეურნეობის ტემპის ზრდამ და სასურსათო პროდუქტებზე გაზრდილი მოთხოვნების დაკმაყოფილების აუცილებლობამ, განაპირობა პროდუქტის, როგორც ასორტიმენტის ასევე მრავალფეროვნების გაზრდა, აღნიშნულიდან გამომდინარე გადავწყვიტეთ ძროხის და კამეჩის რძისგან წარმოებულ სულგუნში კომპონენტების დადგენა და მათი ზეგავლენის შესწავლა სულგუნის ხარისხობრივ მაჩვენებლებზე. ინოვაციური ტექნოლოგიური მეთოდების შემუშავებით და დანერგვით მოვახდინეთ რესურსების ოპტიმიზაცია, რძის მრავალფეროვანი პროდუქტების ხელშეწყობა და მათი უფრო ეფექტური გამოყენება.*

***საკვანძო სიტყვები:** რძის პროდუქტები, სულგუნი, ძროხის რძე, კამეჩის რძე, ადგილობრივი წარმოების ხელშეწყობა.*

**შესავალი.** საქართველოში ნედლი რძისგან წარმოებული პროდუქციის ზრდა, დაკავშირებულია, როგორც რძის ხარისხობრივ გაუმჯობესებასთან ასევე იმ პრობლემებთან, რომელიც შეიძლება წარმოიშვას გადამამუშავების პროცესში. ტექნოლოგიური პროცესის სწორად წარმართვა დიდად არის დამოკიდებული კონკრეტული პრობლემის კარგად ცოდნაზე და იმ ფაქტორების გათვალისწინებაზე, რომელიც გავლენას ახდენს პროცესის მიმდინარეობაზე, ამის გარეშე შეუძლებელია პრობლემის სწორი დიაგნოსტიკა და ტექნოლოგიური პროცესის სწორად წარმართვა.

**ძირითადი ტექსტი.** საქართველო წარმოადგენს მერძევეობის ტრადიციულ ქვეყანას. განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს უხსოვარი დროიდან საქართველოს ტერიტორიაზე წარმოებული რძის პროდუქტები, რომელსაც გააჩნია მრავალი უნიკალური თვისება. ქართული ტრადიციული ყოფისათვის მნიშვნელოვანი მონაპოვრებით არის წარმოდგენილი ყველის წარმოება, რაც რძის პროდუქტების დამზადების მაღალი ტექნიკითა და ტექნოლოგიით აიხსნება. საქართველოსთვის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ტრადიციული რძის პროდუქტი არის სულგუნი, რომელიც გამოირჩევა მხოლოდ ქართული პროდუქტისთვის დამახასიათებელი განუმეორებელი თვისებრივი და ორგანოლექტიკური მახასიათებლებით.



კოლხეთის დაბლობზე უხვ ტენიანობის გამო, ყველის შენახვა დიდი ხნის განმავლობაში პრობლემურ საკითხს წარმოადგენდა. ამიტომაც იყო რომ ბუნებასთან ჰარმონიაში მყოფმა ქართველებმა, მისი დამზადების განსაკუთრებულ ტექნოლოგიას მიაგნეს და შექმნეს ყველის ისეთი სახეობა, როგორც არის სულგუნი. მას ეთნოგრაფიული მონაცემებით, დასავლეთ საქართველოს ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მხარეებში: სამეგრელოში, სვანეთში, იმერეთში, ლეჩხუმსა და რაჭაში ამზადებდნენ. ასე რომ სულგუნი მხოლოდ დასავლურ ქართული პროდუქტია, კოლხეთის დაბლობში შექმნილი.

**ექსპერიმენტული ნაწილი.** ჩვენ მიერ ჩატარებულ ცდებში შევეცადეთ გამოგვეყენებინა ადგილობრივი ნედლეული, კერძოდ სამეგრელოს რეგიონში მიღებული ძროხის და კამეჩის რძე. ორივე სახეობის რძე გამოირჩეოდა მაღალი კვებითი ღირებულებით და ფართო სპექტრის იმუნოსტიმულატორი მოქმედების უნარით, ამიტომ აღნიშნულ ნედლეულს შეუძლია გააუმჯობესოს მზა პროდუქტის სამკურნალო თვისებები.

**ცხრილი 1. ექსპერიმენტისთვის გამოყენებული ძროხის და კამეჩის რძის ქიმიური შედგენილობა**

ძროხის რძე		კამეჩის რძე	
ტენიანობა	87.5	ტენიანობა	82.2
ცხიმი	3.7	ცხიმი	7.2
ცილები	3.3	ცილები	4.1
ლაქტოზა	4.7	ლაქტოზა	5.0
მინერ. ნივთ.	0.8	მინერ. ნივთ.	0.10

საკვლევი ნიმუშის მომზადება მოხდა როგორც ძროხის და კამეჩის რძისგან, ასევე მათი ნარევისგან. 73 °C-ზე პასტერიზებულ და შედედების ტემპარატურამდე გაციებულ რძეს (32–34 °C) დაემატა (*Streptococcus thermophilus*, *Lactobacillus delbrueckii subspecies bulgaricus*) წმინდა კულტურები. 2–3 საათის დაყოვნების შემდეგ, როდესაც რძეში მჟავიანობამ მიაღწია 32–35° T-ს, დაემატა მაჭიკის ფერმენტი და კალციუმის ქლორიდი. მიღებული ნაღველი გავაჩერეთ იმდენ ხანს, სანამ არ გამკვრივდა, ხოლო გამოყოფილი შრატის არ გახდებოდა გამჭვირვალე, რაც მიგვანიშნებდა იმაზე, რომ ნაღველი მზად იყო დასამუშავებლად.

დამუშავებული მასა გადავიტანეთ სპეციალურ ფორმებში და გავაჩერეთ მარილწყალში 24 საათის განმავლობაში.

**ცხრილი 2. ქიმიური პარამეტრების ულგუნის ხარისხის შეფასება სხვადასხვა ცხოველის რძის გამოყენების შემთხვევაში**

პარამეტრები	კამეჩის და ძროხის რძის ნარევი	კამეჩის რძე	ძროხის რძე
ტენიანობა %	48.45	53.42	46.68
ცხიმი %	17.2	20.12	17.12
ცილა %	14.23	15.68	14.02
pH	5.22	5.18	5.20
ნაცარი	4.07	5.02	4.01
ლაქტოზა (%)	5.46	5.75	5.92

**ცხრილი 3. სენსორული პარამეტრები**

პარამეტრი	კამერის და ძროხის რძის ნარევი	კამერის რძე	ძროხის რძე
გემო და არომატი	43.4	40.1	39.5
ტექსტურა	28.6	26.1	26.1
ფერი	9.5	8.3	8.3

**დასკვნა:** სხვადასხვა რძისგან დამზადებული სულგუნის მაჩვენებლების დინამიკის შესწავლა მომწიფების სხვადასხვა ეტაპზე განხორციელდა. სულგუნის ხარისხი განისაზღვრა ცხიმით, ცილით, ტენიანობით, უცხიმო მშრალი ნივთიერებით და ყველის pH-ით.

ტექნოლოგიური პროცესის მსვლელობისას, ნედლეული ხარისხობრივად შეიცვალა. მოხდა საწყისი შედგენილობის და ფიზიკურ-ქიმიური პარამეტრების ცვლილება.

მიღებული შედეგების ანალიზი გვიჩვენებს რომ თუ ორივე პარამეტრს როგორც ქიმიურს, ასევე ფიზიკურს შევადარებთ ერთმანეთს ვნახავთ რომ საბოლოო პროდუქტი მნიშვნელოვნად არ განსხვავდება ერთმანეთისგან.

წარმოების ყველაზე მნიშვნელოვანი ფაქტორი მაინც რძის ხარისხია, რომელიც განსაზღვრავს საბოლოო პროდუქტის ღირებულებას. ყველის პროდუქტიულობა პირდაპირ კავშირშია რძის ცილის და ცხიმის საერთო კონცენტრაციასთან. მათი მაღალი კონცენტრაციიდან გამომდინარე, მიღებული პროდუქტი გამოირჩეოდა შედეგების მაღალი უნარით.

გარდა ცილისა აგრეთვე მნიშვნელოვანი ფაქტორია ცხიმის პროცენტული რაოდენობა, რომელიც კაზეინთან შესაბამის პროპორციაში უნდა იყოს. კვლევის შედეგად დადგინდა, რომ ვინაიდან კამერის რძე მეტად ცხიმოვანია, ამ რძისგან დამზადებულ ყველს ჰქონდა უფრო მაღალი ცხიმის და ცილის პროცენტული შემცველობა.

აღმოჩნდა რომ კამერის რძეში ცხიმის მაღალმა შემცველობამ შეაფერხა სინერეზის პროცესი და საბოლოოდ მივიღეთ მაღალი ტენიანობის სულგუნი.

მაღალი ტენიანობის სულგუნს კი ჰქონდა ნაკლოვანი ტექსტურა და არომატი. ამასთანავე მოხდა კაზეინის სწრაფი პროტეოლიზი და მომწიფება, რამაც გამოიწვია არომატის გაუარესება.

ყველის pH გავლენას ახდენს სტრუქტურაზე, ამ მხრივ მნიშვნელოვანი ცვლილება არ შეინიშნებოდა. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ ის ნამდვილად განაპირობებს არომატის წარმომქმნელ ნივთიერებათა დაგროვებაზე მნიშვნელოვან ზემოქმედებას. გამოვლინდა რომ სულგუნი, რომელიც მაღალი მჟავიანობის პირობებში მომზადდა, უფრო მეტად ელასტიური და მყარი იყო ფორმის თვალსაზრისით. ხოლო, დაბალი მჟავიანობის პირობებში დამზადებული პროდუქტი, მეტად შეესაბამებოდა საბაზრო ჩარჩოებს.

რაც შეეხება ყველის შეფერილობას, ამ შემთხვევაში ძროხის რძისგან დამზადებული სულგუნი უფრო მეტად მოყვითალო ელფერით გამოირჩეოდა, ვიდრე კამერის რძისგან დამზადებული პროდუქტი, ეს ფაქტორი კი იმით აიხსნება რომ ძროხის რძეში კაროტინის შემცველობა უფრო მაღალია.

აღნიშნული კვლევიდან დასკვნის სახით შეიძლება ვთქვათ, რომ კამერის რძისგან დამზადებულ სულგუნში მნიშვნელოვნად მაღალი იყო ცხიმის, კალორიულობის და ნაცრის შემცველობა და ამასთანავე მაღალი იყო მისი გამოსავლიანობა. თუმცა ძროხის რძისგან წარმოებული პროდუქტი გამოირჩეოდა ცილის მაღალი შემცველობით და უკეთესი ელასტიურობით.

## ლიტერატურა

1. თოფჩიშვილი რ. ქართველთა კვებითი კულტურის ისტორიიდან: სულგუნი. 2014.
2. გონაშვილი შ. რძისა და რძის პროდუქტების ქიმია და ანალიზი. 1963. საბჭოთა საქართველო.
3. ხარაზიშვილი ა. კვირიკაშვილი დ. რძისა და რძის პროდუქტების ტექნოლოგია, თბილისი. 2010.
4. Горбатова К. К. Физико-химические и биохимические основы производства молочных продуктов. СПб.: ГИОРД. 352с.
5. R. B. Davidov. Milk and dairy products. 1976.
6. ГОСТ 13192-73. Молоко и молочные продукты. Определения сахаров.
7. ГОСТ 3626-73. Молоко и молочные продукты. Методы определения влаги и сухого вещества.
8. ГОСТ 26809-86. Молоко и молочные продукты. Правила приемки, методы отбора и подготовка проб к анализу.

## SUMMARY

### INFLUENCE OF BUFFALO AND COW MILK ON SULGUNİ CHEESE CHARACTERISTICS

Dzirvelishvili N.

Georgian Technical University

The growth of agrarian agriculture around the world and the need to meet the growing demand for food products has led to an increase in both product range and diversity, so we decided to identify the components in cow and buffalo milk sliced new cheese (boiled in milk & water, folded twice, kneaded, salted & dried) and study their impact on the degree of sliced new cheese (boiled in milk & water, folded twice, kneaded, salted & dried) Develop and implement innovative technological methods to optimize resources, promote a variety of dairy products and use them more efficiently.

**Keywords:** dairy products, sulguni, cow's milk, buffalo milk, promotion of local production.

## საქართველოში ხორცპროდუქტების წარმოებაში არსებული მდგომარეობა და პერსპექტივები

ჭუმბურიძე გ.

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

საქართველოში ხორცის გადამამუშავებელი საწარმოები, ხორცპროდუქტების დამზადებისას ძირითადად იყენებენ იმპორტირებულ გაყინულ ხორცს. რომელსაც ფიზიკურ-ქიმიური თვისებები დაქვეითებული აქვს და ისინი იძულებულნი არიან გამოიყენონ სხვადასხვა ჯგუფის საკვები დანამატები, რომელთა უმეტესობაც მიღებულია ქიმიური სინთეზის შედეგად და მომხმარებლებისთვის წარმოადგენს გარკვეულ საფრთხეს ნატრიუმის გლუტამატი, ბომბალი სუპერი და სხვ. აქედან გამომდინარე, ბოლო პერიოდში დიდი ყურადღება ექცევა უსაფრთხო ბუნებრივი დანამატების გამოყენების შესაძლებლობას თავშავა, ბეგონდარა, დაფნა და ა.შ.

**საკვანძო სიტყვები:** ხორცი და ხორცპროდუქტები, ბუნებრივი დანამატები, არაორგანული ნივთიერებები, ადგილობრივი წარმოება, ექსპორტ-იმპორტი

ხორცი და ხორცის პროდუქტები ადამიანის წარმოშობის დღიდან იყო ყოველდღიური რაციონის ერთ-ერთი ძირითადი შემადგენელი ნაწილი. საქმე ის არის, რომ ყოველდღიური აქტიური საქმიანობა დაკავშირებულია ორგანიზმის მიერ დახარჯული რესურსების სრულფასოვნად აღდგენის აუცილებლობასთან, რაც რაციონში ხორცის და/ან მისი პროდუქტების ჩართვის გარეშე შეუძლებელია; ამასთან ერთად, ხორცი არის ადამიანის ორგანიზმისთვის აუცილებელი სრულფასოვანი ცილებისა და შეუცვლადი ცხიმოვანების, აგრეთვე ვიტამინებისა და ბიოლოგიურად აქტიური სხვა ნივთიერებების ერთ-ერთი ძირითადი წყარო [1].

საქართველოში უძველესი დროიდან ამზადებდნენ „აპოხტს“, რომელიც მზადდება დაკლული გასუფთავებული ბატის და იხვის ტანხორცის მზეზე გამოშრობით. ოდითგანვე სახ-

ლის პირობებში ხდებოდა ხორცის დამარილება, შებოღვა, სისხლის ძეხვის, მუჟუჟის დამზადება, ცომში გახვეული ღორის ძვალგაცლილი ბარკლის თონეში გამოცხობა და სხვა [2].

დღესდღეობით ხორცის გადამამუშავებელი საწარმოები ხორცპროდუქტების დამზადებისას იყენებენ იმპორტირებულ გაყინულ ხორცს. ამასთან, ძროხის გამკვირებული ხორცი, გარკვეულწილად, ჩანაცვლდა ღორისა და ფრინველის უფრო იაფი ხორცით. ამის მიზეზი კი მრავალია, მათ შორის ადგილობრივი ნედლეულის მაღალი ფასი, მიწოდებაში წყვეტილობა, არასტაბილური ბაზა და სხვ. [3].

**ცხრილი 1. ხორცის ბალანსი ათ. ტონა**

დასახელება	წელი		
	2018	2019	2020
ადგილობრივი წარმოება	72,6	69,5	65,4
იმპორტი	82,7	89,6	86,5
ექსპორტი	16,7	10,4	13,5
სასურსათო მოხმარება	137,6	147,7	141,3

თავის მხრივ, იმპორტირებულ ხორცს დაქვეითებული აქვს ტექნოლოგიური თვისებები; საქმე ის არის, რომ გაყინვის, გაყინული სახით ხანგრძლივად შენახვისა და შემდგომ გაღობისას ხორცი განიცდის შეუქცევად ცვლილებებს. კერძოდ ის კარგავს ტენის შებოქვისა და მეორეული სტრუქტურის წარმოქმნის უნარს. ეს თვისებები ძეხვეულის დამზადებისას განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რადგან დიდ გავლენას ახდენს მზა ნაწარმის ხარისხზე [4].

ამის გათვალისწინებით გადამამუშავებელი საწარმოები იყენებენ სხვადასხვა საკვებდანამატებს: საღებრებს, კონსერვანტებს, ორგანოლეპტიკური თვისებების გამაძლიერებლებს, სტაბილიზატორებს, სტრუქტურისა და ტექსტურის გამაუმჯობესებლებს და სხვ. თავის მხრივ, ცნობილია, რომ საკვებდანამატების უმეტესობა არაორგანული ნივთიერებებია, მიღებულია ქიმიური სინთეზით და ადამიანის ორგანიზმში მოხვედრისას შესაძლებელია გამოიწვიონ სხვადასხვა დაავადების სტიმულირება. მაგალითად, დიდი ხანია დანამატად გამოიყენება გემოს გამაძლიერებელი ნატრიუმის გლუტამატი (E261), მისი ხშირად მიღება კი იწვევს ალერგიულ რეაქციებს და სხვ. ანალოგიური შეიძლება ითქვას პრაქტიკულად ყველა კონსერვანტზე, მათ შორის ნატრიუმის ბენზოატზე (E211), გოგირდის დიოქსიდზე (E220), ბომბალი სუპერზე („BOMBAL® ASC Super“) და სხვ. დადგენილია, რომ ამ ნივთიერებების ადამიანის ორგანიზმში მოხვედრისას, მაღალი ალბათობით მოსალოდნელია ავთვისებიანი სიმსივნის, კუჭ-ნაწლავისა და თირკმლის დაავადებების, ლეიკემიის განვითარება და სხვ.

ზემოთქმულიდან გამომდინარე ბოლო პერიოდში მკვლევრების ყურადღება მიიქცია ადამიანის ორგანიზმისთვის უვნებელმა მცენარეულმა ნედლეულმა. მაგალითად, იტალიელმა მეცნიერებმა შეისწავლეს დაფნის ეთერზეთის მაკონსერვებელი ეფექტი და ნახეს რომ ტოსკანური ძეხვის შენახვის ხანგრძლივობა გაიზარდა, თუმცა აღმოჩნდა, რომ პროდუქტის სენსორული მახასიათებლები რამდენადმე შეცვალა. მსგავსი მაკონსერვებელი ეფექტით გამოირჩევიან ჯანჯაფილის, ნიორის, როზმარინის და ზოგიერთი სხვა მცენარის ვეგეტატიური ნაწილებიდან დამზადებული ნაყენი და/ან მათი ეთერზეთები.

ასეთებს მიეკუთვნება კულინარიაში საკმაოდ ხშირად გამოყენებული თავშავა, ბეჭონდარა და ომბალო; ჩვენ მიერ დადგენილია, რომ მათი ნარევისგან დამზადებული ნაყენი უზრუნველყოფს მოხარშული ძეხვის ერთ თვემდე ვადით შენახვას ისე, რომ პრაქტიკულად

არ იცვლება მზა ნაწარმის კვებითი ღირებულება და ორგანოლექტიკური თვისებები, ხოლო ზოგიერთი სენსორული მახასიათებელი რამდენადმე უმჯობესდება [5].

ჩვენთან ხორცპროდუქტების წარმოების მხრივ უნდა ითქვას რომ ადგილობრივი ხორცის გადამამუშავებელი საწარმოების მიერ გამოშვებული პროდუქციით გაჯერებულია ქართული ბაზარი და უკავია ამ სეგმენტის 90–93 % (ცხრ. 2). ამასთან ერთად ბოლო პერიოდში მცირე რაოდენობით ხორციელდება ექსპორტი ძირითადად აზერბაიჯანის მიმართულებით [6].

**ცხრილი 2. საქართველოში ხორცპროდუქტების წარმოების მოცულობისა და ექსპორტ-იმპორტის მაჩვენებლები, ათ. ლარი/დოლარი**

დასახელება	წლები			2021 იანვარი-ივნისი
	2018	2019	2020	
სულ წარმოება	267959,0	292504,9	278146,7	142772,2
ექსპორტი	45.98	8.43	79.91	43.05
იმპორტი	7267.2	7034.8	6001.7	4289.8
<b>* შენიშვნა</b> სულ წარმოება გამოსახულია ლარში, ექსპორტი და იმპორტი დოლარში				

აღნიშნულიდან გამომდინარე, დასკვნის სახით შეგვიძლია აღვნიშნოთ, რომ ქვეყნის შიგნით ხორცის წარმოებაში არსებული პრობლემების დაძლევა გადამამუშავებელი საწარმოების ეფექტურობის გაზრდასთან ერთად, შეამცირებს საკვებდანამატების გამოყენების აუცილებლობას და შექმნის ბაზარზე უვნებელი, მაღალი ხარისხის სასურსათო პროდუქტების მიწოდების წინაპირობებს. ასევე, დიდი მნიშვნელობა ენიჭება ადამიანის ჯამრთელობაზე უარყოფითად მოქმედი ხელოვნური საკვები დანამატების ჩანაცვლებას ბუნებრივი, მცენარეული წარმოშობის უვნებელი საკვებდანამატებით, მათ შორის ჩვენს მიერ შემოთავაზებული თავშავას, ბეგკონდარასა და ომბალოს გარკვეული პროპორციის ნარევისგან დამზადებული ნაყენით.

**ლიტერატურა**

1. გოგოლი გ., ხოშტარია ც. ხორცის მორფოლოგია და ქიმიკა. თბილისი, „უნივერსალი“, 2011, 146 გვ.
2. ცხვედაძე ზ., ჩაჩანიძე მ., ლლიღვაშვილი ვ. ხორცის შენახვა და გადამამუშავება სახლის პირობებში, თსუ სტამბა, თბილისი, 2007, 84 გვ.
3. <https://www.pmo.gov.ge/storage/app/uploads/public/5e1/702/2cc/5e17022ccb11d468529173.pdf>
4. გოგოლი გ., გოგოლი პ. ხორცისა და ხორცპროდუქტების ტექნოლოგია. თბილისი, გამომცემლობა უნივერსალი, 2009, 434 გვ.
5. <https://gtu.ge/Agro/pdf/diss1.pdf>
6. საქართველოს სტატისტიკური წელიწდეული: 2018-2021. საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება სტატისტიკის დეპარტამენტი. თბილისი, 2018-2021. <https://www.geostat.ge/ka/single-categories/95/sakartvelos-statistikuri-tselitsdeuli>

**SUMMARY**  
**THE PERSPECTIVES AND CONDITIONS OF PRODUCING MEAT-PRODUCTS IN GEORGIA**  
**Chumburidze G.**  
**Georgian Technical University**

In Georgia the meat-remaking enterprises mostly use imported frozen meat when they prepare meat-products. The physical and chemical qualities of this meat are decreased and they have to use different kinds of nourishing additions. Most of them are made by chemical synthesis such as Sodium glutamed, BOMBAL® ASC Super and they are dangerous for costumers. According to this fact these days a lot of attention are paid to the possibilities by using unsafe natural additions such as thyme, Oregano, laurel, and so on.

**Keywords:** meat and meat products, natural additions, inorganic substance, local production, export-import.

## კვების ეკოლოგიის თანამედროვე პრობლემები

ხაზარაძე ნ., გობეჯიშვილი ლ.  
აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი

*კვების ეკოლოგიის თანამედროვე პრობლემები შედარებით ცოტა ხნის წინ წარმოიშვა. გარემოს დაბინძურების დონის ზრდამ, ისევე როგორც უზარმაზარი რაოდენობის ახალი საკვები დანამატების გაჩენამ გამოიწვია სურსათის საერთაშორისო კანონმდებლობის შექმნის აუცილებლობა, რაც გაამკაცრებს სურსათის უვნებლობის მოთხოვნებს.*

მოსახლეობის საკვებით უზრუნველყოფის პრობლემა აქტუალურია მთელი მსოფლიოსთვის. კვების მრეწველობა არის აგრო-ინდუსტრიული კომპლექსის სფერო. იგი მოიცავს ინდუსტრიების ერთობლიობას, რომლებიც აწარმოებენ საკვებს, თამბაქოს, პარფიუმერიას და კოსმეტიკურ პროდუქტებს.

კვების მრეწველობა მჭიდროდაა დაკავშირებული სოფლის მეურნეობასთან და აერთიანებს რამდენიმე ინდუსტრიას სხვადასხვა ნედლეულის გამოყენებით. ზოგი ინდუსტრია იყენებს ნედლეულს, ზოგი იყენებს დამუშავებულ ნედლეულს, ზოგი კი პირველი ორის კომბინაციას.

კონცეფცია „ეკოლოგიურად სუფთა სასოფლო-სამეურნეო პროდუქცია“ ემყარება ადამიანების უფლებას ჯანსაღი ცხოვრების შესახებ ბუნებასთან ჰარმონიაში. ეკოლოგიურად უსაფრთხო სასოფლო-სამეურნეო პროდუქცია შეესაბამება დადგენილ ორგანოლექტიკურ, ზოგად ჰიგიენურ, ტექნოლოგიურ და ტოქსიკოლოგიურ სტანდარტებს და არ ახდენს უარყოფით გავლენას ადამიანის, ცხოველების ჯანმრთელობაზე.

მსოფლიოში, პროდუქტების დაახლოებით 30 ... 40% დაბინძურებულია არასასურველი ინგრედიენტებით. სასმელი წყლის 70% -მდეც არის დაბინძურებული (ანუ ათიდან შვიდი ადამიანი სვამს დაბინძურებულ წყალს). არის „კრიტიკული წერტილები“, რომლებიც იწვევენ პროდუქტებისა და გარემოს დაბინძურებას.

მოსავლისა და მეცხოველეობის პროდუქტების დაბინძურება სხვადასხვა მავნე ნივთიერებებით გამოწვეულია მრავალი ურთიერთდაკავშირებული პროცესით, რომლებიც სხვადასხვა ინტენსივობით მიმდინარეობს გარემოში და ეკოსისტემის კომპონენტებში. ამავდროულად, ბევრ რეგიონში არა მხოლოდ ქიმიკატების პირდაპირი მოქმედება იზრდება, არამედ ამ ეფექტების გამოვლინებაც უფრო რთულდება.

საბაზრო ეკონომიკამ ხელი შეუწყო მრავალი ტერმინის ფართოდ გავრცელებას, როგორცაა „ეკოლოგიურად სუფთა პროდუქტი“, „გაიზარდა მხოლოდ ორგანული სასუქების გამოყენებით“, „გაიზარდა პესტიციდების გამოყენების გარეშე“ და სხვა. ეკოლოგიურად სუფთა კულტურებისა და მეცხოველეობის პროდუქტების წარმოება საზოგადოების მდგრადი განვითარების ერთ-ერთი წინაპირობაა.

საკვების ხარისხი არის არსებობის, კეთილდღეობისა და ცხოვრების ხარისხის განუყოფელი ნაწილი, რომელიც მოიცავს უწყვეტ განვითარებას და განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს ბუნებისა და გარემოს დაცვას.

ტოქსიკური ნივთიერებები ან თანდაყოლილია თავად პროდუქტში, ჩვეულებრივ მცირე რაოდენობით, ან შეიძლება ჩამოყალიბდეს მასში გარკვეულ პირობებში. ბუნებრივი ტოქ-



სიკური ნივთიერებები წარმოდგენილია სხვადასხვა ნივთიერებების საკმაოდ მრავალრიცხოვანი ჯგუფებით და შეიძლება იყოს მცენარეული და ცხოველური წარმოშობის პროდუქტებში.

ადამიანის საწარმოო საქმიანობასთან დაკავშირებული საკვების დამაბინძურებლებისგან, უპირველეს ყოვლისა, აღსანიშნავია პესტიციდები, მძიმე მეტალები, ნიტრატები... ეს არის გავრცელებული ტოქსიკური ნივთიერებები და მათი მავნე ზემოქმედება ადამიანის ჯანმრთელობაზე შესწავლილია საკმაოდ კარგად.

კადმიუმი დღეს სულ უფრო და უფრო იპყრობს ტოქსიკოლოგების ყურადღებას. კადმიუმის ქრონიკული მოწამვლა შესაძლებელია ნაყინის, ხილის, სოკოების, ცხოველების თირკმელებისა და ღვიძლის, აგრეთვე სხვა საკვები პროდუქტების გამოყენებით.

დარიშხანი შეიძლება იყოს ადამიანის მწვავე და ქრონიკული მოწამვლის მიზეზი. ჰაერის ინდუსტრიული გამონაბოლქვი, თხევადი და მყარი ნარჩენები, ამ ელემენტის შემცველი პესტიციდები იწვევს ნიადაგისა და წყლის დაბინძურებას, საიდანაც დარიშხანი ხვდება მცენარეებში, ცხოველებში და შემდეგ ადამიანებში. გარდა ამისა, ზოგიერთი მინერალური წყაროს წყალი შეიცავს მას მაღალი კონცენტრაციით - ათი მილიგრამი ლიტრზე.

ნიტრატები არის აზოტის მჟავას მარილები, რომლებიც გვხვდება ყველა ცოცხალ ორგანიზმში და წარმოადგენს მცენარეების კვების აუცილებელ ნაწილს. ადამიანის ორგანიზმში ნიტრატების მიღების ძირითადი წყაროა მცენარეული პროდუქტები (პირველ რიგში ბოსტნეული) და წყალი. ადამიანის ორგანიზმში ნიტრატების არსებობა ბუნებრივია და გვხვდება იმ ადამიანებშიც კი, რომელთა დიეტა მთლიანად მოკლებულია ნიტრატებს. მაგრამ ამ ნივთიერებების ჭარბი რაოდენობა შეიძლება საშიში იყოს. ადამიანის ორგანიზმში მოხვედრისას ნიტრატები იწვევენ ქსოვილების ჰიპოქსიას, ცვლილებებს ჰემოგლობინის სტრუქტურასა და თვისებებში. განსაკუთრებით შესამჩნევია ნიტრატების არსებობა ბავშვის სხეულზე, რაც ასუტებს იმუნურ დაცვას. ამავდროულად, ბავშვებს უფრო მეტად აწუხებთ რესპირატორული და ვირუსული დაავადებები, პნევმონია, ყურის და ცხვირის დაავადებები. მოზრდილებში ნიტრატები ზრდის კუჭისა და თორმეტგოჯა ნაწლავის კიბოს, ჰიპერტენზიის და ფარისებრი ჯირკვლის დაზიანების რისკს. ადამიანის ორგანიზმში ნიტრატების შეყვანა განსაკუთრებით საშიშია ნაწლავის მიკროფლორისა და ქსოვილის ფერმენტების ნიტრიტებად გადაქცევის გამო.

ნიტრიტებს, თავის მხრივ, შეუძლიათ ამინებთან ურთიერთობისას გარდაიქმნან ნიტროზამინებად, რომლებიც კანცეროგენულია. ნედლეულში ნიტრატებისა და მავნე ელემენტების შემცველობა უნდა შეესაბამებოდეს ნორმას. ნიტრატები ადამიანის ორგანიზმში შედიან საკვებით.

დასაშვები ნიტრატები ადამიანებისთვის:

ზრდასრული ადამიანისთვის დასაშვები დოზაა 300 მგ დღეში.

მოზრდილთათვის მაქსიმალური დასაშვები დოზაა 500 მგ დღეში.

ზრდასრული ადამიანისთვის ტოქსიკური დოზაა 600 მგ დღეში.

მოზრდილთათვის ლეტალური დოზა ითვლება 8–15 გ.

ჩვილისთვის ტოქსიკური დოზა ითვლება 10 მგ დღეში.

მოთხოვნები ნედლეულისა და საკვების წარმოების სანიტარული მდგომარეობისათვის ნორმატიული დოკუმენტაცია არის რძის და რძის პროდუქტების ტექნიკური რეგლამენტი, რომლის საფუძველზეც, თითოეული სახის პროდუქტი უნდა შეესაბამებოდეს სანიტარულ სტანდარტებს, მისი წარმოების დროს ეს სტანდარტებიც უნდა იყოს დაცული.

## ლიტერატურა:

1. Агаджан Н.А., Скальный А.В. химические элементы в среде обитания и экологический портрет человека. -М.: КМК, 2001, 83 с.
2. Позняковский В.М. Гигиенические основы питания, качество и безопасность пищевых продуктов: учебник. -Сибирское университетское издательство, 2007, 456 с.
3. დვალიშვილი ლ., მოსახლეობის სურსათით უზრუნველყოფის პრობლემა. თსუ პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტის დაარსებიდან 70-ე წლისთავისადმი მიძღვნილი საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენციის მასალების კრებული, ეკონომიკისა და ეკონომიკური მეცნიერების განვითარების აქტუალური პრობლემები, თბილისი, 2014.

## SUMMARY

### MODERN PROBLEMS IN FOOD ECOLOGY

Khazaradze N., Gobejishvili L.

Akaki Tsereteli State University

Modern problems in food ecology have arisen relatively recently. Rising levels of environmental pollution, as well as the emergence of a huge number of new food additives, have led to the need to create international food law that will tighten food safety requirements.

## მწვანე ჩაის ექსტრაქტის მიღებისა და გამოყენების მეთოდები თბური ინფიცირებული დამწვრობის დროს

ხუციძე თ.ს.

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი

*ნაშრომში განხილულია მწვანე ჩაის ექსტრაქტის გამოყენება კან-კუნთოვანი ქსოვილების თბური ინფიცირებული დამწვრობის სამკურნალოდ. ჩვენს მიერ შესწავლილი იქნა ინფიცირებული თბური დამწვრობის სამკურნალო მიზნით მწვანე ჩაის სუფთა კატეხინური პრეპარატიდან 20%-იანი ექსტრაქტის მიღების მეთოდი. პრეპარატის სამკურნალო კვლევისათვის ნებაყოფლობით იქნა შერჩეული ავადმყოფი, რომელსაც აღენიშნებოდა კუნთის თბური ინფიცირებული დამწვრობა. ექსპერიმენტული კვლევებით დადასტურებულია აღნიშნული მეთოდის მიზანშეწონილობა, პერსპექტიულობა და გამოყენება.*

აგრარულ მეურნეობაში ბიოლოგიურად სუფთა საკვები და სამკურნალო მცენარეული ნედლეულის წარმოებას ევროკავშირის ქვეყნებში დიდი ყურადღება ეთმობა. შესაბამისად, საქართველოს მთავრობის დღევანდელ მიზანს წარმოადგენს, რომ დაწეროს ევროკავშირის კანონმდებლობა, „სასურსათო უვნებლობისა და ხარისხის მართვის საერთაშორისო სტანდარტი – „ISO“. უვნებლობა უნდა მოიცავდეს ნედლეულის წარმოების ყველა ეტაპს, მინდვრიდან – რეალიზაციის ჩათვლით.

ქართული ჩაი არამარტო სასიამოვნო სასმელია, არამედ ჯანმრთელობისთვის მეტად სასარგებლოც. მეცნიერულმა გამოკვლევებმა ცხადყო, რომ ჩაის მრავალი სამკურნალო თვისება აქვს [1].

ცნობები სამკურნალო მცენარეთა არსებობისა და გამოყენების შესახებ უძველეს დროს მიეკუთვნება. ძველი ბერძნული მითოლოგიაც მცენარეული წამლებით მკურნალობას კოლხი ქალის მედეას სახელს უკავშირდება.

ჩვენი შრომის მიზანს წარმოადგენდა მწვანე ჩაის სუფთა კატეხინური პრეპარატიდან 20%-იანი ექსტრაქტის მიღება. პათოგენური მიკრობებისაგან წარმოქმნილი ჩირქოვანი ნადებისა-



გან ჭრილობის გასუფთავება, რეგენერაციის პროცესების დაჩქარება. პრეპარატის პრაქტიკული გამოცდისათვის მიხედვით, შერჩეული იქნა ნებაყოფლობით ავადმყოფი კან-კუნთოვანი ქსოვილების თბური დამწვრობით, რომელიც დაინფიცირებული იყო. ავადმყოფი მკურნალობდა ტრადიციული მეთოდებით. შედეგის გაუარესების, გამო ჭრილობის დაინფიცირებიდან 21-ე დღეს სამკურნალოდ ჩავრთეთ მწვანე ჩაის სუფთა (სტერილიზაციის მეთოდით მიღებული) ექსტრაქტი.

ლიტერატურული მონაცემებით ვიცით, რომ მწვანე ჩაი ეფექტურ საშუალებას წარმოადგენს ისეთ დაავადებათა წინააღმდეგ, როგორცაა: ღვიძლის ქრონიკული ანთება, დიზენტერია, სისხლის მომატებული წნევა, მწვავე ნეფრიტი. ფენოლური ნაერთების საერთო რაოდენობისა და ცალკეული კატეხინების მაღალი შემცველობის გამო, მწვანე ჩაი თავისი ფიზიოლოგიური მნიშვნელობით მეტად ძვირფასი პროდუქტია. ფარმაკოლოგიური გამოკვლევებით დადგენილია, რომ ვიტამინი „C-ს და ვიტამინ „P-ს მოქმედება ცალ-ცალკე ნაკლებ ეფექტურია სხვადასხვა დაავადებების დროს [2]. ეს ვიტამინები მწვანე ჩაიში ყოველთვის ერთად გვხვდება და ამჟღავნებენ მაღალ ბიოლოგიურ აქტივობას. ვიტამინი C და P-ს კომპლექსი წარმოადგენს გალა-ასკორბინის მჟავას, რომელიც აძლიერებს ნუკლეოპროტეიდების სინთეზს, ხელს უწყობს რეგენირებულ ქსოვილში ასკორბინის მჟავას ამალღებას, რაც შეიძლება იყოს სპეციფიკური მოქმედების ერთობლიობა ინფიცირებული ჭრილობის აქტიური შეხორცებისთვის, იგი ქმნის დაზიანებული უჯრედებისა და ქსოვილების რეპარაცია-განახლების პროცესის წინაპირობას. ამ დროს იზრდება გლუკოკორტიკოიდური რძის მჟავას აქტიურობა, ძლიერდება პროტეიდების სინთეზი [3,4].

მწვანე ჩაის ექსტრაქტის ფენოლური ნაერთები, კერძოდ, კატეხინების კომპლექსი ამჟღავნებს მაღალ P-ვიტამინურ აქტივობას. პრეპარატი არ არის ტოქსიკური, არ იძლევა გართულებას მკურნალობაში, არ ახასიათებს სტეროიდული მოქმედება, დიდი დოზები აძლიერებს გლიკოგენის წარმოქმნას ღვიძლში, ჩონჩხსა და კუნთებში [5], ხელს უწყობს ფერმენტ ურიაზის, ამილაზის, ფოლენესტერაზის აქტივობის ამალღებას. ფენოლური ნაერთები აძლიერებენ სისხლძარღვთა სისტემის გამტარიანობას, ზრდიან სისხლძარღვთა რეზინსტენტობას, რის შედეგადაც სისხლძარღვები ელასტიური ხდება, მოქმედებენ კანის კაპილარების გამტარიანობაზე. სისხლძარღვთა ასეთი მოქმედება გავლენას ახდენს სხვადასხვა ანთებითი, ოპერაციის შემდგომ გართულებული ინფიცირებული ჭრილობების, ტროფიკული წყლულების მიერ დაზიანებული უჯრედების აღდგენაზე [6].

კატეხინები ხასიათდება მაღალი ანტიმიკრობული და ანტიოქსიდანტური თვისებებით. პრეპარატს შეუძლია განახორციელოს ტოქსიკური მოქმედება ინფიცირებული ჭრილობის პათოგენურ მიკრობზე: *St. Aureus* და სხვა.

ჩაის პოლიფენოლებს გააჩნია ანტიკარიესული ეფექტი, კერძოდ, კატეხინები თრგუნავენ ამ პროცესის გამომწვევი აქტიური ბაქტერიების განვითარებას: *Slf. mutanus* და *Slf. sobrinus*-ს [7]. აღსანიშნავია, რომ მწვანე ჩაის ნაყენი აძლიერებს პირის ღრუს დეზინფექციას, იცავს ღრძილებს დაწყლულებისა და სისხლდენისაგან, ვინაიდან მასში არსებული ფენოლური ნაერთები აკვის სახით ეკვრის ღრძილებს და იცავს ბაქტერიის შეჭრისაგან [7]. მწვანე ჩაი გამოიყენება დერმატოლოგიაში [5], ონკოგენეზის დროს, კერძოდ ამცირებს კანის ონკოგენეზის ეფექტს, დიდ გავლენას ახდენს ფილტვის კიბოს შემთხვევების შემცირების ალბათობაზე, ეფექტურად მოქმედებს კუჭისა და ყელის კიბოზე [5]. კატეხინები ამცირებენ მსხვილი ნაწლავის და კუჭქვეშა ჯირკვლის სიმსივნის რისკ-ფაქტორებს. კატეხინები მაღალ ანტიბაქტერიულ ეფექტს ამჟღავნებენ გასტრიტისა და კუჭის წყლულის განვითარების გამომწვევი ბაქტერიების მიმართ. *Stapilococcus aureus*, *Helicobacter pilor* [4,5].

მწვანე ჩაის ფენოლები ხელს უწყობენ ჭრილობის დაზიანებულ ფართობზე ეპიდერმალური რქოვანი ნივთიერების ზრდასა და სიცოცხლის გახანგრძლივებას. რქოვანი ნივთიერების ზრდას განსაზღვრავს კერატინის, ტრანსგლუტამინის აქტიურობა. ზრდასრული კერატინები ამჟღავნებენ დაბალ უჯრედოვან აქტიურობას, რომელიც იზრდება კუტინიზაციის შემდეგ 25 დღემდე, რასაც თან ახლავს განახლებული დნმ-ს სინთეზის გააქტიურება-დეჰიდროგენეზი [5].

ფარმაკოლოგიური თვალსაზრისით, ეკოლოგიურად სუფთა, ბიოლოგიურად აქტიური ნივთიერებებით მდიდარი ნედლეულის წარმოებას მსოფლიო სისტემის თვალსაზრისით დიდი მნიშვნელობა ენიჭება როგორც სასიცოცხლო პროცესისათვის, ასევე ეკონომიური წვდომის თვალსაზრისით. ამ მხრივ დღესდღეობით საქართველოში რაოდენობით მცირე, მაგრამ მაინც მნიშვნელოვანი ადგილი უკავია მწვანე ჩაის (*Camellia sinensis L.*). აღნიშნული ნედლეული მდიდარია ბიოლოგიურად აქტიური ნივთიერებებით: ფენოლური ნაერთებით, სტეროიდებით, ტერპენოიდებით, პოლიაცეტილინებით. კვლევის მიზანმიმართულებისათვის მნიშვნელოვანია მწვანე ჩაიში არსებული ფენოლური ნაერთები, კერძოდ კატეხინების ანტიოქსიდანტური და ანტიმიკრობული აქტივობა.

ზემოთ მოყვანილი ლიტერატურული მონაცემების საფუძველზე შესაძლებელია ვივარაუდოთ, რომ ჩაის პოლიფენოლები ეფექტურად შეიძლება იქნას გამოყენებული ინფექციური, გართულებული, მწვადად შესახორცებელი ჭრილობის სამკურნალოდ და კანის განსაკუთრებული მდგომარეობის დროს, რომელიც გამოხატულია უჯრედის აგებულების ცვლილებებით. მონაცემების საფუძველზე შესაძლებლობა მოგვეცა მწვანე ჩაის სუფთა პრეპარატის ექსტრაქტი გამოგვეყენებინა ინფიცირებული თერმული დამწვრობის შედეგად დაზიანებული ქსოვილების აღდგენა-რეგანერაციაში, სამკურნალო და პროფილაქტიკური მიზნით.

კვლევის შედეგად მივიღეთ მწვანე ჩაის სუფთა ექსტრაქტი. მიღებული ექსტრაქტის სტერილიზაცია ვაწარმოეთ ავტოკლავში. თბური დამწვრობით გამოწვეულ დაინფიცირებულ ჭრილობაზე ავადმყოფის ნებაყოფლობით მკურნალობიდან 21-ე დღეს სამკურნალოდ ჩავრთეთ მწვანე ჩაის სუფთა ექსტრაქტი.

ჭრილობის ინფიცირების გამომწვევევი პათოგენის დასადგენად მოვახდინეთ დაინფიცირებული ჭრილობიდან ნაცხის აღება-დათესვა სისხლიან აგარზე. ანალიზის შედეგად ამოითესა ოქროსფერი სტაფილოკოკი (*Staphylococcus aureus*). შემდგომ ეტაპზე მოვახდინეთ გადათესვა, მივიღეთ სუფთა კულტურა.

მწვანე ჩაის ექსტრაქტის მიკრობიოლოგიური აქტიურობა აღნიშნულ პათოგენზე განვსაზღვრეთ დისკების მეთოდით. პირველ საკვებ არეზე განვითარებულ სუფთა კულტურას ზემოდან ვაფენდით სტანდარტული მედიკამენტით დაჟღენთილ დისკს, მეორე საკვებ არეზე – საკვლევ ხსნარიან დისკს. შედეგი მივიღეთ დადებითი. შედეგის საუბრეზე ჭრილობაში ჩაის ექსტრაქტი შევიტანეთ სტერილური მარლის ბურთულით, ამავდროულად ჭრილობას ზემოდან ეფინებოდა ჩაის ექსტრაქტით გაჟღენთილი სტერილური საფენი დღეში სამჯერ ან მდგომარეობის შესაბამისად. იზომებოდა ჭრილობის მოცულობა სტერილური მილ/მ პოლიეთილენის საზომით. ექსპერიმენტის დაწყებიდან მეექვსე დღეს ჭრილობა გაიწმინდა ჩირქოვანი ნადებისაგან, მეათე დღეს გრანულების სახით ქსოვილმა იწყო რეგენერაცია სიღრმიდან. ოცდამეცხრე დღეს ჭრილობა დაიხურა ნაწიბურის გარეშე.

კვლევებით დადგინდა, რომ მიღებული პრეპარატი შეიძლება აქტიურად გამოვიყენოთ სხვა მედიკამენტებთან ერთად თბურ დაინფიცირებულ დამწვრობაზე სამკურნალოდ ზემოდან დასაფენად, ღრმა ჭრილობის შემთხვევაში – შიგნით შესატანად.

## ლიტერატურა

1. <https://mkurnali.ge/dietologia/923-2009-03-06-13-17-27.htm>
2. Abu-Amsha, R., Croft, K.D., Puddey, I. B., Proudfoot, J.M., Beillin, L.J. "Phenolic content of various beverages determines the extent of inhibition of human serum and LDL oxidation in vitro". Identification and mechanism of action of some cinnamic acid derivatives from red wine. Clinical Science. 1996. 91: 449-458.
3. Block G., Langsteh L. "Antioxidant vitamins and disease prevention". Food Technology, July. 1994. 80-84
4. Borris R. P. "Natural products research: perspectives from a major pharmaceutical company". J Ethnopharmacol. 1996;51:29-38.
5. Hamburger H., Hostettmann K. "The link between phytochemistry and medicine". Phytochemistry. 1991. 30:3864-3874.
6. Naramura Y. "Inhibitory effects of tea ingredients on the in vitro promotion of muscle epidermal JB6 cells". 1988. 220-225.
7. Sakanaka S., Shimura N., Aizmawa M., Kim M., Yamamoto T. Preventive effect of green tea polyphenols against dental caries in conventional rat. Biosci Biotechnol Biochem. 1992. 56, 592-594.

## SUMMARY

### METHODS FOR PRODUCING AND USING GREEN TEA PURELY CATECHINIC PREPARATION 10%-EXTRACT FOR TREATING INFECTED THERMAL BURN

Khutsidze T.S.

Akaki Tsereteli State University

The paper dwells on the use of green tea 10%-extract for the treatment of infected thermal burn of skin-muscular tissues. We have studied method for producing the extract from green tea purely catechinic preparation. For studying this preparation, the patient was chosen on a voluntary basis who suffered from the infected thermal flash damage to stomach muscles. Experimental studies have demonstrated the feasibility, potential and applicability of this method.

## ფუტკრის პროდუქტების გავლენა შაქროვანი ნამცხვრის ემულსიის თვისებებზე

ხუციძე ტ. თავდიდიშვილი დ., ჭაბუკიანი გ.  
აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი

*გამოკვლეულია ფუტკრის პროდუქტების გავლენა შაქროვანი ნამცხვრის ემულსიის თვისებებზე. დადგენილია, რომ ყვავილის მტვერის დამატებისას შაქროვანი ნამცხვრის ემულსიის მდგრადობა იზრდება და აჭარბებს საკონტროლო ნიმუშის მაჩვენებლებს. კვლევის შედეგად მიღებული მონაცემების საფუძველზე დადგენილია შაქროვანი ნამცხვრის რეცეპტურაში დასამატებელი ყვავილის მტვერისა და თავლის შეტანის სტადია, შეტანის ფორმა და ოპტიმალური რაოდენობა.*

თანამედროვე მსოფლიოში სულ უფრო იზრდება ჯანსაღი, მეცნიერულად დასაბუთებული და ამავე დროს ფუნქციური საკვების შექმნის აუცილებლობა, რომელიც მიმართულია სხვადასხვა დაავადების პროფილაქტიკისა და მოსახლეობის შრომისუნარიანობის ამაღლებისაკენ.

ფუნქციური პროდუქტების წარმოება გულისხმობს ტრადიციული საკვები პროდუქტების გამდიდრებას ვიტამინებით, მინერალური ნივთიერებებით, საკვები ბოჭკოებით და ეს ხდება მათი კალორიულობის შემცირების ფონზე. ნაწარმისათვის ფუნქციური თვისებების მინიჭების მიზნით პერსპექტიულია ფქვილოვანი საკონდიტრო ნაწარმი, რომელიც ფართოდ გამოიყენება მოსახლეობის სხვადასხვა ფენებში და რომელთა ასორტიმენტი უკანასკნელ დროს აქტიურად იზრდება მათი განსაკუთრებული პოპულარულობის გამო ბავშვებში და ახალგაზრდებში.

არსებობს ტრადიციული პროდუქტები, რომლებიც შეიძლება გამოყენებულ იქნეს ფქვილოვანი საკონდიტრო ნაწარმის რეცეპტურულ კომპონენტებად. ასეთია ფუტკრის პროდუქტები, რომელთა სასარგებლო თვისებების შესახებ საყოველთაოდაა ცნობილი.

ჩვენ შევისწავლეთ ორი მათგანის – ყვავილის მტვერისა და თაფლის გავლენა შაქროვანი ნამცხვრის ემულსიის თვისებებზე.

სამუშაოს მიზანს წარმოადგენდა ფუნქციური დანიშნულების ფქვილოვანი საკონდიტრო ნაწარმის რეცეპტურისა და ტექნოლოგიის შემუშავება დასავლეთ საქართველოში გავრცელებული ბიოლოგიურად აქტიური ნედლეულის – ფუტკრის პროდუქტების გამოყენებით.

კვლევებში ვიყენებდით დასავლეთ საქართველოს ლეჩხუმის რეგიონში (სოფელი დეხვირი) ახლახანს დაარსებულ სოციალურ საწარმოში „თაფლი ლეჩხუმიდან“ წარმოებულ მინდვრის ყვავილების თაფლს და ყვავილის მტვერს.


ნაწარში დასამატებელი ყვავილის მტვერისა და თაფლის სავარაუდო რაოდენობის დადგენისას ვითვალისწინებდით მათში ფუნქციური ინგრედიენტების შემცველობის შესახებ არსებულ რეკომენდაციებს და „საკვები და ბიოლოგიურად აქტიური ნივთიერებების მოხმარების რეკომენდირებულ ნორმებს“, საბოლოო რაოდენობას კი ვადგენდით ორგანოლექტიკური მაჩვენებლების მიხედვით.

შაქროვან ნამცხვარს ვამზადებდით როგორც ტრადიციული სახის შაქროვანი ცომისაგან, ასევე ჩვენს მიერ შემუშავებული რეცეპტურებით.

ჩატარებული ცდების საფუძველზე დავადგენეთ ნაწარმში ყვავილის მტვერის და თაფლის შეტანის სტადია, ხერხი და დოზირება.

შაქროვანი ნამცხვრის ცომი გამოირჩევა ცხიმისა და შაქრის მაღალი შემცველობით. ამიტომ ცომი მზადდება ორ ეტაპად. პირველ ეტაპზე მზადდება ემულსია, რეცეპტურით გათვალისწინებული ყველა ნედლეულის გამოყენებით, გარდა ფქვილისა. ემულსიის წინასწარი მომზადება განპირობებულია იმით, რომ ცომის მომზადების დროს გამოყენებული წყალი და ცხიმი ერთმანეთში არ იხსნება და აუცილებელია არაგანშრევებადი, დისპერგირებული სისტემის მიღება. რადგან შაქროვანი ნამცხვრის წარმოებაში ემულსია წარმოადგენს ძირითად ნახევარფაბრიკატს, ამიტომ მიზანშეწონილად მივიჩნიეთ საცდელ ნიმუშებში თაფლი და ყვავილის მტვერი შეგვეტანა ემულსიის მომზადების სტადიაზე და გამოგვეკვლია მათი გავლენა ემულსიის ხარისხობრივ მაჩვენებლებზე. ემულსიაში რეცეპტურით გათვალისწინებული ინვერტული სიროფი მთლიანად შევცვალეთ ნატურალური თაფლით, ხოლო ყვავილის მტვერს, რომლითაც ვცვლიდით რეცეპტურით გათვალისწინებული შაქრის მასის 5, 10 და 15 %-ს, წინასწარ ვაქუცმაცებდით და ვცრიდით საცერში ნახვრეტების დიამეტრით არა უმეტეს 2 მმ. კონტროლად ვიყენებდით ემულსიას, რომელიც მომზადებული იყო სტანდარტული რეცეპტურით ინვერტული სიროფით ყვავილის მტვერის დამატების გარეშე.

ცომს ვზელდით ლაბორატორიულ ცომსაზელ მანქანაში, ზელის ხანგრძლივობა 5–10 წთ. ცომის ტენიანობა იყო 15–17,5%, ტემპერატურა არა უმეტეს 30 °C. შაქროვანი ნამცხვრის ემულსია წარმოადგენს მრავალკომპონენტულ დისპერსიულ სისტემას. ემულსიის ძირითადი კომპონენტებია ცხიმი, შაქარი, წყალი, ინვერტული სიროფი. ემულსიას ვდღვებდით 10–12 წთ-ის განმავლობაში 22–24 °C ტემპერატურაზე. მზა ემულსიის ტემპერატურა იყო 33–34 °C. განვსაზღვრეთ რა გავლენას ახდენს თაფლი და ყვავილის მტვერი ემულსიის მდგრადობაზე, დისპერსიულობასა და სიბლანტეზე.



**ნახ. 1 შაქროვანი ნამცხვრის ემულსიის ნიმუშები თაფლისა და ყვავილის მტვერის სხვადასხვა დოზირებით**

1 - საკონტროლო ნიმუში ყვავილის მტვერისა და თაფლის დამატების გარეშე; 2 - ნიმუში 5 % (შაქრის მასის) ყვავილის მტვერის დამატებით; 3 - ნიმუში 10 % ყვავილის მტვერის დამატებით; 4 - ნიმუში 15 % ყვავილის მტვერის დამატებით; ნიმუშებში 2, 3 და 4 ინვერტული სიროფი მთლიანად (100 %) შეცვლილია თაფლით.


ემულსიის მდგრადობას განაპირობებს ცხიმის წვეთების დისპერსიულობა. ემულსია უფრო მდგრადია, თუ მასში არის ცხიმის წვრილი წვეთები. გამოკვლევები ჩავატარეთ OMAX მარკის მიკროსკოპის ციფრული კამერის გამოყენებით.

ემულსიების მიკროსკოპში დაკვირვების შედეგები მოცემულია ნახაზზე 1.

აღმოჩნდა, რომ ყვავილის მტვერის დოზირების 10 %-მდე გაზრდასთან და ინვერტული სიროფის ნატურალური თაფლით მთლიანად შეცვლასთან ერთად იზრდება წვრილი ცხიმოვანი ბურთულების რაოდენობა, რაც გამოწვეულია ყვავილის მტვერისა და თაფლის ქიმიური შედგენილობით. ამ პროდუქტებში შემავალი მინერალური ნივთიერებები და ამინომჟავები, სავარაუდოდ, უთიერთქმედებენ ემულსიის ცილებთან და პოლისაქარიდებთან, რაც ხელს უწყობს ემულგირებას და ზრდის ემულსიის დისპერსიულობას. ასევე ყვავილის მტვერი-ფეხგუნდას დოზირების გაზრდით შეინიშნება მასის სიბლანტის შემცირება, რაც აფერხებს ცხიმის წვეთების კედლების გამაგრებას და აუმჯობესებს ემულგირების ხარისხს. დავადგინეთ, რომ ყვავილის მტვერის დოზირებისას 10 %-მდე ცხიმის წვრილი წვეთების რაოდენობა იზრდება, ხოლო დოზირების შემდგომი გაზრდისას – მცირდება, ამასთან იზრდება ემულსიის სიბლანტე, რაც აუარესებს ემულგირების ხარისხს.

ემულსიები დისპერსიული ფაზის სახეობისაგან დამოკიდებულებით შეიძლება იყოს ან მდგრადი, ან დროთა განმავლობაში შეიძლება გახდეს არამდგრადი, კერძოდ, ემულსიის კინეტიკური არამდგრადობა ვლინდება დისპერსიული ფაზის ნაწილაკების დალექვით ან ამოტივტივებით. ზემოთაღნიშნულიდან გამომდინარე, გამოვიკვლიეთ თუ რა გავლენას

ახდენს ყვავილის მტვერი და თაფლი ემულსიის მდგრადობაზე, ანუ განშრევების მიმართ 24 საათის განმავლობაში, რასაც ვსაზღვრავდით გამრევებული ნაწილის სიდიდის გაზომვის გზით. შედეგები წარმოდგენილია ნახაზზე 2.



**ნახაზი 2 . ყვავილის მტვერისა და თაფლის გავლენა ემულსიის მდგრადობაზე**

როგორც დიაგრამიდან ჩანს 10 % ყვავილის მტვერის შემცველი ემულსიის მდგრადობის მაჩვენებელი 6 საათის შემდეგ შეესაბამება საკონტროლო ნიმუშის იმავე მაჩვენებელს. თუმცა 12 და 24 საათის შემდეგ 10 % ყვავილის მტვერის შემცველი ნიმუშის მდგრადობა კონტროლთან შედარებით მაღალია შესაბამისად 1,5 % და 7,2 %-ით.

დადგენილია, რომ ყვავილის მტვერის რაოდენობის გაზრდით ემულსიის მდგრადობა იზრდება და აჭარბებს საკონტროლო ნიმუშის მაჩვენებლებს. ეს დაკავშირებულია ემულსიის დისპერსიულობის გაზრდასთან, რაც აიხსნება იმით, რომ ხდება ემულსიის გაჯერება ფუტკრის პროდუქტებში არსებული მინერალური ნივთიერებებითა და ამინომჟავებით. ცხადია, რომ ხსნარში ცილის რაოდენობის გაზრდასა, ფაზებსშორისი სიმტკიცე იზრდება, რაც განპირობებულია მოლეკულათაშორისი კოტაქტების წამოქმნით ადსორბციულ ფენაში მისი სისქის ზრდის შესაბამისად. ყვავილის მტვერის შემცველობის შემდგომი ზრდა იწვევს ემულსიის მდგრადობის მაჩვენებლის შემცირებას, რაც სავარაუდოდ გამოწვეულია იმით, რომ ცხიმის წვრილი წვეთების რაოდენობა მცირდება, მცირდება მოლეკულათაშორისი კავშირების წარმოქმნა და შესაბამისად, ადსორბციული დენის სისქეც.

ამრიგად, დისპერსიულობისა და მდგრადობის მაჩვენებლების გათვალისწინებით ყვავილის მტვერის ოპტიმალურ დოზირებად შეიძლება ჩაითვალოს შაქრის რაოდენობის 10 %-ის ჩანაცვლება.

ამრიგად, გამოკვლეულია ფუტკრის პროდუქტების გავლენა შაქროვანი ნამცხვრის ემულსიაზე. დადგენილია, რომ ყვავილის მტვერის დამატებისას შაქროვანი ნამცხვრის ემულსიის მდგრადობა იზრდება და აჭარბებს საკონტროლო ნიმუშის მაჩვენებლებს. ეს განპირობებულია ემულსიის დისპერსიულობისა და სიბლანტის გაზრდით, რასაც იწვევს მისი გაჯერება ფუტკრის პროდუქტებში არსებული მინერალური ნივთიერებები და ამინომჟავები.

მიღებული შედეგების საფუძველზე დადგენილია შაქროვანი ნამცხვრის რეცეპტურაში დასამატებელი ყვავილის მტვერისა და თაფლის შეტანის სტადია, შეტანის ფორმა და ოპტიმალური რაოდენობა. ყვავილის მტვერი და თაფლი ემატება ემულსიაში, ამასთან, ყვავილის

მტვერი ემატება დაფქვილი და გაცრილი სახით და მის ოპტიმალური რაოდენობა შეადგენს შაქრის რაოდენობის 10 %-ს, ხოლო ინვერტული სიროფი მთლიანად (100 %-ით) შეცვლილია მინდვრის ყვავილების თაფლით.

### ლიტერატურა

1. თავდიდიშვილი დ., ფხაკაძე მ., ხუციძე ც. თაფლისა და ფუტკრის პროდუქტების სამკურნალო-პროფილაქტიკურ კვებაში გამოყენების მეცნიერული და პრაქტიკული ასპექტები. მონოგრაფია დ. თავდიდიშვილის რედაქციით. აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, ISBN 978-9941-448-49-2. ქუთაისი 2014, 164 გვ.
2. Ивашевская, Е.Б. Экспертиза продуктов пчеловодства, качество и безопасность / Е.Б. Ивашевская, О.А. Рязанова, В.Н. Позняковский. – Новосибирск. 2007, 203 с
3. Корячкина, С.Я. Технология мучных кондитерских изделий /С.Я. Корячкина. – Орел: Орел ГТУ, 2009, 323 с.
4. Печенкина, Т.Ю. Применение продуктов пчеловодства в технологии приготовления мучных кондитерских изделий / Т.Ю. Печенкина, У.Н. Диденко, Е.П. Лабутина // Академия Естествознания, 2005, №6, сс. 82-83.
5. D. Tavdidishvili, M. Pkhakadze, Ts. Khutsidze. Studies of the Quality and Safety of Georgian Bee Products. Bulletin of the academy of agricultural sciences of Georgia – Moambe. 2014. - 181-185.
6. William G Lima, Júlio C M Brito, Waleska S da Cruz Nizer - Bee products as a source of promising therapeutic and chemoprophylaxis strategies against COVID-19 (SARS-CoV-2, Phytother Res. 2021 Feb;35(2):743-750. doi: 10.1002/ptr.6872. Epub 2020 Sep 18.

### SUMMARY

#### INFLUENCE OF BEEKEEPING PRODUCTS ON THE PROPERTIES OF A SUGAR COOKIE EMULSION

**Khutsidze Ts., Tavdidishvili D., Chabukiani G. Akaki Tsereteli State University**

The article examines the influence of beekeeping products on the properties of the sugar cookie emulsion. It has been found, that the addition of bee pollen increases the stability of the sugar cookie emulsion. Based on the data obtained as a result of the study, were determined the stage of adding , the form of application and the optimal amount of bee pollen and honey in the recipe of sugar cookie.

### ფუტკრის პროდუქტების გამოყენების პერსპექტივები ფქვილოვანი საკონდიტრო ნაწარმის წარმოებაში

ხუციძე ც., ფრუიძე ე., ჭაბუკიანი გ., აფხაძე ქ.  
აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი

*სტატიაში განხილულია ფუტკრის პროდუქტებით გამდიდრებული შაქროვანი ნამცხვრის ახალი ასორტიმენტი, გამოკვლეულია ყვავილის მტვერისა და თაფლის გავლენა ნაწარმის თვისებებზე. დადგენილია, რომ აღნიშნული დანამატები დადებით გავლენას ახდენს ნაწარმის ხარისხზე.*

ფუნქციური და ბიოლოგიურად აქტიური ნივთიერებებით გამდიდრებული ფქვილოვანი საკონდიტრო ნაწარმი მრავალფეროვნებით, მოხმარების მოხერხებულობით, ტრანსპორტირების სიმარტივით, ხანგრძლივად შენახვის შესაძლებლობით შეესაბამება ფუნქციური და სამკურნალო-პროფილაქტიკური პროდუქტებისადმი წაყენებულ თანამედროვე მოთხოვნებს. დღეისათვის სამწუხაროდ ასეთი პროდუქტების ასორტიმენტი და წარმოების მოცულობა ძალიან მცირეა. უმრავლეს ქვეყნებში ფქვილოვანი საკონდიტრო ნაწარმი გახდა ტრადიციული და მნიშვნელოვანი საკვები პროდუქტი.

საკვები პროდუქტების კვებითი ღირებულების ამალღების მიზნით ფართოდ გამოიყენება ფუტკრის პროდუქტები, რადგან თაფლი, ყვავილის მტვერი, ჭეო, ფუტკრის რძე და დინდგელი (პროპოლისი) გამოირჩევა მაღალი კვებითი ღირებულებით და დადებით გავლენას ახდენს ადამიანის ჯანმრთელობაზე. ფუტკრის პროდუქტები მდიდარია ცილებით, მარტივი შაქრებით, შეუცვლელი ამომჟავებით და მონოუჯერი ცხიმოვანი მჟავებით.

თაფლს გააჩნია ანტიმიკრობული თვისებები, ახასიათებს ბაქტერიოსტატიკური, ბაქტერიოციდული, ანთების საწინააღმდეგო და მაკონსერვებელი მოქმედება. სასარგებლო თვისებების გამო თაფლი ეფექტურია მრავალი დაავადების სამკურნალოდ. ის ხელს უწყობს შინაგანი ორგანოების ნორმალურ მუშაობას, არტერიული წნევის შემცირებას, აუმჯობესებს სისხლის შედგენილობას, ამალღებს იმუნიტეტს, მისი საშუალებით მკურნალობენ ყაბზობას, ამშვიდებს ნერვულ სისტემას, გამოიყენება უძილობის დროს. თაფლი ახდენს საერთო-გამაჯანსაღებელ და მატონიზირებელ მოქმედებას ადამიანის ორგანიზმზე.

პირველ, ორ მაჩვენებელზე დაკვირვება და შესაბამის სატაქსაციო მონაცემების (სიმაღლეზე და დიამეტრში შემატება) დაფიქსირება ხდებოდა ექსპერიმენტულ ნაკვეთში საველე პირობებში. კერძოდ ტაქსაციური დიამეტრი იზომებოდა ვეგეტაციის დასრულების შემდეგ ციფრული კალიპრით (Digital calliper Mitutoyo, type CD-15DC, UK) ნიადაგიდან მკერდის სიმაღლეზე (1,30 მ), ხოლო ღეროს სიმაღლე ღეროს ფუძიდან კენწრულ კვირტამდე. იზომებოდა, როგორც ძირითადი ღერო, ასევე პირველი სავეგეტაციო წლის ბოლოს გადანაჭერზე ამონაყრით მიღებული ღეროები.

ბიომასის, სიმკვრივის და თბოუნარიანობის გასაზღვრისთვის სამწლიანი ვეგეტაციის სამოდელი და საკონტროლო ეგზემპლარებიდან აღებული მერქნის ნიმუშები შესწავლილ იქნა კრაკოვის სოფლის მეურნეობის უნივერსიტეტში ლაბორატორიულ პირობებში. კერძოდ, ქერქისა და მერქნის ანალიზისთვის ნიმუშები მომზადებულ იქნა EN ISO 14 780:2017 სტანდარტის შესაბამისად. საანალიზო ნიმუშების გამოშრობა მოხდა ლაბორატორიულ პირობებში (SLW 115, Pol-Eko-Aparatura) 105 °C-ზე, მუდმივი მასის მიღებამდე. ნიმუშები დაიფქვა (PX-MFC 90D Polymix, Kinematika, Lucerne, Switzerland) <0,1 მმ-დე სიზუსტით, ხოლო თბოუნარიანობას გამოთვლა მოხდა კალორიმეტრის (IKA C6000, IKA-Werke, Staufen, Germany) საშუალებით, EN ISO 18125:2017 სტანდარტის შესაბამისად. მიწისზედა ბიომასის (მშრალი მასა) და პროდუქტიულობის განსაზღვრისთვის გამოყენებულ იქნა ალომეტრიული ფუნქცია, რომელიც მიღებულია ხის ბიომასის და მოცულობის მოდელირებაში.

**ექსპერიმენტული ნაკვეთი 2** – გაშენდა შერჩეული კლონების სამრეწველო პლანტაცია გამოყენების მიზანშეწონილობის დადგენის კვლევის მიზნით. ამ შემთხვევაშიც სარგავ მასალად გამოყენებულ იქნა სტანდარტული, 22 სმ-ის სიგრძის მქონე კალმები, განსხვავება იყო დარგვის სქემაში, გაშენდა 2,5X2,5 პროპორციით (5–6 წლიანი როტაციის პერიოდით). განხორ-

ციელდა იგივე მოვლის ღონისძიებები. ენერგეტიკული პლანტაციებისგან განსხვავებით სარეველებთან ბრძოლის მიზნით გამოყენებული იქნა ჰერბიციდები.

სამრეწველო მიზნით პერსპექტიული ჰიბრიდული ფორმების გამოვლენის მთავარი ინდიკატორი იყო სამრეწველო მერქნის (ღეროს) პროდუქტიულობა, რომელიც გამოიხატება შემდეგი მაჩვენებლებით:

- კარგი ზრდა-განვითარების მაჩვენებელი;
- სწორი ღეროს განვითარების უნარი;
- მერქნის სიმკვრივე და მოცულობა.

სატექსაციო მაჩვენებლების დადგენისთვის მონაცემების აღება ხდებოდა იგივე პრინციპით, როგორც ექსპერიმენტულ ნაკვეთი 1-ში. ამ შემთხვევაში იზომებოდა ძირითადი ღერო, როგორც პირველადი ნაზარდი, ასევე პირველი სავეგეტაციო წლის ბოლოს გადანაჭერზე ამონაყარი სახით.

მერქნის სიმკვრივე განისაზღვრა კრაკოვის სოფლის მეურნეობის უნივერსიტეტში (მეთოდოლოგია აღწერილია).

### შედეგები და განხილვა

საკვლევი 11 ჰიბრიდული კლონის ზრდა-განვითარების და შესაბამისად მერქნის შემატების მაჩვენებლები სამოდულო ეგზემპლარების მიხედვით, ორივე ექსპერიმენტული ნაკვეთიდან მოცემულია ცხრ. 3-ში

**ცხრილი 3. საკვლევი კლონების ზრდა-განვითარების მაჩვენებლები**

#	კლონის დასახელება	გახარების მაჩვენებელი, %	პირველი სავეგეტაციო წლის ნაზარდი		საშუალო შემატება (3 სავეგეტაციო წლის მიხედვით)	
			D, მმ	H, სმ	D, მმ	H, სმ
1.	D.92.282	25	13.1	230	43.65	386.3333
2.	89.M.061	95	15.1	188	32.77333	334
3.	I 45-51	90	14	172	26.38667	282.3333
4.	I-214	95	11.75	215	25.36	304
5.	89.M.011	95	14.95	201	27.38333	308
6.	Samsun(1-77/51)	75	16.41	189	26.93	325
7.	89.M.004	90	8.18	230	27.83333	342.6667
8.	89.M.060	80	18.56	209	26	293.6667
9.	D.92.176	100	12.95	206	29.26333	310.6667
10.	89.M.007	85	15.85	197	36.27667	337.6667
11.	AF8	93	18.5	232	34.23	360.6667
12.	<i>P.pyramidalis</i> Rozier (საკონტროლო)	95	9.2	140	18.67333	243.6667

როგორც ცხრილი 3-ის მონაცემებიდან ჩანს საკვლევი კლონებიდან საკონტროლო ვერხვთან შედარებით ყველამ უკეთესი ზრდა-განვითარების მაჩვენებელი აჩვენა, თუმცა მათ შორის გამოირჩევა შემდეგი კლონები: D.92.282; 89.M.061; D.92.176; 89.M.007; AF8.

კარგი ზრდა-განვითარების მაჩვენებლების გარდა ყველაზე პერსპექტიული ფორმების გამოსაყოფად გათვალისწინებული იქნა ასევე სხვა მნიშვნელოვანი ფაქტორები, როგორც ეს მეთოდოლოგიურად იყო განსაზღვრული, კერძოდ – გახარების მაჩვენებელი (%), ყინვა და გვალვამძლეობა, ამონაყართი და სწორი ღეროს განვითარების უნარი და დაავადებების და მავნებლების მიმართ გამძლეობა. აღნიშნულ ფაქტორთა გათვალისწინებით საკვლევი 11

კლონიდან გამოიყო ყველაზე პერსპექტიული შემდეგი ჰიბრიდული ფორმები: 89.M.061; 89.M.004; Kocabey (TR- 77/10); AF8. აღნიშნულ კლონებთან ერთად კარგი ზრდა-განვითარების მაჩვენებლით ასევე ყურადღებას იმსახურებს შემდეგი კლონები: D. 92.282, D.92.176; 89.M.007. თუმცა კლონმა D.92.282 სხვა კლონებთან შედარებით გახარებისა და ყინვაგამძლეობის დაბალი უნარი გამოავლინა, ასევე ყინვაგამძლეობის დაბალი მაჩვენებელი გამოავლინა კლონმა – 89.M.061 (გაიყინა -12<sup>0</sup> C). შესაბამისად ეს ორი უკანასკნელი კლონი შესაძლებელია რეკომენდებულ იქნას, მხოლოდ დასავლეთ საქართველოს პირობებში, სამრეწველო პლანტაციაში გამოსაყენებლად სათანადო მოვლის აგროსატყეო ღონისძიებების უზრუნველყოფით. რაც შეეხება D.92.176; 89.M.007 კლონებს კარგ ზრდა-განვითარებასთან ერთად გამოირჩევიან ყინვაგამძლეობით, ასევე დაავადებებისადმი მდგრადობით.

ენერგეტიკულ პლანტაციაში გამოსაყენებლად ყველაზე პერსპექტიული ჰიბრიდული ფორმების გამოსაყოფად, გარდა აღნიშნული ფაქტორებისა, მხედველობაში იქნა მიღებული სხვა მნიშვნელოვანი ფაქტორები, კერძოდ: ამონაყრითი უნარი და ამონაყრის ზრდა-განვითარების, ასევე ბიომასის დაგროვების, მერქნის სიმკვრივის და თბოუნარიანობის მაჩვენებლები.

კვლევის მიხედვით კარგი ამონაყრითი უნარი, ბიომასის დაგროვების კარგი მაჩვენებელი, ასევე მაღალი სიმკვრივე და თბოუნარიანობა აჩვენა შემდეგმა კლონებმა: 89.M.061; 89.M.004; Kocabey (TR- 77/10); AF8.

მშრალი ბიომასის წლიური პროდუქტიულობა 1 ჰა-ზე მერყეობს 2.96 (89.M.061) და 4.14 მეგ ჰა<sup>-1</sup> წ<sup>-1</sup> შორის (89.M.004). მაშინ, როდესაც საკონტროლო ვერხვის (*P.pyramidalis*) შემთხვევაში ამ მაჩვენებელმა შეადგინა 0,78 მეგ ჰა<sup>-1</sup> წ<sup>-1</sup> [6].

სიმკვრივის და თბოუნარიანობის კვლევის შედეგები, მოცემულია ცხრ. 4-ში [6].

#### ცხრილი 4. სიმკვრივის და თბოუნარიანობის მაჩვენებლები

#	კლონის დასახელება	თბოუნარიანობა (ჯ/გ <sup>-1</sup> )		სიმკვრივე (კგ/მ <sup>3</sup> )
		ზედა (მაღალი) ზღვარი	ქვედა (დაბალი) ზღვარი	
1.	89.M.061	19,050	17,758	481
2.	89.M.004	18,997	17,708	507
3.	Kocabey (TR- 77/10)	18,985	17,716	522
4.	AF8	19,103	17,849	588
5.	<i>P.pyramidalis</i> Rozier (საკონტროლო)	18,922	17.642	572

როგორც ცხრილი 4-ის მონაცემებიდან ჩანს, ყველა საკვლევი კლონის თბოუნარიანობის ორივე მაჩვენებელი მაღალია საკონტროლოსთან (*P.pyramidalis*) შედარებით და მერყეობს 18,985 ჯ/გ<sup>-1</sup> (Kocabey (TR- 77/10)) დან 19,103 ჯ/გ<sup>-1</sup>(AF8) მდე ზედა ზღვარი, ხოლო 17,708 ჯ/გ<sup>-1</sup> (89.M.004)-დან 17,849 ჯ/გ<sup>-1</sup>(AF8)-მდე ქვედა ზღვარი. რაც შეეხება სიმკვრივეს მერყეობს 481 კგ/მ<sup>3</sup> (89 M 061)-დან 588 კგ/მ<sup>3</sup> (AF8)-მდე.

დასკვნისთვის უნდა ითქვას, რომ კვლევის პირველ ეტაპზე გამოყოფილი 11 ჰიბრიდული კლონი (ცხრ. 1) პერსპექტიულია საქართველოს ბუნებრივ პირობებში მოკლე და საშუალო როტაციის სამრეწველო და ენერგეტიკული პლანტაციების გასაშენებლად გამოყენებისთვის. თუმცა შემდგომმა კვლევამ საშუალება მოგვცა დაზუსტებულიყო, რომელიც მეტად პერსპექტიულია ერთ შემთხვევაში სამრეწველო და მეორე შემთხვევაში ენერგეტიკულ პლანტაციების გასაშენებლად გამოსაყენებლად. ასევე განისაზღვრა მათი გაშენების მიზანშეწონილობა გეოგრაფიული თვალსაზრისით.



სამრეწველო პლანტაციის გასაშენებლად გამოყენებისთვის გამოიყო შემდეგი კლონები: D.92.282; 89.M.061; D.92.176; 89.M.007; AF8; მოცემული კლონებიდან აღმოსავლეთ საქართველოში გასაშენებლად რეკომენდებულია ყველა გარდა D 92.282-სა და 89.M.061, რომელიც სუსტი ყინვაგამძლეობით გამოირჩევა, შესაბამისად შეიძლება რეკომენდებულ იქნას, მხოლოდ დასავლეთ საქართველოს პირობებში, სათანადო მოვლის აგროსატყეო ღონისძიებების უზრუნველყოფით.

ენერგეტიკული პლანტაციის გასაშენებლად გამოყენებისთვის გამოიყო შემდეგი კლონები: 89.M.061; 89.M.004; Kocabey (TR- 77/10); AF8. აღნიშნული კლონების (89.M.061 გარდა) გამოყენება შესაძლებელია, როგორც აღმოსავლეთ, ისე დასავლეთ საქართველოს პირობებში, ხოლო 89.M.061 კლონი შესაძლებელია გამოყენებულ იქნეს დასავლეთ საქართველოს პირობებში.

ბიომასის დაგროვების, გახარების მაღალი პოტენციალის და კარგი ამონაყრითი უნარის გამო ყურადღებას იმსახურებს შემდეგი კლონები D.92.176; 89.M.007, რომელთა კვლევა თბოუნარიანობის და მერქნის სიმკვრივის დასადგენად ამჟამად მიმდინარეობს.

*კვლევა განხორციელდა შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის ფინანსური მხარდაჭერით, სადოქტორო საგრანტო პროექტის ფარგლებში [#PHDF-18-5615] „სწრაფმზარდი მერქნიანი მცენარეების შესწავლა და გამოყენების პერსპექტივები საქართველოში“.*

#### ლიტერატურა

1. Dickmann, D.I., 2006. Silviculture and biology of short-rotation woody crops in temperate regions: Then and now. Biomass and Bioenergy, 30, 696-705.
2. Liberloo, M., Calfapietra, C., Lukac, M., Godbold, D., LUO, Z.B., Polle, A., Hoosbeek, M.R., Kull, O., Marek, M., Raines, C. and Rubino, M., 2006. Woody biomass production during the second rotation of a bio-energy Populus plantation increases in a future high CO2 world. Global Change Biology, 12, 1094-1106.
3. განახლებადი ენერჯის ეროვნული სამოქმედო გეგმა, 2019 (NREAP 2019).
4. Karacic, A. 2005. Production and ecological aspects of short rotation poplars in Sweden. Uppsala. 92.
5. Ceulemans, R., Stettler, R.F., Hinckley, T.M., Isebrands, J.G. and Heilman, P.E., 1990. Crown architecture of Populus clones as determined by branch orientation and branch characteristics. Tree Physiology, 7, 157-167.
6. Niemczyk, M., Bachilava, M., Wróbel, M., Jewiarz, M., Kavtaradze, G. and Goginashvili, N., 2021. Productivity and Biomass Properties of Poplar Clones Managed in Short-Rotation Culture as a Potential Fuelwood Source in Georgia. *Energies*, 14 (11), 3016.
7. Bachilava M., Akgül S., Velioğlu E., Özdemir E., Goginashvili N., 2021. Selection of Suitable Poplar Clones for Eastern Georgia. 26<sup>th</sup> Session International Commission, Rome.

#### SUMMARY

#### EXPEDIENCY OF USING NEW HYBRID POPLAR CLONES OF STUDIED IN GEORGIA FOR INDUSTRIAL AND ENERGY PLANTATIONS

**Bachilava M\*, Kavtaradze G\*, Goginashvili N\*\*.**

**\*Agricultural University of Georgia**

**\*\*Scientific Research Center of Agriculture**

In the present article was discussed the of use expediency of the first time studied new hybrid poplar clones for establishment of industrial and energy plantations according to the five-year study results in Georgian conditions. 11 superior forms from the 21 hybrid poplar clones were studied on the first study stage. Finally, the most promising forms were selected from the above-mentioned clones for establishment of industrial and energy plantations. For establishment of industrial plantations, the following clones were selected: D.92.282; 89.M.061; D.92.176; 89.M.007; AF8. For establishment of energy plantations were selected clones: 89.M.061; 89.M.004; Kocabey (TR-77/10); AF8. Besides the above-mentioned forms D.92.176 and 89.M.007 characterized not only with high biomass accumulation features and survival rate, but also with strong vegetative sprouting abilities. Currently heating value and density are studding in the laboratory conditions.

**აჭარის დაცულ ტერიტორიებზე (მტირალა, კინტრიში), ჩვეულებრივი წაბლის  
(*Castanea sativa mill*) ბუნებრივი განახლების თავისებურებები ტყის ძირითად  
არეალებში**

**დავითაძე რუსლანი\*, ჯინჭარაძე გიორგი\*\*, ძირკვაძე არჩილ\*\*\*, ჯაბნიძე გ.\*\*\*  
წმინდა ტბელ აბუსერისძის სასწავლო უნივერსიტეტი\*  
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი\*\*  
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი\*\*\***

*განახლება მრავალ ფაქტორზეა დამოკიდებული, კერძოდ თესლმსხმოარობაზე, მის განმეორების სიხშირეზე, თესლის შენახვასა და გაღებვა-აღმოცენების პირობებზე, ტყის სიხშირეზე, მკვდარი საფარის სისქეზე, ბალახეული საფარისა და ქვეტყის განვითარების ხარისხზე და სხვა. საქართველოს დაცული ტერიტორიების სისტემის განვითარების თვისობრივად ახალი ეტაპი, ბუნების დაცვის მსოფლიო ფონდის (WWF) ტექნიკური დახმარებით, დამოუკიდებლობის აღდგენის დროიდან – 1991 წლიდან დაიწყო. კვლევის ობიექტად აღებული იყო მტირალას ეროვნული პარკისა და კინტრიშის დაცული ტერიტორიების ტყის ძირითადი ფორმაციები, სადაც ძირითადი ყურადღება გამახვილებული გვექონდა ჩვეულებრივი წაბლის ბუნებრივი განახლების საკითხებზე.*

საქართველოს დაცული ტერიტორიების სისტემის განვითარების თვისობრივად ახალი ეტაპი, ბუნების დაცვის მსოფლიო ფონდის (WWF) ტექნიკური დახმარებით, დამოუკიდებლობის აღდგენის დროიდან – 1991 წლიდან დაიწყო. თანდათან გადაიდგა შესაბამისი ნაბიჯები. ამ დროისათვის, დაცული ტერიტორიების სისტემის განვითარება დაფუძნებულ იყო აღიარებული და აპრობირებული საერთაშორისო კატეგორიების კონსერვაციის მსოფლიო კავშირის (IUCN – The World Conservation Union) რეკომენდაციების შესაბამისად.

აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში დღეს დაარსებულია 4 კატეგორიის დაცული ტერიტორია: კინტრიშის სახელმწიფო ნაკრძალი (საერთო ფართობით 10703,00 ჰა), კინტრიშის დაცული ლანდშაფტი (საერთო ფართობით 3190,00 ჰა), მტირალას ეროვნული პარკი (15806,00 ჰა), მაჭახელას ეროვნული პარკი (8733,00 ჰა) ქობულეთის სახელმწიფო ნაკრძალი (331,25 ჰა) და ქობულეთის ალკვეთილი: (438,75 ჰა), სულ 39202,00 ჰა, რაც აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკის (ა.რ.) მთლიანი ფართობის (2900 კვ.კმ) 13,51%-ს.

ტყის ბუნებრივი განახლებას აჭარის დაცული ტერიტორიებზე განსაკუთრებული ყურადღება ექცევა მისი რაოდენობითი და ხარისხობრივი მაჩვენებლების თვალსაზრისით, რადგანაც მათი დაკავებული ფართობი (29 592) წარმოდგენილია მეტად მრავალფეროვანი ლანდშაფტებით, დაწყებული ზღვის სანაპიროდან, მაღალმთის მდელოებით დამთავრებული, რომლის ჩამოყალიბება სამხრეთ კოლხეთის რელიქტური ტყეების რეპრეზენტატიული ბიომრავალფეროვნების დაცვის საშუალებას იძლევა. აქედან გამომდინარე ბუნებრივი განახლება განმსაზღვრელი ფაქტორია დაცულ ტერიტორიებზე წარმოდგენილი ძვირფასი და კავკასიისათვის მნიშვნელოვანი მცენარეების შენარჩუნების მიზნით, რომლის რეგენერაცია დამოკიდებულია რიგ ფაქტორებზე, როგორცაა: უხვი თესლმსხმოარობის წლებზე, მაღალ-ხარისხოვანი თესლების რაოდენობაზე, ნაყოფმსხმოარობის განმეორების სიხშირეზე, სინათლის პირობებზე, მკვდარი საფარის სისქეზე, ცოცხალი საფარზე, ქვეტყის განვითარების ხარისხზე და ა.შ. რომელიც შესწავლილი გვაქვს მტირალას ეროვნული პარკისა და კინტრიშის დაცული ტერიტორიების ტყის ძირითადი ფორმაციების მაგალითზე.

წაბლი (*Castanea sativa*) მესამეული პერიოდის რელიქტია და იგი გავრცელებულია ძირითადად დასავლეთ ამიერკავკასიაში, მთავარი კავკასიონისა და აჭარა-იმერეთის ქედის კალთებზე, წინათ იგი უფრო დიდ ტერიტორიაზე ყოფილა გავრცელებული რადგან მისი თითოეული ხეები გვხვდება უფრო აღმოსავლეთითაც. მისი გავრცელების დიაპაზონი ზღვის დონიდან 0- 1500 მ-მდეა [1].

აჭარის დაცულ ტერიტორიებზე იგი ცალკე სარტყელად გამოიყოფა, რომელიც მაღალი წარმადობის მასივებს ქმნის თავისი გაბატონებით ზ.დ. 400-500-1000-1300 მ სიმაღლეზე, ამ სარტყელში წაბლის გარდა გვხვდება წიფელი (*Fagus orientalis*), რცხილა (*Carpinus caucasica*), მურყანი (*Alnus barbata*), ცაცხვი (*Tilia caucasica*), აღმოსავლეთის ნაძვი (*Picea orientalis*) თელამუში (*Ulmus scabra*), ჭოროხის მუხა (*Quercus dzhorochensis*), სოსნოვსკის ფიჭვი (*Pinus sosnowskyi*). ქვესარტყელში გვხვდება პონტოს შქერი (*Rhododendron ponticum*), იელი (*Rhododendron flavum*), წყავი (*Laurocerasus officinalis*), მოცვი (*Vaccinium arctostaphylos*), ჭყორი (*Ilex colchica*), ბუა (*Buxus colchica*) და მრავალი ბალახეული მცენარეულობა.

აღმოცენების უნარიანობის თვალსაზრისით წაბლის არასაიმედო თესლის რაოდენობა მოსავლის 46,5 %-ს შეადგენს. ამავე დროს, მისი 33,7% მოდის ამონაყრითი წარმოშობის კორომებზე, რომელთა შორის კარგი ნაყოფმსხმოიარობით გამოირჩევა მხოლოდ I-II გენერაციის კორომები [2].

წაბლნარ ტყის კორომებში 1-2 წლიანი წაბლის აღმონაცენის რაოდენობა დამოკიდებულია ასევე წვრილი მღრღნელების, ფრინველების და ზოგიერთი ჩლიქოსანი გარეული ცხოველების პოპულაციების რაოდენობაზე, რომელთაც შეუძლიათ შემოდგომა-ზამთრის და გაზაფხულის პერიოდში მთლიანად გაანადგურონ წაბლის ნაყოფი და აღმონაცენი, ასევე მის არასახარბიელო განახლებაზე დიდ გავლენას ახდენს ძნელად ხრწნადი შქერის ფოთლების მკვდარი საფარი [3].

ზემოთ ჩამოთვლილი მიზეზების გამო, წაბლის თესლით განახლება, განსაკუთრებით ამონაყრით წარმოშობის წაბლნარებში, ერთ-ერთ აქტუალურ პრობლემებად რჩება. წაბლნარების ბუნებრივი განახლების მსვლელობის ობიექტური შეფასება აუცილებელია აჭარის დაცულ ტერიტორიებზე მაღალი წარმადობის წაბლნარი კორომების შენარჩუნებისა და აღდგენის კომპლექსური ღონისძიებების დასახვის თვალსაზრისით, რისთვისაც აუცილებელია გათვალისწინებული იქნას ანთროპოგენური და ზემოთ ჩამოთვლილი ფაქტორების ზემოქმედება.

კვლევის შედეგებიდან გამოდინარე სხვადასხვა ტიპის წაბლნარების ფორმაციებში, წაბლის მოზარდის შენარჩუნება ძირითადად შეინიშნება თესლით წარმოშობის წაბლნარებში 0,6-0,7 სიხშირისა და იელის ქვეტყის საშუალო და სუსტი განვითარებით, რომლის აღმონაცენ-მოზარდის საერთო რაოდენობა 1 ჰა-ზე 40,8 ათას ცალს შეადგენს. მაღალი საბურველშეკრულობის წაბლნარებში ძლიერ განვითარებული მარადმწვანე ქვეტყით, წაბლის მოზარდი, როგორც წესი არ ვითარდება, რამდენადაც აღმონაცენი ასეთ პირობებში ცოცხლობს მხოლოდ 2-3 წელიწადს. სხვა მერქნიანი სახეობების (წიფელი, რცხილა) მოზარდი ასევე სუსტად დიფერენცირდება სიმაღლეში საბურველშეკრულ ან საშუალო საბურველშეკრულ კორომებში ძლიერ განვითარებული ქვეტყით, განსაკუთრებით ეს კარგადაა გამოხატული 0,7-0,8 სიხშირის კორომებში, სადაც აღმონაცენ-მოზარდის საერთო რაოდენობა 1 ჰა-ზე 5,5 ათას ცალს შეადგენს, რაც მიუთითებს ბუნებრივი განახლების სისუსტეზე.

წაბლნარები შქერისა და მაყვლის საფარით საბურველის 0,4-0,5 სიხშირის და ქვეტყის ძლიერ განვითარების პირობებში, წაბლის განახლება ძლიერ სუსტია, რადგან მარადმწვანე

ქვეტყის ძლიერი განვითარების წაბლის აღმონაცენი ილუპება პირველივე წელს, რომლის რაოდენობა 1 ჰა-ზე 1,01 და 0,19 ათას ცალს შეადგენს.

წაბლის მოზარდის სიმაღლეთა ჯგუფების მიხედვით განაწილება, როგორც ჩვენ დავადგინეთ სამოდელო ნიმუშებით, მჭიდრო კავშირშია ხნოვანებასთან, რომელიც სხვადასხვა ბონიტეტში წაბლნარების მოზარდის საშუალო სიმაღლეები გვიჩვენებს ხნოვანების განსხვავებებს, მაგ: თესლითი წარმოშობის შქერის ქვეტყიანი წაბლნარების მოზარდის საშუალო შეწონილი სიმაღლეები დაცულ ტერიტორიებზე შეადგენს 0,45 მეტრს საბურველის 0,7 სიხშირის პირობებში, რომლის ხნოვანება შესაბამისად შეადგენს 3 წელს, ხოლო ეს სიდიდეები 0,8 საბურველის შეკრულობის პირობებში შესაბამისად შეადგენენ 0,28 მეტრს და 2 წელს. როგორც ვხედავთ, მიუხედავად ქვეტყის მცირე პროექციული დაფარულობისა, მოზარდის საშუალო ხნოვანება და სიმაღლე, შედარებით მაღალი საბურველშეკრულობის კორომებში, დაბალია, ვიდრე საშუალო საბურველშეკრულობის კორომებში, სადაც 0,45 მეტრის აღმონაცენი 3 წელს უდრის, ეს ნიშნავს რომ, მაღალი საბურველშეკრულობის კორომებში, წაბლის აღმონაცენი ილუპება ნაადრევ ასაკში და არ ხდება მისი გადასვლა მაღალ ხნოვანებით ჯგუფებში.

ყოველივე ზემოთ აღნიშნულიდან შეიძლება დასკვასკვნათ, რომ აჭარის დაცულ ტერიტორიებზე წაბლის ტყის ძირითად ფორმაციებში განახლების მსვლელობა არადაამაკმაყოფილებელია.

წაბლნარი კორომები, რომლებიც წარმოდგენილია შქერისა და მაცვალის დაბალი სიხშირის ფორმაციებში ბუნებრივი განახლება ძალიან სუსტია, რაც შემდეგი მიზეზებით აიხსნება: ადამიანის სამეურნეო ზემოქმედებით მისი ძვირფასი მერქნის გამო წლების განმავლობაში (დაცული ტერიტორიების შექმნამდე) მიმდინარეობდა მასზე ექსპლუატაცია, რამაც გამოიწვია მაღალი სიხშირის კორომების დაბლა დაყვანა, მათი ადგილები კი დაიკავა მაცვლისა და შქერის მაღალმა საფარმა, ამასთან ერთად ტყეში ძირითადად დარჩა დაბალი ღირსების (გადაბერებული, თავდორი, ფაუტიანი) და სხვა ხეები, რომლებიც იძლევიან თესლის არასაკმარის რაოდენობას. ამავ დროს, ბევრი მათგანი ხასიათდება დაბალი აღმოცენების უნარიანობით.

წაბლნარი იელეის ქვეტყით, რომლის დაფარულობა 20%-ს შეადგენს საშუალო სიხშირის პირობებში ტყის ბუნებრივი განახლება დამაკმაყოფილებლად მიმდინარეობს.

## ლიტერატურა

1. ვასაძე რეზო. ტაქსაცია. თბილისი, 2020. 377 გვ.
2. ვასაძე რეზო. ნამენარ-სოჭნარების სანიტარული მდგომარეობა. თბილისი, 2008. საქართველოს სახელმწიფო სასოფლო-სამეურნეო უნივერსიტეტი. ტომი 1 #2.
3. გიგაური გ. ტყეთმონაცობა. თბილისი, 2004. 203 გვ.
4. მანველიძე ზ. სამხრეთ კოლხეთის ტყის მცენარეულობის მრავალფეროვნება და მისი კონსერვაცია-გამოყენების პრიორიტეტული მიმართულებები//ავტორეფერატი სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად. თსუ, თბილისი, 2006, გვ. 242-255.
5. გულისაშვილი ვ. ზოგადი მეტყევეობა, თბილისი 1957, 240 გვ.
6. აბაშიძე ი. ჩვეულებრივი წაბლის ნაყოფმსხმოიარობის შესახებ „საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ქ. თბილისის ტყის ინსტიტუტის შრომები. ტომი IV. 1952 გვ. 55-77.
7. Соколов В.Б. Шкала успешности возобновления каштана. //Проблемы горных лесов Северного Кавказа. (Сб. научн.тр. ВНИИЛМ), М., Вып. 15. 1980., сс. 118-121.

## SUMMARY

### CESTANEA SATIVA PECULIARITIES OF NATURAL RENEWAL IN THE MAIN FOREST AREA IN ADJARA PROTECTED AREAS (MTIRALA NATIONAL PARK AND KINTRISHI PROTECTED AREAS)

Davitadze Ruslan\*, Jincharadze Giorgi \*\*, Dzirkvadze Archil\*\*\*, Jabnidze Giorgi \*\*\*

Tbel Abuseridze Teaching University\*

Georgian Technical University\*\*

Batumi Shota Rustaveli State University \*\*\*

Natural renewal depends on many factors, in particular on seed fertility, frequency of seed storage and germination conditions, forest frequency, thickness of dead cover, quality of grass cover and undergrowth development, and more. A qualitatively new stage in the development of Georgia's protected area system, with the technical assistance of the World Wide Fund for Nature (WWF), began in 1991, when independence was restored. The main object of study was Mtirala National Park and Kintrishi Protected Areas, where we focused on natural renewal of conventional chestnuts.

## ხის მორების იდენტიფიცირებისა და აღრიცხვის IoT სისტემა

იმნაიშვილი ლ., იაშვილი ნ., ბედინეიშვილი მ., თოდუა თ.

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

*სტატიაში შემოთავაზებულია ხის მორების ლოჯისტიკის პრობლემური ამოცანის გადაწყვეტა IoT ტექნოლოგიის გამოყენებით. განხილულია მორების მონიტორინგისა და აღრიცხვის კონკრეტული IoT სისტემის არქიტექტურა და ფუნქციონირება. განსაკუთრებული ყურადღება აქვს დათმობილი სისტემის გამოყენების მოხერხებულობას და საიმედოობას.*

*საკვანძო სიტყვები.* ხის მორები, ნივთების ინტერნეტი, ელექტრონული ეტიკეტი, RFID ბჟენი, მობილური ტერმინალი.

**შესავალი.** ნივთების ინტერნეტი (IoT) – ეს არის მოწყობილობებს შორის მონაცემთა გადაცემისთვის რეალურ დროში მომუშავე ქსელის კონცეფცია IoT-ის

IoT ფართოდ იკიდებს ფეხს ადამიანთა საქმიანობის ნებისმიერ დარგში და მათ შორის სოფლის მეურნეობაშიც [1]. მიუხედავად იმისა, რომ ტექნოლოგია საკმაოდ კარგადაა დამუშავებული, დღეისათვის ჯერ კიდევ არ არის სრულად გამოვლენილი და შესწავლილი მისი შესაძლებლობები. სწორედ ეს განაპირობებს მის სწრაფ განვითარებას. უმავთულო კავშირის ტექნოლოგიის და სენსორული ტექნიკის პროგრესთან ერთად, ნივთების ინტერნეტის დანერგვამ რენტაბელური და ინოვაციური გახადა ტყესთან დაკავშირებული სირთულეების გადალახვა.

ღრუბლოვან სერვერს აქვს უნარი შეინახოს სენსორთა მონაცემები და ვიზუალიზაცია გაუკეთოს მონაცემებს მომხმარებელთა ინტერფეისზე. ხელოვნური ინტელექტი და დიდ მონაცემთა ანალიტიკა იმავდროულად შეიძლება გამოყენებული იქნას სენსორებიდან მიღებული მონაცემების ანალიზისა და დასკვნებისათვის.

ტყეების მართვაში და ხის მორების ლოჯისტიკაში ფართოდ გამოიყენება ინფორმაციული ტექნოლოგიები და კომუნიკაციები, მათ შორის IoT-იც [2]. კონკრეტულად IoT-ის გამოყენების ხიბლი ამ საქმეში ჩანს მისი არქიტექტურის მოქნილობაში, უკაბელო კომუნიკაციების გამოყენებაში, ინფორმაციის ღრუბლოვან შენახვასა და დამუშავებაში. ამდენად, მომხმარებლისათვის მეტად მარტივდება მისი კონფიგურირება და ექსპლუატაცია.

შეიძლება ითქვას, რომ წარმოდგენილი კვლევა IoT-ის ზემოთ მოტანილი უპირატესობების ეფექტურად გამოყენების ერთ-ერთი პირველი მცდელობაა მორების ლოჯისტიკაში. ამ მცდელობიდან უნდა ველოდოთ ლოჯისტიკის სისტემების უფრო მეტ მოქნილობას, მონიტორინგის სისტემის გამარტივებას და გაიფებას.


ამოცანა მდგომარეობს ხეების და მისგან დამზადებული მორების ზუსტ აღრიცხვასა და მონიტორინგში. ამოცანას ართულებს ის, რომ ფიზიკურად ეს ხდება აღრიცხვის წერტილიდან დაშორებულ ტერიტორიაზე და ხშირ შემთხვევაში ელექტრონული კომუნიკაციებისაგან მიუწვდომელ ადგილებში.

ერთ-ერთ მთავარ ამოცანად მიგვაჩნია ხეების და მორების ელექტრონული მარკირების უზრუნველყოფა. ამასთან, სასურველია, რომ მორებს განსაკუთრებით არ ქონდეთ ვიზუალური მარკირება, რაც გამორიცხავს მათი ნომრების გამოყენებით მორების ლოჯისტიკის სხვადასხვა უბანზე ადამიანების არასასურველ ჩარევებს.


**სისტემის ფუნქციონირების არსი.** IoT სისტემით ხდება ტყეში ყველა ცოცხალი და მოჭრილი ხის მონიტორინგი, ასევე ხისგან დამზადებული მორების ლოჯისტიკა.

ამ მიზნით ტყეში ხდება ყველა ხის ან პოტენციურად მოსაჭრელი ხის დაბეჭვა

ე.წ. ელექტრონული ეტიკეტით (ნახ.1), რომელიც გულისხმობს პასიური RFID ტექნოლოგიის გამოყენებას [3]. აღსანიშნავია, რომ პასიური RFID ბეჭის გამოყენების პერიოდი უსაზღვროა მომსახურების გარეშე. მისი წაკითხვა ხდება სპეციალური აღჭურვილობით RFID ეტიკეტთან რადიოკავშირით. მორების იდენტიფიცირებისა და მონიტორინგის ჩვენს მიერ შემუშავებული IoT სისტემის არქიტექტურა ნაჩვენებია ნახ. 2-ზე. სისტემის არქიტექტურა ეფუძნება ღრუბლოვან ტექნოლოგიას. შესაბამისად მომხმარებლის (მაკონტროლებელი ორგანო) გათვლითი რესურსი და მონაცემთა ბაზები განთავსებული ღრუბელში. ცხადია, მომხმარებელს სჭირდება სისტემის პერიოდული კონფიგურირება, მონაცემთა დამატება ან აღება. ამ მიზნით გამომთვლელ ღრუბლს უკავშირდება მომხმარებლის კომპიუტერები. უშუალოდ ხეების ან მორების დაბეჭვა, მათი იდენტიფიცირება და სისტემაში შეტანა ხორციელდება მობილური ტერმინალის საშუალებით. ასევე, იმავე ტიპის ტერმინალით ხდება მორების ტრანსპორტირების შუალედური კონტროლი.



ნახ.1. ხეების და მორების ლოჯისტიკის IoT სისტემა



ნახ.2. ხეების და მორების ლოჯისტიკის IoT სისტემის არქიტექტურა

ცოცხალი ხეების დაბუნებისას ელექტრონული ბუნის უნიკალურ ნომერს „მიეზმება“ სხვა საჭირო მონაცემებიც, როგორცაა: ხის ჯიში, ფიზიკური აზომვის მონაცემები, ასაკი, ადგილმდებარეობა და სხვა. აქედან გამომდინარე, შეიქმნება მოსაჭრელი ხეების მონაცემთა ბაზა. ხის მოჭრის შემდგომ ხდება მისი მონიშვნა – როგორც მოჭრილის. ამ მიზნით წაიკითხება მოჭრილი ხის RFID ბუნის და მობილურ ტერმინალზე მონიშვნა – როგორც მოჭრილი. ამ მონაცემს ავტომატურად დაემატება ხის ჯიში, მოჭრის ადგილი, დრო და სხვა საჭირო მონაცემები.

მოჭრილი ხისგან დამზადდება რამდენიმე მორი. მორებიც ასევე დაიბუნება. დაბუნებული მორებიდან წაიკითხება მათი უნიკალური ნომრები, რომლებიც მობილურ აპლიკაციაში „მიეზმება“ მოჭრილი ხის ნომერს. ასევე, დაემატება ადგილზე აზომილი მორის ფიზიკური პარამეტრები. ამდენად, მორის ტრანსპორტირებისას ვიცით არათუ მისი ფიზიკური პარამეტრები, არამედ მისი წარმოშობის (დამზადების) ადგილიც, რომელი ხისგან დამზადდა და ა.შ.

ტანსპორტირების ტრასაზე შეიძლება განხორციელდეს მორების გადაადგილების კონტროლი რამდენიმეჯერ, რაც საშუალებას მოგვცემს ვაკონტროლოთ ტრანსპორტირების სიჩქარე და, აქედან გამომდინარე შემდგომი მოვლენები.

ელექტრონული ბუნი წარმოადგენს პასიურ RFID ეტიკეტს ლურსმნის ფორმით. მისი გარეგნული სახე ნაჩვენებია ნახ.3-ზე. RFID-„ლურსმანს“ გააჩნია უნიკალური ნომერი. ხდება მისი ჩარჭობა, როგორც ლურსმნის, მორის ტორსიულ ზედაპირში ან ხის ტანში. აღსანიშნავია RFID-„ლურსმნის“ ფიზიკური მედეგობა.



ნახ.3. ელექტრონული ბუნი



ვინაიდან ის მთლიანად არის ჩარჭობილი ხის/მორის ტანში, ამიტომ იგი დაცულია გარე მექანიკური ზემოქმედებისაგან, ელექტრონული ბჟენი ასევე მედეგია ატმოსფერული მოვლენებისადმი, როგორცაა ტენი, ტემპერატურა და სხვა.

**მობილური ტერმინალი.** RFID ეტიკეტის წაკითხვისათვის შეიძლება გამოყენებული იქნას ყველა ტიპის RFID წამკითხველი მოწყობილობა, მაგრამ სავსე პირობებში (ტყეში, გზებზე და ა.შ) მიზანშეწონილია სმარტფონზე დასამაგრებელი RFID წამკითხველის გამოყენება. ამ შემთხვევაში სმარტფონი ასრულებს კავშირის მოწყობილობის როლს ინტერნეტში ჩართვისათვის. ასევე, მასში განთავსებულია პროგრამა-აპლიკაცია ხის/მორის RFID ბჟენის წაკითხვისათვის და წაკითხულ მონაცემებთან მანიპულირებისათვის. ასეთი მოწყობილობის სახით შეიძლება გამოყენებული იქნას ცნობილი ბრენდის Zebra მოწყობილობა RFD8500 [4], რომელზედაც ხდება სმარტფონის დამაგრება სპეციალური ადაპტერის საშუალებით. მოწყობილობა სმარტფონს უკავშირდება Bluetooth ტექნოლოგიით. ელექტრონული ბჟენის წაკითხვის მანძილი არის არაუმეტეს 20 სმ.

#### **დასკვნები:**

1. ტყეში ხეების და დამზადებული მორების სრულყოფილი მონიტორინგი და აღრიცხვა კვლავ რჩება პრობლემურ საკითხად;
2. ამ მიზნით შემოთავაზებულია IoT ტექნოლოგიის გამოყენება, რომელიც აღრიცხვისა და მონიტორინგის სისტემას არქიტექტურული თვალსაზრისით გახდის მოქნილს და ეკონომიკურად მომგებიანს;
3. შემოთავაზებული სისტემის არქიტექტურა და ფუნქციონირება ადასტურებს დასმული ამოცანის ეფექტურად გადაჭრის რეალობას.

#### **ლიტერატურა**

1. Kim W.S., Lee W.S., Kim Y.J. A Review of the Applications of the Internet of Things (IoT) for Agricultural Automation J Biosyst. Eng. 2020 (1) 16 Doi: 10.1007/s42853-020-00078-3.
2. Rajesh Singh, Anita Gehlot, Shaik Vaseem Akram, Amit Kumar Thakur, Dharam Buddhi, Prabin Kumar Das. Forest 4.0: Digitalization of forest using the Internet of Things (IoT). February 2021, Journal of King Saud University - Computer and Information Sciences.
3. Radio-frequency identification. [https://en.wikipedia.org/wiki/Radio-frequency\\_identification](https://en.wikipedia.org/wiki/Radio-frequency_identification)
4. ПОРТАТИВНЫЙ СЧИТЫВАТЕЛЬ RFD8500 С НАСАДКОЙ RFID/1D/2D. <https://www.zebra.com/ru/ru/products/rfid/rfid-handhelds/rfd8500.html>

#### **SUMMARY**

#### **IOT SYSTEM FOR IDENTIFICATION AND REGISTRATION OF WOODEN LOGS**

**Imnaishvili L., Iashvili N., Bedineishvili M., Todua T.**

**Georgian Technical University**

The article proposes to solve the problem of wooden logs logistics using IoT technology. The architecture and operation of wooden logs monitoring and registration IoT system are discussed. Particular attention is paid to the convenience of using the system.

**Keywords:** wooden logs, internet of items, electronic label, RFID tag, mobile terminal.



## წყალტუბოს ცენტრალური პარკის დენდროფლორა

### კილაძე გიორგი

#### აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი

კვლევის მიზანი იყო წყალტუბოს ცენტრალური პარკის დენდროფლორის შესწავლა. კვლევა განხორციელდა 2020–2021 წლებში. კვლევის შედეგად დადგენილ იქნა, რომ პარკის ტერიტორიაზე იზრდება 51 ოჯახის, 91 გვარის, 112 სახეობის, 12551 ძირი მერქნიანი მცენარე, მათგან წიწვოვანია - 20 სახეობის 6588 ძირი, მარადმწვანე ფოთლოვანი ხე და ბუჩქი – 20 სახეობის 1165 ძირი, ფოთოლმცვენი ხე და ბუჩქი – 70 სახეობის 4584 ძირი, 2 სახეობის 214 ძირი პალმა. ტერიტორიაზე დიდი რაოდენობით იზრდება წიწვოვანი და მარადმწვანე ფოთლოვანი მცენარეები (7753 ძირი, 61,8%), რაც პარკში მარადმწვანეობის ეფექტს განაპირობებს.

იანება წრიული სქემით არის შესრულებული, სადაც ყველაზე დაბალ ნაწილში ცენტრალური პარკი მდებარეობს, ხოლო მის ირგვლივ, ამფითეატრის მსგავსად, სანატორიუმებია განლაგებული. ცენტრალურ პარკს 75 ჰა ფართობი უჭირავს, მას ირგვლივ 2 მ სიღრმის არხი ესაზღვრება, შემდეგ არის მოსაზღვრე მწვანე ზოლი და გზა ფეხით მოსიარულეთათვის.

კვლევის მიზანს წარმოადგენდა კურორტ წყალტუბოს ცენტრალური პარკის ტერიტორიაზე მოზარდი მერქნიანი მცენარეების მრავალფეროვნების, მდგომარეობის შესწავლა. კვლევა მიმდინარეობდა 2020 წლის გაზაფხულიდან 2021 წლის ზაფხულის ჩათვლით. შესწავლის პროცესში ბიო-მორფოლოგიური ნიშნების მიხედვით, ვიზუალურად, სექტორების მიხედვით (სულ 48 სექტორი) დადგენილ იქნა ყოველი მცენარის ტაქსონომია (ოჯახი, გვარი, სახეობა, საბალო ფორმა) და რაოდენობა, შეფასდა მათი მდგომარეობა, გამოვლინდა თვითნათესი მცენარეების ასორტიმენტი და რაოდენობა.

კვლევამ დაადგინა, რომ ტერიტორიაზე სულ იზრდება 51 ოჯახის, 91 გვარის, 112 სახეობის, 12551 ძირი მერქნიანი მცენარე. მათგან წიწვოვანია – 20 სახეობის 6588 ძირი, მარადმწვანე ფოთლოვანი ხე და ბუჩქი – 20 სახეობის 1165 ძირი, ფოთოლმცვენი ხე და ბუჩქი – 70 სახეობის 4584 ძირი, 2 სახეობის 214 ძირი პალმა (ცხრ. 1).

ცხრილი 1. წყალტუბოს ცენტრალური პარკის დენდროფლორის კვლევის შედეგები

№			ოჯახი	გვარი	სახეობა	რაოდ. (ძირი)
1	1	1	ფიჭვისებრთა – <i>Pinaceae Lindl</i>	კედარი – <i>Cedrus Fourn (Mill)</i>	ჰიმელაის კედარი	533
	2	2		ფიჭვი - <i>Pinus L.</i>	ზღვისპირის ფიჭვი	2608
		3			ჩვეულებრივი ფიჭვის ჯუჯა ფორმა	1
	3	4		ნაძვი - <i>Picea Link.</i>	მჩხვლეტავი ნაძვის ვერცხლისფერწიწვება ფორმა	1
4	5	სოჭი - <i>Abies Mill.</i>	ნორდმანის სოჭი	2		
2	5	6	არაუკარიასებრნი - <i>Araucariaceae</i>	ჩილის არაუკარია - <i>Araucaria araucana K. Koch.</i>	ჩილის არაუკარია	2
3	6	7	კვიპაროზისებრნი - <i>Cupressaceae</i>	კვიპაროზი - <i>Cupressus (Fourh) L.</i>	მარადმწვანე კვიპაროზის მტირალა ფორმა	818

		8			მარადმწვანე კვიპაროზის. პირამიდული ფორმა	500
		9			მარადმწვანე კვიპაროზის ჰორიზონტალური ფორმა	258
		10			არიზონის კვიპაროზი	84
	7	11		ტუია - <i>Thuja L.</i>	გიგანტური ტუია	14
		12			დასავლეთის ტუია	42
	8	13		კრიპტომერია -	იაპონური კრიპტომერია	34
		14			იაპონური კრიპტომერიას ელეგანტური ფორმა	9
	9	15		ტაქსოდიუმი - <i>Taxodium Rich.</i>	ჭაობის ტაქსოდიუმი	1101
		16			მექსიკური ტაქსოდიუმი	107
	10	17		ხამეციპარისი - <i>Chamaecyparis Spach.</i>	ლავზონის ხამეციპარისი	27
	11	18		ღვია - <i>Juniperus L.</i>	ჩვეულებრივი ღვია	186
4	12	19	ურთხლისებრნი - <i>Taxaceae Lindl.</i>	ურთხელი - <i>Taxus L.</i>	ჩვეულებრივი, ანუ ევროპული ურთხელი	259
5	13	20	ცეფალოტაქსუსებრნი - <i>Cephalotaxaceae</i>	ცეფალოტაქსუსი - <i>Cephalotaxus Sieb. Et Zucc</i>	იაპონური ცეფალოტაქსუსი	2
6	14	21	მაგნოლიასებრნი - <i>Magnoliaceae J.st.h.</i>	მაგნოლია - <i>Madnolia L.</i>	დიდყვავილა მაგნოლია	141
	15	22	მაჯაღვერისებრნი - <i>Thymelaeaceae</i>	წყავი - <i>Lauroceararus Roem</i>	ჩვეულებრივი წყავი	20
	16	23		დაფნე - <i>Daphne Tourn.</i>	სურნელოვანი დაფნე	4
7	17	24	ტეგანისებრთა - <i>Rutaceae</i>	სიტრუსი - <i>Citrus</i>	ლიმონი	1
8	18	25	მანანასებრნი - <i>Ericaceae</i>	როდოდენდრონი - <i>Rhododendron L.</i>	კავკასიური როდოდენდრონი (დეკა)	1
9	19	26	ბუხისებრნი - <i>Buxaceae D.</i>	ბუხა - <i>Buxus L.</i>	მარადმწვანე ბუხა	51
10	20	27	მირტისებრნი -	ფეიჰოა - <i>Feiyoa Berg.</i>	სელოვის ფეიჰოა	5
	21	28	<i>Mirtoideae</i>	ეუკალიპტი - <i>Eucaliptus L. Herit.</i>	ტირიფისფოთლება ეუკალიპტი	18
11	22	29	ენდროსებრნი - <i>Rubiaceae</i>	გარდენია - <i>Gardenia Ellis.</i>	ჟასმინისებრნი გარდენია	2
12	23	30	ზეთისხილისებრნი - <i>Oleaceae</i>	ზეთისხილი - <i>Olea L.</i>	ევროპული ზეთისხილი	1
	24	31		კვიდო - <i>Ligustrum F.H.</i>	მბრწყინავი კვიდო	654
	25	32		იფანი - <i>Fraxinus excelsior L.</i>	ჩვეულებრივი იფანი (კოპიტი)	103
	26	33		ოსმანთუსი - <i>Osmanthus Lour.</i>	სურნელოვანი ოსმანთუსი	13
	27	34		იასამანი - <i>Syringa L.</i>	ჩვეულებრივი იასამანი	4
13	28	35	ქენდირისებრნი - <i>Aposinaceae</i>	ოლეანდრი - <i>Nerium</i>	ჩვეულებრივი ოლეანდრი	117
14	29	36	ჭანჭყატისებრნი - <i>Celastraceae Lindl.</i>	ჭანჭყატი - <i>Evonymus L.</i>	ქრელფოთოლა ჭანჭყატი	77
15	30	37	ჰყორისებრნი - <i>Aqvifoliaceae</i>	ჰყორი - <i>Ilex L.</i>	ჩვეულებრივი ჰყორი	5
16	31	38	ჭადრისებრნი -	ჭადარი - <i>Platanus</i>	აღმოსავლეთის ჭადარი	451
		39	<i>Platanaceae</i>		დასავლეთის ჭადარი	775

17	32	40	ცაცხვისებრნი – <i>Tiliaceae Juss</i>	ცაცხვი – <i>Tilia</i>	კავკასიური ცაცხვი	21	
18	33	41	წიფლისებრნი – <i>Fagaceae</i>	მუხა - <i>Quercus L.</i>	იმერული მუხა	206	
		42			ჰართვისის მუხა, კოლხური მუხა	1	
		43			მირზინისფოთლება მუხა	16	
		44			ქვამუხა	3	
		45			წაბლფოთოლა მუხა	10	
19	34	46	კაკლისებრნი - <i>Juglandaceae L.</i>	კაკალი - <i>Juglans L.</i>	ჩვეულებრივი ანუ სასახლის კაკალი	5	
		47			შავი კაკალი	44	
20	35	48	ბიგონიასებრნი - <i>Bignoniaceae Pers.</i>	კატალპა – <i>Catalpa</i>	მშვენიერი კატალპა	400	
		49			დამფესვიანებელი კამპისისი	1	
21	36	50	პავლოვნიასებრნი - <i>Paulowniaceae</i>	პავლოვნია - <i>Paulownia Sieb. et. Zucc.</i>	ბურმელიანი პავლოვნია	6	
22	37	51	გინკოსებრნი – <i>Ginkgoaceae Engelm.</i>	გინკო - <i>ginkgo L.</i>	ორნაკვითიანი გინკო	4	
23	38	52	ტირიფისებრნი- <i>Salicaceae Lindl</i>	ვერხვი - <i>Populus L.</i>	მთრთოლავი ვერხვი	10	
		53			თეთრი ვერხვი	43	
		54			პირამიდული, ანუ იტალიური ალვის ხე	11	
	39	55	ტირიფი - <i>Salix l.</i>	ბაბილონის ტირიფი	50		
		56		თეთრი ტირიფი	17		
24	40	57	ლირიოდენდ- რონისებრთა - <i>Liriodendroideae</i>	ლირიოდენდრონი - <i>Liriodendron</i>	ამერიკული ლირიოდენდრონი	9	
25	41	58	ალტიგნიასებრნი - <i>Altingiaceae</i>	ლიქვიდამბრი - <i>liquidambar L.</i>	ამერიკული ლიქვიდამბრი	111	
26	42	59	ცხენისწაბლისებრნი - <i>Hippocastanaceae</i>	ცხენისწაბლი - <i>Aesculus L.</i>	ჩვეულებრივი ცხენისწაბლი	24	
27	43	60	თელისებრნი - <i>Ulmaceae</i>	თელა - <i>Ulmus L.</i>	გლუვი თელა	7	
28	44	61	ცხრატყავასებრნი - <i>Caprifoliaceae</i>	აბელია - <i>Abelia R. br.</i>	უხვადმოყვავილე აბელია	26	
	45	62			ჩვეულებრივი ცხრატყავა	1	
	46	63			კოლკვიცია - <i>Kolkwitzia</i>	მშვენიერი კოლკვიცია	1
29	47	64	მელიასებრნი - <i>Meliaceae</i>	მელია - <i>Melia L.</i>	ჰიმალაური მელია	11 2355	
30	48	65	მანანასებრნი - <i>Ericaceae</i>	ხემარწყვა - <i>Arbutus L.</i>	მსხვილნაყოფა ხემარწყვა	11	
31	49	66	თუთისებრნი - <i>Moraceae Lindl</i>	ფიკუსი - <i>Ficus</i>	ლელვი	22	
	50	67			თუთა - <i>Morus L.</i>	თეთრი თუთა	112
	51	68			მაკლურა - <i>Maclura Nutt.</i>	ფორთოხლისებური მაკლურა	16
32	52	69	ვარდისებრნი - <i>Rosaceae</i>	ტყემალი - <i>Prunus Mill</i>	ტყემალი	34	
		70			მსხალი - <i>Pyrus sp.</i>	მსხალი	9
		71			ატამი - <i>Prunus</i>	ატამი	3
		72			ვაშლი – <i>Malus Mill.</i>	ვაშლი	10
		73			ბალი - <i>Cerasus</i>	ბალი	12
		74			კუნელი - <i>Crataegus</i>	კავკასიური კუნელი	4
		75			ვარდი - <i>Rosa L.</i>	ჩაის ჰიბრიდული ვარდი	21

	59	76		გრაკლა - <i>Spiraea L.</i>	იაპონური გრაკლა	136
	60	77		მუშმალა - <i>Eriobotrya</i>	იაპონური მუშმალა	2
33	61	78	ბროწეულისებრნი - <i>Punicaceae</i>	ბროწეული - <i>Punica l.</i>	ჩვეულებრივი ბროწეული	12
34	62	79	აბანოზისებრნი - <i>Ebenaceae</i>	ხურმა - <i>Diospyros L.</i>	იაპონური ხურმა	4
35	63	80	ჰამამელისებრნი - <i>hamamelidaceae</i>	ჰამამელისი - <i>hamamelis</i>	ვირგინიის ჰამამელისი	3
36	64	81	ცოცხმაგარასებრნი - <i>Lythraceae</i>	ირმის რქა - <i>Lagerstroemia</i>	ინდური იასამანი (ირმის რქა)	463
37	65	82	ნეკერჩხლისებრნი - <i>Aceraceae Lindl.</i>	ნეკერჩხალი - <i>Acer L.</i>	იაპონური ნეკერჩხალი	2
		83			ამერიკული ნეკერჩხალი	73
		84			მთის ბოყვი, თეთრი, ანუ ცრუჭადრისფოთლები ნეკერჩხალი	31
		85			ჭადრისფოთოლა, ანუ მახილფოთოლა ნეკერჩხალი	68
38	66	86	არყისებრნი - <i>Betulaceae</i>	მურყანი (თხმელა) - <i>Alnus Gaertn.</i>	ჩვეულებრივი მურყანი, ანუ ჩვეულებრივი თხმელა	33
	67	87		რცხილა - <i>Carpinus L.</i>	ჩვეულებრივი რცხილა	10
	68	88		თხილი - <i>Corylus L.</i>	ჩვეულებრივი თხილი	2
39	69	89	პარკოსნები - <i>Fabaceae</i>	რობინია - <i>Robinia</i>	თეთრი აკაცია	96
	70	90		არღავანი - <i>Cercis</i>	ჩინური იუდას ხე	29
	71	91		ქვეოჯახი: მიმოზასებრთა - <i>Mimosoideae</i> გვ. ალბიცია - <i>Albizia Dur.</i>	ლენქორანის აკაცია (აბრეშუმა)	60
	72	92		ამორფა - <i>Amorpha</i>	ბუჩქისებრი ამორფა	17
	73	93		გლედიჩია - <i>Gleditsia</i>	ჩვეულებრივი გლედიჩია	107
	74	94		ვისტერია (გლიცინია) - <i>Wisteria (Glicine) Nutt.</i>	ჩინური ვისტერია	26
	75	95		კურდღლისცოცხა - <i>Genista</i>	საღებავი კურდღლისცოცხა	1
40	76	96	ფშატისებრნი - <i>Elaeagnaceae</i>	ფშატი - <i>Elaeagnus L</i>	ვიწროფოთლები ფშატი	30
	77	97		ქაცვი - <i>Hippophaea L.</i>	ჩვეულებრივი ქაცვი	169
41	78	98	სიმაროუბისებრნი - <i>Simaroubaceae</i>	აილანტი - <i>Ailanthus</i>	მაღალი აილანტი	1
42	79	99	ბალბასებრნი - <i>Malwaceae</i>	ჰიბისკუსი - <i>Hibiscus L.</i>	სირიის ხეტუხტი	12
43	80	100	ჰამამელიდისებრნი - <i>Hamamelidaceae</i>	ხერკინა - <i>Parrotia persica C. A. Mej.</i>	სპარსული ხერკინა	7
	81	101		ლოროპეტალუმი - <i>Loropetalum R. Br.</i>	ჩინური ლოროპეტალუმი	14
44	82	102	ჰორტენზიასებრნი - <i>Hydrangeaceae</i>	ჰორტენზია - <i>Hydrangea l.</i>	დიდფოთოლა ჰორტენზია	9
45	83	103	შინდისებრნი - <i>Cornaceae</i>	შინდი - <i>Cornus R.</i>	თავაკიანი შინდი	20
		104			შინდანწლა, თეთრი შინდი	29
46	84	105	ნანდინასებრნი - <i>Nandinaceae</i>	ნანდინა - <i>Nandina Thumb.</i>	შინაური ნანდინა	289
47	85	106	მარცვლოვანთა -	ბამბუკი - <i>Phyllostachis</i>	ოქროსფერი ბამბუკი	109

			<i>Poaceae (Graminaceae)</i>	<i>Steb. et Zuuc.</i>			
	86	107		ლერწამი - <i>Arundo</i>	დონაქსის ლერწამი	109	
48	87	108	ბანანისებრნი - <i>Musaceae</i>	ბანანი - <i>Musa L.</i>	იაპონური ბანანი	4	
49	88	109	პალმისებრნი - <i>Palmaceae</i>	რაპიდოფილუმი - <i>Rhapidophyllum H. Wendl</i>	ფორჩუნის ტრახიკარპუსი	174	
	89	110		ფინიკი - <i>Phoenix L.</i>	კანარის ფინიკის პალმა	40	
50	90	111	სელისებრნი - <i>Phormaceae</i>	იუკა - <i>Jucca Dill.</i>	მშვენიერი იუკა	27	
51	91	112	აგავასებრნი - <i>Agavaceae</i>	აგავა - <i>Agave L.</i>	ამერიკული აგავა	10	
51	91	112	<b>სულ</b>				12551

ტერიტორიაზე დიდი რაოდენობით იზრდება წიწვოვანი და მარადმწვანე ფოთლოვანი მცენარეები (7753 ძირი, 61,8%), რაც პარკში მარადმწვანეობის ეფექტს ქმნის. წიწვოვანი მცენარეებიდან ყველაზე მეტი რაოდენობით ზღვისპირის ფიჭვია, ასევე ბევრია კვიპაროზები, ტაქსოდიუმები და ჰიმალაის კედარი. მარადმწვანე ფოთლოვანი მცენარეებიდან ყველაზე მეტი რაოდენობით არის მბრწყინავი კვიდო (ძირითადად თვითნათესი სახით ამოსული), ჩვეულებრივი ოლეანდრი და დიდყვავილა მაგნოლია. ფოთოლმცვენი მცენარეებიდან, პარკის შემოვლითი გზების გაყოლებაზე, დიდი რაოდენობით გვხვდება აღმოსავლეთის და დასავლეთის ჭადარი, ხოლო პარკის შიგა სივრცეებში – ინდოეთის იასამანი და მშვენიერი კატალპა.

ტერიტორიაზე, ყველა სექტორში, დიდი რაოდენობით იზრდება სხვადასხვა ზომის და ასაკის თვითნათესი მცენარეები, გვხვდება გამხმარი დიდი ზომის ხეები, გაზონები მოუვლელია, გაუსხლავი და გაუსუფთავებელი, ბევრგან არის სახურავის გარეშე დარჩენილი სანიაღვრე ჭები, მიწის ზედაპირი უსწორმასწოროა, გვხვდება ორმოები, რაც საშიშროებასაც წარმოადგენს პარკის ვიზიტორთათვის.

### ლიტერატურა

1. ტყავაძე მ., კილაძე რ., გუბელაძე ე. დეკორაციული დენდროლოგია. წიგნი 1. ქ. ქუთაისი, აწსუ-ის გამომცემლობა, 2013 წ. 220 გვ.
2. ტყავაძე მ., კილაძე რ., გუბელაძე ე. დეკორაციული დენდროლოგია. წიგნი 2, ნაწილი 1. ქ. ქუთაისი, აწსუ-ის გამომცემლობა, 2014 წ. 210 გვ.
3. ტყავაძე მ., კილაძე რ., გუბელაძე ე. დეკორაციული დენდროლოგია - წიგნი 2, ნაწილი 2. სახელმძღვანელო. ქუთაისი, აწსუ-ის გამომცემლობა, 2015 წ. 200 გვ.

### SUMMARY

#### DENDROFLORA OF TSKALTUBO CENTRAL PARK

**Kiladze Giorgi**

**Akaki Tsereteli State University**

The aim of the study was to study the dendroflora of Tskaltubo Central Park. The study was conducted in 2020-2021. It was determined that 51 families, 91 genera, 112 species, 12551 woody plants grow in the park area. Of these, 6588 roots of 20 species are coniferous, 1165 roots of 20 species - evergreen deciduous trees and shrubs, deciduous trees and shrubs - 70 species of 4584 roots and 2 species of 214 palms. A large number of coniferous and evergreen deciduous plants grow in the area (7753 roots, 61.8%), which creates the effect of evergreen in the park. These are - *Pinus pinaster* (2608 roots), *Cupressaceae* (1660 roots of 4 species), *Taxaceae* (1208 roots of 2 species), *Ligustrum lucidum* (654 roots), *Cedrus deodora* (533 roots), *Madnolia grandiflora* (141 roots) and others. Deciduous plants - *Platanaceae* (1226 roots), *Lagerstroemia indica* (463 roots), *Catalpa speciosa* (401 roots), *Quercus imeretina* (206 roots) and *Liquidambar styraciflua* (111 roots) grow in large numbers on the territory.

**ქ. ქუთაისის სამხარაულის ექსპერტიზის ბიუროს ეზოს მცენარეთა საფარის  
კომპოზიციური გადაწყვეტა**

**კილაძე რ., ბენიძე ე., ოჩხიკიძე ი.  
აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი**

მუშაობის პროცესში დაზუსტდა ტერიტორიის ზომები, დადგენილ იქნა მდებარეობა ჰორიზონტის მხარეების მიმართ, გაანალიზდა მოსაზღვრე ობიექტების გავლენა. ეზო დაიყო 5 თარგად და ყოველი მათგანის მიხედვით განხორციელდა მცენარეთა ასორტიმენტის შერჩევა და კომპოზიციური განლაგება. პროექტის მიხედვით ტერიტორიის ფართობმა შეადგინა 2642,85 მ<sup>2</sup>, რომელზეც დაიგეგმა 22 სახეობის 184 ძირი მერქნიანი მცენარის გამოყენება, მათგან წიწვოვანია 5 სახეობის 42 ძირი, მარადმწვანე ფოთლოვანი – 2 სახეობის 14 ძირი, ფოთოლმცვენი – 14 სახეობის 127 ძირი და 1 სახეობის 1 ძირი პალმა. ქარისა და მანქანების გამონახობლქვი აირებისაგან ტერიტორიის დასაცავად ღობის გასწვრივ დაიგეგმა ხემცენარეთა მჭიდრო რიგობრივი ნარგაობა, თარგებზე კი მცენარეთა კომპოზიციები მათი ფორმების, სიმაღლეების და წლის განმავლობაში ფერთა ცვალებადობის გათვალისწინებით. გარდა ამისა, განისაზღვრა გამწვანებისათვის საჭირო სარგავი მასალის ოპტიმალური ზომები (მცენარის სიმაღლე, ღეროს დიამეტრი 10 სმ-ზე და ვარჯის დიამეტრი).

ქ. ქუთაისის სამხარაულის ექსპერტიზის ბიურო მდებარეობს ქალაქის აღმოსავლეთ ნაწილში, ჭავჭავაძის გამზირის მიმდებარედ. ტერიტორიას აღმოსავლეთით ესაზღვრება მდინარე რიონი, სამხრეთ-აღმოსავლეთით ჭავჭავაძის გამზირი, დასავლეთით ზურაბ ანჯაფარიძის ქუჩა, ჩრდილო-აღმოსავლეთით საზოგადოებრივი კოლეჯი „იბერია“.

ობიექტის ტერიტორია დაიყო 5 თარგად. მუშაობის საწყის ეტაპზე თარგების მიხედვით განხორციელდა არსებული მდგომარეობის შესწავლა – დაზუსტდა ზომები, დადგენილ იქნა მდებარეობა ჰორიზონტის მხარეების მიმართ, გაანალიზდა მოსაზღვრე ობიექტების გავლენა ობიექტზე.


ტერიტორიის არსებული პირობების გათვალისწინებით გამწვანებისათვის შერჩეულ იქნა მერქნიანი მცენარეების ასორტიმენტი. სულ გამწვანებისათვის გათვალისწინებულ იქნა 22 სახეობის 184 ძირი მერქნიანი მცენარის გამოყენება, მათგან: წიწვოვანი არის 5 სახეობის 42 ძირი, მარადმწვანე ფოთლოვანი – 2 სახეობის 14 ძირი, ფოთოლმცვენი – 14 სახეობის 127 ძირი და 1 სახეობის 1 ძირი პალმა. ობიექტის ფართობი არის 2642,85 მ<sup>2</sup>, საიდანაც 2415,5 მ<sup>2</sup> ფართობზე უნდა განხორციელდეს კორდის დაგება (ცხრ. 1).

**ცხრილი 1. ქ. ქუთაისის სამხარაულის ექსპერტიზის ბიუროს ეზოს გამწვანებისათვის გამოსაყენებელი დეკორატიული მცენარეები**

N	მცენარეების დასახელება	ნერგის ზომა - სიმაღლე /ღეროს დიამეტრი 10 სმ- ზე/ ვარჯის დიამეტრი (მ)	რაოდენ ობა (ძირი)
<b>1 თარგი</b>			
1	ჰიმალაის კედარი ( <i>cedrus deodora Laws.</i> )	3,0/0,1/1,6	6
2	მარადმწვანე კვიპაროზის სვეტისებური ფორმა ( )	2,0/0,05/0,4	4

3	მარადმწვანე კვიპაროზის ჯუჯა ფორმა ( )	0,8/0,06/0,5	3
4	მბრწყინავი კვილო ( <i>Ligustrum lucidum A.T.</i> )	250/0,06 /0,50	10
5	ჩვეულებრივი ოლეანდრი ( <i>Nerium oleander L.</i> )	1,2/0,03/0,5	4
6	კავკასიური ცაცხვი ( <i>Tilia dasystyla Stev.</i> )	2,5/0,06/0,5	6
7	წაბლფოთოლა მუხა ( <i>Quercus castaneafolia G.A.M.</i> )	2,5/0,06/0,5	12
8	ლენქორანის ალბიცია ( <i>Albizia Julibrissin Dur.</i> )	2,5/0,06/0,4	3
9	პალმისებური ნეკერჩხალი ( <i>Acer palmatum Thunb.</i> ) ან ორნაკვეთიანი გინკგო ( <i>Ginkgo biloba L.</i> )	2,0/0,1/0,8	2
10	დასავლეთის ტუიას ფორმირებული ფორმა ( <i>Tuja occidentalis L.</i> )	0,6/0,02/0,25	11
11	მარადმწვანე ბუხა ( <i>Buxus sempervirens L.</i> )	0,5/0,02/0,30	13
12	საბინის ღვია ( <i>Juniperus Sabina L.</i> )	1,5/0,03/0,4	3
13	იაპონური ჭანჭყატის ჭრელფოთოლა ფორმა ( <i>Evonymus japonica f. Aureo- variegata</i> )	0,8/0,02/0,5	6
14	ჩინური არღვანი ( <i>Cercis chinensis L.</i> )	1,5/0,025/0,8	4
15	კანტონის გრაკლა ( <i>Spiraea crenata L.</i> )	1,0/0,02/0,8	3
16	დახრილი ფორზიცია ( <i>Forsythia suspense L.</i> )	0,8/0,015/0,5	2
17	კობტა დეიცია ( <i>Deutzia gracilis L.</i> )	1,0/0,015/0,5	5
სულ მცენარეები			98
სულ ფართობი - 2021,0 მ <sup>2</sup>			
კორდის ფართობი - 1852,0 მ <sup>2</sup>			
<b>2 თარგი</b>			
1	მარადმწვანე კვიპაროზის სვეტისებური ფორმა ( .)	2,0/0,05/0,4	3
2	ღვიას გართხმული ფორმა ( <i>Juniperus wilton L.</i> )	0,5/0,03/0,7	4
3	დასავლეთის ტუიას ფორმირებული ფორმა ( <i>Tuja occidentalis L.</i> )	0,6/0,02/0,25	8
4	კანტონის გრაკლა ( <i>Spiraea crenata L.</i> )	1,0/0,02/0,8	4
5	კობტა დეიცია ( <i>Deutzia gracilis L.</i> )	1,0/0,015/0,5	7
სულ მცენარეები			26
სულ ფართობი - 368,0 მ <sup>2</sup>			
კორდის ფართობი - 338,0 მ <sup>2</sup>			
თეთრი ხრეშის ფართობი - 9,0 მ <sup>2</sup>			
<b>3 თარგი</b>			
1	მარადმწვანე კვიპაროზის სვეტისებური ფორმა ( )	2,0/0,05/0,4	1
2	ლენქორანის ალბიცია ( <i>Albizia Julibrissin Dur.</i> )	2,5/0,06/0,4	1
3	ინდოეთის იასამანი ( <i>Lagerstroemia indica L.</i> )	2,0/0,04/0,6	2
4	დასავლეთის ტუია ( <i>Tuja occidentalis L.</i> )	2,0/0,06/120	13
5	იაპონური კომში ( <i>Chaenomeles japonica Lindl.</i> )	0,6/0,01/0,3	6
7	კობტა დეიცია ( <i>Deutzia gracilis L.</i> )	1,0/0,015/0,5	26
სულ მცენარეები			49
სულ ფართობი - 151,0 მ <sup>2</sup>			
კორდის ფართობი - 111,0 მ <sup>2</sup>			
<b>4 თარგი</b>			
სულ კორდის ფართობი - 83,5			
<b>5 თარგი</b>			
1	ჩინური მარაოს პალმა ( <i>Trachycarpus Fortunei H. Wendl.</i> )	150/0,12/0,70	1
2	ჩაის ჰიბრიდული ვარდი ( <i>Rosa thea hybrida L.</i> )	0,5/0,01/0,25	200
სულ მცენარეები			48
თარგის ფართობი სულ - 70,0 მ <sup>2</sup>			
კორდის ფართობი - 31 მ <sup>2</sup>			
ვარდით დაკავებული ფართობი - 39 მ <sup>2</sup>			

პირველი თარგი განთავსებულია ტერიტორიის ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილში, ის გზის მხარეს შემადგენელია, ხოლო შენობის მიმართულებით დაფერდებული. თარგის აღმოსავლეთ საზღვარზე, ღობის გაყოლებაზე დაიგეგმა წაბლფოთოლა მუხის და მბრწყინავი კვიდოს მორიგეობითი რიგობრივი ნარგაობა, ჭავჭავაძის გამზირის მხარეს კი – ერთ რიგად ჰიმალაის კედარის, მეორე რიგად კი კავკასიური ცაცხვის რიგობრივი ნარგაობა. არსებულ თარგზე, ხედი იხსნება ეზოს ცენტრალური ნაწილიდან, ამიტომ აქედან დაიგეგმა მცენარეების ასეთი განლაგება: პირველ იარუსად გათვალისწინებულია კოხტა დეიცას, დასავლეთის ტუიას გასხლული ფორმის და მარადმწვანე ბზის მორიგეობითი რიგობრივი ნარგაობა; მეორე იარუსად დაიგეგმა მარადმწვანე კვიპაროზის ჯუჯა ფორმის სამწვერიანი ჯგუფი, მათ უკან კი ჩინური არღვანის, კანტონის გრაკლას და დახრილი ფორზიციის სამწვერიანი ჯგუფები; თარგის ცენტრალურ ნაწილში მესამე იარუსად გათვალისწინებულია საბინის ღვიას, იაპონური ჭანჭყატის ჭრელფოთოლა ფორმის და ჩვეულებრივი ოლეანდრის 5 წევრიანი კომპოზიცია. თარგზე ასევე დაგეგმილია მარადმწვანე კვიპაროზის სვეტისებური ფორმის სამწვერიანი ჯგუფი, რომელიც კონსტრასტს ქმნის პალმისებური ნეკერჩხლის, ორნაკვითიანი გინკგოს და ლენქორანის ალბიცის ნარგაობასთან. აღნიშნული მცენარეები თარგზე ასევე ქმნიან მარადმწვანეობის და წლის განმავლობაში ფერთა ცვალებადობის ეფექტს (სურ. 1).



სურათი 1. ტერიტორიის გამწვანების პროექტი ზედხედი თარგებით და ხედი ეზოზე

მეორე თარგი მდებარეობს ეზოს ცენტრალურ ნაწილში, მასზე ხედი იხსნება ტერიტორიის ყველა მხრიდან და აქ არსებული შენობის ფანჯრებიდან. თარგის აღმოსავლეთ ნაწილში და კუთხეებში დაგეგმილია დასავლეთის ტუიას გასხლული ფორმის და კოხტა დეიცას რიგობრივი ნარგაობა, ცენტრალურ ნაწილში მარადმწვანე კვიპაროზის სვეტისებური ფორმის სამწვერიანი ჯგუფი, მის ირგვლივ კი ერთმანეთის მორიგეობით განლაგებულია კანტონის გრაკლას და ღვიას გართხმული ფორმის ნარგაობები. ამ თარგზე ასევე გათვალისწინებულია ფონის და ორნამენტის სახით თეთრი ფერის ნამტვრევი ქვიშის გამოყენება (სურ. 1).

მესამე თარგი ტერიტორიის ჩრდილოეთ და დასავლეთ მხარესაა განლაგებული. ჩრდილოეთის მხარიდან ის წარმოადგენს 1,5 მ-ის ბორდიურს, რომელიც მომრგვალებული ფორმით გრძელდება დასავლეთისაკენ. აქ გათვალისწინებულია დასავლეთის ტუიას და კოხტა დეიცას მორიგეობითი რიგობრივი ნარგაობა, ასევე ინდოეთის იასამანის, კოხტა დეიცას და იაპონური კომპის დარგვა.

მეოთხე თარგი მდებარეობს ტერიტორიის დასავლეთით ნაწილში, ეზოს გარე პერიმეტრზე, აქ გათვალისწინებულია მხოლოდ კორდის დაგება.



მეხუთე თარგი ეზოს გარეთ, შენობის წინა ნაწილშია განთავსებულია. აქ დაიგემა ჩაის ჰიბრიდული ვარდის ყვავილნარის მოწყობა, შუაში კი ერთი ძირი ჩინური მარაოს პალმის დარგვა.

#### ლიტერატურა

1. ტყავაძე მ., კილაძე რ., გუბელაძე ე. დეკორაციული დენდროლოგია. წიგნი 1. ქ. ქუთაისი, აწსუ-ის გამომცემლობა, 2013 წ. 220 გვ.
2. ტყავაძე მ., კილაძე რ., გუბელაძე ე. დეკორაციული დენდროლოგია. წიგნი 2, ნაწილი 1. ქ. ქუთაისი, აწსუ-ის გამომცემლობა, 2014 წ. 210 გვ.
3. ტყავაძე მ., კილაძე რ., გუბელაძე ე. დეკორაციული დენდროლოგია. წიგნი 2, ნაწილი 2. სახელმძღვანელო. ქუთაისი, აწსუ-ის გამომცემლობა, 2015 წ, 200 გვ.

#### SUMMARY

#### COMPOSITIONAL SOLUTION OF PLANT COVER FOR THE YARD OF KUTAISI SAMKHARAU LI FORENSICS BUREAU

**Kiladze R., Benidze E., Ochkhikidze I.**  
**Akaki Tsereteli State University**

ამგვარად, XXI საუკუნეში საქართველოში განხორციელებულმა სისტემურმა რეფორმებმა დადებითი გარემო შექმნა მიკრო ბიზნესის განვითარებისთვის და ამჟამად აქტიურად ხორციელდება მათი განვითარების ღონისძიებები. ამასთან, მიკრო ბიზნესის განვითარების მიღწეული დონე კვლავაც არასახარბიელოა. ამ სფეროში არსებულ პრობლემათა შორის განსაკუთრებით აღსანიშნავია დაბალი კონკურენტუნარიანობა, მწარმოებლურობის დაბალი დონე, ფინანსებზე ხელმისაწვდომობის სირთულე და სიძვირე, დეკლარირებული და რეალური პირობების განსხვავება, მიკრო ბიზნესის ფუნქციონირებისას არსებული ბიუროკრატიული ბარიერები, რეგიონებში მიკრო ბიზნესის განვითარების დაბალი დონე, საინფორმაციო-საკონსულტაციო ცენტრების და შესაბამისი სახელმწიფო პროგრამების ნაკლებობა.

#### **ლიტერატურა**

1. საქართველოს მცირე და საშუალო მეწარმეობის განვითარების სტრატეგია 2016-2020 წლებისთვის. [http://gov.ge/files/439\\_54422\\_706524\\_100-1.pdf](http://gov.ge/files/439_54422_706524_100-1.pdf)
2. საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგია. საქართველო 2020. [http://www.economy.ge/uploads/ecopolitic/2020/saqartvelo\\_2020.pdf](http://www.economy.ge/uploads/ecopolitic/2020/saqartvelo_2020.pdf)
4. [http://ec.europa.eu/eurostat/statistics-explained/index.php/Statistics\\_on\\_small\\_and\\_medium-sized\\_enterprises#SME\\_definition](http://ec.europa.eu/eurostat/statistics-explained/index.php/Statistics_on_small_and_medium-sized_enterprises#SME_definition)
5. [http://ec.europa.eu/eurostat/statistics-explained/index.php/Statistics\\_on\\_small\\_and\\_mediumsized\\_enterprises#Basic\\_structures:\\_employment\\_size\\_class\\_breakdown\\_in\\_Structural\\_Business\\_Statistics](http://ec.europa.eu/eurostat/statistics-explained/index.php/Statistics_on_small_and_mediumsized_enterprises#Basic_structures:_employment_size_class_breakdown_in_Structural_Business_Statistics)
6. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური. <http://www.geostat>.

#### **SUMMARY**

#### **CONDITIONS FOR MICRO BUSINESS DEVELOPMENT IN GEORGIA**

**Tsimintia K.**

**Sokhumi State University**

The systemic reforms carried out in Georgia in the XXI century have created a positive environment for the development of micro businesses and currently their development measures are being actively implemented. However, the level of micro-business development achieved is still unfavorable. Problems in this area include low competitiveness, low levels of productivity, difficulty and cost of access to finance, differences in declared and actual conditions, bureaucratic barriers to micro-business operations, low levels of micro-business development in the regions, lack of information and consulting centers and government programs.

## ფერმერული მეურნეობების ეფექტური მართვისათვის

ხარაიშვილი ო., მეზონია ნ., ბაიდაური ლ., კიკაბიძე მ., სიჭინავა პ.  
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

*წყლის რესურსების მართვის სისტემაში ყურადღება ექცევა რწყვის რეჟიმს, რომლის დადგენისთვის აუცილებელია სასოფლო-სამეურნეო კულტურების წყალზე მოთხოვნისა და ნიადაგის თვისებების კარგი ცოდნა, სარწყავი წყლის საჭირო რაოდენობის რწყვის სწორად შერჩეული მეთოდის განსაზღვრა. ფერმერებს კი შეუძლიათ შეარჩიონ და დანერგონ რწყვის ისეთი რეჟიმები, რომელიც მათ მიერ მოყვანილ სასოფლო-სამეურნეო კულტურებსა და სასოფლო-სამეურნეო პრაქტიკას შეეფერება. ნაშრომში შემოთავაზებულია თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტში საკვლევ ობიექტზე ჩატარებული საველე-ლაბორატორიული კვლევების შედეგები სხვადასხვა კულტურისათვის, რაც მისცემს ფერმერებს საშუალებას აკონტროლოს მორწყვის ვადები, ხანგრძლივობა და მორწყვის ნორმები.*

წყალი სოფლის მეურნეობის მდგრადი განვითარებისთვის ერთი-ერთი მნიშვნელოვანი რესურსია. სარწყავი ფართობების ზრდა, ყოფა-ცხოვრებასა და წარმოებაში წყალზე გაზრდილი მოთხოვნები, მომავალში სოფლის მეურნეობისთვის ხელმისაწვდომი მტკნარი წყლის რესურსების შემცირებას გამოიწვევს. საყურადღებოა აგრეთვე რწყვის დაბალი ეფექტიანობაც – მცენარეების მიერ სარწყავი წყლის 65%-ზე ნაკლები ოდენობით გამოყენება. სარწყავი წყლის რაციონალური გამოყენება მნიშვნელოვანია მიწათმოქმედების განვითარებისათვის. სარწყავი წყლის ეფექტიანობა განისაზღვრება ძირითადად რწყვის ტექნოლოგიებით, გარემო პირობებით და რწყვის რეჟიმით. ნიადაგის მართვა, მისი მორწყვა, ნიადაგში სასუქების შეტანა, დაავადებებსა და მავნებლებთან ბრძოლა, მჭიდრო კავშირშია წყლის რესურსების მდგრად მართვასა და გარემოს დაცვასთან. სოფლის მეურნეობაში წყლის რესურსების მდგრადი მართვის დანერგვა შესაძლებელია რწყვის, ნიადაგის დამუშავებისა და მცენარეთა მოვლის მეთოდების სრულყოფის, წყლის სატარიფო სისტემის გაუმჯობესების, გაწმენდილი ნარჩენი წყლის გამოყენების, წყლის რესურსების მართვაში ფერმერების მონაწილეობისა და შესაძლებლობების გაძლიერების გზით.

წყლის მოხმარების შემცირების მიზნით, განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს ირიგაციის განვითარება. ამისათვის საჭიროა ისეთი სასოფლო-სამეურნეო კულტურების შერჩევა, რომელიც ნაკლებ წყალს მოიხმარს, ასევე რწყვის ისეთი მეთოდების გამოყენება, რომელიც ნიადაგიდან წყლის აორთქლებას ან წყლის ინფილტრაციას ამცირებს. მნიშვნელოვანია წყლის დანაკარგების შემცირება მათი შენახვისა და მიწოდების სისტემებიდან. წყლის რესურსების არასაიმედოობის პირობებში აუცილებელია ფერმერების დახმარება და წყალზე მაღალი მოთხოვნის მქონე მიწათმოქმედებისა და რწყვის ტრადიციული პრაქტიკიდან თანამედროვე და ეკონომიურ სისტემებსა და ტექნოლოგიებზე გადასასვლელად წახალისება. კონკრეტული სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლიანობა დამოკიდებულია ამინდზე, ნიადაგის ტიპზე, სასუქებისა და პესტიციდების გამოყენების დონეზე. ფერმერისთვის ძნელია იმის გარკვევა, მოცემულ მომენტში მცენარეს აკლია თუ არა წყალი, რადგან, ჩვეულებრივ, ზედმეტი წყალი საზიანო არ არის. ფერმერები „თავს იზღვევენ“ და ჭარბ წყალს აწვდიან მცენარეებს, განსაკუთრებით, მაშინ, როდესაც ეს მცირე ხარჯებთან არის დაკავშირებული. ჭარბი რწყვა, სხვა პრობლემებთან ერთად, დანარჩენი ფერმერებისთვის წყლის შეზღუდვას, ნიადაგის წყლით გაჯერებას, დაავადებების გავრცელებისთვის ხელსაყრელი პირობების შექმნას, ნიადაგის ჩარეცხვას და სასოფლო-სამეურნეო ქიმიკატებით მიწისქვეშა წყლების დაბინძურებას იწვევს.

ყოველივე ეს, საბოლოო ჯამში, მოსავლიანობის შემცირებას, სასოფლო სამეურნეო პროდუქციის ხარისხის კლებას და წარმოების ხარჯის ზრდას განაპირობებს.

**ცხრილი 1. თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტში ჩატარებული კვლევების მონაცემები**

კულტურები	დაკავებული ფართობი %	რწყვის ნომერი	რწყვის ვადები	მორწყვის ხანგრძლივობა დღე - ღამე	მორწყვის ნორმა მ <sup>3</sup> /ჰა
ვენახი	15,9	1	16-31 III	16	800
		2	1-15 V	15	800
		3	21-30 VI	10	800
		4	6-20 VII	15	800
		5	16-25 VIII	10	800
ბაღები (ხეხილი)	19,6	1	16-31 III	16	800
		2	1-15 V	15	800
		3	21-30 VI	10	800
		4	6-20 VII	15	800
		5	6- 15 VIII	10	800
საგაზაფხულო ხორბალი	15,0	1	16-31 III	16	800
		2	21-30 IV	10	700
		3	16-25 V	10	700
სიმინდი სამარცვლე	7,5	1	11-20 IV	10	800
		2	1-15 V	15	700
		3	1-10 VI	10	700
		4	1-5 VII	5	700
		5	21-31 VII	11	700
		6	6-15 VIII	10	700
სიმინდი სასილოსე	15,0	1	1-20 VII	20	800
		2	21-31 VII	11	700
		3	6-15 VIII	10	700
		4	16-25 VIII	10	700
		5	1-10 IX	10	700
მრავალწლიანი ბალახი	14,2	1	1-10 III	10	800
		2	1-10 IV	10	800
		3	1-15 V	15	800
		4	11-20 VI	10	800
		5	6 -20 VII	15	800
		6	16-25 VIII	10	800
		7	1-10 IX	10	800
ბოსტანი	12,8	1	1-30 IV	30	500
		2	1-31 V	31	500
		3	1-30 VI	30	500
		4	1-31 VII	31	500
		5	1-31 VIII	31	500
		6	1-30 IX	30	500

წყლის რესურსების მართვის სისტემაში მეტი ყურადღება ექცევა რწყვის რეჟიმს (როდის უნდა ჩატარდეს რწყვა და რა რაოდენობის წყლით) და ნაკლები – რწყვის მეთოდებს (როგორ



უნდა მოხდეს წყლის მიწოდება). რწყვის რეჟიმს მნიშვნელოვნად განაპირობებს ისეთი ფაქტორები, როგორცაა სასოფლო-სამეურნეო კულტურის ზრდის ტემპი და მისი მგრძობელობა უწყლობის მიმართ, კლიმატური პირობები და ნიადაგში არსებული წყლის რაოდენობა [1-3]. რწყვის სიხშირე რწყვის მეთოდზეა დამოკიდებული. აქედან გამომდინარე, რწყვის რეჟიმი და რწყვის მეთოდები ერთმანეთთან მჭიდრო კავშირში უნდა იყოს რწყვის რეჟიმის დადგენა არის გადაწყვეტილების მიღების პროცესი იმის შესახებ, თუ როდის და რა რაოდენობის წყლით უნდა მოირწყას სასოფლო-სამეურნეო მიწები. რწყვის რეჟიმის დადგენისთვის აუცილებელია სასოფლო-სამეურნეო კულტურების წყალზე მოთხოვნისა და ნიადაგის თვისებების კარგი ცოდნა. რწყვის რეჟიმის დადგენა ასევე მნიშვნელოვანია სარწყავი სისტემების მუშაობისა და მდგრადობის გაუმჯობესებისთვის. სარწყავი წყლის საჭირო რაოდენობას რწყვის სწორად შერჩეული მეთოდი განსაზღვრავს. უმეტეს შემთხვევებში, რწყვის რეჟიმის ეფექტიანობა, ფერმერის უნარ-ჩვევებზეა დამოკიდებული. რწყვის სწორად შერჩეული რეჟიმის შემთხვევაში, არ ხდება წყლის ნიადაგის ღრმა ფენებში ინფილტრაცია და სასუქებისა და ქიმიური ნივთიერებების ფესვთა ზონიდან გაღიწება, ასევე ნიადაგის წყლით გაჯერება, რაც ნაკლები წყლის გახარჯვას უზრუნველყოფს [4,5]. ნიადაგში იქმნება ოპტიმალური პირობები მცენარეთა ზრდისთვის, უმჯობესდება მოსავლიანობა და პროდუქციის ხარისხი – არ ხდება მინერალიზებული მიწისქვეშა წყლების დონის აწევა და ნიადაგის დამლაშება. ისეთ რეგიონებში, სადაც წყლის დეფიციტია, რწყვის რეჟიმის სათანადოდ განსაზღვრას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს, რადგან წყლის ჭარბმა მოხმარებამ დანარჩენი მოსახლეობა შეიძლება საერთოდ უწყლოდ დატოვოს.

რწყვის რეჟიმის დადგენის სხვადასხვა მეთოდი და საშუალება არსებობს. ისინი ერთმანეთისგან გამოყენებისა და ეფექტიანობის მახასიათებლებით განსხვავდებიან. შესაძლებელია რწყვის სიხშირისა და სიღრმის კრიტერიუმების დადგენა – ნიადაგის წყლის გაზომვების, ნიადაგის ტენიანობის ბალანსის შეფასებისა და მცენარის სტრესის მაჩვენებლების საფუძველზე .

თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტში საკვლევ ობიექტზე ჩატარებული კვლევების მონაცემები მოცემულია ცხრილ 1-ში.

ცხრილ 1-ში მოცემული მონაცემებით ფერმერი შესძლებს რწყვის პერიოდების და რწყვის სიღრმის ან მოცულობის კონტროლს, თუმცა სათანადოდ არ ხდება შესაბამისი ტექნოლოგიების და მეთოდების პრაქტიკაში გამოყენება, რასაც თან ახლავს სოციალური, კულტურული და ეკონომიკური წინაღობები. მთავარ წინაღობას მოქნილობის არარსებობა წარმოადგენს, რაც გამოწვეულია მკაცრი რეჟიმით ან თავად კოლექტიური სისტემისთვის დამახასიათებელი შეზღუდვებით, წყლის არაეკონომიკური ფასით (ფასი ფარავს მთლიანი ხარჯის 30%-ზე ნაკლებს) და რწყვის რეჟიმის მაღალი ღირებულებით (ტექნოლოგიის და/ან შრომის), ასევე ფერმერების უნარ-ჩვევებისა და განათლების დაბალი დონით, ინსტიტუციური პრობლემებით, ქცევითი ადაპტაციით, მეცნიერებს, ექსტენციის სამსახურებსა და ფერმერებს შორის ინტერაქტიური კომუნიკაციის არარსებობითა და ტექნოლოგიების დემონსტრირებისა და გამოცდილების გაზიარების არასათანადო დონით. რწყვის რეჟიმის შედგენის მეთოდის გამოყენება და შემდგომში ამ რეჟიმის ეფექტიანად განხორციელება დამოკიდებულია კოლექტიური სისტემის შესაძლებლობაზე – უზრუნველყოს წყლის მიწოდება დადგენილი გრაფიკის მიხედვით. ასევე ამ სისტემების მენეჯმენტზე, რომელმაც უნდა უზრუნველყოს სისტემის სათანადო ექსპლუატაცია. წყლის დამზოგავი რწყვის რეჟიმების ეფექტიანად განხორციელების ერთ-ერთი მთავარი ხელშემშლელი მიზეზი ის არის, რომ წყალმომარაგე-

ზის და განაწილების სისტემების უმეტესი ნაწილი ვერ უზრუნველყოფს ფერმებისთვის წყლის საიმედოდ და მოქნილად მიწოდებას.

### ლიტერატურა

1. ო. ხარაიშვილი, დ. გუბელაძე. სასოფლო-სამეურნეო ჰიდრომელიორაცია. სახელმძღვანელო. საგამომცემლო სახლი ტექნიკური უნივერსიტეტი თბილისი, 2020, 650 გვ.
2. გ. გავარდაშვილი. ირიგაცია, დრენაჟი, ეროზია. გამომცემლობა უნივერსალი, თბილისი, 2016, 194 გვ.
3. ი. ყრუაშვილი, ი. ინაშვილი. წყლის რესურსების მენეჯმენტი სოფლის მეურნეობაში. ტექნიკური უნივერსიტეტი, თბილისი, 2009.
4. გ. ტულუში. სასოფლო სამეურნეო კულტურების მორწყვის წესები და მათი სრულყოფის გზები. თბილისი 1986.

### SUMMARY

#### FOR EFFECTIVE MANAGEMENT OF FARMS

**Kharaisvili O., Mebonia N., Baidauri L., Kikabidze M., Sichinava P.**

**Georgian Technical University**

The article justifies the need for a properly selected irrigation regime to prevent water from infiltrating into the deeper layers of the soil and draining fertilizers and chemicals from the root zone, as well as saturating the soil with water, which ensures less water consumption. Also focused on the lack of interactive communication between the farmer and the researcher due to the inadequate level of experience sharing. It is proposed to conduct field-laboratory studies at the research site in Tetrtskaro Municipality for different crops, which will allow farmers to control irrigation dates, duration and irrigation norms.

### რძე

#### ხატიაშვილი ტელმანი საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

**რძე** – საკვები პროდუქტი, რომელიც მიიღება მდედრი ცხოველისგან შეიცავს დიდი რაოდენობით, ცხიმებს, ცილებსა და ლაქტოზას ნახშირწყლებს.

რძე ცილოვანი პროდუქტია, ცილა კი ნებისმიერ ცოცხალ ორგანიზმს სჭირდება, ვინაიდან უჯრედთა საშენ მასალას წარმოადგენს. არცთუ ისე დიდი ხნის წინათ მედიცინაში გაბატონებული იყო შეხედულება, რომლის თანახმადაც ჭარბი ცილა ორგანიზმიდან თირკმელების მეშვეობით გამოიდევენებოდა. დღეისთვის დადასტურებულია, რომ ჭარბი ოდენობით მიღებისას ცილა უჯრედებში გროვდება და დამანგრეველ პროცესებს იწვევს. ასე რომ, ცილების ჭარბი მოხმარება არცთუ უსაფრთხოა.

რძის ნაწარმი სასარგებლოა, რადგან მათში უხვადაა ნატრიუმი, კალიუმი, კალციუმი, მაგნიუმი, ფოსფორი, რკინა, A, B1, B2, PP ვიტამინები... რძის ენერგეტიკული ღირებულება უმეტესად 58 კილოკალორიას უტოლდება, დამუშავებული, ცხიმგაცილილი ნაწარმისა კი არ აღემატება 20-ს.

1. მოუხდელი რძე თეთრია, ოდნავ მოყვითალო. თუ მოცისფრო ელფერი დაჰკრავს და წყალწყალაა, ესე იგი ან ნაღებმოხდილია, ან წყალნარევი.

გაზავებული და ნაღებმოხდილი რძე, რა თქმა უნდა, მავნე არ არის, თუმცა მისი კვებითი ღირებულება ჩვეულებრივზე გაცილებით დაბალია.

მიუხედავად იმისა, რომ რძე დუღილი დროს ბევრ სასარგებლო ნივთიერებას კარგავს, სოფლის რძე მოხმარებამდე აუცილებლად უნდა აადულოთ. ამ დროს ბაქტერიების უმეტესობა იხოცება და რძე უფრო უვნებელი ხდება.

### **ქარხნული რძე**

რძის ქარხნებს ხარისხის მართვის საკუთარი განყოფილებები აქვთ, რომლებიც პასუხს აგებენ პროდუქციის ვარგისობაზე. ქართულ საწარმოთა უმეტესობა IBO სერტიფიკატის მფლობელია, რაც მოწმობს, რომ ისინი მართლაც ხარისხიან პროდუქციას უშვებენ.

ბაზარზე რამდენიმე სახეობის რძე იყიდება. მათ ერთმანეთისგან უმთავრესად ცხიმია-ნობის მაჩვენებელი განასხვავებს.

საქართველოში უფრო მაღალია მოთხოვნა ნატურალურთან მიახლოებულ ქარხნული წარმოების რძეზე, რომლის ცხიმის ნივთიანობა 3,8%-მდეა.

ნატურალურ რძეს საწარმოები უმეტესად სეზონურად – ზაფხულის თვეებში იზარებენ. დანარჩენ დროს ისინი მშრალ რძეს იყენებენ. ეს არის კონსერვირებული რძე, რომელსაც სითხე გამოცლილი აქვს, რძის თვისებები კი – შენარჩუნებული. მშრალი რძის მიღების ტექნოლოგია საქართველოში ჯერ არ დანერგილა, ამიტომ საწარმოებს ნედლეული უკრაინიდან, ბელორუსიდან, აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებიდან შემოაქვთ.

მომდევნო ეტაპი რძის პასტერიზაციაა. ეს პროცესი რძის სპეციალური ტექნოლოგიით დამუშავებას გულისხმობს: მაღალ ტემპერატურაზე წამიერი გატარებით ცოცხალი ბაქტერიების რაოდენობა მინიმუმამდე დაჰყავთ. რძე სტერილური ხდება და მისი მიკრობული ფლორა ადამიანს საფრთხეს აღარ უქადის.

ნატურალურთან მიახლოებული პასტერიზებული რძის შემადგენლობა ასეთია: ერთ ლიტრი შეიცავს 2,80 გ ცილას, 3,2 გ ცხიმს, 4,7 გ ლაქტოზას. დანარჩენ მასას ორგანული მინარევები და მშრალი ნივთიერება ქმნის.

ქარხნულ რძეს, წესისამებრ, ტეტაპაკის ან ელოპაკის პაკეტში ასხამენ. ელოპაკის შენახვის ვადა საშუალოდ 21 დღეა, ტეტაპაკისა – 3-დან 6 თვემდე. გახსნილ პაკეტში რძე 24 საათის განმავლობაში ინარჩუნებს თვისებებს. ამის შემდეგ ის აუცილებლად უნდა წამოადულოთ. უფრო უკეთესი კი მისი 24 საათის განმავლობაში გამოყენებაა.

### **რძის ნაწარმი**

რძეს ამატებენ სასარგებლო მიკროორგანიზმების კულტურას – დედოს, რომელიც პროდუქტს გემოს, კონსისტენციას და ნაწილობრივ თვისებებსაც უცვლის. ასე მზადდება მაწონი, იოგურტი, არაჟანი, ხაჭო.

შედევების დროს რძეში სასარგებლო გარდაქმნები მიმდინარეობს. მაგალითად, ნაწილობრივ იხლიჩება და უფრო ადვილად ასათვისებელი ხდება რძის ცილები. თუ 15 წუთში ორგანიზმს საღი რძის ცილების მხოლოდ 7-8%-ის ათვისება შეუძლია, დროის იმავე მონაკვეთში დედოთი ფერმენტირებული პროდუქტის ცილების 90%-ს ითვისებს.

ასაკოვანთათვის ძნელი ასათვისებელია ლაქტოზა – რძის შაქარი. შედეგების პროცესში ნაწილობრივ ეს ნივთიერებაც იშლება. რაც მთავარია, სწორედ დედოს ზემოქმედების შედეგად წარმოიქმნება რძემჟავა, რომელიც ასტიმულირებს ნაწლავის სასარგებლო ბაქტერიების გამარვლებას, მათ შორის – ბიფიდობაქტერიებისას, რომლებიც ნაწლავის ლორწოვან გარსს ავადმყოფობის გამომწვევი მიკრობებისგან იცავენ. ამასთანავე, რძემჟავა ხელს უწყობს კალციუმის, რკინისა და ფოსფორის ათვისებას.

ფერმენტაციის პროცესში გამომუშავდება ბუნებრივი ანტიბიოტიკებიც, რომლებიც თრგუნავს ზოგიერთი დაავადების გამომწვევ მიკროორგანიზმებს.

სამწუხაროდ, პასტერიზაციის პროცესში რძე ყველა ამ სასარგებლო თვისებას კარგავს.

ბაზარზე იყიდება ფალსიფიცირებული რძემჟავა პროდუქტები, რომლებიც შემასქელებლების, უცხო ცხიმების, დამატკბობლების მეშვეობითაა დამზადებული. ასეთი ნაწარმი შესაძლოა გემრიელი იყოს, მაგრამ სასარგებლო არ არის.

ბევრს მიაჩნია, რომ ადამიანის ორგანიზმზე სასიკეთო ზემოქმედებას მხოლოდ ძროხის ახალი რძე ახდენს.

ძროხის რძე მხოლოდ ხბოსთვის არის მისაღები, ისიც - სიცოცხლის ადრეულ ეტაპზე. მოგეხსენებათ, ხბო სწრაფად იზრდება, რის გამოც მისი კუნთები და ძვლოვანი სისტემა მაღალი კონცენტრაციის ცილებს მოითხოვს. სწორედ ასეთ ცილებს შეიცავს ძროხის რძე. კუნთებისა და ძვლოვანი სისტემის ჩამოყალიბების შემდეგ ხბო ინსტინქტურად თავს ანებებს მაღალი კონცენტრაციის ცილებით მდიდარი ამ საკვების მიღებას. შედარებით ნაკლებია ასეთი ცილების შემცველობა თხის რძეში – თიკანი ხბოზე ნელა იზრდება და ცილებსაც უფრო ნაკლებს მოითხოვს. ბავშვის ზრდის ტემპი, ბუნებრივია, ჩამოუვარდება თიკნისას, ასე რომ, მისთვის კიდევ უფრო ნაკლები კონცენტრაციის ცილებია მიზანშეწონილი. აქედან გამომდინარე, ზრდასრული ადამიანის ორგანიზმს სულაც არ სჭირდება მაღალი კონცენტრაციის ცილებით მდიდარი ძროხის რძე. ჭარბ ცილას ორგანიზმი მთლიანად ვერ ითვისებს, მისი აუთვისებელი ნაწილისგან კი ტოქსიკური ცილოვანი მჟავები წარმოიქმნება, რომლებმაც, თავის მხრივ, შესაძლოა სათავე დაუდოს ალერგიას, ფილტვების ანთებას, ქრონიკულ რინიტს, ნუშურა ჯირკვლების ანთებას (ტონზილიტს), ადენოიდებს, რევმატულ დაავადებებს, გასტრიტს, კოლიტს, სიმსივნურ პათოლოგიას.

## ლიტერატურა

1. ქართული აგრარული ინტერნეტ გაზეთი აგროკავკასია, ( ვიკიპედია)
2. საქართველოს მთავრობის დადგენილება ბიოწარმოების შესახებ.

## ცხენის ქართული ჯიშების წარმოშობა, დღევანდელი მდგომარეობა და მათი შენარჩუნების გზები

### ჩხარტიშვილი ლაშა

#### საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

*კვლევის მიზანი გახლდათ ქართული წარმოშობის ცხენის ჯიშების მდგომარეობის შეფასება და მისი გაუმჯობესების გზების დასახვა. განხორციელდა პუბლიკაციათა შესწავლა, ასევე გამოვიყენეთ ექსპერტული გამოკითხვის მეთოდი. გამოიკვეთა მეგრული, თუშური და ჯავახური ცხენის პოპულაციათა რიცხოვნობის ინტენსიური შემცირების ტენდენცია. თვალსაჩინოა მათი შენარჩუნებისაკენ მიმართული მწყობრ ქმედებათა განუხორციელებლობა. ცხენის ყველა ქართული ჯიში გაქრობის საფრთხის წინაშეა. მათი გადარჩენისთვის აუცილებელია პოპულაციათა სრულფასოვანი შესწავლა, სახელმწიფო საშენების შექმნა და სხვა.*

საქართველოში ცხენს უძველესი დროიდან იყენებდნენ სამხედრო მიზნით, საჯდომ-სასაპალნედ, მსუბუქ სატრანსპორტო სამუშაოებში, მომთაბარე მეცხოველეობაში და სხვა. ადგილობრივი ცხენის ჯიშების მაღალ ღირსებაზე მეტყველებს ის რომ არაბებს თავიანთი

ცხენსაშენებისათვის ფაშატები კახეთიდან კონტრიბუციით გაჰყავდათ. შემორჩენილია ცხენის მოვლა-მოშენების 2 სისტემა – თავლური და ჯოგური. ცნობილია ჯოგურ პირობებში მონაშენე 2 უძველესი ჯიში – თუშური და მეგრული. XIX საუკუნის II ნახევარში ჯავახეთში გავრცელდა ჯავახური შესაბამელი მუშა-ცხენი.



ცხენი ამიერკავკასიაში ფართოდ გავრცელდა ძველი წელთაღრიცხვის II ათწლეულის პირველ ნახევარში. I ათასწლეულიდან კი, მისი განვითარების დამადასტურებელ ხელოვნების ნიმუშებსაც ვხვდებით. განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია ლეჩხუმში, კერძოდ, სოფელ ცაგერაში აღმოჩენილი მხედრის ბრინჯაოს ქანდაკება, ასევე სამეგრელოს სოფელ ცაიშში აღმოჩენილი მხედარი ქალის ფიგურა. ორივე მათგანი ძველი წელთაღრიცხვის VIII–VII საუკუნეებს განეკუთვნება. საუკუნეების განმავლობაში ცხენოსნობის მრავალი ეროვნული სახეობაც ჩამოყალიბდა, ისეთები, როგორიცაა: ისინდი, ცხენბურთი, ყაბახი, მარულა.

**მეგრული ცხენი** ძველი კოლხური ცხენის შთამომავალია. ჩამოყალიბებულია ჯოგური მეცხენეობის პირობებში და თანაბრად კარგად ეგუება დასავლეთ საქართველოს მთისა და ბარის ჭარბტენიან ეკოლოგიურ პირობებს. იგი საჯდომ-სასაპალნე პროდუქტიული მიმართულებისაა და სწრაფმავალია. გამოიყენება დოღში და სხვადასხვა ცხენოსნურ თამაშობებში. ქვეყანაში ამ ჯიშის სანაშენე მეურნეობა არ იყო, რის გამოც მოშენება ძირითადად სტიქიურად მიმდინარეობდა, პრაქტიკულად არ ტარდებოდა მიზანმიმართული გამოზრდა, ახალგაზრდა ცხენების გამოცდა და სხვ. დღეისთვის, ხალასჯიშიანი მეგრული ცხენის რაოდენობა ძალზე შემცირებულია; ეს უნიკალური გენოფონდი სრულად გადაშენებისა და მოსპობის საშიშროების წინაშე დგას.

**თუშური ცხენი** წარმოადგენს კავკასიის ერთ-ერთ უძველეს ჯიშს, რომელიც მოშენებულია საქართველოს მთიანი ზონის ბუნებრივ კლიმატურ პირობებში, ხალხური სელექციის შედეგად.

თუშური ცხენი წარმოიშვა ძველი ქართული ცხენის ჯიშისგან, I–III საუკუნეებში. იგი ხასიათდება კარგი ამტანობით, სიმამაცით, კარგი ორიენტაციით, ტემპერატურული ცვლილებებისადმი შემგუებლობით, მსუბუქი ნაბიჯებით.

ეს ჯიში, ძირითადად, აღმოსავლეთ საქართველოშია გავრცელებული. თუშურ ცხენს აქვს საჯდომ-სასაპალნე დანიშნულება. მეცხოველეობაში განსაკუთრებით მოსახერხებელია მომთაბარე მწყემსებისთვის, თუშურ ცხენი უმთავრესად ქურანა ფერისაა. საკმაოდ მკვირ-

ცხლი, გამბედავი და ფრთხილია, შეჩვეულია უამინდობას, თოვლიან მთის ბილიკებზე სიარულს და კარგად იყენებს კლდოვან და ციცაბო საძოვრებს. დღევანდელი მდგომარეობა: გავრცელებულია აღმოსავლეთ საქართველოში, უპირატესად მომთაბარე მეცხვარეობის ეკონომიკურ ზონაში, ახმეტის, თელავის, სიღნაღის, დედოფლისწყაროს, გურჯაანის, დუშეთისა და თიანეთის მუნიციპალიტეტებში. სანაშენე სულადობის ძირითადი რეპროდუქტორი იყო ახმეტის რაიონის სოფ. ქვემო ალვანის სანაშენე ფერმა, სადაც სასელექციო მუშაობა მიმდინარეობდა სხეულის ზომების გაზრდის, სისწრაფისა და მუშაობისუნარიანობის გაუმჯობესების მიმართულებით, სადაც მათი გამოცდა ხდებოდა. მოშენების სპეციფიკურობა „დახურულ სანაშენე ბირთვში“ სელექციის მეთოდის გამოყენებაში გამოიხატებოდა, რამაც სასურველი ტიპთან მიახლოებული სულადობის ფორმირება უზრუნველყო. დღეისთვის ეს ფერმა აღარ არსებობს. 2004 წლის სასოფლო-სამეურნეო აღწერის მონაცემებით, გავრცელების ზონაში ცხენის საერთო რაოდენობა იყო 5829 სული, ხოლო თუ რამდენია მათში თუშური უცნობია. სანაშენე მუშაობის არარსებობის გამო მოსალოდნელია მისი სხვა ჯიშის ცხენებთან აღრევა და უნიკალური თვისებების დაკარგვა.

**ჯავახური ცხენი** წარმოშობა: ჯავახური ცხენის მოშენებას საქართველოში 170- წლიანი ისტორია აქვს და რუსეთის, ტავრიდის გუბერნიიდან დუხობორების გადმოსახლებას უკავშირდება; მათ ჩამოიყვანეს ყირიმისა და დონის ჯიშის ფაშატების რუსული ტვირთშიდავი, ბიტუგის ჯიშის ულაყებთან შეჯვარებით მიღებული ცხენი. 1924 წლიდან სამუშაო თვისებების გაუმჯობესების მიზნით, ამ ცხენის მასობრივი შეჯვარება დაიწყო, არდენის, პერშერონისა და ბრაბანსონის ტვირთშიდავი ჯიშების მწარმოებლებთან. იგი კარგადაა შეგუებული მაღალი მთის ზონის სამეურნეო და ეკოლოგიურ პირობებს. დღეისათვის სანაშენე მუშაობა არ მიმდინარეობს და კონკრეტული ინფორმაცია მისი პოპულაციის რიცხოვნობის შესახებ არ გვაქვს.

მეცხენეობას, განსაკუთრებით კი სამთო მეცხენეობას ტრადიციული გამოყენების სახეებთან ერთად, ბოლო პერიოდში განსაკუთრებული დატვირთვა აქვს ტურიზმის განვითარების თვალსაზრისითაც. ეს ყოველივე კი ორმაგად აქტუალურია, როცა ადგილობრივ ანუ ენდემურ ჯიშებზეა საუბარი.

მიუხედავად უაღრესად მდიდარი და ხანგრძლივი ისტორიისა, დღეისათვის მეცხენეობას საქართველოში ძირითადად სტიქიური და არაორგანიზებული ხასიათი აქვს. ცხენის ადგილობრივი ჯიშების მდგომარეობა სავალალოა და გადამჭრელი ზომების გატარების გარეშე, მათ უახლოესი წლების განმავლობაში სრული გაქრობის რეალური საფრთხე ემუქრება. აღნიშნული დიდი დანაკარგი იქნება, როგორც ქართული, ასევე მსოფლიო კულტურისათვის. არსებული ვითარების სიმძიმე გადაუდებელ მოქმედებებს მოითხოვს, მათ შორის უმნიშვნელოვანესია საწყის ეტაპზე არსებული პოპულაციების შესწავლა, მეგრული, თუშური და სასურველია ჯავახური ცხენების ხალასჯიშიანი ინდივიდების გამოვლენა, აღნუსხვა, პასპორტიზაცია, სტანდარტების გადახედვა და რა თქმა უნდა, ამ ყოველივეს საფუძველზე თითოეული მათგანის სულ მცირე თითო სახელმწიფო საშენის შექმნა. სახელმწიფო ჯიშების გადარჩენის სათანადო პროგრამის შემუშავების საფუძველზე თუშური, მეგრული და ჯავახური ცხენების ჯიშების გადარჩენა-განმტკიცებისაკენ მიმართული სხვა ქმედებებიც უნდა განახორცილდეს. მაგალითად, მათი პოპულარიზაციის გეგმის შემუშავება, როგორც საქართველოს მოქალაქეთა, ასევე პოტენციურ ტურისტებს შორის. ამავე მიმართულებით მნიშვნელოვანი როლის შესრულება შეუძლია ქართული ცხენოსნობის მუზეუმსა და უფასო საცხენოსნო სკოლის ჩამოყალიბებას, სადაც ბავშვები ცხენოსნობის ქართულ სა-

ხეობებს დაეუფლებიან. აღნიშნული მით უფრო ლოგიკურ და საჭირო ქმედებად შეიძლება ჩაითვალოს მაშინ, როცა თავად ხელისუფლების მიერ აღიარებული იქნა მათი მნიშვნელობა, რაც 2018 წელს მათთვის არამატერიალური კულტურის ძეგლის სტატუსის მინიჭებაში გამოიხატა.

საწყის ეტაპზე მნიშვნელოვანია გენეტიკური მასალის (სპერმისა და კვერცხუჯრედების) ბანკის შექმნა და ხელოვნური განაყოფიერების სისტემის ორგანიზება. როგორც აღნიშნული ჯიშების შენარჩუნება, განვითარება-განმტკიცების, ასევე მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გასაუმჯობესებლად უმნიშვნელოვანეს ამოცანად მიგვაჩნია საცხენოსნო ტურიზმის მხარდამჭერ ღონისძიებათა კომპლექსის განხორციელება, მათ შორის: საცხენოსნო ტურისტული მარშრუტების რაოდენობის ზრდა და მათი სათანადო მოწყობა (მარკირება, პოპულარიზაცია და ა.შ.), ასევე აღნიშნული მიმართულების პოპულარიზაციაში იგულისხმება მასში ადგილობრივი მოსახლეობის ჩართვის წახალისებისათვის სხვადასხვა მხარდამჭერ ღონისძიებათა გატარება, მაგალითად, უსასყიდლო დათესვლა, ქართული ჯიშის ცხენების უსასყიდლოდ გადაცემა და სხვა.

### ლიტერატურა

1. კობალავა დ. მეცხენეობის განვითარება საქართველოში, თბ., 1981 («მიმოხილვითი ინფორმაცია», სერია 6, ნაკვ. 8);
2. კობალავა დ., [ქართული საბჭოთა ენციკლოპედია](#), ტ. 11, თბ., 1987, გვ. 250.
3. ჩხეიძე, ნ. საქართველოს ადგილობრივი ცხენის ჯიშები / საქ. სსრ სოფლის მეურნ. სამინისტრო. მეცხოველეობის სამეცნ. საკვ. ინ-ტი. თბ.: სახელგამი, 1950 (საქ. სსრ პოლიგრ. და გამომც. საქმ. სამმართვე. 1-ლი სტ.). 62გვ
4. ჩუბინიძე, ა. თუშური ცხენი. საქართველოს სახელმწიფო ზოოტექნიკურ-სავეტერინარო აკადემიის შრომათა კრებული, ტ. XL, თბილისი, 2002;
5. [http://agraruli.blogspot.com/2013/01/blog-post\\_3452.html](http://agraruli.blogspot.com/2013/01/blog-post_3452.html)(15.01.2014);
6. Д. Кобалава, А. Чубинидзе. О генофонде тушинской лошади. Материалы Грузинского общества генетиков и селекционеров, Тбилиси, 1986;
7. М. Н. Погребова. Вооружение и войско народов центрального и восточного Закавказья в эпоху поздней бронзы и раннего железа, Автореферат, М., 1965, გვ. 21
8. А.Чубинидзе. Местные породы лошадей в Грузии. Тушинская лошадь, джавახетская упряжная лошадь. «Коневодство и конный спорт», № 2, 2003.

### SUMMARY

#### SITUATION OF GEORGIAN HORSE BREEDS AND METHODS OF THEIR PRESERVATION

##### Chkhartishvili Lasha

The purpose of our study isto evaluate situation of native Georgian horse breeds and to see to make improvements. The latter would have a great practical effect for both the agriculture and tourism.

Within this study,multiple publications have been researched, as well as had experts surveyed.

This study revealedtendency of rapid, steady decline of Mingrelian, Tushetian and Javakhian horse breed populations. It is also apparent that the government has not taken steps to improve or even stabilize the situation.

It can be evaluated that all Georgian horse breeds are threatened by extinction in next several years.To preserve them, it is crucial to form a special government program in time, within which the populations will fully be studied, purebred individual horses will be located, government breeding sheds will be build, etc.

## სარჩევი

პლენარული მოხსენებები სასურსათო ტექნოლოგიების როლი და ამოცანები საქართველოში მევენახეობა-მეღვინეობის შემდგომ განვითარებაში <i>ქვარცხავა გ., ტყემალაძე გ.</i> .....	10
სასურსათო ტექნოლოგიების განვითარების პერსპექტივები საქართველოში <i>ლომიძე ნ.</i> .....	19
<b>სექცია 1</b> <b>სასურსათო ტექნოლოგიები და უსაფრთხოება</b> <b>Food Technology and Safety</b> <b>Пищевые технологии и безопасность</b>	
სანელებლების კომპოზიციის კომპონენტები მოხარშული ძეხვეულისთვის <i>ალხანაშვილი ნ.გ., დემენიუკ მ.ნ.</i> .....	22
Использование измельченных семян льна в рецептуре слоеных хлебобулочных изделий <i>Андронович Г.М., Бондаренко Ю.В.</i> .....	25
ანტიკანცეროგენული აქტივობის ადგილობრივი მცენარეული ნედლეული <i>არნანია თ., ქარჩავა მ.</i> .....	29
Востребованность детской молочной продукции на региональном рынке <i>Артемова Е.Н., Владимирова О.Г.</i> .....	32
ლურჯი მოცვის ნაყოფის კომპლექსური გადამუშავება <i>აფხაზავა დ.მ., გოლიაძე ვ.შ., ქაშაკაშვილი ც.ს., რევიშვილი თ.ო.</i> .....	36
საქართველოს სანელებელ-არომატული ნედლეულის ბაზაზე მოხარშული ძეხვეულისთვის სა- ნელებლების კომპოზიციის შედგენა და მისი ძეხვეულში შეტანის ტექნოლოგია <i>ბაღათურია ნ. შ., ალხანაშვილი ნ.გ., დემენიუკ მ.ნ.</i> .....	39
ლუდის წარმოების პროცესების ინტენსივობაზე და ხარისხობრივ მაჩვენებლებზე ჩაის დანა- მატების გავლენა <i>ბენდელიანი ე., ფრუიძე მ., ჩაკვეტაძე შ.</i> .....	41
მცენარეული ნედლეულის გამოყენებით სულგუნის მომზადების ტექნოლოგიის დამუშავება <i>ბერულავა ი., ხვადაგიანი ხ., ჯვარშიეშვილი ლ.</i> .....	45
Органический хлеб с использованием нетрадиционного сырья <i>Блаженко М.С., Фалендыш Н.О.</i> .....	49
Studying the effect of sprouted grain mixture of "CHOICE" company on the quality of bakery products <i>Burchenko L., Bilyk O., Kochubei-Lytvynenko O.</i> .....	52



კვრინჩხისა ( <i>Prunus spinosa</i> ) და ლოდნაშოს ( <i>Prunus domestica subsp.insititia</i> ) ქიმიური მახასიათებლების შედარება გამყრელიძე ნ.მ., ქვარცხავა გ.რ. ....	54
მცენარეული ექსტრაქტების ანტიოქსიდანტური მოქმედების მექანიზმის ზოგადი მიმოხილვა გამყრელიძე ნ., ერიქაშვილი ა., კილაძე მ. ....	57
ჩაისა და აქტინიდის ფოთლების ერთდროული გადამუმავებით მიღებული, ახალი სახის შავი ჩაის პროდუქციის შედეგები გაფრინდაშვილი ი., ასანიძე ნ., ჯაბნძე ნ., ჯაბნძე გ. ....	59
Технологические аспекты производства закваски спонтанного брожения на основе овсяной муки Гетьман И.А., Михоник Л.А. ....	63
ეკოლოგიური და სასურსათო უსაფრთხოების პრობლემები გობეჯიშვილი ლ., ხაზარაძე ნ. ....	65
ხორცის პროდუქტების ფალსიფიკაცია და გამოვლენის შესაძლებლობები გოგოლი გ. ....	67
ქართული (ნაციონალური) პურის წარმოების თავისებურებანი და კვლევა დოლიძე მ., სადალაშვილი ჯ., სუბიშვილი ნ. ....	71
Разработка технологии вафельных листов с использованием рисовой муки Дорохович В.В. ....	73
Исследование влияния различных сахаров на параметры уваривания сиропов для помадных конфет на их основе Дорожинская О.С., Кохан Е.А. ....	76
Factors affecting the processing efficiency of sunflower raw materials Dzneladze S., Siradze M., Berdzenishvili I. ....	78
ვიტამინებით და მინერალებით გამდიდრებული პროდუქტები სკოლამდელი ასაკის ბავშვთა კვების სტატუსის კორექციისათვის ერგემლიძე თ., ქარჩავა მ., ბერულავა ი. ....	82
Влияние степени измельчения на технологические показатели качества муки из цельных зерен гороха для производства мясных изделий Василенко З.В., Ветошкина О.А., Афанасьев А.Е., Сидоренко В.С., Языков Г.В. ....	85
Определение оптимальной концентрации муки из жмыха льняного при производстве вареных колбасных изделий из мяса птицы Василенко З.В., Ромашихин П.А., Кучерова Е.Н., Рубанова Ю.О., Тимофеева А.П. ....	89
Применение принципов хасп на предприятии по производству печенья Ворвыхвост А., Герасименко Е., Камбулова Ю.В. ....	92
Современные технологии - новые реалии Зоценко Л.Н., Сидина Л.П. ....	98

მწყერის ხორცის ფიზიკურ-ქიმიური თვისებების გამოკვლევა <i>თავდიდიშვილი დ., ფხაკაძე მ., ჯღამაძე თ.</i> .....	100
<b>Practical implementation of the ‘Zero Waste’ philosophy in the restaurant business</b> <i>Ilyasova A.S., Zhubreva T.V.</i> .....	103
მცენარეული ნედლეულის ექსტრაქტის შავი ჩაის წარმოებაში გამოყენების შესახებ <i>კახნიაშვილი ე.ზ.</i> .....	107
ლეღვის შრობა <i>კინწურაშვილი ქ.მ., გოგიშვილი ნ.ჯ.</i> .....	109
<b>Современные тенденции развития рынка пряностей и приправ</b> <i>Лунатова Л.П.</i> .....	112
მწვანე კაკლის გამოყენების ინოვაციური ტექნოლოგია ფუნქციონალური პროდუქტის მისაღებად <i>მამარდაშვილი ნ.გ., ათანელიშვილი ა.ზ., აბაშიძე ს.ბ.</i> .....	116
გაყინული საკვების წარმოება და მოხმარება მსოფლიოს მასშტაბით <i>მიქაბერიძე მ.შ.</i> .....	119
ლურჯ მოცვზე ( <i>Vaccinium uliginosum</i> ) მიგრირებული მავნებლების განვითარება და ბრძოლის ღონისძიებები <i>ნიკოლაშვილი ა., ჯაყელი ე.</i> .....	123
<b>Разработка рецептуры и оценка качества мюсли с солодовыми ростками пшеницы</b> <i>Сергина Н.В., Артемова Е.Н., Аверина Е.Ю.</i> .....	126
<b>Innovations in the production of milk-based candies</b> <i>Silagadze M.A., Khetsuriani G.S., Burjaliani N.B.</i> .....	129
<b>Пищевая ценность и обогащение качества растительных масел</b> <i>Сираძე მ.გ., ბერძენიშვილი ი.გ., ძნელაძე ს.დ., ანაკიძე ა.პ.</i> .....	132
იმერეთის რეგიონში ბუნებრივად მოზარდი ზოგიერთი მცენარის გამოყენება არომატიზებული სასმელების დასამზადებლად <i>ტყემალაძე გ.შ., დემეტრაშვილი მ.ა., მახაშვილი ქ.ა.</i> .....	135
ხორცპროდუქტების წარმოებისა და გადამუშავების ტექნოლოგიის თანამედროვე ტენდენციებისა და ინოვაციების გავლენა საქართველოს სურსათის ბაზარზე <i>ტყემელაშვილი ა.</i> .....	140
ასკილის ( <i>Rosa canina</i> L) მნიშვნელობა და მისი გამოყენება ჩაის მრეწველობაში <i>ფრუიძე მ., ჩაკვეტაძე შ., ბენდელიანი ე.</i> .....	143
ეთერზეთოვანი ვარდის გადამუშავების ნარჩენების გამოკვლევა <i>ქაჯაია ლ., ილიურიძე ნ., გილაური ნ.</i> .....	147

ვარდის ეთეროვანი ზეთის წარმოების ნარჩენების გადამუშავების ტექნოლოგია <i>ქაჯაია ლ., ილურიძე ნ., გილაური ნ.</i> .....	150
ჰიდროლიზატის გავლენა შემკოჭავი ნამცხვრის ხარისხზე <i>ყიფიანი ა.</i> .....	153
ბიოლოგიურად აქტიური დანამატები გალეტის წარმოებაში <i>ყიფიანი ა., კოპალეიშვილი თ.</i> .....	156
დათიშვის თავისებურებანი ლიმონის პოლიპლოიდურ ფორმებში <i>ჩიკაშუა ქ.ი., გობრონიძე ე.რ.</i> .....	158
მცენარეული ინგრედიენტების გავლენა ლიქიორის ანტიოქსიდანტურ თვისებებზე <i>ჩუბინიძე ნ., სორდია ე., ტყემალაძე გ.</i> .....	161
კამეჩის და ძროხის რძის გავლენა სულგუნის მახასიათებლებზე <i>ძირკველიშვილი ნინო</i> .....	163
საქართველოში ხორცპროდუქტების წარმოებაში არსებული მდგომარეობა და პერსპექტივები <i>ჭუმბურიძე გ.</i> .....	166
კვების ეკოლოგიის თანამედროვე პრობლემები <i>ხაზარაძე ნ., გობეჯიშვილი ლ.</i> .....	169
მწვანე ჩაის ექსტრაქტის მიღებისა და გამოყენების მეთოდები თბური ინფიცირებული დამწვრობის დროს <i>ხუციძე თ.ს.</i> .....	171
ფუტკრის პროდუქტების გავლენა შაქროვანი ნამცხვრის ემულსიის თვისებებზე <i>ხუციძე ც., თავდიდიშვილი დ., ჭაბუკიანი გ.</i> .....	174
ფუტკრის პროდუქტების გამოყენების პერსპექტივები ფევილოვანი საკონდიტრო ნაწარმის წარმოებაში <i>ხუციძე ც., ფრუიძე ე., ჭაბუკიანი გ., აფხაძე ქ.</i> .....	178
<b>სექცია 2</b>	
<b>მევენახეობა და მეღვინეობა</b>	
<b>Viticulture and Enology</b>	
<b>Виноградарство и энология</b>	
მავნე ორგანიზმებისგან დაზიანებული ვაზის ჯიშები და მისგან მიღებული ღვინოების შეფასება <i>ახვლედიანი გ., გოგიშვილი თ.</i> .....	183
მუხის კასრების ალტერნატივების გამოყენება ღვინის დისტილატის დასაძველებლად <i>ბაღათურია ნ., ლოლაძე მ., ბაღათურია გ.</i> .....	188

საბრენდე სპირტის დისტილაციის რეჟიმების ანალიზი კომპიუტერული მოდელირებით <i>ბერეჟიანი მ.გ., რუხაძე თ.კ., ქემრტელიძე ქ.მ.</i> .....	190
პოლიმერული მემბრანების გამოყენება ღვინის გადამუშავების ტექნოლოგიურ პროცესებში <i>ბიბილეიშვილი გ.ვ., გოგესაშვილი ნ.ნ., კეჟერაშვილი მ.გ., მამულაშვილი მ.ა., ებანოიძე ლ.ო.</i> .....	194
Special wine "Nikala" with increased antioxidant activity <i>Botera D., Kalandia A., Gvinianidze Temur, Gvinianidze Teona</i> .....	197
მეღვინეობის მეორადი პროდუქტების რაციონალური გამოყენების მიმართულებები <i>გრიგორაშვილი გ. ზ.</i> .....	200
წითელი ყურძნის ჭაჭის ანტიოქსიდანტური თვისებები <i>გურგენიძე ლ.რ., ყანჩაველი თ. ზ., ქვარცხავა გ.რ.</i> .....	202
Red semi-sweet wine produced via innovative technology for enrichment with phenolic antioxidants <i>Ebelashvili N.V., Uturashvili E.A., Kekelidze I.A.</i> .....	206
ყურძნისა და კენკრის ფიტოესტროგენების კომპოზიცია <i>კალანდია ა., ღვინიანიძე თემურ, ღვინიანიძე თორნიკე, კიკვაძე ბ.</i> .....	208
ყურძნის წიპწის გავლენის გამოკვლევა წითელი ღვინის ქიმიურ შედგენილობასა და ორგანოლექტიკურ მარკენებლებზე <i>კალატოზიშვილი ე., ლოლაძე მ., ბალათურია გ.</i> .....	213
Phenolic spectrum of “kagor” type red dessert wine produced via innovative technology <i>Kekelidze I.A., Ebelashvili N.V., Japaridze M.Sh.</i> .....	216
საქართველოს ტერიტორიაზე აღმოჩენილი ვაზის ( <i>Vitis vinifera</i> L.) ველურად მოზარდი ფორმების აღწერა და შეფასება <i>კიკვაძე მ., კიკილაშვილი შ., მალრაძე დ.</i> .....	218
საქართველოს ველური ვაზის ამპელოგრაფიული და ენოლოგიური შესწავლა <i>კიკილაშვილი შ., მამასახლისაშვილი ლ., მალრაძე დ.</i> .....	221
New approaches of amber qvevri wine production <i>Khomasuridze M., Tkemaladze G., Chanturia I., Chavchanidze T., Maisuradze N., Jajanidze T.</i> .....	224
Oenological characteristics of georgian wines, obtained by kakhétian and classical winemaking techniques <i>Makhviladze T., Kvartskhava G., Chichua D.</i> .....	230
Climatic similarity between georgia and western iberian margin during the holocene and effects on grapevine domestication and spread <i>Mariani L., Cola G., Faila O., Zavatti F.</i> .....	233
ქართული იშვიათი ვაზის ჯიში ვარდისფერი ღვინის წარმოების პერსპექტივები <i>ჩხარტიშვილი ნ., აბესაძე ნ.</i> .....	239

სექცია 3  
 სატყეო საქმე  
 Forestry  
 Лесное хозяйство

ტყის არამერქნული რესურსების შეფასების და მდგრადი სარგებლობის მიდგომები (მცხეთა-მთიანეთის რეგიონის მაგალითზე)  
*ბასილიძე ლ., გოგინაშვილი ნ., ქავთარაძე გ.*..... 242

საქართველოში შესწავლილი ვერხვის ახალი ჰიბრიდული კლონების გამოყენების მიზანშეწონილობა სამრეწველო და ენერგეტიკული პლანტაციებისათვის  
*ბაჩილავა მ., ქავთარაძე გ., გოგინაშვილი ნ.*..... 246

აჭარის დაცულ ტერიტორიებზე (მტირალა, კინტრიში), ჩვეულებრივი წაბლის (*Castanea sativa mill*) ბუნებრივი განახლების თავისებურებები ტყის ძირითად არეალებში  
*დავითაძე რ., ჯინჭარაძე გ., ძირკვაძე ა., ჯაბინძე გ.*..... 253

ხის მორების იდენტიფიცირებისა და აღრიცხვის IoT სისტემა  
*იმნაიშვილი ლ., იაშვილი ნ., ბედინიშვილი მ., თოდუა თ.*..... 256

წყალტუბოს ცენტრალური პარკის დენდროფლორა  
*კილაძე გ.* ..... 260

ქ. ქუთაისის სამხარაულის ექსპერტიზის ბიუროს ეზოს მცენარეთა საფარის კომპოზიციური გადაწყვეტა  
*კილაძე რ., ბენიძე ე., ოჩხიკიძე ი.*..... 265

საქართველოს სამთო სოფლის მეურნეობის განვითარების პრობლემები და მათი გადაჭრის გზები  
*ლაჭყევიანი თ., გეგენავა ლ.*..... 268

აჭარის ფლორის და მცენარეულობის ფორმირებისა და განვითარების ისტორიული ასპექტები  
*მანველიძე ზ.*..... 271

თუთის ფენოლოგიური ფაზების დადგომის პროგნოზირება აქტიური ტემპერატურის ჯამის მეთოდით  
*სტეფანიშვილი ნ., წვერიკმა ზაშვილი ა., დევაძე თ.*..... 278

ლაგოდეხის სახელმწიფო ნაკრძალის ტყის ეკოსისტემებში აკუმულირებული და წლიურად დეპონირებული ნახშირბადის მარაგები  
*ტიგინაშვილი ზ.თ., ვაჩნაძე გ.ს., აფციაური ბ.ნ., წერეთელი გ.ვ.*..... 282

ყაზბეგის რეგიონში სუბალპური არყნარი ტყეების ცვლილება დროში  
*ტოგონიძე ნ., ახალკაცი მ.* ..... 286

მაღალი ანტივირუსული პოტენციალის მქონე მერქნიანების (კავკასიური ფიჭვი - *Pinus sosnowskyi Nakai* და სხვა) ბუნებრივი განახლება სამცხე-ჯავახეთის რეგიონის რიგ ლოკაციაზე (ბორჯომი, ასპინძა, ახალციხე) - კლიმატის გლობალური ცვლილების ფონზე  
*ჯაფარიძე გ., გაგოშიძე გ., დოლიძე ლ., ქავთარაძე გ.*..... 289

კავკასიური ფიჭვის (*P.Sosnovskiy*) და ზოგიერთი მუქწიწვიანი მერქნიანის (აღმოსავლეთის ნაძვი - *P. orientalis*, კავკასიური სოჭი - *A. nordmanniana*) ბუნებრივი განახლება ყალთალებში - ბორჯომის ხეობის მაგალითზე  
*ჯაფარიძე გ., გაგოშიძე გ., დოლიძე ლ.*.....294

აჭარის წიფლის ტყეების ბუნებრივი განახლებისა და თესლმსხმოიარობის საკითხები ტყის ტიპების მიხედვით  
*ჯაფარიძე გ., ვასაძე რ.*.....297

მზეჭდავი ქერქიჭამიას (*Ips typographus L.*), გავრცელება აჭარის ნაძვნარ კორომებში და მისი პოპულაციის რიცხოვნობის მართვა  
*ჯინჭარაძე გ., გორგილაძე ლ., ჯაბნიძე გ.*.....303

იორის (ივრის) ჭალის ტყის მავნებელი მწერების მრავალფეროვნების მიმოხილვა 2016 - 2021 წ.  
*წიკლაური ხ., ტიგინაშვილი ზ., გაბროშვილი ნ.*.....307

**სექცია 4**  
**აგრარული ტექნოლოგიები**  
**Agricultural Technology**  
**Сельскохозяйственные технологии**

ქართული მთის ძროხის ჯიშის ხევისურული პოპულაციის გენოფონდის შესწავლისათვის  
*ბასილაძე გ., ტაბატაძე ლ., კალანდია ე.*.....311

ციტრუსოვანი კულტურების (*Citrus*) ზოგიერთი წარმომადგენლის სელექციის მეთოდის კავშირი პროდუქციის სასაქონლო და სამედიცინო ღირებულებასთან  
*ბუკია ზ., კუკულაძე ე.*.....314

პირველი ქართული მიკოპესტიციდი ბოვერ-ჯი მავნე მწერების კონტროლისათვის  
*ბურჯანაძე მ.*.....317

ლაზერული დასხივებისა და *Azospirillum brasilense*-თი თესვისწინა დამუშავების გავლენა სიმინდის განვითარებაზე  
*გაგელიძე ნ.ა., ამირანაშვილი ლ.ლ., დანელია ი.მ., ბადრიძე გ.შ., მოდებაძე თ.ზ., სუხიშვილი ნ.ზ., ანდიაშვილი გ.ზ., კვიციანი ს.ნ., ბაქრაძე ნ.ვ.*.....320

საკვები ელემენტების შემცველობა სხვადასხვა ტიპის მიწათსარგებლობის ქვეშ არსებულ ნიადაგებში  
*გვენცაძე გ., ლამბაშიძე გ., ზაიდაური ლ.*.....323

ნუშის (*Prunus dulcis, Prunus Amygdalus*) ინტროდუცირებული ჯიშების გავრცელების აგროეკოლოგიური ზონების მახასიათებლები  
*დეკანოიძე ნ.*.....327

ფერმერული მეურნეობების მფლობელთა განათლება და მათი კომპეტენციის შეფასება აჭარის აგრარულ სექტორში  
*თხილაიშვილი გ., ჯაბნიძე ნ., ჯაბნიძე რ., ყურმუზაძე მ.*.....331

ნიადაგის მოვლის სხვადასხვა ხერხის გავლენა ფეიჰოას პროდუქტიულობაზე იმერეთის პირობებში <i>კაპანაძე შ., კოპალიანი რ., კოპალიანი ლ., თაბაგარი მ., უგულავა ვ., ჯინჭარაძე ნ.</i> .....	335
მიწავაშლას - <i>Helianthus tuberosus</i> სამკურნალო თვისებები, ეკოლოგიურად სუფთა ნედლეულის მიღების აგროტექნოლოგია და მისი განვითარების პერსპექტივები ლეჩხუმის მაღალმთიან სოფლებში <i>კოპალიანი ლ., უგულავა ვ., ჯინჭარაძე ნ., არველაძე ე., ქანთარია ი.</i> .....	337
დაფნის ახალგაზრდა ტოტების ზრდის დინამიკის შესწავლა ქუთაისის პირობებში <i>კოპალიანი რ.შ., კაპანაძე შ. ი.</i> .....	340
ვაშლის ჯიშის-გოლდ რაშის ზოგიერთი ბიოლოგიური და სამეურნეო თავისებურებანი <i>ლამპარაძე შ., ჯაბნძე რ., ჯაბნძე ნ., ჯაბნძე გ., ლამპარაძე ლ.</i> .....	342
ტყემლის ( <i>Prunus Divaricata L, Prunus Cerazifera</i> ) ჯიშის - „წითელი დროშის“ ზოგიერთი ბიოლოგიური და სამეურნეო თავისებურება <i>ლამპარაძე შ., ბუკია ზ., ბერიძე ნ., ლამპარაძე ლ.</i> .....	345
<b>Agro-industrial Conditions of Yellow Soil for Agro-technologies</b> <i>Lortkipanidze R.O., Iakobashvili G.T.</i> .....	348
ჩვეულებრივი ხურმის ( <i>Diospyros lotus L</i> ) გავრცელების, ბიოეკოლოგიური და გამრავლების თავისებურებები აჭარისა და სამეგრელოს რეგიონებში <i>მანველიძე ნ., კაჭარავა თ.</i> .....	352
მოცხარის გვარის ( <i>Ribes L.</i> ) აჭარაში გავრცელებული ველური სახეობების ზოგადი ბიოეკოლოგიური თავისებურებები <i>მემარნე ქ., კაჭარავა თ.</i> .....	357
ქართული ხორბლის ჯიშების მარცვლის ხარისხობრივი მაჩვენებლები და მათი გამოყენების პერსპექტივები სურსათის წარმოებაში <i>სამადაშვილი ც.</i> .....	361
ბუნებრივი ბალახნარის მოსავლის მატება და ბიომრავალფეროვნების შენარჩუნება პრეპარატ სტიმულაციის გამოყენებით <i>სარჯველაძე ი., მედიძე ს., ლოლაძე ჯ.</i> .....	365
მანდარინ „ადრეულას“ კლონების ნაყოფმსხმოიარობის თავისებურებები შედარებით მკაცრ პირობებში <i>ქობაღია ვ.</i> .....	368
აგრარული სექტორი და სანადირო-სათევზაო ტურიზმის განვითარების პერსპექტივები საქართველოში <i>ღლიღვაშვილი ვ., კაჭარავა თ.</i> .....	370
ციტრუსოვანთა ახალგაზრდა ბაღში აგროეკოლოგიური ტექნოლოგიების გამოყენება და შერჩევა ვანის რაიონში <i>ყიფიანი ნ.</i> .....	373



მეაბრეშუმეობის შრომატევადი პროცესების თანამედროვე ტექნოლოგიები შაფაქიძე ე.დ. ....	375
თევზისთვის, ბიოლოგიურად უსაფრთხო საკვების დამზადება ადგილობრივი გამოყენებელი რესურსებით ჩაჩანიძე მ., ჭუმბურიძე გ. ....	380
<b>სექცია 5</b>	
<b>აგროინჟინერია, მეცხოველეობა, საინფორმაციო ტექნოლოგიები</b>	
<b>Agricultural Engineering, animal husbandry, Information technologies</b>	
<b>Сельскохозяйственная инженерия, животноводство, Информационные технологии</b>	
ექსპერიმენტის სტატისტიკა თუ ლობიოზე მარჩიელობა ბერეჯიანი მ.გ., ჯამაგიძე ი.ი., ჯინორია ე.ვ. ....	383
<b>Persistent Organic Pollutants in the Agricultural sector</b> <i>Berejiani A., Mari-Liis Ummik</i> .....	387
<b>International projects management in universities during the COVID 19 pandemic</b> <i>Gorgadze N.</i> .....	390
<b>Agricultural water service and water resources optimization</b> <i>Gubeladze D., Kharaiashvili O.</i> .....	392
ციტრუსების ნარჩენებიდან დამზადებული კომპოსტის გავლენა ფუძე ნიადაგებზე დოლიძე ვ., გაგოშიძე გ., მაჭავარიანი ნ., ჯაფიაშვილი ი. ....	394
მარცვლეული კულტურების ალების მექანიზმებული სამუშაოებისათვის რესურსდამზოგი სატრანსპორტო მომსახურების ორგანიზაცია თავბერიძე ს.ჭ., კბილაშვილი დ.გ., ლეკვეიშვილი გ.ა. ....	397
ინფორმაციული ტექნოლოგიები მართვაში თანანაშვილი მ. ....	400
ქვეყნის გლეხური და ფერმერული მეურნეობებისათვის საკონსულტაციო და ლაბორატორიული მომსახურების ახალი ფორმით ორგანიზების შესახებ იაშვილი ნ., იმნაიშვილი ლ., მახაშვილი ქ., ბიბილეიშვილი დ., ბედინეიშვილი მ. ....	403
პნევმატიკური თვალის ვერტიკალური ვიბრაციების გამოკვლევა სალტეზე რადიალური და ტანგენციალური დატვირთვების ერთდროულად მოქმედებისას კბილაშვილი დ.გ., თავბერიძე ს.ჭ., ლეკვეიშვილი გ.ა. ....	406
ოპტიმალური მორწყვის რეჟიმის პარამეტრების გაანგარიშებანი საბაზრო ეკონომიკის პირობებში ლომიშვილი მ. ....	409



ქვემო ქართლის მშრალი სუბტროპიკული ზონის აგროკლიმატური პოტენციალი გლობალური დათბობის პირობებში <i>მელაძე მ.გ.</i> .....	413
წვეთური მორწყვის ეკონომიკური ეფექტიანობა <i>ნატროშვილი გ., ნატროშვილი შ.</i> .....	416
ძალის არასწორი კვებით გამოწვეული ბეწვის საფარის დაზიანება და მისი გამოსწორების გზები <i>ნატროშვილი ნ., ცინცაძე მ., ორჯანელი ნ.</i> .....	420
მიკრო ბიზნესის განვითარების პირობები საქართველოში <i>ციმინტია კ.</i> .....	423
ფერმერული მეურნეობების ეფექტური მართვისათვის <i>ხარაიშვილი ო., მეზონია ნ., ზაიდაური ლ., კიკაბიძე მ., სიჭინავა პ.</i> .....	426
რძე <i>ხატიაშვილი ტ.</i> .....	429
ცხენის ქართული ჯიშების წარმოშობა, დღევანდელი მდგომარეობა და მათი შენარჩუნების გზები <i>ჩხარტიშვილი ლ.</i> .....	431

იბეჭდება საორგანიზაციო კომიტეტის მიერ წარმოდგენილი სახით

გადაეცა წარმოებას 30.11.2021. ხელმოწერილია დასაბეჭდად 07.12.2021. ქალაქის ზომა 60X84  
1/8. პირობითი ნაბეჭდი თაბახი 28.

საგამომცემლო სახლი „ტექნიკური უნივერსიტეტი“, თბილისი, კოსტავას 77

